




წიგნების ფონდი


# ქრისტეს მთაწვენი

K 134.2.55  
3



38

• ნაქაძუღი • თბილისი • 1969





И (Het)

83—31

ფ 874

7—3—4

გერმანულიდან თარგმნა  
ნელი ამასუკელიძე

Georgische Übersetzung  
und Geleitwort  
von Nelli Amaschukeli

სკპს-2000  
გერმანულიდან

2024-10

9019

59



## ლ ე ო ნ ჯ ა რ დ ფ რ ა ნ კ ი

მეოცე საუკუნის გერმანელ მწერლებს, — ცხადია, იმათ, ვისაც სინდისი და ღირსება გააჩნდა, — მიძიმე ზვედრი არგუნა ბედმა. ქვეყანა, რომელმაც ორი მსოფლიო ომი გააჩაღა და ყველაფერს ნაციონალიზმის ლიბრადაკრული თვალით უყურებდა, სასტიკად დევნიდა დამოუკიდებლად მოაზროვნე, თავისუფლებისმოყვარე, შორსმგებრეტელ პაციფისტებს, კუშმარიტად კულტურულ ადამიანებს. გერმანიას კულტურა აღარ სჭირდებოდა, მას ესაჭიროებოდა გონებაშეზღუდული ჯარისკაცები, ოფიცრები და თანატიკოსთა ბრბო. თუ პირველი მსოფლიო ომის დროს მხოლოდ პაციფისტებს დევნიდნენ, ნაციისტებმა თავიანთ პოლიტიკას ბოროტმოქმედება დაუდვეს საფუძვლად და სობდნენ ყველას, ვინც უარს ამბობდა მათ მიერ აღიარებული, სახელდახელოდ შეთითხნილი, სინამდვილის უგულვებელმყოფელი იდეების სახელით დანაშაული ჩაედინა. დევნას ვერ გადაურჩა ვერც ერთი გერმანელი მწერალი, ვისაც მსოფლიო იცნობდა და აფასებდა, ვინც კაცობრიობის კულტურის საგანძურში თავისი წვლილი შეიტანა. როგორც კი ფაშისტური რეჟიმი დამყარდა, სამშობლო დატოვეს გერმანული ლიტერატურის ისეთმა კორიფეებმა, როგორც იყვნენ თომას მანი, ჰაინრიხ მანი, ერიკ მარია რემარკი, ლიონ ფოიჰთვანგერი, ანა ზეგერსი და სხვები. დევნიდნენ სწორედ იმათ, ვის წიგნებსაც ყველა კულტურულ ენაზე თარგმნიდნენ და მთელი კაცობრიობა კითხულობდა. კულტურა და ძალადობა არსად დამპირისპირებია ისე მკვეთრად ერთმანეთს, როგორც გერმანიაში ნაციისტების ბატონობის დროს.

ლეონჰარდ ფრანკი ლიტერატურულ ასპარეზზე ჯერ კიდევ პირველ მსოფლიო ომამდე გამოჩნდა და მთელი თავისი ცხოვრება ძალადობის, უაზრო სისხლისღვრის, უსამართლობის, სიბრიაყის, ცრურწმენისა და ცრუხელოვნების წინააღმდეგ ბრძოლას მოაწოდებდა. მისი რომანები და მოთხრობები ჰუმანურობის დიდ იდეას ემსახურებიან.

ლეონჰარდ ფრანკი დაიბადა 1882 წ. ვიურტემბურში (გარდაიცვალა 1961 წელს). მწერალი თვითონ ამბობდა, ჩემს ამქვეყნად გაჩენას საზრუნავის მეტი არაფერი მოუტანია ოჯახისათვისო. მამამისს, უბრალო დურგალს, უჭირდა დიდი ოჯახის რჩენა და იმას, რასაც დედამისი კვირაში თერთმეტი მარკით ახერხებდა, უმცროსი შვილი ქრისტეს სასწავლებლთქმედებას ადარებდა. ოჯახში ლეონჰარდს ვერც სამყაროსაგან დედის მზრუნველობა და აღერსი იფარავდა. დიდი უბედურება პირველად მაშინ დაატყდა თავს, როცა ფეხი სახალხო სკოლაში შედგა. სასწავლებელში გამეფებულმა სისასტიკემ და ბავშვის მხდალ, მორჩილ არსებად გადაქცევის მეთოდმა წარუშლელი კვალი დატოვა ლეონჰარდ ფრანკის შეგნებაში.

სკოლის დამთავრების შემდეგ ლეონჰარდ ფრანკი წლების მანძილზე ზენიკლის შეგირდად მუშაობდა. ერთხელ კვირა დილით სარკის წინ მჯდარმა საკუთარი თვალის დახატვა დაიწყო. ხატვამ თანდათან გაიტაცა და რამდენიმე საათის შემდეგ უკვე ავტოპორტრეტს უცქეროდა. ამ შემთხვევამ მთელი მისი ცხოვრება შეცვალა. ლეონჰარდ ფრანკმა გადაწყვიტა მხატვარი გამხდარიყო.

იმდროინდელ გერმანიაში დამწყები მხატვრები, მუსიკოსები, მწერლები, პოეტები, აზრს შეჰედებული ახალგაზრდები, ერთი სიტყვით, ბოჰემისა და ხელოვნების თავგანისმცემლები, მიუნჰენში იყრიდნენ თავს. აქვე იყო აჯბენს ცნობილი სამხატვრო სასწავლებელიც. ლეონჰარდ ფრანკს, ორმოცი მარკა ჩამოჰყვა მიუნჰენში. კაფე „შტეფანიში“, რომლის ყოველდღიური სტუმარიც იგი ვახდა, ათასი ჯურის ხალხი ირეოდა: ეს კაფე ბოჰემის ცენტრი იყო და მასპინძლობას უწყევდა მხატვრებს, კომპოზიტორებს, პოეტებს. ახალგაზრდობა გატაცებული იყო ნიცშეს, ფროიდის, ბაკუნინის იდეებითა და ქებას ასხამდა ბოდლერსა და უაილდს. მაგრამ უმრავლესობა მაინც უსახელოდ და უდროოდ იღუპებოდა შიმშილისა და იმის გამო, რომ საკუთარ იდეას არ ღალატობდა. ლეონჰარდ ფრანკმა რამდენიმე წელი იცხოვრა ასეთ გარემოცვაში, აქ განიცადა პირველი სიყვარული და სატრფოს დაკარგვით გამოწვეული სასოწარკვეთილება, ისწავლა დეტალის დახეწვა, აზრის განზოგადობა, საკითხისადმი კრიტიკული მიდგომა. კაფე „შტეფანის“ იგი თავის უნივერსიტეტს ეძახდა და სიამოვნებითაც იგონებდა, რადგან იმ ბედნიერთა რიცხვს ეკუთვნოდა, რომელნიც ბოჰემამ კი არ ჩაითრია და მოსპო, არამედ ცოდნა მისცა და ცხოვრების ფართო გზაზე გაიყვანა. მაგრამ ეს მოხდა მოგვიანებით, მანამდე კი საბოლოოდ დარწმუნდა, რომ მისგან დიდი მხატვარი არ გამოვიდოდა და ისევე გულდამძიმებულმა მიაშურა ბერლინს, როგორც ამ რამდენიმე წლის წინ მშობლიურ ვიურტემბურს გამოექცა.

ბერლინში ფრანკი ერთ ხანს უმიზნოდ ცხოვრობდა, არაფერს აკეთებდა, გაჩირადდნებულ, რეკლამებით აქრელებულ ქალაქში საკუთარი თავისადმი, რწმენა დაკარგა, გაუბედობამ შეიპყრო და უსახლკართოდ დარჩენილს წვიმიანი ღამე რომ ბაღში, მერხზე არ გაეთია, შეიძლება ველარასოდეს ეპოვა საკუთარი თავი. იმ ღამეს იგი ისეთმა ამბიციამ შეიპყრო, რომ თავისი ტოლი კაცი ქვეყანაზე არ ეგულებოდა. დილით კაფეში ახალგაზრდა ქალს შეხვდა, მოეწონა, თამამად გაიცნო, ის ღამე მის ბინაში გაათია და რამდენიმე კვირის შემდეგ ცოლად შეირთო. შეიძლება იგი სწორედ იმ ღამეს გახდა მწერალი, რადგან მალე მართლაც შეუდგა რომანის წერას.

„ყაჩაღთა ბანდა“ პირველი ნაწარმოებია, სადაც მან მშობლიური ქალაქის განუმეორებელი თავისებურება, ბავშვობისდროინდელი რომანტიკული განწყობილება მიმზიდველი ფერებით აღწერა და საკონცენტრაციო ბანაკისმაგვარი სასწავლებლების წინააღმდეგ გაილაშქრა. უწყინარი ყაჩაღების, რომანტიკულად განწყობილი მოზარდების თავგადასავალს მთელი გერმანია კითხულობდა და თანუგრძნობდა. წიგნმა საყოველთაო აღიარება პპოვა და ლეონჰარდ ფრანკი ცნობილი მწერალი გახდა.

1914 წლის 4 აგვისტოს კაიზერმა ვილჰელმ II გერმანელ ხალხს აუწყა, ომი დაიწყო. ლეონჰარდ ფრანკი იმ დღიდანვე განიმსკვალა უაზრო სისხლისღვრისადმი სიძულვილით. მის გულში ბოდმა თანდათან გროვდებოდა და ბოლოს, როცა გერმანელების მიერ „ლუზიტანიის“ ჩაძირვით გახარებული ერთი მისი ნაცნობი ეურნალისტი თანამემამულეთა გმირობას ხოტბას ასხამდა, ლეონჰარდ ფრანკმა მას სხვების თანდასწრებით სილა გააწნა. ხოლო რამდენიმე დღის შემდეგ, როდესაც პოლიციელები მის დასაპატიმრებლად მოვიდნენ, იგი უკვე შვეიცარიაში იყო. ომის დროს ათასი ჯურის ავანტიურისტებმა, ჯაშუშებმა, ვალუტის გადაყიდვებმა, სპეკულანტებმა მიაშურეს შვეიცარიას. მაგრამ ამავე დროს შვეიცარიაში ცხოვრობდნენ მებრძოლი პაციფისტები, პოლიტიკური მოღვაწეები, რომელთაც თავიანთ ქვეყანაში მძიმე სასჯელი ემუქრებოდა, მწერლები და მეცნიერები, რომლებმაც ვინზე ვადგომას ბრძოლა არჩიეს. მათ რიცხვს ეკუთვნოდა ლეონჰარდ ფრანკიც. ომის საშინელებებით შეძრწუნებულმა შვეიცარიაში ჯერ ომის წინააღმდეგ მიმართული მოთხრობები „მამა“, „ჭარისკაცის ქერივი“, „შეყვარებულნი“ და „ომის ინვალიდი“ დაწერა, შემდეგ კი — ცნობილი წიგნი „ადამიანი კეთილია“. მთავრობამ ეს წიგნი გერმანიაში აკრძალა, მაგრამ წიგნი იმდენად პოპულარული იყო, რომ გერმანიის ახალგაზრდობა არაღეგალურად კითხულობდა. როგორც კი გერმანიაში რევოლუცია მოხდა, ლეონჰარდ ფრანკმა შვეიცარია დატოვა და მეუღლესთან ერთად სამშობლოში დაბრუნდა. მან საკუთარი თვლით იხილა დანგრეული გერმანია.

ახალ წიგნზე მუშაობა ლეონჰარდ ფრანკმა მხოლოდ მაშინ დაიწყო, როცა მეუღლის საყვდილით გამოწვეული მძიმე ქრილობა მოუშუშდა და

გერმანია ცოტათი წელში გასწორდა. „ოქსენფურტელი მამაკაცების კვარტეტს“ მოჰყვა მოთხრობა „კარლი და ანა“, — რომელიც შემდეგ პიესად გადაკეთდა, — და რომანი „ლა-ძმა“.

ამ დროს მსოფლიოს ეკონომიური კრიზისი დაატყდა თავს, გერმანიაში ფაშისტების გავლენა გაძლიერდა, ქვეყანა კვლავ გაბარტახდა. ფრანკმა იმდროინდელ ცხოვრებას მიუძღვნა რომანი „სამ მილიონთაგან სამი“, სადაც უმუშევართა მწარე ხვედრი, უცხო ქვეყნებში ხეტიალი და ბოლოს, ისევ სამშობლოში დაბრუნებაა აღწერილი.

1933 წლის 30 იანვარს ჰინდენბურგმა პიტლერი რაიხსკანცლერად გამოაცხადა. იმ დღიდან გერმანიაში ყველაზე სასტიკი და ბარბაროსული რეჟიმი დაჰყარდა, მთელი ევროპა სისხლით მოიწყო. ლეონჰარდ ფრანკ ბერლინიდან ჯერ მიუნხენში გადასახლდა, შემდეგ კი შვეიცარიაში. ამასობაში იგი აკადემიიდანაც გარიცხეს და გერმანიის მოქალაქეობაც ჩამოართვეს, რადგან მან არ სცნო ფაშისტური რეჟიმი. შვეიცარიაში დაასრულა ჯერ კიდევ ბერლინში დაწყებული რომანი „ზმანების თანამგზავნი“. წიგნი ჰოლანდიაში დაიბეჭდა. ამავე გამომცემლობამ გამოსცა ფრანკის რჩეული ნაწარმოებები, რომელთაც გერმანიაში წვეავდნენ.

ფაშისტების გაძლიერებამ და ჰეგემონიისაკენ სწრაფვამ ნეიტრალურ შვეიცარიაში განიზნულ ემიგრანტებს საფრთხე შეუქმნა და ლეონჰარდ ფრანკი 1937 წელს პარიზში გადავიდა. ემიგრანტის ცხოვრება ისედაც მძიმე და უნაყოფოა, იმდროინდელ საფრანგეთში კი გერმანელ ემიგრანტებს მაინც მეტისმეტად მკაცრად და უსამართლოდ ეპყრობოდნენ. როცა გერმანია საფრანგეთს თავს დაესხა, გერმანელი ემიგრანტები ფაშისტურ ბანაკებში გამოკეტეს. ლეონჰარდ ფრანკმა მხოლოდ გაქცევით უშველა თავს. ჯერ მარსელში ჩავიდა, მერე კი ესპანეთის საზღვარი გადალახა, პორტუგალიაში გადავიდა და ლისაბონიდან ამერიკის შეერთებულ შტატებში გაემგზავრა. იქ ემიგრანტ მწერლებს მდიდარი კინოსტუდიის პატრონები მფარველობდნენ. ლეონჰარდ ფრანკს ჯერ კიდევ ნიუ-იორკში დახვდა ძმები უორენების წარმომადგენელი, ორასი დოლარი გადასცა და პოლიეუდში მიიწვია. მთელი ომის მანძილზე თავის კაბინეტში გამოკეტილმა მწერალმა მხოლოდ გერმანიიდან წამოდებული რომანი დაასრულა და „გერმანული ნოველა“ დაწერა. ომი ჯერ კიდევ არ დამთავრებულყო, როცა ლეონჰარდ ფრანკმა პოლიეუდი მიატოვა და ნიუ-იორკში გადასახლდა. ეროდღეს გაზეთში შემოაძრწუნებელი ამბავი ამოკითხა: მისი მშობლიური ქალაქი ვიურცბურგი ამერიკელებს ნანგრევებად ექციათ.

სწორედ ეს ნანგრევებადქცეული ქალაქი გახდა ახალი რომანის „ქრისტეს მოწაფეების“ გმირების სამოქმედო ასპარეზი. თვითონ მწერალმა დანგრეული ქალაქი მხოლოდ ომის დამთავრებიდან ხუთი წლის შემდეგ იხილა, წიგნი კი მანამდე, ამერიკაში დაწერა. იგი ისე კარგად იცნობდა მშობლიურ ქალაქს, ისე ნათლად ახსოვდა ყოველი ქუჩა, ყოველი სახლი, მაინის ნაპირები, რომ ქალაქისა და მისი შემოგარენის ზუსტად და დამაჯე-

რებლად აღწერა არ გასჭირვებია. „ქრისტეს მოწაფეები“ ძალიან ჰგვანან „უჩაჩლთა ზანდის“ გმირებს, მაგრამ მათ სულ სხვა დროს და სხვა ვითარებაში უხდებოდათ ცხოვრება და მოღვაწეობა. ომი ახალი დამთავრებულია. გადაბუგულ, დამშვეულ, უტანსაცემლოდ და უფესაცემლოდ დარჩენილ გერმანიაში თორმეტ-თოთხმეტი წლის ბიჭები ღარიბთა დამხმარე არალეგალურ საზოგადოებასა ქმნიან. სამართლიანობის დამცველთა ჯგუფს უბირისპირდება მეორე — ნაცისტთა, მოძალადეთა და ტერორისტთა ჯგუფი, რომლის წევრებიც ფაშისტურ გერმანიის აღდგენაზე ოცნებობენ. კვლავ ებღაუჭებიან ნაციონალიზმსა და შოვინიზმს, რამაც დიდი ხანია თავისი დრო მოჰყამა და უგუნური, ყოვლად გაუმართლებელი დანაშაულისა და სისხლისღერის მეტი არაფერი მოუტანია. ამ ორი ჯგუფების ბრძოლის ფონზე იშლება ერთი მხრით მართოდ დარჩენილი უსახლკარო გერმანელი ვოგონასა და ამერიკელი ჯარისკაცის, ხოლო მეორე მხრით ვარშავის სართსკიპოდან დაბრუნებული ახალგაზრდა ებრაელი ქალისა და მისი ყოფილი საქმროს სიყვარულის ამბავი. მართალია, მწერალი ამბობს, ამ რომანში მთელი ქარგა, თითოეული გმირი, ყოველი სიტუაცია მოგონილიაო (იმ დროს, როცა მან გერმანია დატოვა, მისი გმირები ან მცირეწლოვანნი იყვნენ, ან სულ არ არსებობდნენ ამქვეყნად), მაგრამ ომის შემდგომი გერმანიის მდგომარეობა საოცრად ეხამება იმ ფონს, რომელიც მწერალმა შექმნა. გმირების განცდა, ცხოვრებისადმი დამოკიდებულება ფსიქოლოგიურად დამაჯერებელი და მკვეთრად ინდივიდუალურია. განსაკუთრებით ძნელი იყო ფიზიკურად და სულიერად გათვლილი, ტანჯვისა და წამებისაგან ქვად ქცეული, სართსკიპოდან დაბრუნებული ებრაელი ვოგონას სულიერი დეპრესიისა და მისი ცხოვრებისაკენ შემობრუნების დამაჯერებლად აღწერა. რუჰმმა იმდენი რამ განიცადა და გადაიტანა, რომ ცხოვრებისადმი ინტერესი დაკარგა. ამიტომ მისი გულის მოღობა, ცხოვრებით დაინტერესება არ შეეძლო უმნიშვნელო მოვლენებს, მასობელ ადამიანთა ზრუნვასა და სითბოს. სამართლიანობისა და გათვლილი ადამიანობის აღსადგენად იგი ისევე უნდა გასწორებოდა ცოცხლად დარჩენილ ჯალათებს, როგორც მას და მის მშობლებს გაუსწორდნენ. ერთგვარი შვება მან მხოლოდ მას შემდეგ იგრძნო, როცა ცვიშენცალი მოკლა. მაგრამ ცხოვრებას მაინც მძიმედ, ნაბიჯ-ნაბიჯ დაუბრუნდა. ცხადია, ამას ვერ შეძლებდა, გვერდით რომ კეთილი ადამიანები, ქრისტეს მოწაფეები და, რაც მთავარია, სულგრძელი, ფაქიზი და გონიერი მეგობარი მარტინი არა ჰყოლოდა, რომელმაც ბოლოს ცოლად შეირთო.

უფრო იდილიური ხასიათისაა გერმანელი ვოგონასა და ამერიკელი ჯარისკაცის სიყვარული, მაგრამ ქალის სიკვდილი რომანის უკანასკნელ თავებს დაძაბულსა და დრამატულს ხდის.


როცა მწერალმა ამ წიგნის წერა დაიწყო, მისი უმთავრესი მიზანია იყო, ეხილებინა ფაშისტური რეჟიმის სიმხეცე და ბოროტმოქმედება, დაენახებინა მკითხველისათვის იმ პირთა მორალური სახე, ვისაც რა-



სისტული იდეების სახელით დანაშაულის ჩადენის უფლება მისცეს, დაეპირისპირებინა ერთმანეთისათვის სოციალიზმი და ფაშიზმი, ტოტალური, პიროვნების გამთელავი რეჟიმი და დემოკრატიული ნებაყოფლობით გაერთიანებული საზოგადოება და ცხადად დაენახებინა ადამიანებისათვის ის საფრთხე, რასაც მათ ფაშიზმის აღდგენა უქადის. ამისათვის მწერალს ნიჭიც ეყო და გამბედაობაც, „ქრისტეს მოწაფეები“ მრავალ ენაზე ითარგმნა. ვფიქრობთ, ამ წიგნს ინტერესით წაიკითხავს ქართველი ახალგაზრდობაც.

ნ ე ლ ი ა მ ა შ. უ კ ე ლ ი ა





ვუძღვნი ჩემს  
შარლოთეს.

I

მაინის ვიურცბურგი, ღვინით, თევზითა და ეკლესიებით განთქმული, გოტიკისა და ბაროკოს სტილით ნაგები ქალაქი, სადაც ყოველი მეორე შენობა ხელოვნების განუმეორებელი ძეგლი იყო, ცამეტსაუკუნოვანი არსებობის შემდეგ ოცდახუთ წუთში ცეცხლგამჩენმა ყუმბარებმა მიწასთან გაასწორეს. მეორე დღით მდინარე მაინი, რომლის ზედაპირზეც ამ ცოტა ხნის წინ ქვეყნის ულამაზესი ქალაქი ირეკლებოდა, ღორღსა და ფერფლში დინჯად და მშვიდად მიიკვლევდა გზას მარადისობისაკენ.

იოჰანა მდინარის ნაპირს მიჰყვებოდა. უკან მხოლოდ სასოწარკვეთილება და უიმედობა სუფევდა, წინ კი ტირიფის ბუჩქების ნორჩი, წვენით საგსე ფოთლები მზეზე ისე ლივლივებდნენ, თითქოს არაფერი მომხდარაო. აქაურობა გაპარტახებს გადაურჩა. ველი მწვანით მოხატულ აბრეშუმის ხალიჩას ჰგავდა, — მოჩანდა ზურმუხტოვანი ვაზით მოფენილი გორაკები, ტყე, ხეხილის ბაღები და

დაკლავნილი ლურჯი მდინარე, რომლის ნაპირზეც იდგა ვიურც-ბურგი, ამჟამად ნანგრევებად ქცეული ქალაქი — ნაცისტების ბატონობის ძეგლი.

იოჰანას დედა ადრე მოუყვდა, მამა ქალაქის გიმნაზიაში ხატვას ასწავლიდა; როცა შეატყო, ამერიკის არმიის წინსვლას ველარაფერი შეაჩერებსო, დამფრთხალმა ნაცისტმა დროზე ჩამოიხრჩო თავი სამხატვრო დარბაზის ფანჯრის შუალზე, თანაც წერილი დატოვა. წერილში ერთხელ კიდევ შეაჩვენა თავისი ქალიშვილი არაპატრიოტობისათვის. იოჰანა ოცდახუთი წლისა იყო და ქვეყანაზე არავინ ჰყავდა.

ქალიშვილს წაბლისფერი თმა და თაფლისფერი თვალები ჰქონდა, გუგებს ირგვლივ მოციმციმე ნაპერწკლები უელავდა, მის მოგრძო თეთრ სახეს ივლისის თაყარა მზეც კი არ ეკარებოდა. მკვეთრად და სადად მოხაზული პირი ალბრეჰტ დიურერის ნახატს მოგაგონებდათ. გოგონა გარეგნულად ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებდა, თითქოს ბუნებას დაეკისრებინოს მისთვის მომავალი თაობებისათვის გადაეცა ის ფიზიკური სინატიფე, რასაც თვით ბუნებამ მილიონობით წლების მანძილზე ურიცხვი ექსპერიმენტის შედეგად მიაღწია.

ომის დამთავრების შემდეგ მთელი წელი, ყველა ღარიბ-ღატაკივით, იოჰანაც დილიდან საღამომდე ლუკმაპურის შოვნას უნდებოდა. ფული არა ჰქონდა, მდივანი კი აბა ვის რაში სჭირდებოდა იქ, სადაც საბეჭდი მანქანა კი არა, ქალაქიც აღარსად იყო. ამერიკელთა სამხედრო ხელისუფლებამაც ნაცისტის ქალიშვილი მდივნად არ მიიღო.

იოჰანას შეეძლო ეჩვენებინა მათთვის მამის წერილი — საკუთარი შვილი უმირზეზოდ ვის დაუწყევლია! — იქნებ ამით ოდნავ მაინც შეემსუბუქებინა თავისი ხვედრი, მაგრამ თანდაყოლილმა ტაქტმა და სიჯიუტემ ხელი ააღებინა ამ განზრახვაზე. ასეთი იყო ბუნებით.

იოჰანამ გულმოდგინედ დააწკრიალა კარგა ხნის წინათ მიტოვებული და დანგრეული თხის სადგომი, მდინარის ნაპირას ტირიფის ბუჩქებში რომ იდგა და სამ კვადრატულ მეტრს არ აღემატე-

ბოდა. რაც კი ებადა, აქ გადმოიტანა და ღარიბულად მოაწყო. ახლა სადგომიდან რამდენიმე მეტრის დაშორებით მდინარის ნაპირზე ჩამოჯდა და წყლის მიღმა გაშლილ სივრცეს მიაპყრო თვალი. ნაძენარის თავზე მუქ სილურჯეში ვარდისფერი ღრუბელი მიცურავდა. ჩამავალი მზე მეწამული ფერისა იყო.

საღამოს მყუდროებაში კანტიკუნტად ისმოდა საქონლის ბღვილი. წყლის სურნელებამ იძალა. ცაში უძრავად გაირინდა კლდესავით რუხი ყანჩა და ყოველ წუთს მზად იყო დაბლა დასაშვებად: ექვსი საათი იქნებოდა, ამ დროს თევზი წყლის ზედაპირზე ამოდის ხოლმე.

იოჰანას არც აწმყო ჰქონდა და არც მომავალი. ამიტომ ფიქრით წარსულს გადაწვდა. ახლახან განცილილივით დაუდგა თვალწინ ბავშვობის სურათები, მჭიდროდ გადახლართული მშობლიური ქალაქის შუკებთან: რამდენი პატარა სინარული მოუტანია მისთვის ზაფხულის წყნარ საღამოებს, რამდენი პატარა მწუხარება, და რა დიდი ეჩვენებოდა მაშინ ყოველივე ეს! პირის კუთხეებში რაღაც ღიმილისმაგვარი გამოუკრთა. სიცილს გადაჩვეული პირი მაგრად მოეკუმა.

იოჰანამ თავი ოდნავ გვერდზე გადახარა და მიაყურა.

უეცრად ვიურცბურგის ოცდაათივე ეკლესიის ზარების რეკვა მოესმა; მწუხრის ზარი ბავშვობიდან სმენია და რამდენიმე წამს ვერც კი მიხვდა, რომ არარსებული ეკლესიების ზარები რეკავდნენ.

იოჰანა წამოდგა, ღრმად ამოიოხრა, ბავშვობის მოგონებებს გამოეთიშა და კვლავ სინამდვილეს დაუბრუნდა.

ქალიშვილმა იმ მხარეს გაიხედა, სადაც ვიურცბურგი ეგულეობდა; ნანგრევებით დაფარული რუხი ველი რომ დაინახა, ნელა დახარა თავი და გაიფიქრა: „როგორ შეიძლება მოწყდე იმ ქალაქს, სადაც გაიზარდე. იგი ხომ ჩვენშია, ჩვენც ხომ მისი ნაწილი ვართ“. იოჰანას ტუჩები ისე გამომწვევად შეუტოკდა, თითქოს ცხოვრებას ექაღნებოდა. ახლა ჩვენა ვართ ვიურცბურგი, მხოლოდ ჩვენ.

ქალიშვილი ისევ დაეშვა ბალახზე. იდაყვებით მუხლებს დაეყრდნო, სახე ხელებში ჩამალა და გაირინდა. იგი არაფერს ხედავდა და არც არაფერზე ფიქრობდა. ასე ზის ხოლმე საღდაც ამ დიდ სამყაროში სამშობლოდაკარგული ადამიანი, ვისთვისაც ათას ერთი მიზეზით აღარც საყუდარი არსებობს და აღარც გზა.

ჰონერის ქვრივი იმ დანგრეული სახლის სარდაფს შეეხიზნა, სადაც ორმოცდაათი წელი პირველ სართულზე, ბნელ ოთახში ცხოვრობდა. ქვრივს მოკაუჭებული ცხვირი და მოკაკული, წვეტიანი ნიკაპი ჰქონდა. ნიკაპზე ორი მეჭექი აჯდა. უკბილო დედაბერი ზღაპრულ როკაპსა ჰგავდა. იგი ნანგრევებად ქცეული ლატაკთა უბნის ერთ-ერთი უღარიბესი მოსახლე იყო. დედაბერი მხოლოდ პურითა და ყავით ითქვამდა სულს. საყავე მთელი დღე თბილ ქურაზე ედგა. ამქვეყნად მისი ერთადერთი ნუგეში ყავა იყო, მაგრამ ისიც დიდი ხანია აღარ იშოვებოდა.

ერთხელ დილით ქვრივმა ეკლესიაში წასვლა გადაწყვიტა, თავსაფარი წაიკრა და ის იყო კარისაკენ გაემართა, რომ უეცრად სიბნელეში კართან მოტყეპნილ მიწის იატაკზე პარკს მოჰკრა თვალი. იმწამსვე მიხვდა, რა იყო პარკში. ფრაუ ჰონერს ღვთის ყოვლისშემძლეობა სწამდა, მაგრამ, სანამ თვალნათლივ არ დაინახა წენგოსფერი, ცხიმოვანი, მბზინავი ყავის მარცვლები და ნიკრისის ქარით დაკრუნჩხული თითები არ ჩაბღუჯა, დაუჯერებელს რა დააჯერებდა. პარკზე ქალადი იდო. ქალადზე ბავშვური ხელით რაღაც ეწერა.

ფრაუ ჰონერმა ცხვირზე ქანგმოკიდებული ფოლადის ჩარჩოანი სათვალე მოირგო და ხმამაღლა წაიკითხა: „ქრისტეს მოწაფეები“.

მოხუცმა ქალმა ვერც კი შენიშნა, როგორ შემოვიდა ოთახში მესაათე კრუმბახი. კრუმბახი სარდაფის უკანა მხარეს ცხოვრობდა. მესაათეს ჯვალოს ფეხსაცმელი ეცვა. ფეხსაცმელს მუყაოს ძირები თვითონვე გამოაკერა. ბერიკაცს ცალ ხელში ნახმარი ფეხსაცმელი ეჭირა, მეორეში კი — ბარათი. სამოცდაჩვიდმეტი წლის ბრგე ზორზონი კაცი, თითქმის ბრმა იყო. ფრაუ ჰონერს სთხოვა, წამიკითხე, ბარათში რა წერიაო.

— ფეხსაცმელი და ეს ბარათი ამ დილით ჩემს საწოლთან ვიპოვე, — დასძინა გაოცებულმა კრუმბახმა.

ფრაუ ჰონერმა წაიკითხა „ქრისტეს მოწაფეები“ და აღელვებისაგან მუხლები მოეკვეთა. ჩაჩოქილმა სხაპასხუბით უამბო მეზობელს, რაც შეემთხვა. მესაათემ ფეხზე წამოაყენა ქალი. მოხუცები ერთმანეთს ეკითხებოდნენ, რომელ სულდგმულს შეეძლო ყავა და ფეხსაცმელი მოეტანათ. ვიურცბურგში ასეთი განძის მფლობელი არავინ ეგულებოდათ. მაგისტრატის მდივანი, ბატონი ჰიორნლე.



სამსახურში ძველი ფოსტლებით დადიოდა, ხოლო ყავას ბურგო-  
მისტრის სახლშიც კი არ სვამდნენ. ბევრი სჯა-ბაასის შემდეგ, —  
რამაც მცირედი შუქიც კი ვერ მოჰფინა ამ ამბავს, — ფრაუ ჰო-  
ნერმა ჩურჩულათ თქვა:

— იქნებ მართლა ქრისტეს მოწაფეებმა მოგვართვეს ყავა და  
ფეხსაცმელი, რაკი ასე გვიჭირს.

მესაათემ უნდობლად გააქნია თავი.

— როგორც ცნობილია, ძველად სასწაული ხდებოდა. მაგრამ  
ახლა სასწაული არ ხდება, — მესაათემ ფეხსაცმელი მაშინვე  
ჩაიცვა და დასძინა: — ეს ფეხსაცმელი სიკვდილამდე გამძლეებს,  
თანაც ისე კარგად მომერგო, თითქოს საგანგებოდ ჩემთვის შეეკე-  
როთ.

ეკლესიაში მისვლამდე კრუმბახმა ფრაუ ჰონერს უამბო, გუშინ  
სალამოს ქუჩაში ვიღაც ბიჭმა მკითხა, რა ზომის ფეხსაცმელს ატა-  
რებთო.

— მე ვუთხარი, ორმოცდაორს-მეთქი. ის ეშმაკის ფეხი ისევე  
სწრაფად გაქრა, როგორც გამოჩნდა.

— იქნებ ქრისტეს მოწაფეების შიკრიკი იყო, — თქვა ფრაუ  
ჰონერმა და მოწიწებით გადაიწერა პირჯვარი. მას მესაათემაც მი-  
ზაძა. ამ დროს ისინი ეკლესიას მიუახლოვდნენ და აბა, რომელ  
მორწმუნეს გაუკვირდებოდა, პორტალის ზემოთ დაკიდებული  
ქრისტეს გამოსახულების წინ რომ პირჯვარს იწერდნენ მოხუცები.

მონასტრის ეკლესიის მეზარე წირვა-ლოცვის დაწყებას ზარე-  
ბით ვეღარ აუწყებდა ხალხს: ყუმბარამ სამრეკლო დაანგრია და ეკ-  
ლესიაც დამუხჯდა. მოხუცები ეკლესიაში შევიდნენ.

ერთი საათის შემდეგ, როდესაც მოხუცები სარდაფში, გისო-  
სებიანი ფანჯრის ქვემოთ ისხდნენ და ცხელ ყავას სვამდნენ, მე-  
საათემ თქვა:

— ვხედავ, ფეხსაცმელი მაცვია, იმასაც ვხედავ, ორივენი აქ  
ვსხედვართ და ყავას შევექცევით, და მაინც ვერაფერი გამიგია.

ფრაუ ჰონერს არაფერი უთქვამს, პირჯვარი გადაიწერა და გაი-  
ფიქრა: „გემოზე ეტყობა, ყავა ცოტა ზედმეტად მოუხალაეთ“.

სალამოს ექვს საათზე მნათეს თორმეტი წლის ვაჟი, — აი ის,  
მესაათეს რომ ფეხსაცმლის ზომა ჰკითხა, — ფრთხილად შეიპარა





მონასტრის ეკლესიის უკან, პატარა სასაფლაოზე, ბერთა სასაფლაოს გარე სამყაროსაგან გაბარდული სვეით დაფარული მაღალი გალავანი მიჯნავდა. ასი წელი იქნებოდა, ამ სასაფლაოზე აღარავის მარხავდნენ. მხოლოდ გალავანს შემორჩენოდა აქა-იქ ძველისძველი დაღრეცილი, მყიფე, ხავსით დაფარული ქვიშაქვის ფილები. დროს და ავდარს წარწერები წაეშალა. მზისგან გახუნებულნი, დაბურდული ხშირი ბალახი ბალიშებივით მიმოფანტულიყო მივიწყებულ საფლავებზე. წლების მანძილზე აქ კაციშვილს არ გაუქაჭანებია.

მნათეს ვაჟმა დაბალი კარი მძიმე, ორგირვანქიანი გასაღებით გააღო. ბიჭს გასაღები ხმალივით ეკიდა ქამარზე. სანამ ოცდაათამდე გაცვეთილ ქვის საფეხურს ჩაირბენდა და მონასტრის ეკლესიის სარდაფში ჩავიდოდა, დამფრთხალმა ლამურებმა ცხვირწინ ჩაუქროლეს და ღია კარს მიაშურეს.

ბნელ სარდაფში ქვის კედლების, მტერისა და შმორის სუნი იდგა. ბიჭმა მამამისის საკუჭნაოდან ფარულად წამოღებული ორი სანთელი აანთო. როცა სინათლემ იმატა, გამოჩნდა ორი ზეწარჩამოფარებული თარო და ათასნაირი ხარახურა: დამტვრეული ეკლესიის სკამები, ქიების დაღრღნილი ვეებერთელა მაგიდა, რომელსაც სამი ფეხილა შერჩენოდა. და წმინდანთა ადამისდროინდელი ქანდაკებების ხელ-ფეხი და თავები. კუთხეში მიეყუდებინათ უზარმაზარი, ცაცხვის ხიდან გამოთლილი ქრისტე. ქანდაკებას ალაგ-ალაგ თეთრი საღებავი ჩამოქერცლოდა. აღარც ცალი ხელი ჰქონდა. აღარც ფეხი და აღარც თავი, ჯვარიც საღდაც გამქრალიყო, მაგრამ როგორც კი ტკივილისაგან დაკლანკილ სხეულს შეხედავდი, მაშინვე მიხვდებოდი, ოდესღაც ჯვარზე გაკრული ქრისტე რომ იყო გამოსახული.

კარებში კიდევ ერთი ბიჭი გამოჩნდა. ჯვარცმულივით უხმოდ გაშალა მკლავები და ფრთხილად ჩამოჯდა ეკლესიის დანჯღრეულ სკამზე. ბიჭს ფეხდაფეხ მოჰყვნენ ორნი. ახალმოსულებმა სამფეხა მაგიდაზე მატყლის საბანი და ძველი კომბინეზონი დადეს. მკლავები მდუმარედ გაშალეს და სკამზე ჩამოსხდნენ. სრულ ექვს საათზე ძონძებში ვახვეული თერთმეტი ბიჭი ნახევარწრედ შემოერთყა სანთლების შუქით განათებულ დასახიჩრებულ ქრისტეს... ქრისტეს მოწაფეებმა თავი მოიყარეს.

უფროსი მოწაფე, მიკიტნის ვაჟი, თოთხმეტი წლისა იქნებოდა,



უმცროსი — თორმეტის. ქრისტეს მოწაფეები სულ თერთმეტნი იყვნენ. მოსამართლე-გამომძიებლის შვილმა უარი თქვა იუდა ის-კარიოტელი შეერქვათ მისთვის. თანაც არც პეტრე, არც იოანე, არც ბართლომე და არც სხვა მოწაფე არ თმობდნენ თავის სასიქა-ღულო სახელს — ვის რად უნდოდა ბიბლიური გამცემის სახელი რქმეოდა — გაგულისებული ბიჭი ადგა და დამფუძნებელი კრება დატოვა. მას არ სურდა მოლაღატე ყოფილიყო. არა, ის არ იყო მო-ღალატე!

ღრმა სარდაფში ოდნავი ხმაურიც არ აღწევდა. ბიჭების მკრთა-ლად განათებული სახეები ნისლით შებურული პატარა მთვარეები-ვით ციმციმებდნენ ირგვლივ გამეფებულ უკუნში. ერთ წუთს, სა-ნამ წესად შემოდებული დუმილი სუფევდა. ქრისტეს მოწაფეებს ისეთი სერიოზულობა ეხატათ სახეზე, თამაშით გატაცებულ ბავ-შვებს რომ აქვთ ხოლმე. მაგრამ აი, თითხმეტი წლის პეტრემ დიდი ამბით გამოაცხადა:

— ჩვენ, ქრისტეს მოწაფეები, ვიცავთ სამართლიანობას, ვართ-მევთ მდიდრებს, რომელთაც ყველაფერი აქვთ, და ვაძლევთ ღარი-ბებს, რომელთაც არაფერი გააჩნიათ.


პეტრეს დიდი თავი, მეტისმეტად ვიწრო, მოგრძო სახე და პა-ტარა, ელვარე, ლურჯი თვალები ჰქონდა. ბიჭუნა წელში გასწორდა და საქმიანად თქვა:

— სხდომას გახსნილად ვაცხადებ, გთხოვთ მოგვახსენოთ, რა შეგვმატეთ დღეს და რა გაციოთ.

ქრისტეს მოწაფემ, იოანემ, პირთეთრა, მუქწაბლისფერკულუ-ლებიანმა ნაზმა ბიჭუნამ, ხელი აიშვირა და დაიწყო:

— აგერაა ყასაბ შტუმპვის ვეფხვის ტყავივით შავყვითელ სა-ხიანი მატყლის საბანი! ხომ ვითხარით გუშინ, ორი საბანი აქვს, ერთს იხურავს, მეორეს ქვეშ ივებს-მეთქი. წარმოგიდგენიათ! ნე-ტავ რად უნდა ორი საბანი? პოდა, მთელი საათი ვუთვალთვალე-ბოლოს, როგორც იქნა, ტახტიდან წამოდგა და საპირფარეოში გა-ვიდა. როცა უკან დაბრუნდა, მე უკვე გარეთ ვიყავი საბნიანად. სა-ბანი ჯერ კიდევ თბილი იყო. ცხადია, არ დავეუნახივარ. როგორც წესი მოითხოვს, ხელწერილი ბალიშზე დავუდე. მაგრამ დამიჯე-რეთ, — დაასკვნა მან ნაზი. ბავშვური ხმით, სახეზე მისი როდია, ასეთ ვაბღენძილ ტახს საბანი გამოაცალე.

2. ლ. ფრანკი



საერთო ხითხითსა და მოწონების შეძახილებში ბიჭი სკამის ზურგს მიეყრდნო. მოწაფე იოანე ამგვარი ოპერაციების დროს განსაკუთრებულ სიმარჯვეს იჩენდა და ამხანაგები აღტაცებაში მოჰყავდა. თავმომწონე ბიჭები სულ იმის ცდაში იყვნენ, იოანეს არ ჩამორჩენოდნენ, თავს არ იზოგავდნენ და რამდენჯერ ძლივს გადარჩენილან დაქერას.

— მექანიკოსის ლურჯი კომბინეზონი, აი, აგერ, მაგიდაზე რომ დევს, ოპტიკოს შაიბენკესის ბაღში მდგარ პატარა სახლიდან წამოვიღე, — თქვა მოწაფე ანდრიამ, რომელსაც ყველანი „გველკაცას“ ეძახდნენ. ანდრია ისეთი თხელი და მოქნილი იყო, პაწაწინა სარკმელშიც კი შეეძლო გაძრომა.

— სად გინახავთ ოპტიკოსს მექანიკოსის შარვალი სცმოდეს? მოდით ეს კომბინეზონი მეთევზე კროიციჰუგელს მივცეთ.

ატყდა კამათი. ერთმანეთს ლაპარაკს არ აცლიდნენ. ყველამ დაასახელა ისეთი კაცი, ვისაც აუცილებლად სჭირდებოდა შარვალი. მოწაფე იაკობმა წამოიძახა:

— ჩვენს სიაში ორმოცზე მეტი სულია, ის კი არაა, ორმოცდაორიც. ყველას უსიკვდილოდ სჭირდება შარვალი. რაღა მაინცდამაინც მეთევზე კროიციჰუგელს უნდა ერგოს კომბინეზონი?

— იმიტომ უნდა ერგოს, რომ მთელი საჯდომი უჩანს, — თქვა გველკაცამ, — თუმცა მეც მიჩანს. But I don't care! — გველკაცა ამერიკელ ჯარისკაცებს დაუმეგობრდა და, თუ შემთხვევა მიეცემოდა, ცდილობდა ინგლისური ენის ცოდნით გამოეჩინა თავი.

პეტრემ მოდავენი დააშოშმინა და თქვა, დემოკრატიული კენჭისყრა გადაწყვეტს, ვის უნდა ერგოს კომბინეზონიო.

— პატივცემულმა მოწაფე ანდრიამ ხელწერილი თუ დატოვა წესისამებრ?

— დალახეროს ეშმაკმა, სულ დამავიწყდა.

პეტრე წინ გადაიხარა და ყველას მიმართა:

— ვფიქრობ, ურიგო არ იქნება ზოგიერთებს შევახსენო, რა დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენს პირობას. ჩვენ ვალდებული ვართ, უკლებლად ყველა უნებლიე მწყალობელს წერილობით ვაცნობოთ, რომ ამ საქმეში ქურდების კი არა, სამართლიანობის დამცველ-

1 მაგრამ სულაც არ შედარდება (ინგლ.) (შენიშვნები, ყველგან მთარგმნელისა).

თა ხელი ურევია. ოპტიკოსმა შაიბენკესმა რომ ეჭვი არავისზე მიიტანოს, და არ იფიქროს, შარვალი მომპარესო, ამ სადამოსვე უნდა მიიღოს ხელწერილი.

— Very well<sup>1</sup>, მისტერ შაიბენკესს ამ სადამოსვე მივართმევ ხელწერილს, and I'll manage<sup>2</sup>, არ დამინახოს.

მოწაფე ფილიპემ შემოიტანა წინადადება, ვეფხვის ტყავივით შავყვითელ სახიანი მატყლის საბანი მარტოხელა გოგონას, იოჰანას მივცეთ, თხის სადგომში ძინავს და გადასაფარებელიც არაფერი აქვსო. ამ წინადადებას ყველამ დაუჭირა მხარი, კენჭიც არ უყრიათ. ფილიპეს მშობლები, სამუელ და ესთერ ფროიდენჰაიმები ნაცისტებმა მოკლეს, ხოლო მისი ჩვიდმეტი წლის და რთი ვარშავაში გაგზავნეს გერმანელი ჯარისკაცებისათვის განკუთვნილ საროსკიპოში. იოჰანა, — ვისთვისაც მატყლის საბანი უნდა ეჩუქებინათ, — ფროიდენჰაიმების მეზობლად ცხოვრობდა და ბავშვობაში მეგობრობდა რთთან.

ფილიპე საოცრად ლამაზი ბიჭი იყო, გეგონებოდათ, მეოცე საუკუნეში პირდაპირ ბიბლიის იმ სურათიდან გადმოვიდა. სადაც ყრმა დავითი შურდულითა კლავს დევგმირ ვოლიათს. მას შემდეგ, რაც მშობლები მოუკლეს, ფილიპე სოფელში ერთი გლენის ოჯახში იმალებოდა. ქალაქში კი მხოლოდ ვიურცბურგის ოკუპაციის შემდეგ გამოჩნდა. ქრისტეს მოწაფეების საიდუმლო საზოგადოების წევრად იგი ერთხმად მიიღეს. ამასთან დაკავშირებით პეტრემ სიტყვაც კი წარმოთქვა და ბოლოს პათეტიკურად დასძინა:

— ჩვენს პატივცემულ მეგობარს რომის პაპიც კი მისცემდა ხმას, რომ გაეგო, რაც ამას გადახდა თავს.

— So what!<sup>3</sup> — წამოიძახა გველკაცამ, რომის პაპს იგი არაფრად აგდებდა: მამამისი ინტერნაციონალური ბრიგადის წევრი იყო და მადრიდის უნივერსიტეტისათვის ბრძოლაში დაიღუპა. სიკვდილამდე რამდენიმე დღით ადრე ცოლს მისწერა, პაპი ფრანკოს უჭერს მხარსო.

ზევით, ეკლესიაში ლოცვა დაიწყო. ღრმა სარდაფში ორღანის

<sup>1</sup> კეთილი (ინგლ.)

<sup>2</sup> და ვეცდები (ინგლ.).

<sup>3</sup> დიდი ამბავი! (ინგლ.).

ხმა არ აღწევდა, მაგრამ საძირკვლის სამი მეტრის სისქე კედლები-  
ისე თრთოდნენ თითქოს ორლანის მოგუგუნე ბგერები ქვის კედ-  
ლებს ეხლებოდნენ, გასაქანს ვერ პოულობდნენ და კვლავ უკან  
ბრუნდებოდნენ. ქრისტეს მოწაფეებს მუსიკის ხმა არ ესმოდათ,  
მაგრამ ბგერათა რხევა უცნაურ ქრუანტიელსა ჰგვრიდათ.

მნათეს ვაჟმა, მოწაფე ბართლომემ, ამხანაგებს მოახსენა, ამ  
დილით ყავა და ფეხსაცმელი შეუმჩნევლად მივიტანე ფრაუ ჰო-  
ნერისა და მესაათე კრუმბახის სარდაფში და, როგორც წესი მო-  
ითხოვს, ორივეს ხელწერილიც დავეტოვეო. ბიჭუნამ, რომელსაც  
გასაღები გარდიგარდმო ედო გამხდარ ბარძაყებზე, კუჭყიანი ხელი  
გულზე მიიღო და ნაღვლიანად თქვა:

— წარმომიდგენია, როგორ გაუხარდებოდათ. ნეტა ცალი თვა-  
ლით მაინც დამენახა!

რამდენიმე წამს ყველა დუმდა. როცა ღარიბებისთვის ფარუ-  
ლად ძღვენი მიჰქონდათ, მოწაფეებს ყოვლად უცნაური ადამიანუ-  
რი სისუსტე იპყრობდათ — უნდოდათ მთელი არსებით განეცადათ  
მწყალობელის სიხარული. ყველაზე თვინიერმა მოწაფემ იოანემ  
ამოიოხრა და თითქოს საერთო აზრი გამოთქვა:

— ეგ ვის არ უნდა, მაგრამ რას იზამ. ამ მხრივ სიმტკიცე უნდა  
გამოვიჩინოთ, საკუთარ თავს ვძლიოთ. წინააღმდეგ შემთხვევაში  
ჩვენი საიდუმლო საზოგადოება დაიშლება. ეს დღესავით ნათელია.

ბოლოს გაჭირვებით წამოდგა სკამიდან საწყობის გამგე, მოწა-  
ფე მათე. ბიჭს მკაფიოდ ნაძერწი სახე, ამობურცული შუბლი, კე-  
ხიანი ცხვირი და თხელი ტუჩები ჰქონდა. ძალიანა ჰგავდა თილმან  
რიმენშნაიდერის<sup>1</sup> მრავალფიგურიან ქანდაკებაზე გამოკვეთილ  
ბიჭს. ეს ქანდაკება ყუმბარამ გაანადგურა.

მოწაფე მათემ ფარდის მაგივრად რგოლებითა და ზონრებით  
დამაგრებული ზეწრები გადასწია. ერთ თაროზე ნახმარი პერანგე-  
ბი, წინდები და სხვადასხვანაირი ტანსაცმელი დაელაგებინათ. მოჩან-  
და ძველისძველი გაქუცული ფრაკიც, რომელიც წინათ ბოსტნის სა-  
ფრთხოებლად თუ გამოადგებოდა კაცს. მეორე თაროზე ფქვილით,  
თავნაფქვი ბურღულით, ბრინჯითა და შაქრით სავსე პარკები იდო.  
პარკებში ბიჭებს წინასწარ ჩაედოთ ხელწერილი. სულ ზედა თა-

<sup>1</sup> თილმან რიმენშნაიდერი (1460 — 1531), გერმანელი მოქანდაკე, 1483  
წლიდან ვიურცბურგში მოღვაწეობდა.





როზე სამი კარგად შებოლილი ძეხვი-სალამი, დამაშხული ღორის ბარკალი, ორი გირვანქა ყავა, ტყავის ჩანთა წარწერით — „ემენდორფელი არამზადა“ და ერთი ყუთი ამერიკული სიგარეტები ელაგა.

ზედა თაროზე დალაგებული განძი ბიჭებმა შავ ბაზარზე მოვაჭრე გადამყიდველის საწყობიდან გადმოზიდეს. პეტრემ გადამყიდველი სამზარეულოში ჩაქეტა და სანამ სხვები სარდაფიდან საქონელს ეზიდებოდნენ, სამზარეულოს კარზე დიდი პლაკატი გააკრა: „სამართლიანობის დამცველნი“.

სურსათ-სანოვავის თაროს — ყველა დიასახლისს რომ თვალს მოსწყვეტდა — ლოყაწითელი ვაშლები ამშვენებდა. ვაშლები სიმეტრიულად დაეწყობოთ თაროებზე პარკებს შორის: შუა თაროზე ორ პარკს შუა ამ ორიოდვე წუთის წინ ფორთოხალი იდო, ახლა კი უცრად თვალსა და ხელს შუა გამქრალიყო.

საწყობის გამგემ თარიდან ოთხი სია აიღო. ერთ ქალღმრთელს უნებლიე მწყალობელთა გვარები იყო ჩამოწერილი. მეორეზე იმათი, ვისთვისაც მომავალში ეს როლი უნდა დაეკისრებინათ. მესამე, დასაჩუქრებულთა სია, ისევ თაროზე დადო. თუმცა ქრისტეს მოწაფეები მხოლოდ ღარიბთა შორის უღარიბესთ ეხმარებოდნენ, მეოთხე სია, ორჯერ უფრო გრძელი იყო, ვიდრე დანარჩენი სამი ერთად აღებული.

— საზრუნავი, ცხადია, არც ამერიკელების საწყობის გამგეს გამოეღევა, მაგრამ მაინც სიამოვნებით გაფუცვლიდი ადგილს, — ჩაიბუხლუნა საწყობის გამგემ. — უპირველეს ყოვლისა, ფეხსაცმელი გვჭირდება. საწყობში არც ერთი წყვილი აღარაა. ამ სიაში ჩამოთვლილები კი ნახევარზე მეტი ფეხშიშველია და წვიმიან ამინდში გარეთ ვერ გამოდის.

ძონძებში გახვეულ ქრისტეს მოწაფეებსაც არ ეცვათ ფეხი. მბუხუტავ სანთლების შუქზე ბიჭები გაუნძრევლად ისხდნენ დასახიჩრებული ქრისტეს ირგვლივ. თერთმეტივე ფეხშიშველი იყო, ფეხები ნახშირივით გაშავებოდნათ.

საწყობის გამგემ მომავალ უნებლიე მწყალობელთა სია ჩაიკითხა და ბოლოს ის ორი კაცი დაასახელა, ვისაც მისი აზრით, უფრო მეტი ფეხსაცმელი ჰქონდა, ვიდრე სჭირდებოდა.

— სამართლიანობა მოითხოვს, ამ ორი კაცის სახლიდან ზედმეტი წყვილი ფეხსაცმელი წამოვიღოთ. უსათუოდ უნდა წამოვიღოთ,

მაგრამ ეს არც ისე ადვილი საქმეა. ჩვენ დროში ფეხსაცმელი ოქროზე მეტად ფასობს, თვალისჩინივით უფროთხილდებიან. ზოგი, ალბათ დაკეტილ კარადაშიც კი ინახავს. ამიტომ გეკითხებით: ვინ ითავებს ამ საქმეს ნებაყოფლობით?

ხელი ყველამ ასწია, მაგრამ გამგემ მხოლოდ ორი ბიჭი შეარჩია — ისინი ყველაზე მეტად გამოდგებოდნენ ასეთი სახიფათო ოპერაციისათვის — გველკაცა და მარჯვე, თვინიერი იოანე, რომელიც ჩუმი და შეუმჩნევლად დაძვრებოდა ყველგან.

— Okay! — წამოიძახა გველკაცამ, — კომბინეზონი აუცილებლად მეთევზე კროიციპიუგელს უნდა მივცეთ, რადგან ღამითაც თევზაობს და ზოგჯერ თავიდან ფეხებამდე გალუმბულია. იცით, როგორ სცივა ადამიანს თუ უკანალი შიშველი აქვს? ესეც არ იყოს, ხალხი გადაჰყავს ხოლმე ნავით და ცხადია, სირცხვილიც აწუხებს.

როცა მოწაფე იაკობმა დაიძახა, ეს ვერაფერი საბუთიაო, გველკაცამ ჩაიხითხითა:

— Well,<sup>1</sup> ვთქვათ და ნავში გოგოები უსხედან?

— თუ არ მოსწონთ, ნუ ჩაუხსდებიან.

— Well, მაგრამ თუ სხვა გზა არა აქვთ? თუმცა გოგოების დარდი სულ არ მაწუხებს, მეთევზე მეცოდება. როგორ არ გესმით, უკანალი უჩანს.

პეტრე დინჯად ჩაერია საუბარში: — სანამ კენქს ეუყრიდეთ. პატივცემულ მოწაფე იაკობს შეუძლია გაგვიზიაროს თავისი აზრი იმ საკითხზე, ვის უფრო სჭირდება კომბინეზონი, და სათანადოდ დაასაბუთოს კიდევ. ამის შესაძლებლობა პატივცემულ მოწაფე ანდრიასაც მიეცემა.

გველკაცამ მუხლები მოხარა, ზედ ლოყით დაეყრდნო და ბედს დამორჩილებული კაცივით თქვა: — Allright, allright<sup>2</sup>.

საწყობის გამგე თავის ადგილზე დაჯდა. წესდების თანახმად პეტრეს სიტყვა დამჯდარს უნდა მოესმინა. პეტრე კუთხეში ტკივილისაგან დაკრუნჩხულ ქრისტეს გამოსახულებასთან გაჩერდა; აქედან კარგად ხედავდა ნახევარწრედ შემომსხდარ მოწაფეებს და მათ ზურგს უკან აღმართულ თაროებს. ის-ის იყო სიტყვის წარმოთქმა დააპირა, —

<sup>1</sup> კარგი (ინგლ.).

<sup>2</sup> კარგი (ინგლ.).

<sup>3</sup> კეთილი (ინგლ.).



უნდოდა ერჩია მოწაფეებისთვის, ფრთხილად იყავით, როცა უნებლიე მწყალობელთ ეწვევით ხოლმე, ქრისტეს მოწაფეების საიდუმლოება არასგზით არ გამოაშკარავდესო, — რომ უეცრად შენიშნა, ფორთოხალი თაროზე აღარ იდო. პეტრე დაბნეული შეჰყურებდა პარკებს შორის პირდაღებულ სიცარიელეს, მყისვე ეჭვმა შეიპყრო და თავი დახარა.

პეტრე ხშირად შეჰკითხვია საკუთარ თავს, შეიძლება თუ არა მოწაფეებმა თვითონაც აიღონ ცოტა რამ იქიდან, რასაც მდიდრებს ღარიბებისათვის ართმევენ? განა ბიჭები კი ღარიბნი და დამშეულები არ არიან? ბოლო წლებში ერთიც არ გამძღარა ხეირიანად, არც მათზე დაკონკილი დადის ვინმე ვიურცბურგში. რაც მართალია, მართალია, მაგრამ ისიც ხომ მართალია, რომ ქრისტეს მოწაფეებმა პირობა დადეს, სამართლიანობა დაიცვან და ქრისტესავით უანგაროდ დაეხმარონ ღარიბებს? თანაც თუ საკუთარ თავსაც უწილადებენ რამეს, მაშინ მათი საქმიანობა ქურდობა იქნება და მეტი არაფერი. პეტრეს წინაშე ზნეობრივი საკითხი წამოიჭრა და ვერაფრით ვერ გადაეწყვიტა. ეტყობა, პასუხი სადღაც შუაში უნდა მოეძებნა.

ფორთოხლის დაკარგვა პეტრემ საბაბად გამოიყენა და გადაწყვიტა მოწაფეებთან ერთად გაეცა ამ კითხვაზე პასუხი. პეტრე იმ მოსამართლეს ჰგავდა, რომელიც საეჭვო შემთხვევამ დააბნია და არ იცის, რა ქნას, გაამტყუნოს თუ გაამართლოს ბრალდებული. ბოლოს მოწაფეებს მიმართა:

— ფორთოხალი ხომ არ აიღეთ ვინმემ?

ყველანი სურსათ-სანოვანის თაროს მიაჩერდნენ. პეტრეს სიტყვებისთვის მხოლოდ მნათეს შვილს ბართლომეს არ მიუქცევია ყურადღება. საშინლად ჭუჭყიანი ცხვირსახოცი თეხის თითებს შორის ჩარჩინილ ქვიშას იწმენდა. ბიჭს ენის წვერი გამოეყო და გატაცებით განანგრძობდა თავის საქმეს. მისმა საქციელმა ყველა დააეჭვა. „გასაღები ხომ მას აქვს. მხოლოდ მას შეუძლია ჩავიდეს სარდაფში, როცა მოესურვება“, — გაიფიქრა პეტრემ და პირდაპირ ჰკითხა, ფორთოხალი ხომ არ ავიღიაო. ბართლომემ ცხვირსახოცი გაფერთხა, შვებით ამოიოხრა და კითხვითვე უპასუხა:

— რა თქვი?

— თუ პატივცემულმა მოწაფე ბართლომემ ფორთოხალი აიღო, უნდა გვითხრას, რათა სხვაზე არ მივიტანოთ ეჭვი.



ახლა კი ბართლომემაც შეხედა თაროს და გაოცებულმა თქვა:

— დღეს საღამოს, როცა სარდაფში ჩამოვედი, ფორთოხალი თავის ადგილას იდო. — ყველა მას შესტკეპროდა და ბიჭს თვალები უნებურად ცრემლით ავესო.

ამ დროს მოწაფე იაკობმა, გველკაცას რომ მექანიკოსის კომბინეზონზე ეკამათებოდა, ჯიბეში ხელი ჩაიყო და ფორთოხალი ამოიღო.

— ჩემს დას დავპირდი, მოგიტან-მეთქი, ფორთოხალი ჯერ თვალით არ უნახავს, — ძლივს ამოილულულა მან.

მუდამ მშვიერი იაკობი ჩია, გამხდარი ბიჭი იყო. სანთელივით ჩამოქნილსა და დაღუღულ სახეზე თვალებილა მოუჩანდა. იგი ისე ნერვიულად ზეღდა ფორთოხალს ორივე ხელით, თითქოს კარტოფილის გუფთა ყოფილიყო... ბოლოს თქვა:

— ჩემს დას იმდენი რამ ვუამბე ფორთოხალზე... ვუთხარი, გარედან მთვარესავით ყვითელია, შიგნით კი შაქარივით ტკბილი-მეთქი. დაიკო ისე დამედრიჯა... მაგრამ ფორთოხალს ახლავე თავის ადგილზე დავდებ.

— რამდენი წლისაა შენი და, მოწაფე იაკობ? — ჰკითხა პეტრემ. თვითონაც არ იცოდა, რატომ.

— ხუთის.

სიჩუმე გველკაცამ დაარღვია. მისმა სიტყვებმა ყველას გულის-თქმა ამხილა: ბიჭები თანხმობის ნიშნად თავს უქნევდნენ.

— As far as I am concerned,<sup>1</sup> წაუღოს ფორთოხალი თავის პატარა, წვინტლიან დას. I don't care!<sup>2</sup> თუმცა ხშირად მეც მიფიქრია — რას ჰგავს ეს! აქ საუცხოო ძეგვი და ამოდენა ღორის ბარკალი გვიდევს, ჩვენ კი შიმშილით სული გვხდება. ერთი მითხარით, სადაური სამართალია?.. To hell with it.<sup>3</sup>

როდესაც პეტრემ გულწრფელად გაანდო ამხანაგებს სინდისის-მქენჯნავი ეჭვები, სიტყვა გველკაცამ ჩამოართვა:

— კარგად მესმის, რაც გაწუხებს. ცხადია, ბევრად უკეთესი იქნებოდა, თავადაც რომ არ გვიჭირდეს. ეს მართლაც უხერხულია, მაგ-

1 მე თუ მკითხავთ (ინგლ.).

2 სულაც არ მენადვლება (ინგლ.).

3 ეშმაკმა წაიღოს (ინგლ.).



რამ ჩვენ ხომ მოშიმშილენი არა ვართ, გალიით რომ დაატარებენ და მათ ნახვაში ხალხს ფულს ახდევინებენ! შიმშილით რომ არ მოკვდეთ და ცოტაოდენი ძეხვის ნაჭერი ჩვენთვისაც ავიღოთ, მაშინ უკეთ დავხმარებოდით სხვებს. ეს ხომ ჩვეულებრივი კომერციული ზედნადები ხარჯებია, რაც, ვფიქრობ, აუცილებლად ანაზღაურდება.

ბოლო დროს, პეტრემ ძალზე სწრაფად აიყარა ტანი. მან კარგად იცოდა, რა არის შიმშილი. გველკაცას სიტყვები გულზე მოხვდა და დაფიქრებულმა უფრო თავისთავს ჰკითხა:

— კი მაგრამ, როგორ განვსაზღვროთ, რისი აღება შეიძლება და რისი არა?

გველკაცა ჩაფიქრდა და თავი გვერდზე გადახარა.

— ჩვენ შეგვიძლია უფრო ნაკლები ავიღოთ, ვიდრე გვჭირდება. რათა... რათა... — ბიჭმა აღარ იცოდა, რა ეთქვა, როგორ გამოეხატა აზრი.

პეტრემ თავი დაუქნია.

— მართალი ხარ, — თქვა მან და შვებით ამოიოხრა, თითქოს ერთ წუთში ამოეხსნას გადაუჭრელი ამოცანა.

გველკაცა მოუთმენლად ცქმუტავდა სკამზე და კიდეზე მოექცა.

— საერთოდ, თქვენი ყურადღება ერთ რამეზე მინდა გავამახვილო. არც ერთს არ გვაქვს ფესხაცმელი. Allright, ჯერ არა გვიშავს, როგორმე გავძლებთ. მაგრამ ზამთარი რომ დადგება და ყინვა მოუჭერს, მაშინ? თოვლს რომ დადებს, როგორღა ვირბნით ფეხშიშველი მთელ ქალაქში გადანახული დოვლათის ხელში ჩასაგდებად? ფეხის თითები მოგვეყინება. ამიტომ, თუ გვინდა სხვა შევმოსოთ, პირველ რიგში ჩვენთვის უნდა ვიშოვოთ ფესხაცმელი. ეს რა ძნელი გასაგებია? იგივე უნდა ითქვას შაშხზეც.

პეტრემ უარის ნიშნად თავი გაიქნია.

— Allright, შაშხი არ გვინდა!

მოწაფე იაკობს თვალები ციებცხელებიანივით უბრწყინავდა. ხან სირცხვილის აღშური ასდიოდა სახეზე, ხანაც ფითრდებოდა. ფორთოხალი კი ისევ ისე ეჭირა ორივე ხელში.

სამარისებური სიჩუმე იდგა. მშვიერი ბიჭები თვალს არ აშორებდნენ პეტრეს. იგი თაროსთან მივიდა, ხუთი ვაშლი აიღო და ჯიბის დანით შუაზე გაყო. თითოეულ მოწაფეს ნახევარ-ნახევარი ვაშლი

ერგო. ყველამ მაშინვე ჩაკბიჩა. პეტრემ თვითონაც არ იცოდა, რატომ მისცა მოწაფე იაკობს მთელი ვაშლი.

## II

მეორე დღეს მეთევზე ნიკოდემუს კროიციჟუგელმა ნავში სამუშაო ლურჯი კომბინეზონი იპოვა: დაწვდა, გაშალა, დააკვირდა, მერე უნებურად ხელი მოისვა შარვალზე, რომელიც დიდი ხანია გამოხეოდა. მეთევზე არხეინად ჩამოჯდა კადონზე და დაძონძილი შარვალი გაიხადა. ამ დროს თვალი მოჰკრა შპანჰოუტებს<sup>1</sup> შორის ჩავარდნილ ხელწერილს. „ქრისტეს მოწაფეები?... მოდი და გაიგე, რას ნიშნავა ეს! ქრისტეს მოწაფეები ორი ათასი წლის წინ გამოესალმნენ წუთისოფელს. თუ ვინმემ მასხარად ამიგდო — საყვედური არ მეთქმის...“ მეთევზემ შარვალი ჩაიცვა და წამოდგა. ლატანივით წვრილი და აწოწილი კაცი მეტრი და ოთხმოცდაათი სანტიმეტრი სიმაღლისა იყო და შარვლის ტოტები კოჭებამდე წვდებოდა.

ნიკოდემუსმა მთელი სიცოცხლე მდინარეზე მარტოდმარტომ გაატარა და სიტყვაძვირი კაცი იყო. საკუთარ თავს თუ გამოელაპარაკებოდა ზოგჯერ. პატარა სამიკიტნოში — „მყუდრო სოროში“ — მისი მეგობრები ხშირად იყრიდნენ თავს. ნიკოდემუსიც საათობით იჯდა იქ დიდ მრგვალ მაგიდასთან და ხმას არავის სცემდა. მაგრამ როცა მდინარეს დაუბრუნდებოდა, გახალისებული, წინა საღამოს მიცემულ არც ერთ კითხვას არ ტოვებდა უპასუხოდ.

მდინარესა და თავის ნავთან საოცრად შეხმატკბილებული მეთევზე დასწვდა ბარჯს, — გლუვად გარანდულ ექვსი მეტრის სიგრძის რკინის კავიან ძელს თავში გარდიგარდმო ხე ჰქონდა დაკრული, — მკერდით დააწვა და ნაპირს მოშორდა. ნავი წყალზე გასრიალდა.

„ნიკოდემუს, კაცმა რომ იკითხოს, რამდენს იღებ ახლა ორგირვანქიან კობრში? ბევრ ფულს, არა?“

ბარჯი ისევ წყალში ჩაუშვა და ხმამაღლა თქვა:

— სისულელეს ნუ რომავ. ახლა გაცილებით მეტ ფულს ვშოუ-

<sup>1</sup> ნავში სიმაგრისათვის გარდიგარდმო დატანებული ძელები (ჰოლანდ. spanhout).



ლობ, ვიდრე უწინ, მაგრამ რად გინდა რა, ბევრი ფულით ჩვენს დროში ნენეს თუ იყიდი.

როცა ჩქერში შეცურდა, ბარჯი ნავში ჩადო. ბადე — ერთი შეხედვით უსაშველოდ აბურღული ბაწრების უზარმაზარი გორგალი — მრგვალი იყო და გარედან ტყვიის რგოლების ორმაგი საძირავი ჰქონდა. მეთევზემ ნავის ნისკარტივით წაწვეტებული ბოლოდან ბადე ზუსტი, რიტმული მოძრაობით მარცხნიდან მარჯვნივ ირგვლივ შემოიტარა და შორს მოიქნია. ერთ წამს ბადე პარაშუტივით ფარფატებდა წყლის ზედაპირზე. ტყვიის მძიმე რგოლები უფრო მალე ჩაიძირნენ წყალში, ბადე მოჭიმეს და შიგ თევზები მოამწყვდიეს.

იოჰანა შეჩერდა. იგი უნებურად გამოარკვია ფიქრებიდან წარმტაცმა სურათმა, რომელიც ჭეშმარიტად ხიბლავს ყველას, — უკლებლივ ყველას, რაგინდ ბევრი სადარდებელიც არ უნდა ჰქონდეს, — ვინც კი შემთხვევით თვალს მოჰკრავს, როგორ ისვრის მებაღური ბადეს. დავითი იოჰანას შორიანს მიჰყვებოდა, და ისიც შედგა. ბიჰს ილიაში დახვეული ვეფხვის ტყავივით შავყვითელ სახიანო მატყლის საბანი ამოეჩარა.

როცა ნიკოდემუსმა ნავზე აფართხალებული თევზებით სავსე ბადე ამოათრია, იოჰანა კვლავ მწარედ ჩაფიქრდა და ნელ-ნელა გაჰყვა მდინარის ნაპირს: თვალწინ ისევ დაუდგა ის საშინელი წუთები, როცა ვიურცბურგი ცეცხლგამჩენმა ყუმბარებმა ნანგრევებად აქციეს.

დავითი შეუმჩნევლად შეიპარა თხის სადგომში და იმწამსვე დამფრთხალი ნადირივით გაუჩინარდა ტირიფის ბუჩქებში.

დახვეული საბანი საწოლზე ეგდო. იოჰანამ რამდენჯერმე გადაიკითხა ბარათი და ღიმილით ჩაილაპარაკა:

— ზღაპარსა ჰგავს. უთუოდ მისამართი შეეშალა ვიღაცას.

გოგონა სადგომიდან გამოვიდა და ყურადღებით მოავლო თვალი იქაურობას: იქნებ შიკრიკმა შეცდომით მოუტანა საბანი და ჯერ კიდევ სადმეა ახლომახლო. მაგრამ იოჰანამ ვერც ვერავინ დაინახა და ვერც ვერაფერი გაიგონა; მხოლოდ ყვავი დაყრანტალებდა ტირიფნარს თავზე.

დავითი კი ამ დროს შურდულივით მიქროდა ღორღსა და ნანგრევებში: მოწაფეთა კრება ყოველ საღამოს ზუსტად ექვს საათზე იწყებოდა და არ უნდოდა გამოკლებოდა.



იოჰანამ დიდ მცოდნესავით საჩვენებელი და ცერი თითოთ სა-  
ბანს სინჯვა დაუწყო.

— სუფთა მატყლია, — თქვა ოხვრით. — უსაბნოდ ახლაც გვა-  
რინანდ მცივა ღამღამობით. ზამთარში რაღა მომივა! ზამთარში ასე-  
თი საბანი სწორედ მისწრებაა ჩემთვის.

გოგომ კაბა გაიხადა და იმპროვიზირებული საბანაო კოსტიუმის-  
ამარა მდინარის ნაპირზე დაჯდა. ტანზე შემოტმასნულ თეთრი შა-  
ლის ტრიკოს თეთრი კანისაგან ვერ გამოარჩევდი. მკერდზე ჭვარე-  
დინად შემოეკრა აბრეშუმის ლურჯი ყელსახვევი. იოჰანამ ყელსახ-  
ვევის ბოლოები ოდნავ გადასწია, უნდოდა მზის სხივები რგებოდა  
მის მკერდსაც, რომლისთვისაც ჯერ მამაკაცს თვალი არ მოუკრავს.

უეცრად ფოთლების შრიალი მოესმა; ვიღაცამ ტირიფის ტოტები  
გასწი-გამოსწია. გოგონა ფეხზე წამოხტა და სმენად იქცა. რამდენიმე  
წამის შემდეგ ჩირგვებიდან ამერიკელი ჯარისკაცი გამოვიდა. ვაჟმა  
ქალი დაინახა და გაოცებულმა წარმოთქვა:

— ო, მამაკით.

მაგრამ თვალეები მაინც არ მოუცილებია გოგონასათვის, თითქოს  
მისი მზერა ვიღაცის მანიშნებელ თითს ემორჩილებოდა. ამ მშვენი-  
ერმა არსებამ ჯარისკაცს გული აუტოკა და მეტისმეტად დააბნია.

იოჰანას სახეზე ადვილად ამოიკითხავდა კაცი მის გრძნობებსა  
და ფიქრებს. სიშიშვლე რომ დაეფარა, უნებურად მხრებში მოიხა-  
რა. ჯარისკაცისა არც კი შეშინებია. განა ათასჯერ არ განიცადა სიკვ-  
დილი და განადგურება იმ ოცდახუთ წუთში, როცა თითქოს მთელა  
დედამიწა უნდა აფეთქებულიყო და დანგრეული სახლები შთაენთქა,  
როცა ბავშვები საბედისწეროდ ეფლობოდნენ გავარვარებულ, ჭაო-  
ბივით ბლანტ ასფალტში?! ამის შემდეგ რა უნდა დაეკლო მისთვის  
ვიღაც ამერიკელის ლურჯ თვალებს!

— რა მშვენიერი საღამოა, — თქვა ვაჟმა და რაკი ქალმა პასუხი  
არ გასცა, დარცხვენილმა ღიმილით უთხრა: — თუ გინდათ, წავალ.

ჯარისკაცის უხერხულობამ იოჰანა ააღელვა, თვითონაც არ იცო-  
და, რატომ. მან არც ის იცოდა, რამ აიძულა ეთქვა: „დამიცადეთ ერ-  
თი წუთით“. შემდეგ მსუბუქი, მოქნილი ნაბიჯებით მინდორი გადა-  
იბრინა და ტირიფის მალალ ჩირგვნარში ჩადგმულ სადგომში გაუ-  
ჩინარდა.

შალის ტრიკო არ გაუხდია, სხვა არა ჰქონდა. სასწრაფოდ გადა-



იცვა თავისი ერთადერთი კაბა. სანამ ლურჯ ყელსახვევს ყელზე ის-  
კვნიდა, თავისთვის ფიქრობდა, რას იტყვის ეს ვაჟი, ყელსახვევი  
შიშველ მკერდზე ჰქონდა შემოკრული და ახლა ყელზე შემოუხვე-  
ვიაო. კადნიერებაში ხომ არ ჩამომართმევს? ნეტავი რად არ ვუთხარი:  
„დიან, წადით თუ შეიძლება-მეთქი?“ გოგონას არც ამ კითხვაზე  
გაუცია პასუხი და არც ყელსახვევი მოუხსნია.

ჯარისკაცი მიწაზე დაეშვა. მდინარის მიღმა გაშლილ სივრცეს  
გახედა და უეცრად პენსილვანიის შტატში, მამის ფერმაში წარმოიდ-  
გინა თავი. ეს-ეს არის დაბრუნდა ომიდან. ინგლისურ ტერიერს,  
მაიკლს, ენა გადმოუგდია და ისე მორბის, თითქოს მზადაა საკუთარ  
ტიყავიდან გამოხტეს. ძალი ყეფს, კუდს აქიციანებს, ლოკავს,  
ბოლოს მისებურად ზურგზე წამოგორდება, ახალდაბრუნებულს  
თხოვს, მუცელზე ხელი მომისვით, და სიამოვნებისაგან ოდნავ კრეჭს  
კბილებს, თითქოს იცინისო. მამა ამბობს: „მადლობა ღმერთს, დაბ-  
რუნდი.“ კარს უკან გაჩერებული დედა კი სიხარულით ნაბიჯის გა-  
დადგმასაც ვერ ახერხებს.

„ეს ვაშლის ხე მინდოდა გამესხლა, მაგრამ არ დამაცალეს, ჯარ-  
ში გამიწვიეს“.

ცქრიალა, შავ-თეთრა ბოლოქანქარამ, — მდინარის ნაპირზე ქვი-  
დან ქვაზე ეკელუცად რომ დახტოდა მის წინ და ბოლოს წარამა-  
რა წყალში ჰყოფდა, — ამერიკელი ჯარისკაცი კვლავ ევროპაში  
დააბრუნა. სტივი ისევ მაინის ნაპირზე იჯდა და საკუთარ თავს ეკით-  
ხებოდა, დაბრუნდება თუ არა იოჰანაო.

პენსილვანიელი ფერმერის ვაჟი, მაღალი, თხელი, ძარღვმაგარი  
ჭაბუკი, ერთ-ერთი იმათგანი იყო, ვისაც ახალი კოსტიუმის სახე-  
ლოები მუდამ მოკლე აქვს, თუმცა ძალიან დაკვირვებით კი შეარჩევს  
ხოლმე. სტივს ქერა თმა და წარბ-წამწამი ჰქონდა. სახეზე ეტყობო-  
და, სულ მალე ჯან-ღონით სავსე მამაკაცი დადგებოდა. ღრმად ჩამჭ-  
დარი ღია ლურჯი, კრიალა თვალებიდან თითქოს მისი წინაპრების,  
ამერიკაში ორასი წლის წინ გადასახლებული შვედებისა და გერმა-  
ნელების სული იყურებოდა. ომში იგი, რა თქმა უნდა, ყველაფერს  
აკეთებდა, რასაც მისგან მოითხოვდნენ, ხოლო თუ შემთხვევა მიეცე-  
მოდა, — მეტსაც. შემთხვევა კი ბევრჯერ ჰქონია. რამდენიმე ათეუ-  
ლი გერმანული სიტყვა ბავშვობიდანვე იცოდა, ომის დროს კი გერ-

შანელ ტყვეებთან ურთიერთობის წყალობით ისე გაიტეხა ენა, რომ ადგილობრივ მოსახლეობასთან ლაპარაკი აღარ უჭირდა.

ჯარისკაცს ქალის ნაბიჯები მოესმა და თავი მოაბრუნა. იოჰანას წინდები არ ჰქონდა. ღონიერ, მოქნილ, თეთრ ფეხებს მსუბუქად ადგამდა ტირიფების დაკორძილ ფესვებზე და ნაზ სხეულს მოარხევდა. ხშირი რეცხვით გამოხუნებული ლურჯი ჩითის კაბა მოხდენილ ნაკეთებს ვერ უფარავდა. ვაჟი მთელი ტანით წამოიშართა.

სტივი იოჰანაზე მხოლოდ ორი წლით იყო უფროსი, სიყვარულში მასავით გამოუტდელო.

— მწყინს, რომ ხელი შეგიშალეთ. ალბათ, კიდევ გინდოდათ მზეზე წოლილიყავით, — თქვა სტივმა.

— არა, უკვე აგრილდა, — მიუგო იოჰანამ და ამ სიტყვებით ვაჟიც იხსნა და საკუთარი თავიც.

სტივს დასცხა. მისმა ამხანაგებმა გერმანელ ქალიშვილებთან ნაცნობობა გააბეს და სხვების დასანახავად მათთან ერთად დასეირნობდნენ. თვითონაც დიდი ხანია ოცნებობდა ამგვარ წარმატებაზე, მაგრამ ახლა რატომღაც ამაზე სულ არ ფიქრობდა. იოჰანა ისეთი მიმზიდველი და წყნარი ჩანდა, რომ სტივის გულში ჯერ არგანცილდნენ იდუმალ გრძნობათა წყარო აჩქეფდა. დაბნეულმა სხვა ვერაფერი მოახერხა და ქალიშვილს სიგარეტი შესთავაზა.

— გმადლობთ, არ ვეწევი.

ნიავე ქროდა და სანამ სტივი გაჭირვებით მოუკიდებდა სიგარეტს, ორივემ ნახევარი წუთით შეება იგრძნო. იოჰანა ისე გასცქეროდა საღამოს მშვენიერ პეიზაჟს, თითქოს ცნობისმოყვარე უცხოელი ყოფილიყოს და პირველად ხედავდეს ამ მდუმარე ნაპირებსა და მისი ცხოვრების თანამგზავრის, მაინის უშფოთველ დინებას.

სტივმა როგორც იქნა სიგარეტს მოუკიდა და, მეტი გზა არ იყო, საუბარი უნდა დაეწყოთ, ჯერ ხომ ისე დაახლოებულნი არ იყვნენ, რომ უსიტყვოდ შეეძლოთ მჯდარიყვნენ ერთმანეთის გვერდით ბალახში... და შეცრად სტივმა უაღრესად მნიშვნელოვანი სიტყვები წარმოთქვა:

— მიხარია, რომ თქვენ შეგხვდით.

უბიწოების ღიმილმა, განსაკუთრებული სითბო რომ ახლავს თან, იოჰანას ოდნავ გაუბო ბაგე. მაგრამ ანაზღად გაიფიქრა, ვაჟს ისედაც ბევრი უფლება მიეცეო, და სიტყვა ბანზე აუგლო:

— თქვენი ფეხსაცმელი, ეტყობა, გამძლეა. ალბათ ხარის ტყავისაა!

— დიან, არ ცვდება. პირველად მიჭერდა. მაგრამ აგერ უკვე ორი წელიწადია ვატარებ, თუმცა მეორე წყვილიც მაქვს.

— აა, ორი წყვილი გქონიათ! — ისე გაუხარდა ქალიშვილს და ისეთი ხალისი ჩაუდგა თვალებში, თითქოს დიდი ხნის წინათ დამშრალი ნაკადული კვლავ აჩუხჩუხდა და თვალებიდან გადმოედვარათ. სტივი თავის გამძლე ფეხსაცმელს გამოექომაგა:

— ო, მეორე წყვილი თითქმის სულ ახალია. იშვიათად ვიცვამ. ისიც მიჭერს.

— გააწვევინეთ! ერთ ღამეს კალაპოტზე გადაჭიმულს დატოვებენ და მერე აღარ მოგიჭერთ. — წარმოთქვა იოჰანამ უნებური აღტაცებით.

ერთ ხანს სტივის ფეხსაცმელზე ლაპარაკობდნენ, მერე კი იოჰანას წიფლის ხის სანდლებზე, რომელთა გადაჯვარედინებული ღვედები ნატიფ თითებს ვერ მალავდნენ. ქალ-ვაჟისათვის სულ ერთი იყო, რაზე ილაპარაკებდნენ. გულათრთოლებულმა იოჰანამ განგებ გადაიტანა ლაპარაკი სტივის ფეხსაცმელზე. ორივე გრძნობდა, ყოველ სიტყვას, ყოველ წინადადებას თან ახლდა კიდევ რაღაც, ენით გამოუთქმელი.

ვაჟმა შეხედა მუქ მწვანე ბალახზე მკაფიოდ გამოკვეთილ, თამამად წინ გაწვილ, მკვიდროდ მიჯრილ თეთრ ფეხებს, ლამაზად მომრგვალებულ მუხლებზე რომ კაბა გადასწეოდა და ფიქრობდა: ღამა თქვა:

— ქალიშვილები ახლა ჩვენშიც უწინდოდ დადიან.

უხერხულობა რომ დაეფარა, იოჰანამ შეკითხვები დააყარა ვაჟს და მანაც სხვათა შორის უამბო, რამდენი რამ აქვს „ოკეანის გადაღმა“ პატარა ადამიანს, თანაც ისეთი ნივთები ჩამოთვალა, რაზეც ევროპაში პატარა ადამიანი ოცნებასაც ვერ გაბედავდა; ბოლოს დასძინა, ამერიკაში მოახლეებსაც კი აქვთ ავტომობილიო. სახტად დარჩენილმა იოჰანამ თავისთვის ჩაილაპარაკა: თუ ასეა, ახლავე წავიდოდი ამერიკაში და მოახლედ დავდგებოდიო.

იღუმალი დენი, ამ ორ არსებას რომ აკავშირებდა, რამდენიმე წამით შეწყდა. იოჰანას ისეთი გრძნობა დაეუფლა, თითქოს მასა და სტივს შორის მთელი სამყარო ჩადგა.

მაგრამ აქ ისხდნენ არა მხოლოდ ამერიკელი ჯარისკაცი, ვის სამშობლოშიც მოახლებსაც კი აქვთ ავტომობილი, და მიწასთან გასწორებული გერმანიის შვილი, არამედ... საკმარისი იყო მათი თვალები ერთმანეთს შეხვედროდა, რომ ბუნებას, ამ დიდ დედას, ვინც თავის შვილებს ერთმანეთისთვის შეარჩევს ხოლმე, მყისვე მოეშალა ზღვარი. ასე რომ, ბალახში ისევ ორი უმწიკვლო არსება იჯდა. ისხდნენ თავდახრილნი, რამეთუ ერთმანეთისკენ ილტვოდნენ.

მზე ჩავიდა, ტირიფის ბუჩქებს თხელი ბინდი შემოადგა. სიფრიფანა ბურუსი ლამის მდინარის ზედაპირს გაეკრა.

— კაბა სად ჩაიცვით? სახლი აქ არსადა ჩანს, — ჰკითხა სტივმა.

— ტირიფის ბუჩქები იქ ძალიან მაღალია, — უპასუხა იოჰანამ და ასადგომად წამოიწია. სტივმა ხელი გაუწოდა. ამ პირველმა შეხებამ ორივეს ისეთი ნათელი ღიმილი მოჰფინა ბაგეზე, თითქოს ეს ღიმილი მათი გულების უხმო დიალოგის გაგრძელება ყოფილიყოს.

როცა ტირიფნარისკენ გაემართნენ, სტივმა მდუმარედ გამოართვა ხელი. ქალიშვილი არ გაძალიანებია. მართალია, მუხლები უკანკალებდა, მაგრამ მაინც სიამოვნებდა, რომ ვაჟს მისი ხელი ეჭირა.

თხის სადგომს კარი დიდი ხანია აღარა ჰქონდა. კარის მაგივრად ზეწარი ეკიდა. ზეწარი იოჰანამ მშობლების სახლის ნახანძრალზე იბოვა. აქა-იქ კაცის თავისოდენად იყო გამომწვარი. იოჰანამ ზეწარის დაკერება ვერ მოახერხა: სხვა სიკეთესთან ერთად ნემსი და ძაფიც არ იშოვებოდა.

ქოხში მხოლოდ რკინის საწოლი და სკამი იდგა. სტივი რომ გამართულიყო, თავით ჭერს მისწვდებოდა.

— საჭმელს სად ხარშავთ?

იოჰანამ მხრები აიჩეჩა და დაქვეყილ სპირტქურაზე მიუთითა.

— ქურასაც ვერ ვანთებ. სპირტი არ იშოვება.

სტივმა მიმოიხედა, თითქოს რაღაც გეგმებს აწყობსო, და გაუღესაც ჭერში მრგვალი სავენტილაციო ხვრელი აღმოაჩინა.

— აი, ამ კუთხეში ღუმელი დაიდგმებოდა, მილს კი იმ ხვრელიდან გაეიყვანდით.

— ღუმელიც რომ არ იშოვება?

ჯერ იყო და ხელიხელჩაკიდებული მოჰყვებოდა. ახლა კი ვაჟი მის საწოლთან დგას. როგორ მოიქცეს? რა უთხრას? იოჰანა ერთი პირი შეყოყმანდა, მაგრამ ბოლოს თქვა:





— ხომ არ დაბრძანდებით?

სტივიც გრძნობდა იმ უჩვეულო დაძაბულობას, რომელიც შეყვარებულებს შეიპყრობს ხოლმე, როცა პირველად რჩებიან მარტო ოთხ კედელსშუა და ჯერ ერთმანეთისათვის არ უკოცნიათ. ახლა უფრო შორს იყვნენ ერთმანეთისაგან, ვიდრე მაშინ, ბალახზე რომ ისხდნენ.

იოჰანა საწოლზე ჩამოჯდა. ვერ იქნა და ვერ მოახერხა მოკლე კაბის კალთით მუხლები დაეფარა. უნებურად შეხედეს ერთმანეთს და ისევ წედანდელი სიახლოვე იგრძნეს.

სტივისა და იოჰანასთვის ამ ნახევარ საათში ყველაფერს უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, ისინი კვლავ უმნიშვნელო წვრილმანებზე ლაპარაკობდნენ. გარეთ ქრიჭინები აჭრიჭინდნენ. ბაყაყებმა ღამის სიძღერა გააბეს; მათი ყიყინი ხან ახლოდან ისმოდა ხან შორიდან. იოჰანა სტივის სახეს მხოლოდ მაშინ ხედავდა, როცა იგი სიგარეტს მოქაჩავდა.

— ახლა კი წავალ, — თქვა ბოლოს სტივმა და წამოდგა. ისინი იდგნენ კარის მაგივრად ჩამოკიდებულ ზეწართან. სტივი ქალიშვილისაკენ დაიხარა.

— არა, არა, გთხოვთ., — იოჰანას ხმაში ერთსა და იმავე დროს შიშიც გამოიხატა და წადილიც.

### III

რუთ ფროიდენჰაიმი ჯერ აუშვიცში ჩაიყვანეს, შემდეგ კი მათნის ფრანკფურტელ ორ ებრაელ გოგონასთან ერთად ვარშავაში გაგზავნეს. იქ გერმანელი ჯარისკაცებისათვის საროსკიპო გაეხსნათ. ვარშავის განთავისუფლების წინა დამეს საროსკიპო ყუმბარაჲ დაანგრია, ბევრი ქალი დაიღუპა. ერთმა საბჭოთა ოფიცერმა ქუჩაში მოხეტიალე, თითქმის შიშველი ქალიშვილი დაცვის ხაზს აქით გადაიყვანა.

ომი დამთავრდა. თხუთმეტი თვის შემდეგ რუს სამხედრო ექიმს რუთი შეეცოდა. ხალხით გაჭედნილ სანიტარულ მანქანაში ჩასვა და ბერლინში გაგზავნა. ბერლინიდან მეორე დღეს ამერიკელმა ადიუტანტმა იგი მაინის ფრანკფურტში წაიყვანა მანქანით.



რუთს ლიუსტერის<sup>1</sup> განიერი შავი ქვედატანი და მოკლესახელო-  
ებიანი ნაქსოვი ვარდისფერი საღამური კოფთა ეცვა. ქვედატანი  
კოჭებამდე დასთრევდა. გეგონებოდა, ეს წუთია სახლიდან გამოვიდა,  
ქუჩას გადაირბენს და საუზმისათვის რაღაცას იყიდისო. საფეთქლებ-  
თან მოვიწროებულ თავს სადად უკან გადავარცხნილი, მოლურჯო  
შავი თმა უმშვენებდა, მაჯის სიმსხო ნაწნავები კეფაზე დაემაგრები-  
ნა. ვაცრეცილ სახეზე სიცოცხლის ნიშანწყალი გაჭკრობოდა.

რუთს მშობლები თვალწინ მოუკლეს ბაზრის მოედანზე, მერე  
ფეხებში სწვდნენ და ისე გადაათრიეს სადღაც.

ამ ხუთნახევარი წლის წინ, როცა ვიურცბურგის სადგურზე სა-  
ბარგო მატარებელი ჩამოდგა, რუთს ხელი ჰკრეს და ვაგონში შეაგდეს.  
ერთმა მცველმა პირში მიახალა, შენი უმცროსი ძმაც მოკლესო. და  
მანც რუთი ვიურცბურგისაკენ მიისწრაფოდა. ვერც კი წარმოედგი-  
ნა, სხვაგან სად უნდა წასულიყო კიდევ.

ფრანკფურტსა და ვიურცბურგს შორის უამრავი სამხედრო მან-  
ქანა დაჰქროდა. საკმარისი იყო ხელი აეწია... მაგრამ რუთი არ ჩქა-  
რობდა მიეღწია თავისი მიზნისათვის, თუკი მიზანი ეთქმოდა ამას.

ჩვიდმეტი წლის უმწიკვლო გოგონა ჯარისკაცების საროსკიპოში  
შეაგდეს. ზოგიერთებმა ვერ გაუძლეს ამ ჯოჯოხეთს და თავი მოი-  
კლეს, ზოგი სულით ხორცამდე გაირყვნა. საშინელებისაგან თავზარ-  
დაცემულ რუთში კი ყველაფერი ჩაკვდა. მის სხეულს ორ წელიწადს  
სჯიჯინდნენ იმ ჯურღმულში, — მხოლოდ მის სხეულს და არა მას.  
რუთი აღარ არსებობდა. ამქვეყნად არაფერი აღარ აღელვებდა, ვე-  
რაფერი ვერ მოჰგვრიდა ცრემლს. იგი ისეთ არსებად იქცა, როგორ-  
საც ნაცისტების ბატონობამდე დედამიწის ზურგზე ვერ შეხვდებო-  
დით. რუთი მოარული მკვდარი იყო, რომელსაც ერთი სურვილიდა  
შერჩენოდა — აუჩქარებლად, ფეხით მიეღწია მშობლიურ ქა-  
ლაქამდე.

რუთმა ნელა ჩაუარა სახლების მკვდარ ნანგრევებს, ფრანკფურ-  
ტიდან გავიდა და შარავზიდან ზეგნისაკენ მიმავალ დაკლავნილ საურ-  
მე გზაზე გადაუხვია. ის მიდიოდა... რაღაცა აიძულებდა, ფეხი გადა-  
ედგა, უკარნახებდა, საით წასულიყო.

ზეგანზე გზის ორივე მხარეს პურის ყანები გადაჭიმულიყო. ნელი

<sup>1</sup> ბამბანარევი შალის პრიალა ქსოვილი (ავსტრ.).

სიო თავთავეს არწევდა. მზით გამთბარი წიწვნარი ლალად სუნთქავდა. ხეთა კენწერთები ლაევარდ სიერცეში ნებივრობდნენ. ივლისის საოცრად ნათელი დღე იყო. გაკაშკაშებულ ხეობაში ფართო, ლურჯი, დაკლანკანილი მაინი მიედინებოდა.

ტყისაქენ მიმავალ გზაზე რუთი შეჩერდა და უკან მოიხედა: ფორანზე გლეხი იჯდა და სადაცაა, ქალიშვილს დაეწეოდა. ძალლი რა არის, ისიც ასევე შეჩერდებოდა და უკან მოიხედავდა.

რუთი განზე გადგა, ძალლიც ასე მოიქცეოდა, მაგრამ ქალიშვილი არც ძალლად გადაქცეულა, და არც ცნობიერება დაუკარგავს. კარგად ახსოვდა, დანგრეულ სადგურის ქუჩაზე ერთ-ერთი ფანჯრის ღიობში თეთრი პერანგი ეკიდა გასაშრობად.

გლეხმა ცხენი შეაჩერა და ქალიშვილს უთხრა, სოფლამდე მიგიყვანო. რუთმა უარის ნიშნად თავი გააქნია. სადღაც ჩიტი აჭიკჭიკდა. რუთმა ყური მიუგდო.

— ვიფიქრე, კოფოზე ორივე დავეტევით-მეთქი. თუ არ გსურთ, მშვიდობით ბრძანდებოდეთ, — თქვა გლეხმა.

რუთი ერთ ხანს გაუნძრევლად იდგა. მერე შეიკრა ნაქსოვი, ვარდისფერი საღამური კოფთა. კოფთას ზედა ღილი აწყვეტოდა და სამი ღილიღა შერჩენოდა, — სადაფის სამი ღიდი ღილი. მეტისმეტად განიერ ქვედატანის ნაოჭებში მტვერი ჩამჯდარიყო. მტვერი დასდებოდა კეფაზე დამაგრებულ შავ ნაწნავესაც. ტყეში გაჭრილი ფართო, ლარივით სწორი გზა სადღაც შორს იკარგებოდა და მწვანეზე ცარციით გავლებულ ზოლივითღა ჩანდა.

რუთი აუჩქარებლად განაგრძობდა გზას, სოფელს სოფელი ცვლიდა, სოფლელები თვალს აყოლებდნენ. ქალიშვილი არავის ებრალებოდა — სახეზე ტანჯვის კვალი არ აჩნდა. საღამოს ამერიკელი ოფიცრის ნაჩუქარი ფულით პური იყიდა, ჯაჭვით დამაგრებული თუთიის ტოლჩიდან ჭის წყალი მოსვა და ნელა გაუყვა გზას. ჩამობნელდა. დადლილი ტყეში წამოწვა. ირგვლივ მოტეხილი ტოტები ეყარა. რუთი გულაღმა იწვა, შავ მიწაზე მისი თეთრი სახე ისე ანათებდა, როგორც ტყეში დაგდებული ქვა.

ნგრევის პირველ დღეთა სისხლიან ქარცეცხლში რუთს გამოეპარა ის ჟამი, როცა თავის მოკვლა შეეძლო, შემდეგ კი მისთვის ყველაფერი სულ ერთი გახდა. ბოლოს სიზმარშიც კი აღარ ელანდებო-

და ის, რაც საროსკიბოში განიცადა. რუთი აღარ იტანებოდა. მის სხეულს ეძინა.

მომდევნო სამი დამეც რუთმა ღია ცის ქვეშ გაათია. როგორც იქნა, ქალაქ აშაფენბურგს გვერდი აუქცია და შპესარტის ტყეს — გერმანიის უდიდეს მუხნარს მიადგა. ამ მთაგორიან, თხლად დასახლებულ მხარეში აქა-იქ თუ დაინახავდით ნახნავ-ნათესს. უღრან ტყეში ვიწრო ღრმა ხეობა იჭრებოდა, მაგრამ ქოხს აქაც იშვიათად წააწყდებოდით. ტყეში ხომ ძეხორციელი არ ჭაჭანებდა. რუთს მთელი დღე თვალი არავისათვის მოუკრავს, აქ მხოლოდ მხეცები და ფრინველები ბინადრობდნენ.

რუთი ციცაბო დაღმართს დაჰყვია, დაივავა და ჩრდილოეთ მხარეს მოექცა. ირგვლივ სველი ქეები ეყარა, მცენარეულობა გაცილებით უფრო მუქი ჩანდა. სიცივემ აიტანა ქალიშვილი. თვალწინ მაინის ნაპირი გადაეშალა. ტანმორჩილი ბერიკაცი ბრტყელძირიან ბორანზე ჩამომჯდარიყო, ფეხები ნაპირისათვის მიებჯინა და ბადის შეკეთებას ცდილობდა. მეორე ნაპირი მხეს გაენათებინა. რუთი ბორანზე ავიდა და სუფთად გახეხილ სკამზე ჩამოჯდა.

რუთი მომცრო ტანის თხელი გოგონა იყო. მუქი თვალები, გრძელი წამწამები და ძალიან წვრილი წარბები ჰქონდა. მის სახეს რომ სიცოცხლის ნიშანწყალი შერჩენოდა, ლამაზი იქნებოდა. პირიც არაფერს გამოხატავდა: მხოლოდ ტუჩები იყო და მეტი არაფერი. მეზორნემ მკვდარი გოგო მეორე ნაპირზე გადაიყვანა.

რუთი მალეობზე ავიდა და ნელა გაჰყვია გზატკეცილს, რომელიც აღმა-დაღმა მიჰყვებოდა უსწორმასწორო ბორცვებს. ამ დროს არყის წარაფიდან ქალაქურად ჩაცმული სქელ-სქელი მამაკაცი გამოვიდა და მისკენ გამოემართა. კაცი ისე თავდაჯერებით იღრიჯებოდა, თითქოს წინასწარ იყო დარწმუნებული თავის წარმატებაში. ეს ის დრო გახლდათ, როცა მთელ გერმანიაში მილიონობით უპატრონო და უსახლკარო დახეტიალობდა, როცა ცხოვრება ერთიანად ამოვარდა კალაპოტიდან, როცა ჩვეულებრივ მოვლენად აქცა, შემთხვევით შეხვედრისას აქამდე ერთმანეთისთვის უცხო ქალსა და კაცს სიყვარულით მაშინვე მოეჯერებინათ გული ნახევარი საათით მაინც.

კაცი მაინისფრანკფურტელი იყო, საქონლით მოვაჭრე. ქალაქის დაბომბვის დროს ისიც დაზარალდა და ახლა სხვებივით ცდილობდა რომელიმე გლეხს შეჰკედლებოდა. ვეებერთელა ღიბი ლამის კისრი-

დან ეწყებოდა. გაღიმებულმა ვაჟარმა ჩახლეჩილი ხმით ჰკითხა ქალიშვილს:

— იქნებ მოვრიგდეთ?

მაგრამ მოლოდინმა არ გაუმართლა, საპასუხო ღიმილი არსადა ჩანდა. რუთს ოდნავადაც არ აუჩქარებია ნაბიჯი, განზეც არ გამდგარა.

ქვის ქანდაკებას ხომ ვერ მოხვევ წელზე ხელს! უეცრად ღიპიანი კაცი შიშმა აიტანა: ძალა რომ დავატანო, ვაითუ ისევე მშვიდად დამახალღს ტყვია, როგორც სუნთქავსო. ქალი კვლავაც ნელა მიჰყვებოდა გზას, მხოლოდ ჩაილაპარაკა: „კარგი იყო, რამე მქონოდა, თუნდაც დანა“. რაღაც იღუმალი ხაზი ყვრიმალეებსა და ცხვირს შუა იმაზე მეტყველებდა, რომ ეს საშიში არსება არაფერს მოერიდებოდა. თუმცა ეს ხაზი კანს არ აჩნდა, სახე სუფთა და გადატყევილი ჰქონდა.

მოსახვევში ქრისტეს ქანდაკება დაედგათ. სოფლის მხატვარს სისხლივით წითელი საღებავი არ დანანებია. ეკლის გვირგვინიდან სისხლი წვეთ-წვეთად დაღვარად ჩამოსდიოდა სახეზე მაცხოვარს. საღამოს ნიავი დაბალ კვარცხლბეკთან ბალახსა და ლურჯ მაჩიტას ეალერსებოდა. მზე უკვე ჩავიდა.

თუმცა საქონლით მოვაჭრე ჯერ კიდევ შუა გზაზე იდგა, ქალიშვილი ბალახზე წამოწვა. დაღლილს იმწამსვე ჩაეძინა. მამაკაცმა ნელი ნაბიჯით ჩაუარა ქრისტეს ფეხითთ გულალმა გართხმულ არსებას და შიშით დააცქერდა.

დილის ხუთ საათზე რუთი კვლავ დაადგა გზას. განთიადის დიდ მყუდროებას ჩამიჩუმიც კი არ არღვევდა. ვიწრო საურმე გზა ნაძვნარში იკარგებოდა. ხეებში მზის პირველი სხივები შეიჭრნენ. უღრან ტყეში ხავსით დაფარული უზარმაზარი ლოდები ეყარა.

შვესარტის ტყეში რუთმა ახალგაზრდა ქერა ჯარისკაცის გვამს ჩაუარა. ჯარისკაცს თავი ჩამოეხრჩო. მუხის ძირში ძირკვზე სარჩულის მხრიდან გადმობრუნებული კოხტად დაკეცილი მუნდირი იდო. მოშორებით საქონლით მოვაჭრის გვამს წააწყდა — კაცს საფეთქელი ტყვიით ჰქონდა გახვრეტილი, მოკრუნჩხული იწვა ხავსით დაფარულ ორ ლოდს შორის. რუთი მხოლოდ რევოლვერის ასაღებად დაიხარა. აუშვიცში ყოველდღე უამრავ გვამს ხედავდა. ვაჭრის ბარათს, —



სადაც ეწერა: „სიცოცხლეს აზრი აღარა აქვს“, — რუთმა ხელიც არ ახლო.

ტყის ბილიკი სქლად დაეფარა შარშანდელ წიწვებს. ტოტიდან ტოტზე მეყოლია დახტოდა. ერთ ხანს ისე თავგამოდებით ჯღურტულეზდა, თითქოს გზის ჩვენება ეწადა, მერე ტყის სიღრმეს მიაშურა.

რუთს თხელი ქვედატანი ეცვა, რევოლვერი კი მძიმე იყო: ყოველი ნაბიჯის გადადგმაზე ფეხზე ხვდებოდა. ციცაბო აღმართს რომ წეუდგა, იარაღი ჯიბიდან ამოიღო, აღმართი აიარა და დასასვენებლად ჩამოჯდა. რევოლვერი ისევ ხელში ეჭირა. უნებურად მაცთუნებელი აზრი დაეზადა: „რატომ არ ვიკლავ თავს?“ „თუმცა, რა განსხვავებაა“. რევოლვერი მეორე ხელში გადაიტანა და ჯიბიდან პურის ნატეხი ამოიღო.

მთელი დღე და მეორე დღი იარა. გამოჩნდა ნაცნობი მიდამოები. ბორცვები მაშინვე ეცნაურა. მცირე ხნის შემდეგ იმ კარმიდამოსაც ჩაუარა, სადაც ბავშვობაში იოჰანასთან ერთად რძეს სვამდა ხოლმე. მალე ფართოდ გაშლილ ველზე შეჩერდა: ოდესღაც აქ ვიურცბურგი იყო გაშენებული. დაბომბილი სახლები ფუტკრის ფიჭებსა ჰგავდნენ. რუთს სახეზე არც ერთი კუნთი არ შეტოკებია.

მზე თავზე წამოადგა. დაცხა. რუთი ის იყო საცალფეხო ბილიკს უნდა ჩაჰყოლოდა, რომ თვალთ დაუბნელდა და უგრძობლად ჩავარდა გზისპირას ამოსულ ნარ-ეკალში. მთელი კვირა ისე ვავიდა, ერთი-ორი ნატეხი პურის მეტი არაფერი უჭამია.

ნახევარი საათის შემდეგ რუთი იპოვა მახლობელი კარმიდამოს პატრონის თერთმეტი წლის გოგონამ, რომელიც თავის სიმაღლე ნარ-ეკალს წკეპლით აცლიდა ყვავილებს. მერე კი მოჯამაგირემ ატატებული ქალიშვილი სახლში შეიყვანა.

რუთი სასადილოში დააწვინეს, დივანზე. იგი მაშინვე იცნო ქალაქურად ჩაცმულმა, ქერა, ჩასუქებულმა დიასახლისმა. ქალს გაახსენდა: ორი პატარა მეგობარი რძეს ყოველთვის ერთი ჭიქიდან სვამდა, მეორედან კი იმატებდა.

როცა რუთი მოსულიერდა, პირველად დიასახლისის ქმრის დიდი სურათი ეცა თვალში. სურათი ბუხრის თავზე ჩამწკრივებულ მკვახე ვაშლების უკან აყუდებინათ. კაცს ოფიცრის ფორმა ეცვა იგი სტალინგრადთან მოუკლავთ. რუთი მაშინვე მიხვდა, სად იყო. შუბლიდან კომპრესი მოიხსნა და თქვა „გმადლობთ“. დიასახლისმა



იცოდა, რუთი ჯერ აუშვიცში, მერე კი ვარშავის საროსკიპოში რომ გაგზავნეს. ვიურცბურგში ეს ამბავი ყველამ იცოდა. ქალმა თავისი გოგონა ოთახიდან გაისტუმრა და ისევ დაბნეული დაატყერდა რუთს. „ყოველ შემთხვევაში მისი აქ დატოვება არ შეიძლება. ვინ იცის?.. ჯერ ვაჭმევ რამეს.“

— იცი, თქვენი ძველი მეგობარი იოჰანა რანდენიმე დღის წინ ჩემთან იყო. ახლა თხის სადგომში ცხოვრობს, ტირიფნარში.

რუთს ხშირად უთამაშია იოჰანასთან ერთად ამ ტირიფნარში. თხის სადგომიც ახსოვდა. ახლაც თვალწინ დაუდგა. სანამ დიასახლისი დივანთან მოაგორებდა პატარა, დაბალ მაგიდას, რაზედაც პურრი, რძე და ერთი კვერცხიც იდო, რუთი სადღაც შორს იყურებოდა.

ქალაქი რომ დაბომბეს, ამ კარმიდამოს სამი უსახლკაროდ დარჩენილი კაცი შეეხიზნა. დიასახლისმა რანდენიმე კვირით შეიფარა ისინი. შემოხიზნულნი ნესვის გროვასთან იდგნენ. ნესვს ქათმები დახვეოდნენ და ჩიჩქნიდნენ. პროფესორმა პებერლაინმა, რომელიც ვიურცბურგის უნივერსიტეტში ისტორიის კურსს კითხულობდა, გაოცებით გააქნია თავი:

— როგორ გადარჩა ცოცხალი, პირდაპირ სასწაულია.

— მე მაგასაც კარვად ვიცნობდი და მის საქმროსაც, — თქვა ოსტატმა ზიმმა, რომლის ვიოლინოები მთელს გერმანიაში იყო ცნობილი. — საოცრად საყვარელი, მომხიბვლელი გოგონა იყო. რა საშინელი ბედი ეწია!

— რას ხედავთ აქ საშინელს! პატარა ებრაელი კახაა! ღმერთო ჩემო, ასეთ რამეს ყოველ ნაბიჯზე შეხვდებით.

ზიმსი გაკვირვებული შეაშტერდა რანტიე ფილიპის.

— ეს სიტყვები სასიკვდილო სარეცელზეც არ გეპატიებოდათ, — მიახალა მან და შინ შევიდა.

— ბატონი ზიმსი მეტისმეტად გაცხარდა, — თქვა ღიმილით ისტორიის პროფესორმა. — მაგრამ ამ საკითხში ვერც მე დაგეთანხმებით, ბატონო ფილიპ. აქ სულ სხვა შემთხვევასთან გვაქვს საქმე. ბოლოს და ბოლოს ეს გოგონა ხომ თავისი ნებით არ წასულა საროსკიპოში. თუმცა ფაქტი ფაქტად რჩება, იგი საროსკიპოში იყო. ფაქტს კი რა მიზეზითაც არ უნდა იყოს გამოწვეული, ბევრი რამ მოჰყვება ხოლმე.

რუთმა კაცებს ნელა ჩაუარა და ეზოდან გავიდა. დაბნეული დია-

სახლისი ფანჯრიდან უაზროდ მიშტერებოდა მიმავალ ქალიშვილს; იგი არ მოსცილებია ფანჯარას, სანამ რუთი ბუჩქნარს არ გასცდა და თვალს არ მიეფარა.

ისტორიის პროფესორმა თავი გაიქნია და თქვა:

— ერთი რამ ვერ გამიგია, რაღა მაინცდამაინც ვიურცბურგში დაბრუნდა, აქ ხომ მას ყველა იცნობს. რატომ არ შეაფარა თავი რომელიმე სხვა ქალაქს, სადაც მისი ამბავი არავინ იცის? ღმერთმანი, გაუგებარია.

რუთმა ჩაუარა ქალთა მონასტერს, — „ბჭენი ზეცისანი“. ორი ახალგაზრდა მონაზონი ბოსტანში დაჩოქილიყო და სტაფილოს თხრიდა. ისინი რუთთან და იოჰანასთან ერთად სწავლობდნენ სკოლაში. რუთის დანახვაზე შეძრწუნებულებს სახეზე ალმური მოედოთ. ერთმა პირვეარიც კი გადაისახა.

შარშანდელი, გამხმარი, რუხი ლერწამი წლევიანდელ მწვანე ლერწამს შერეოდა და შორს შეჭრილიყო მობუყბუყე წყალში. მეორე ნაპირზე ციცაბო ბექობები მზის სხივებით გაშუქებულ ვენახებს დაეფარა. მდინარის დინებას ზანტად მიჰქონდა სატვირთო გემი. გემბანზე თეთრი შპიცი იდგა და უყუფდა რუთს, რომელიც მდინარეს ნაპირ-ნაპირ მიჰყვებოდა თხის სადგომისაკენ.

იოჰანა წყლის პირას იჯდა და ფეხებს იბანდა. პირველად თვალებს არ დაუჯერა. ეს ქალი რუთს ისე ძალიან ჰგავდა, რომ იოჰანას შეეშინდა კიდევ, ხოლო როცა წამოდგა, თავის კანმა ისე დაუწყო ჩხვლეტა, თითქოს ვილაცამ თმაზე მოქაჩაო. რუთი უციოდე ნაბიჯითლა იყო დაშორებული მისგან, ნელა უახლოვდებოდა, ოდნავადაც არ აუჩქარებია ფეხი.

დაუჯერებელი აღარაფერი იყო, იოჰანა მეგობრისკენ გაექანა, თან გაოგნებული ჩურჩულებდა: „რუთ! ო, ღმერთო, რუთ!“

რუთის სახეს არც ახლა დასტუობია სიცოცხლის ნიშანწყალი ამასობაში იოჰანამ სულიერ მღელვარებას სძლია, გაუარა შიშმაც და სიხარულმაც.

— აი, იმ კარმიდამოს პატრონმა მითხრა, იოჰანა ახლა თხის სადგომში ცხოვრობსო.

წამით თითქოს ყველაფერი ჩაინთქა მოზღვავებულ სინაზეში: „რუთ“, აღმოხდა იოჰანას და მეგობარს გადაეხვია. რა ბედნიერებაა. იოჰანა თავის ბავშვობას იკრავს გულში. მაგრამ აქ-

ვე მეორე ძლიერი გრძნობა ჩასაფრებულის, ისიც უნდა ჩატეულიყო იმავე წამში, რომელსაც მხოლოდ ერთი გრძნობის დატევა შეედლო. ბედნიერებამ უკან დაიხია. „რა არ გადაიტანა! ღმერთო ძლიერო, რა არ გადაიტანა!“ — გაიფიქრა იოჰანამ და ქვითინი წასკდა.

რუთი მხოლოდ თვალებით აღიქვამდა მეგობრის გრძნობათა დღევას. იოჰანამ თავს სძლია, რუთს მხარზე ხელი მოხვია და სადგომში შეიყვანა. მთელი ნახევარი საათი რუთი გაუნძრევლად იწვარკინის საწოლზე, ვეფხვის ტყავივით შავყვითელ სახიან მატყლის საბანზე. თვალები გახელილი ჰქონდა. იოჰანაც გახევებული იჯდა. ვარეთ კუტკალიები ჭრიჭინებდნენ.

ბოლოს იოჰანამ რუთს თვალი თვალში გაუყარა და საწოლის წინ მუხლებზე დაეცა.

— შეძლებ კი, ყველაფერი მიაშობ? იქნებ არცა ღირს! — იოჰანა შიშმა აიტანა. სახეზე ხელები აიფარა.

ერთი წუთი უსასრულოდ გაგრძელდა, ბოლოს, როგორც იქნა. მოესმა რუთის მშვიდი, უხალისო ხმა:

— თუ გინდა, გიამბობ, — ეს ისე თქვა, თითქოს გონებაში აღბეჭდილი უმნიშვნელო ფოტოსურათები უნდა ეჩვენებინა იოჰანასთვის. — საქონლის ვაგონში შეგვრეკეს. ოთხმოცდაათი სული ვიყავით. მთელი გზა ფეხზე ვიდექით. რვა დღე მივდიოდით. — რუთს არ უთქვამს, რომ ვაგონში საპირფარეშო არ იყო.

მოგონებათა ერთი კადრი მეორემ შეცვალა.

— აუშვიცში ღამე ჩავვიყვანეს. კარი გაგვიღეს. სადგურზე ესესელი ჯარისკაცები დაგვხვდნენ. მათრახები გადაგვიჭირეს. ჰაერში ნამწვის სუნი ტრიალებდა. ცეცხლისა და კვამლისაგან ცას აღისფერი მოსდებოდა. კრემატორიუმის ღუმელები ბოლავდნენ.

იოჰანამ თვალები დახარა და მეგობარს ხელზე ხელი მოუჭირა.

— ჩამოყვანილები იქვე გადაარჩიეს — მოხუცი და ახალგაზრდა კაცები ცალ-ცალკე ჯგუფებად დააყენეს. ასევე დაანაწილეს ქალებიც. ჩვენ, ქალიშვილები, ახალგაზრდა ქალებთან ერთად მოვხვდით. ბანაკისაკენ მიმავალ გზაზე ასობით გვამი ეყარა. „ეს იმათი გვამებია, ვინც მწკრივიდან გამოვიდა“, — აგვიხსნა ჯარისკაცმა. ბანაკის ჭიშკართან ექიმი მენგლე იდგა. ექიმი უსიტყვოდ, ხელით ანიშნებდა, ვინ საით უნდა წასულიყო, მარცხნივ თუ მარჯვნივ. პატიმრები ერთმანეთს ეჭიდებოდნენ, ყვიროდნენ, არ უნდოდათ დაშორებოდნენ

მანლობლებს. ბოლოს რეზინის ხელკეტებით შირეკ-მორეკეს ყვე-  
ლანი. მას შემდეგ ნათესავეებს ერთმანეთი აღარ უნახავთ. იმ ღამეს  
აუშვიცში კიდევ ოცდათექვსმეტი ათასი ტყვე ჩამოიყვანეს. დილით  
მხოლოდ ორი ათასი იყო ცოცხალი.

იოჰანამ თავი ასწია და რუთი ისე შეანჯღრია, თითქოს მძინარის  
გაღვიძებას ცდილობსო.

— რუთ! შენი ძმა ცოცხალია. აქ არის. ცოცხალია, გესმის?

— მართლა?.. აუშვიციდან ვარშავის საროსკიბოში გამგზავ-  
ნეს. — რუთმა უსიცოცხლო მზერა მიაპყრო მის წინ დაჩოქილ უმან-  
კო ქალიშვილს, მის სახეს, თმას, თვალებს. — ვარშავაში ორი წელი-  
წადი დავყავი.

— მოგიყვანო ძმა, რუთ? მოგიყვანო?

— როგორც გინდა...

იოჰანამ ხის სანდლები ჩაიცვა. უნდოდა ეთქვა რუთისათვის, ახ-  
ლავე დავბრუნდებო, მაგრამ მას უკვე ჩასძინებოდა. იოჰანა მძინა-  
რეს დააკვირდა და მთელი ტანით ათრთოლდა. ეს იყო მკვდარი ქა-  
ლიშვილის ნიღაბი, რომელიც მშვიდად სუნთქავდა.

ბოლო დროს დავითი და გველკაცა ყოველდღე თევზაობდნენ.  
თევზს მოღუნული ქინძისთავით იჭერდნენ და იქვე ცეცხლზე წვავ-  
დნენ. მიწაში ჩარჭობილ ტირიფის ორკაპა ტოტებს შორის ახლაც  
ეყარა ერთი მუჭა ფერფლი. იოჰანას ხშირად უნახავს ბიჭები მდინა-  
რის ნაპირზე, ამოჩემებულ ადგილას.

სანამ გველკაცა თევზს შიგნავდა და რეცხდა, დავითმა ოსტატუ-  
რად დააწყო ფიჩხი კოცონის დასანთებად. გველკაცამ თევზს ტირი-  
ფის წნელი ხერხემლის გასწვრივ გაუყარა და შამფური ორკაპებზე  
ჩამოსდო. მერე ჯიბიდან მარილი ამოიღო და თევზს მოაყარა.

— აბა, შეუკეთე.

პაწაწინა თევზი მაშინვე გაიმურა კვამლით. ბიჭები ფეხებგა-  
ჩაჩხულნი ისხდნენ ბალახზე, შუაში ცეცხლი გიზგიზებდა. ორივე-  
ნი შარვალ-ხალათის ამარა იყვნენ. გველკაცა შამფურს ისე ატრია-  
ლებდა, თითქოს გამოცდილი მონადირეა და მოკლული დათვის  
ბარკალს წვავსო.

— იცი რა, ჩვენ არსად დავიკარგებით. თუ ვიურცბურგში



ალარ დაგვედგომება, ტყვეს შევაფარებთ თავს და ტრაპერებივით<sup>1</sup> ვიცხოვრებთ.

— ფრთხილად, არ დაგვეხრუკოს. ხედავ, როგორ დაილია.

დავითსაც დასავეით მუქი თვალები, შავი თმა და კალმით ნახატი წარბები ჰქონდა. ვიწრო სახე თითქოს სპილოს ძვლისაგან გამოეკვეთათ. შუბლზე ჭვარტლის ლაქა აჩნდა.

ბიჭებმა იოჰანა შორიდანვე იცნეს. დავითს თვალები გაუბრწყინდა:

— აბა ვნახოთ, საბანზე თუ გვეტყვის რამეს.

— სულელი ხომ არ არის! ლამდამობით უთუოდ თბილად გაეხვევა ხოლმე საბანში და ამაზე კრინტს დაძრავს?

— მაშინ ალბათ, მძინარე ვეფხესა ჰგავს, არა?

— შენ ძუ ვეფხვი გინდოდა გეთქვა. ამაში დიდი განსხვავებაა.

— რა განსხვავებაა?

— რაღა, იოჰანა დედათა სქესს ეკუთვნის. ძუ ვეფხვი კი ხეაღზე უფრო საშიშია, განსაკუთრებით მაშინ, როცა ბოკვერების წართმევას უპირებენ.

დანახშირებული თევზი წნელს მოძვრა, კუდით დაეკიდა, გაქან-გამოქანდა და ცეცხლში ჩავარდა.

— ძალიან პატარა იყო, — იხტიბარი არ გაიტეხა გველკაცამ. იოჰანა კოცონს მიუახლოვდა.

— არ წამოხვალ ჩემთან? — ჰკითხა დავითს. — ერთ ჩემს სტუმარს შენი ნახვა სურს.

— ჩვენ არ მოგვიტანია, — უთხრა დავითმა მტკიცედ და ფეხზე წამოდგა.

იოჰანამ ვერაფერი ვაიგო და თავისი განაგრძო:

— შენი და ჩემთან არის. რუთი დაბრუნდა.

ბიჭი იოჰანას მიაშტერდა, ხელები გაშალა და თვალეზგაფართოებულმა ექსტაზში შესულ მოცეკვავესავით ფეხის ცერებზე გოგონას ირგვლივ შემოუარა. გველკაცას ის იყო ცეცხლიდან თევზი უნდა გამოედო, მაგრამ გაშეშდა და მანაც გაოცებით შეაჭყიტა თვალები იოჰანას.

<sup>1</sup> ჩრდილოამერიკელი მონადირე, რომელიც ხაფანგით იჭერს ნადირს.



— წამო, წავიდეთ, — შეეხვეწა იოჰანა დავითს და ხელი გაუწოდა. ბიჭმა ისე შეაგება ხელი, რომ თვალი არ მოუშორებია მისთვის.

— მართლა?

დაფიქრებულმა გველკაცამ ორივეს გააყოლა თვალი. შემდეგ თოფნაკრავივით წამოვარდა და თავ-პირის მტკრევით გაექანა საწინააღმდეგო მიმართულებით. ტირიფის გრძელი წნელი, ანკესის მაგივრობას რომ უწევდათ, ფეხებში ებლანდებოდა. ბიჭი ვაგლახად ვერ შეეღია წნელს, იფიქრა, კიდევ რაღაცაში გამოვიყენებთ, შეჩერდა, მაგრად მოიქნია, შუბივით გასტყორცნა მდინარეში და ისევ მოკურცხლა.

ბალახით დაფარულ გორაკზე, ჰიოხბერგის გზატკეცილისა და ძველ ციხის თხრილს შორის იდგა ხის ქოხი, სადაც უწინ გზის მკირწყლავი მუშები იარაღს ინახავდნენ. ამ ქოხში ახლა ახალგაზრდა კაცი ცხოვრობდა. ომის დროს ვადაზე ადრე ჩააბარა გამოცდა და სამხედრო ექიმად მუშაობდა მოქმედ არმიაში. მარტინმა იცოდა, რა ბედიც ეწია რუთს და სხვებივით მასაც მკვდარი ეგონა. რუთი მარტინის დანიშნული იყო.

გველკაცამ გორაკი აირბინა, ქოხთან შეჩერდა და აივანზე სამედიცინო წიგნის კითხვით გართულ მარტინს ღიმილით უთხრა:

— იცი, თქვენი საცოლე დაბრუნდა.

მარტინი იცნობდა გველკაცას. ბიჭი პატარაობიდანვე მთელი დღე ქუჩა-ქუჩა დარბოდა და უამრავი ნაცნობი ჰყავდა. ახალგაზრდა კაცმა წიგნი გადაფურცლა და ჰკითხა:

— რა გინდა ჩემგან? პურის ნატეხი, თუ სხვა რამ?

შეუტრაცხყოფილმა გველკაცამ ხელი ჩაიქნია და აგდებულად უთხრა:

— არ გჯერათ და ნუ გჯერათ, მე რა მენადვლება. რუთი კი მართლა აქ არის...

— რა თქვი? — მარტინი ნელა წამოდგა.

— ერთი საათი იქნება, რაც დაბრუნდა.

მარტინი აივნიდან ჩამოვიდა და ბიჭს ხელი წაავლო.

— მამ შენ ამბობ, რუთ ფროიდენჰაიმი დაბრუნდაო?

— Jes, sir!<sup>1</sup> იოჰანასთან არის. ფილიპიც... მე მინდოდა მეთქვა, მისი ძმაც იქ არის-მეთქი.

მარტინი ყველაფერს ნაჩქარევად გადაწყვეტდა ხოლმე, ახლაც ერთი ხელის მოსმით გადაუსვა ხაზი უკანასკნელი წლების მოძალებულ მტკივნეულ მოგონებებს და თავქვე დაეშვა. მარტინს წინ წამოზრდილი მრგვალი შუბლი, მოკაუჭებული ცხვირი და შეწეული, მოკლე ნიკაპი ჰქონდა. თხელი ტუჩების რბილი მოხაზულობასულ არ შეეფერებოდა ჭიუტ შუბლსა და თვალების ფანატიკურ ელვარებას. ომში მარტინი შლეგივით ეტანებოდა საფრთხეს. ხშირად ვერც კი ამჩნევდა, რა განსაცდელში ვარდებოდა. ახლა საავადმყოფოში მუშაობდა უმცროს ორდინატორად; ჯერ მხოლოდ ოცდაათხი წლისა იყო.

ისინი ტირიფხარისკენ გაემართნენ. მარტინი სიარულში ბევრ ძალას ხარჯავდა. მუხლებში ძალიან იხრებოდა და ყოველი ნაბიჯის გადადგმაზე ტერფს ზამბარასავით ქიშავდა. აქლემივით დადიოდა, გეგონებოდათ, ირწყევო. თანაც ნიკაპს ისე იშვერდა წინ, თითქოს ტვირთი მიჰქონდა.

— შენ თვითონ ნახე რუთი?

— ნახვით არ მინახავს, მაგრამ იოჰანამ გვითხრა. რად მოგვატყუებდა. გიყი ხომ არ არის. მე და დავითი იმ დროს თევზს ვწვავდით. არ ვიცი, თევზი იყო ძალიან პატარა, თუ ცეცხლი მეტისმეტად ძლიერი, ან იქნებ ორკაპები უნდა ყოფილიყო უფრო მაღალი... Allright, არა უშავს, მდინარეში თევზის მეტი რა არის. ვარშავა, სადაც თქვენი საცოლე იყო, ჯანდაბას იქითაა. მაგრამ დარდი ნუ გაქვთ, მაინც მოაღწია ჩვენამდე. მაშინვე გავიფიქრე, როგორ გაგეხარდებოდათ და ხელად თქვენსკენ გამოვექანდი.

— იოჰანამ იცის, რომ ჩემთან გამოიქეცი? რუთმა?

— აბა საიდან! არავენ არ იცის. სასიხარულო სწორედ ის იქნება, მოულოდნელად რომ გამოეცხადებით.

მარტინს სიფილისით დაჭმული რუთის სახე წარმოუდგა თვალწინ. იქვე გვერდით გამოჩნდა სხვა რუთი — დაპა-ლუპით ჩამოსდის ცრემლი, შველას ემუდარება, აგერ კიდევ ერთი ბინ-

<sup>1</sup> დიახ, სერ (ინგლ.).

ძურად მოდიმარი ქალის სახე დაინახა. შორეული წარსულის ბუ-  
რუსში კი ჩვიდმეტი წლის გოგონას მომხიბლავი სახე ელანდებო-  
და. ერთ დროს მას ეს სახე უყვარდა. შიშით სუნთქვა შეეკრა. რა  
ქნას? რა უთხრას? მარტინი ერთი წუთით შეჩერდა და ისევ მოწყ-  
და ადგილს. ახლა უკვე სიბრალულმა გადაადგმევინა ნაბიჯი.

იოჰანა, რუთი და დავითი კარის მაგიერ ჩამოკიდებულ ზეწარ-  
თან იდგნენ. რუთი ორმოცდაათი წლის ქალივით შესცქეროდა  
დავითს. „როგორ გაზრდილხარ!“ — რუთს ახსოვდა, ასეთ შემთხ-  
ვევაში რაღაც ამდაგვარს ამბობენ. დავითი უხერხულობისაგან  
ადგილს ვერ პოულობდა. ბოლოს დაიხარა და ფეხის თითებში  
გაჩხირული ბალახის ღერო მოიშორა.

იოჰანა გუმანით გრძნობდა, საროსკიპოში ცხოვრება აუწერე-  
ლი საშინელება უნდა ყოფილიყო, აქამდე მარტინზე არც უფიქ-  
რია. დაინახა თუ არა, იმწამსვე მიხვდა, რა დიდი ტრაგედია დატ-  
რიალდა. ყველაფერი საშინელმა სიცარიელემ მოიცვა.

მარტინი შეცბა, სინამდვილე სულ სხვაგვარი აღმოჩნდა, ვიდრე  
მოელოდა. მაშინვე იგრძნო, რუთს არავისი სიბრალული არა სჭირ-  
დებოდა. გარეგნულად არ შეცვლილიყო, თითქოს არც ხანი მო-  
მატებოდა.

— ამ პატარა ბიჭმა მითხრა, რომ აქა ხარ. ღმერთო ჩემო,  
რუთ! — მარტინი რუთის ხელს დასწვდა. — როგორ მოალწიე  
ვიურცბურგამდე?

მარტინს უკვე რამდენიმე წამი ეჭირა რუთის უსიცოცხლო ხე-  
ლი, მაგრამ ქალი ამას ყურადღებას არ აქცევდა და თავის ამბავს  
ყვებოდა: ვარშავიდან ბერლინამდე, ბერლინიდან ფრანკფურტამ-  
დე მანქანით ვიმგზავრეო. დავითი დის გვერდით იდგა. გველკაცა  
გრძნობდა, ზედმეტი იყო და თავაზიანად განზე გამდგარი, მორი-  
დებით შეაგლებდა ხოლმე თვალს ოჯახურ სცენას.

— წამო, მდინარეზე წავიდეთ, — უთხრა იოჰანამ დავითს. რო-  
ცა გველკაცამ მარტინს გვერდით ჩაუარა, ისე შეხედა, თითქოს  
ეკითხებოდა: „ხომ კარგად მოვაწყვე ყველაფერიო?“

მარტინი და რუთი სადგომში შევიდნენ და საწოლზე ჩამოსხდნენ.

— ცუდად არ გამოიყურები, მე მინდოდა მეთქვა, ასეთი დამ-  
ქანცველი მოგზაურობისა და ამდენი ამბის შემდეგ... — იგი

გრძნობდა, ყოველი სიტყვა ყალბი იყო და უნებურად რუთს ხელი ხელზე დაადო. — სად აპირებ ცხოვრებას?

რუთმა ოდნავ აიჩეჩა მხრები, შემდეგ კი ზრდილობიანად ჰკითხა, შენ როგორ ხარო?

— საავადმყოფოში ვმუშაობ. საწოლები არ გვეოფნის: ავადმყოფები ათჯერ უფრო მეტია.

— სად არის ის კაცი, ვინც ჩემი მშობლები მოაკვლევინა? — ჰკითხა რუთმა სრულიად აუღელვებლად.

მარტინი გრძნობდა ქალის უპირატესობას. ვერაფრით ვერ აეხსნა ეს და უხერხულად იშმუშნებოდა.

— მდინარის გაღმა ცხოვრობს, ქვის სახლში. მგონი შავ ბაზარზე ვაჭრობას მიჰყო ხელი. შენ როგორღა ცხოვრობდი, რუთ? — ვაქს ესმოდა, რა სახითათოც იყო ამის კითხვა, მაგრამ არ შეეძლო არ ეკითხა.

— ორი წელიწადი საროსკიბოში ვიყავი.

მარტინმა ვერ გაუძლო მის უსიციოცხლო მზერას. რატომ არ მოიკლა თავი?

— თუ გინდა, ჩემთან დასახლდი, — შესთავაზა მოულოდნელად. როგორც ყოველთვის, ახლაც ნაჩქარევად გადაწყვიტა ყველაფერი.

— თუ არ შეგავიწროვებ...

რუთს სახეზე რაღაც ღიმილისნაირმა გადაუარა და ისევ გაქრა. ამგვარი რამ ჯერ მარტინს არ უნახავს ადამიანის სახეზე. ღმილი თითქოს მეხსიერების თვალი იყო, რომელმაც ქალის მკვდარ, სურვილებსა და სინანულს მოკლებულ გულში ჩაიხედა. მიუხედავად ამისა, პირველად ამ ხუთი წლის მანძილზე, მის სულში რაღაც შეტოკდა ოდნავ: მას ხომ ოდესღაც უყვარდა მარტინი.

#### IV

პატარა სამიკიტნო „მყუდრო სორო“ ლოხვასეზე, ისეთ ბნელსა და ვიწრო შესახვევში მდებარეობდა, რომ საერთო დარბაზში მზიან დღეებშიც კი შუქი ენთო. პეტრეს მამა იჯდა დიდ, მრგვალ მაგიდასთან, რომლის ირგვლივაც სამიკიტნოს ხშირი სტუმრებო



იყრიდნენ თავს. ეს მაგიდა ყველაზე ახლოს იდგა დახლთან. დახლს უკან პეტრე საქმიანობდა და თან ყურადღებით უსმენდა კაცების საუბარს.

როცა მეთევზე კროიციპიუგელმა ღვინო მოსვა და ცხვირი უკმაყოფილოდ დამანჭა, პეტრეს მამამ თქვა:

— მეც კარგად ვიცი, ღვინო არაფრად არ ვარგა. გლეხები, ეს ღვინისაგან დაწყველილი არამზადები, ღვინოში წყალს ურევენ. თუმცა მაინც მადლობელი ვარ, ამასაც რომ ვმოულობ საყიდლად. ღვინოში რკინა-კავეულს, სამეურნეო იარაღს და, ასე გასინჯეთ, ფეხსაცმელსა და შარვალსაც კი თხოულობენ. ასეთ რამეს თუ მისცემ, ნამდვილ ღვინოსაც გაიმეტებენ. მაგრამ, აბა, ერთი მითხარით, სად ვიშოვო ცელები, ნამგლები და ნამჯის საჭრელები? ჩვენს დროში განა ვინმეს აქვს ზედმეტი ფეხსაცმელი და შარვალი?

მექანიკოსის კომბინეზონში გამოწყობილმა მეთევზემ ხმადაბლა ჩაილაპარაკა: „ქრისტეს მოწაფეებს ექნებათო“. ხოლო მესაათე კრუმბახმა უნებურად შეათამაშა ფეხის თითები ნაჩუქარ ფეხსაცმელში. კროიციპიუგელსა და კრუმბახს შორის მოწაფე იაკობის მამა იჯდა, იმ ბიჭის მამა, თავის დას რომ ფორთოხალი წაუღო. მაგიდის მოპირდაპირე მხრიდან ლაპარაკში ჩაერია ჭაღარა დურგალი, რომლის ჩამოგრძელებულ ულვაშებს აქა-იქ წაბლისფერი შერჩენოდა:

— მე კი გეუბნებით, ყველაფერი იშოვება. ამ სამიოდე კვირის წინ კარზე ერთი კაცი მომადგა და მთხოვა, თაროები გამიკეთეო. „თაროები? სიამოვნებით, მაგრამ ხე-ტყე რომ არ იშოვება?“ კაცმა ხელი ჩაიქნია და მითხრა: „ხე-ტყე! მაგის დარდი ნუ გაქვთ, ვიშოვიო.“ და მართლაც იშოვა. მეორე დღეს მთელი ურემი ახალი, კარგად გამოშრალი ნაძვის ფიცრები მოზიდა. როგორ მოგწონთ! ჰოდა, გავუკეთე თაროები. რვა ცალი. მივიტანეთ იმის სახლში. საქმე ჭერ კიდევ მოთავებული არა მქონდა, როცა იმ შეჩვენებულმა ჩემ თვალწინ დაიწყო თაროებზე საქონლის დალაგება. კინალამ თვალეები წამომცვივდა. რა არ ჰქონდა! ღვინო — ამის ღვინოს კი არ ჰგავდა, კაცს რომ კბილებს დააყრევინებს — ძველი ჩინებული ღვინო. სასმელ-საჭმელი და ტანსაცმელი აუარებელი. მუყაოს კოლოფებში ჩაწყობილი, აი, ამსიგრძე ამერიკული სიგარეტებიც კი. თითოში ალბათ ორასი ცალი იქნებოდა. ასეთი კო-



ლოფი ოცამდე დავთვალე. ახლა ფეხსაცმელს არ იკითხავთ? როგორ გგონიათ, რამდენი აქვს? მთელი თაროა გაქვდილი! ფეხსაცმლის მაღაზია გეგონებოდა! მითხარით, გეთაყვა, თუკი არაფერი იშოვება, საიდან აქვს იმ არამზადას ამდენი რამე?

მამის სამიკიტნოში, სადაც სტუმრებს ლანძღვა-გინებით გულის მოოხება უყვარდათ, პეტრეს ხშირად გაუგონია იმ ადამიანთა გვარები, ვისგანაც რაიმეს წამოდება შეიძლებოდა. ახლაც, ატყდა თუ არა დარბაზში ხმამაღალი ლაპარაკი, პეტრე ლამის გადმოეკიდა დახლზე და სმენად იქცა. როცა ყური მოჰკრა შავ ბაზარზე მოვაჭრე გაქნილი სპეკულანტის გვარს, მოგრძო, ვიწრო სახე ხელის გულებს დააყრდნო და ისეთი გამომეტყველება მიიღო, თითქოს მოწყენილია და ჭერს შეჰყურებსო. უზარმაზარი მრგვალი მაგიდის თავზე ჭერს ლურჯად და წითლად მოხატული, მაგიდისოდენა სამასი წლის რელიეფი ამშვენებდა. რელიეფზე ქრისტეს ამადლება იყო გამოსახული.

— ბატონ კროიციპიუგელს კიდეც ერთი ჭიქა ღვინო მიართვი! — გასძახა მამამ, მაგრამ ამ დროს პეტრე უკვე ნანგრევებს შორის მიაბიჯებდა. გზის ორივე მხარეს გროვა-გროვად ეყარა ღორღი. რაღაც სასწაულად გადაჩენილი სახლი იშვიათად თუ გამოჩნდებოდა საღმე. ასეთ სახლზე ღვთის მოშიშნი ამბობდნენ: „ხელი ღვთაებისა ფარვიდა მასო“.

ამ საღამოს სხდომა გვიან ღამემდე გაგრძელდა. პეტრემ და მისმა ამხანაგებმა გულდასმით შეიმუშავეს თავდასხმის გეგმა. ხუთი დღე დაზვერვას მოანდომეს — საჭირო იყო გაეგათ ოთახების განლაგება სპეკულანტის სახლში, სცოდნოდათ ყველა შესასვლელ-გასასვლელი და ისიც, როდის გადიოდა ცვიშენცალი სახლიდან. ამასობაში ხუთი საზიდარიც იშოვეს.

ცვიშენცალს ქალაქში ყველა იცნობდა, იგი ნაციისტური პარტიის წევრი და კვარტალის უფროსი იყო. ფროიდენჰაიმები, რუთის და დავითის მშობლები, მან დააპატიმრა და როცა ქალაქის ქუჩებში მიჰყავდათ, მოაკვლევინა კიდეც.

თუმცა ეს ამბავი ორმა კაცმა ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად აცნობა პროკურატურას და შესთავაზა, მოწმეებად გამოვალთო, აქამდე ცვიშენცალის წინააღმდეგ საქმე მაინც არ აღუძრავთ.

ადგილობრივ მოსახლეობას ძალიან უკვირდა, სხვა მსგავს შემთხვევაშიც არავითარ ზომებს რომ არ იღებდნენ. საძულველ ნაციისტებს წინანდებურად მაღალი თანამდებობები ეკავათ. ერთი-ორი კაცი თუ დააპატიმრეს მხოლოდ.

— მე მგონი, ამერიკელებმა თვითონაც არ იციან ხეირიანად, რა უნდათ. ჩვენთვის რომ ეკითხათ, კარგ რჩევას მივცემდით,—თქვამოწაფე იოანეს მამამ, ძველმა სოციალისტმა, რომელმაც ოთხი წელი დახაუშო გაატარა.

მოწაფეებმა შეიტყვეს, რომ ცვიშენცალი შაბათობით საღამო ეამს შინ არ იყო ხოლმე. ისიც გაიგეს, ბაღში გამავალ უკანა კარს შიგნიდან რაზავდა, რვას რომ ოცი წუთი აკლდა სადარბაზო შესასვლელიდან გამობრძანდებოდა და „ვარსკვლავთმრიცხველთა საზოგადოებაში“ მიდიოდა. იქ ვარსკვლავთა განლაგების მიხედვით საზოგადოების წევრებს უწინასწარმეტყველებდნენ, რა ამბები დატრიალდებოდა მსოფლიოში აღრე თუ გვიან და რა დღეებში შეიძლებოდა სავაჭრო საქმეების მოგვარება. საზოგადოების თავმჯდომარე ერთი მხარბეჭიანი აყლაყულდა იყო, მისგან თავისუფლად გამოიჭრებოდა ორი ტანმორჩილი კაცი. მაგრამ, ეტყობა, შემოქმედს თავისათვის მასალა აღარ ეყო: თავმჯდომარეს ძალიან პატარა თავი ჰქონდა და „თავპატარას“ ამიტომაც ეძახდნენ.

გველკაცამ ბაღში გამავალი ჩარაზული კარის გვერდით გემის ილუმინატორივით პატარა, მრგვალი ფანჯარა აღმოაჩინა. იგი დარწმუნებული იყო, ამ ფანჯარაში გაძვრებოდა, მერე კარს გააღებდა და ამხანაგებს სახლში შეიპატიჟებდა. რვიდან თერთმეტ საათამდე საკმაო დროა. აუჩქარებლად მოასუფთაებენ თაროებს, ეს მთვარეული გველაძუა ხომ თერთმეტ საათამდე არ ბრუნდება შინ! საპირფარეშოს ფანჯარაც გველკაცასათვის ზედგამოჭრილია.

გვემის მიხედვით იმავე საღამოს უნდა ეცნობებინათ ყველაფერი ამერიკელთა სამხედრო ხელისუფლებისათვის. თერთმეტ საათზე თვინიერ-მოწაფე იოანეს, რომელიც ჩუმაღ და შეუძმჩნევლად დაძვრებოდა ყველგან, ამერიკელთა სამხედრო შტაბის ჭიშკარზე დიდი აფიშისოდენა წერილი უნდა გაეკრა. მოწაფე იაკობი ლითოგრაფიაში მუშაობდა შეგირდად და აფიშა ბეჭდური ასოებით დაწერა, რაც ყველაზე მნიშვნელოვანი იყო, წითელი მელნით გამოიყვანა.

ცვიშენცალთან ნაპოვნი ნივთების სია იქვე უნდა დაეტოვებინათ, რათა სამხედრო ადმინისტრაციას საბუთი ჰქონოდა ხელთ.

ასეთი დიდი ოპერაცია მოწაფეებს ჯერ არ განუხორციელებიათ და ამ ამბავმა სხდომის მონაწილენი აღაფრთოვანა.

— ციხის ხომ არავის ეშინია? იცოდეთ, საფრთხე გველის, — შიშართა პეტრემ ამხანაგებს.

— რამდენიმე წელი ციხეში ჯდომა სასახელოც იქნებოდა. რაც შეეხება საფრთხეს, მე ასე ვიტყვოდი: Nothing for nothing. ცდა ბედის მონახევრეაო, — უპასუხა გველკაცამ. მას ყველა დაეთანხმა.

ყველა ბიჭს ოდითგანვე ძვალსა და რბილში აქვს გამჯდარი სანუკვარი ოცნება, შეეჭიდოს და ძლიოს საფრთხეს. ომის შემდგომი ხანის უკიდურესმა გაჭირვებამ ბიჭების სწრაფვას ფრთები შეასწა — მათ მიზნად დაისახეს ღარიბებს დანხარებოდნენ, ამგვარი მიზნის განხორციელებაც ხომ დიდ საფრთხესთან იყო დაკავშირებული. ამ დაუოკებელმა ყმაწვილურმა წადილმა გამოიწვია ქრისტეს მოწაფეების საიდუმლო საზოგადოების დაარსება და ეს იყო ის საიმედო დულაბი, რომელმაც ისინი შეაკავშირა.

ცვიშენცალის სახლი დანგრეული ქალაქის შემოგარენში იდგა, იქ, სადაც მრავალი ვილა და სახლი დანგრევას გადაარჩენოდა. ხუთი საზიდარი კარტოფილის მინდვრის გაღალმა იდგა. პეტრე პირქვე გაწოლილიყო ბორცვზე, კარტოფილის ბუჩქებში. როცა ცვიშენცალი სახლიდან გამოვიდა, ბინდდებოდა. სანამ ბილიკს მიჰყვებოდა, შარაგზისკენ, — სადაც ნაცნობი გლეხი ელოდა ერთცხენიანი ორთვალათი, — ყოველი ნაბიჯის გადაღვამაზე ჩექმის ყელზე შოლტს იტლაშუნებდა და თან „თანჰოიზერიდან“ საზეიმო მარშს უსტვენდა. ძონძებში გახვეული პეტრე, ბოსტნის ფეხადგმულ საფრთხობელას რომ ჰგავდა, მალულად გაჰყვა სახლის პატრონს ფეხდაფეხ და მერე ისევ კარტოფილის ბუჩქებს ამოეფარა. როდესაც ცვიშენცალი ორთვალაში ჩაჯდა და გზას დაადგა, ხელახლა გაცოცხლებული ბოსტნის საფრთხობელა მყისვე გაეჭანა მინდვრის მეორე ბოლოსკენ, სადაც მეგობრები ელოდებოდნენ. სანამ ორთვალას ბორბლების რახრახი არ მიწყდა, ბიჭები ჩუმად ისხდნენ.

— აბა, დავიწყოთ, — გაისმა პეტრეს აღელვებული ხმა.





ფერს, რასაც კალათში ყრიდნენ. აივსებოდა თუ არა კალათი, ორ ბიჭს გარეთ გაჰქონდა და საზიდარზე დებდნენ. სიფრთხილეს თავი არა სტიკივარ, — გადაწყვიტეს დატვირთული საზიდარი დაუყოვნებლივ მოეშორებინათ აქაურობისათვის. ოცი წუთის შემდეგ ორი საზიდარი საიმედო ადგილას გადააგორეს და თაროებს შვიდი მოწაფელა აცარიელებდა. ილაჯგაწყვიტილ დავითს ხელი არ გაუნძრევია. პეტრემ იგი პირველივე საზიდარს გააყოლა.

აქამდე ყველაფერი შემუშავებული გეგმის მიხედვით მიდიოდა. მაგრამ, ზოგიერთი გამოცდილი სარღლისა არ იყოს, ბიჭები მალე დარწმუნდნენ: საუკეთესოდ მოფიქრებული ბრძოლაც კი შეიძლება სულ სხვაგვარად წარიმართოს გაუთვალისწინებელი შემთხვევის წყალობით.

ცვიშენცალი ცოტა დაგვიანებით გამოცხადდა საზოგადოების შეკრებაზე. იქ აცნობეს, კრება ორშაბათისათვის გადაიტანესო. ვარსკვლავთმრიცხველნი თავმჯდომარესთან ერთად, რომელიც ვარსკვლავთმრიცხველთა კეგლის კლუბის თავმჯდომარეც იყო, პარკისაკენ გაემართნენ, რესტორან „კეგლის მოყვარულთა“ პატრონთან. გადაწყვიტეს საერთო ძალით დაეყოლიებინათ რესტორნის პატრონი, რათა დაბომბილი კეგლებანი<sup>1</sup> შეეკეთებინა. ცვიშენცალმა გადაწყვიტა უკანვე გამოჰყოლოდა იმავე გლესს და შინ დაბრუნებულიყო.

ბნელი ღამე იყო. ორთვალა დიდხანს მირახრახებდა შარაზე. კაციშვილი არა ჩანდა. ცვიშენცალი მხოლოდ დროდადრო თუ მოჰკრავდა თვალს, როგორ მიაგორებდნენ ქალაქისაკენ ხელის საზიდრებს.

სახლში სამნილა დარჩნენ: პეტრე, საწყობის გამგე და გველკაცა, რომელიც გადატყავებულ მარჯვენა მხარს ნერწყვიით იგრილებდა. თაროები მოეცარიელებინათ.

საწყობის გამგეს უნდოდა ამერიკელებისათვის სანიმუშოდ შედგენილი სია დაეხვედრებინა. პეტრე ხმამაღლა კითხულობდა შავად ნაწერს, უკარნახებდა საქონლის სახელწოდებას, რაოდენობას, საწყობის გამგეს კი გულმოდგინედ გამოჰყავდა ახალ საკანცელარიო ბლანკზე ლარივით სწორი სტრიქონები. ჯერ მხოლოდ ათის ნახევარი იყო.

<sup>1</sup> კეგლის სათამაშო მოედანი.



ცვიშენცალმა შორიდანვე დაინახა, რომ მის სახლში შუქი ენთო და თავზარი დაეცა. იფიქრა — ან ქურდები შეპარულან, ან ამერიკელთა ადმინისტრაციის მოხელენი მეწვივნენო. თუ ამერიკელებმა მის კვალს მიაგნეს, სულ ერთია, შვევა თუ არა სახლში. მაინც ციხეში ამოაყოფინებენ თავს. ყოველ შემთხვევაში, ჯობს, გაიგოს, ვინ დაეპატრონა მის ქონებას: საწყობში ხომ დიდძალი ფულია დაბანდებული, დიდძალი ფული.

სახლის უკანა კედელზე პწკალა მიაყუდა და ნელა აძვრა ზევით. ფანჯარა დახურული იყო. პირველად მხოლოდ სამი ფეხშიშველა, დაკონკილი ბიჭი დაინახა. ისინი არხეინად შემოსხდომოდნენ მის მაგიდას. ერთი ლაპარაკობდა, მეორე წერდა, მესამეს კი წარამარა პირთან მიჰქონდა ხელი და თითებზე იფურთხებდა. მერე ცვიშენცალმა ბიჭებს თვალი მოაშორა და მოცარიელებული თაროები დაინახა. კაცი საკუთარ თვალებს არ უჯერებდა და გაშტერებული შეპყურებდა თაროებს. ბოლოს მუხლებაკანკალებული ჩუმად ჩამობობლდა ძირს, საღარბაზო კართან მივიდა, შოლტი ხელში მოიმარჯვა, კარი ფრთხილად გააღო და ფეხაკრეფით ავიდა კიბეზე.

— სამოცდარვა იტალიური ძეხვი. თუ ციფრებით დაწერ, უფრო ჩქარა მოვრჩებით, — თქვა პეტრემ. — 68 ცალი. ჩემი გამოანგარიშებით დაახლოებით ერთ ცენტნერამდე იქნება. დაწერე „ჩვენი გამოანგარიშებით“.

— ქვეყანა ხომ არ დაიქცევა, ცოტა ძეხვი ჩვენთვისაც რომ ავიღოთ. აქ ძალიან ბევრია. Let's say three per cent, or two<sup>1</sup>. ცხადია, მე კომერციულ ზედნადებ ხარჯებს ვგულისხმობ.

— 17 კოლოფი ამერიკული სიგარეტი.

— დაწერე „cartons“. The American say cartons<sup>2</sup>... ავი ოცი უნდა ჰქონოდა. გამოდის, მაგ ღორს სამი კოლოფი უკვე გაუყიდა.

— გველკაცა, გაჩუმდი, თორემ რამე შემეშლება.

— 55 წყვილი ახალი ფეხსაცმელი. 23 — ქალის, 32 — მამაკაცის.

— ამჯერად არ შემიძლია გავჩუმდე, იქნებ ჯობდა, თერთმეტი

<sup>1</sup> ვთქვათ, სამი პროცენტი, ან ორი (ინგლ.).

<sup>2</sup> ამერიკელები კარტონს ეძახიან (ინგლ.).

წყვილით ნაკლები ჩავვეწერა, რა თქმა უნდა, მამაკაცის ფეხსაცმელი. ან დაწერე პირდაპირ, „თერთმეტი წყვილი ჩვენთვის“ და განმარტე, რატომ. ზამთარში ხომ ფეხშიშველები ვერ ვივლით. That's clear<sup>1</sup>.

— აჰ, ვერ ივლით?! — დაიღრიალა ამ დროს კარებში გაჩერებულმა ცვიშენცალმა, რომელსაც ადამიანის ფერი არ ედო.

პეტრე და საწყობის გამგე ადგილიდან არ დაძრულან, მხოლოდ გველკაცა აფართხალდა კალმახივით და ზეზე წამოიჭრა. დანარჩენებიც ნელ-ნელა წამოდგნენ და დაჟინებით შეაჩერდნენ ცვიშენცალს.

სახლის პატრონის შოლტმა ზუზუნით მოხაზა წრე თაროების გასწვრივ.

— სად არის ჩემი საქონელი?

პეტრე თავს ისე გრძნობდა, ზღვის ტალღებში რომ მომწყვდეულა კაცი და ცურვა არ იცის. ბოლოს ამოილულლულა:

— აქ აღარ არის.

— აბა, სად არის? — იყვირა ცვიშენცალმა და შოლტი იმ ადგილზე დაჰკრა მაგიდას, სადაც სია იდო.

საწყობის გამგემ თავის ლამაზად დაწერილ სიას ხელი სტაცა, გაასწორა და ზურგს უკან დამალა.

— თუ შოლტის ტყლამუნს არ მოეშვებით, ერთ სიტყვასაც ვერ დაგვაცდენინებთ, — თქვა ამ დროს გველკაცამ, რომელსაც სახლის პატრონი ვერ მისწვდებოდა, მაგრამ მაინც უკან-უკან იხედა.

ცვიშენცალს სისხლი აუვარდა თავში. იგი ტანდაბალი, ხმელ-ხმელი, შავთმიანი. მოხდენილი მამაკაცი იყო. ორმოც წელს მიღწეულს ერთი ნაოჭიც კი არ ჰქონდა სახეზე. ქუსლებშიჭრილი, დაძაბული, შოლტმომარჯვებული იდგა და მოფარიაკვესა ჰგავდა. ნაცისტების გაბატონებამდე ღამის რესტორნის ადმინისტრატორი იყო. პატარა რესტორანში მკერდსავსე, მომხიბვლელი ახალგაზრდა კელნერი ქალები უკანასკნელ აფენიგს ახარჯვინებდნენ ავხორცა კლიენტებს.

ცვიშენცალის თხელტუჩა, მკაცრად მოხაზული პირი ბუკივით გამაყრუებელ ბგერებს გამოსცემდა:

<sup>1</sup> ეს ცხადია (ინგლ.).

-- სახლი გამიტეხეთ, გამძარცვეთ, კატორღაში ამოგაღობთ. თუ ახლავე არ დამიბრუნებთ საქონელს, ამერიკელებს გადაგცემთ! როგორც კი ამერიკელები ახსენა, ყველაფერი უკუღმა შეტრიალდა: ბიჭების გეგმა სწორი აღმოჩნდა. პეტრეს გული მიეცა და ჯიუტად თქვა:

— ალბათ თქვენც არ გჯერათ, რასაც ამბობთ. ამერიკელებს ჩვენთან რა ხელი აქვთ, რატომ უნდა გვეშინოდეს?

— ჩვენ არ გვეშინია! — დაიძახა გველკაცამ და უფრო მოხერხებულად მიეყრდნო ცარიელ თაროს.

ცვიშენცალი მიხვდა, ეს ბავშვები არც ისე სულელები იყვნენ. ხელები შოლტიანად ზურგზე დაიწყო, რამდენჯერმე გაიარ-გამოიარა და შეცვლილი ხმით იკითხა:

— ის მაინც მითხარით, სად არის ჩემი საქონელი?

გველკაცამ თავხედურად გაიღიმა:

— მშვიდად ბრძანდებოდეთ, საიმედო ალაგასაა.

პეტრე მხოლოდ იმაზე ფიქრობდა, რაც შეიძლება ჩქარა დასძრომოდნენ ამ კაცს ხელიდან.

ზუსტად თერთმეტ საათზე იოანე ამერიკელთა სამხედრო შტაბის ჰიმუარზე დიდ წერილს გააკრავს. ამერიკელებიც მანქანაში ჩახდებიან და წუთში გაჩნდებიან აქ. მაშინ ქრისტეს მოწაფეების საიდუმლო საზოგადოება საპნის ბუშტივით გასკდება. რაღაც არ უნდა დაუჯდეთ, აქაურობას უნდა გაეცალონ. სამწუხაროდ, აქ სიას ვეღარ დატოვებენ.

ცვიშენცალიც არ იდგა უქმად, ვითარება აწონ-დაწონა, შოლტი მაგიდაზე დაადო, სამივეს რიგრიგობით გადახედა და სანდომიანი, მაგრამ ოდნავ დადრეჯილი ღიმილით თქვა:

— თუ საქონელს დამიბრუნებთ, რასაც მოისურვებთ, იმას მოგცემთ.

ბიჭები ქვებივით დუმდნენ. გველკაცა, ვის სახეზეც ყველაფერს ამოიკითხავდით, სიხარულს ვერ მალავდა.

საწოლი ოთახის კარი ღია იყო. საკეტში გასაღები ჩანდა. პეტრე ისევ დაფიქრებული დადიოდა იქით-აქეთ, თითქოს ცვიშენცალის წინადადებას საგონებელში ჩააგდო.

— რამდენიც გენებოთ, იმდენი წაიღეთ, თანახმა ვარ. შოკოლადი, რაც გინდათ, თითო წყვილი ფეხსაცმელიც.



მოულოდნელად ცვიშენცალი საწოლ ოთახში შეაგდეს, იგი იატაკზე გაიშლართა. სანამ ფეხზე წამოდგებოდა, პეტრემ გასაღები გადაატრიალა და კარი ჩაკეტა.

ბიჭები დიდხანს მიქროდნენ ღამის წყვილიდში შარავზაზე. როგორც იქნა, მონასტრის ეკლესიას მიიღწიეს და კისრისტეხით დაეშვნენ კიბეზე. მთელი სარდაფი სავსე იყო საქონლით, ყველაფერი ერთმანეთში არეული ეყარა იატაკზე. დასახიჩრებული ქრისტეს ფეხთით ისე დაეხვავებინათ შარვლები, თითქოს მსხვერპლად შეეწიროთო. აღელვებისაგან მოწაფეები ლაპარაკს არ აცლიდნენ ერთმანეთს.

საწყობის გამგე მაშინვე ჩაცუცქდა ეკლესიის სკამთან, სია წინ დაიდო და წერა განაგრძო. „138 ფილა შოკოლადი“. გზაში გადაწყვიტეს სიაც სამხედრო შტაბის ჭიშკარზე გაეკრათ. ასე აჯობებდა. პეტრე ისევ უკარნახებდა შავად ნაწერი სიიდან. დრო არ ითმენდა. ყველა დუმდა. სიჩუმე მხოლოდ ლითოგრაფის შევირდმა იაკობმა დაარღვია, ზურგიდან მიუახლოვდა ჩაცუცქულს და ჩასჩურჩულა:

— ჯობდა ციფრები წითელი მელნით დაგეწერა. ბევრად უფრო ლამაზი გამოვიდოდა.

თერთმეტს რამდენიმე წუთი აკლდა, როცა გველკაცამ სიით ხელში დათქმულ ადგილას მიიბრინა. სამხედრო შტაბში მხოლოდ ერთი ფანჯარა იყო განათებული. შადრევნის კიბეზე, ბაროკოს სტილით ნაძერწ ერთ-ერთ ქანდაკებასთან იჯდა თეინიერი იოანე — რაღაც შეუცნობელი, ამ ქანდაკებასავით ნაცრისფერი და მისგან ძნელად გამოსარჩევი.

წებოწასმული აფიშა ფრთხილად ეჭირა ორივე ხელში. სანამ გველკაცა სიის კუთხეებზეც წაუსვამდა წებოს, იოანემ ჩასჩურჩულა:

— გუშავი ჭიშკარს არ სცილდება.

ამერიკელი ჯარისკაცი სახლის კედელს მიყრდნობოდა ჭიშკართან. დროდადრო სიბნელეში მისი სიგარეტის ცეცხლი ბუუტავდა. ბიჭები თვალს არ აშორებდნენ გუშავს. აი, თოფი ფეხებს შორის ჩაიდგა და ახალ სიგარეტს მოუკიდა.

— დავიჯერო, ამერიკელს საგუშავოზე თამბაქოს მოწევა არ ეკრძალება?! — ჩასჩურჩულა გველკაცამ იოანეს. — მივალ და

იცი, რას ვეტყვი, ქუჩის კუთხეში ქალი აგდია, იქნებ ავადაა, ან გული წაუვიდა-მეთქი. აი, ასე ვეტყვი.

გველკაცა ხმაამოუღებლად მივიდა გუშაგთან და ქუჩის კუთხისკენ ხელი გაიშვირა. სანამ ბიჭუნა ხმას ამოიღებდა, გუშაგი კედელს მოსცილდა და თქვა:

— You go home to bed<sup>1</sup>.

— I don't have a bed<sup>2</sup>, — მიუგო გველკაცამ და გუშაგისაკენ ნახევრად შებრუნებულმა ისე განაგრძო გზა, რომ ხელი კვლავ კუთხისკენ ჰქონდა გაშვერილი. გუშაგი ბიჭს უკან გაპყვა.

— Where do you live?

— In a cellar.

— It's eleven o' clock. About time for you. Your father will be worried, if you come home so late at night.

— My father is dead.

— Oh!

— He was a member of the International brigade.

— Was he? That's quite interesting<sup>3</sup>.

შენობა გრძელი იყო. გველკაცა გვერდით მიჰყვებოდა გუშაგს და მამის ამბავს უყვებოდა. გზაში რამდენჯერმე შეჩერდნენ, ხოლო როცა ქუჩის კუთხესთან მივიდნენ, ბიჭუნამ თქვა:

— And in his last letter he wrote that the Pope is supporting Franco<sup>4</sup>.

1 — შინ წადი, დაიძინე (ინგლ.).

2 — საწოლი არა მაქვს (ინგლ.).

3 — სად ცხოვრობ? (ინგლ.).

— სარდაფში.

— უკვე თერთმეტი საათია. ძილის დროა. მამაშენს შეეშინდება ამდენხანს რომ არ მიხვედი შინ.

— მამა მომიკვდა.

— ოჰ!

— ინტერნაციონალურ ბრიგადაში იბრძოდა.

— ესპანეთში იყო? საინტერესოა. (ინგლ.).

4 — ბოლო წერილში კი გვწერდა, რომის პაპი ფრანკოს მოკავშირეა (ინგლ.).



როცა სამსახურის დრო ამოიწურა, კაპიტანი რალფ ლიბენი შინ გასაგზავნი წერილების წერას შეუდგა და მხოლოდ თორმეტის თხუთმეტი წუთზე გამოვიდა შტაბიდან. კაპიტანმა რამდენიმე ნაბიჯი გადადგა, მაგრამ მაშინვე მობრუნდა: ჭიშკარზე რაღაც შენიშნა.

სია მოზრდილი აფიშის ქვეშ მიეწებებინათ. აფიშას ნახევარი კარი ეჭირა (გველკაცამ წინადადება შეიტანა წერილი ასე დაეწყოთ: „Dear General“<sup>1</sup>, მაგრამ მხარი არავინ დაუჭირა). აფიშაზე სიტყვა-სიტყვით ეწერა შემდეგი:

„21 ივლისი, 1946 წ.“

მშვიდობიანი ცხოვრების მეორე წელი.

ამერიკელთა პატივცემულ სამხედრო ადმინისტრაციას

ჩვენი წმინდა ვალია შეგატყობინოთ, რომ ეს მამაძალი ცვი-შენცალი ნაშუსგარეცხილი სპეკულანტია. ამ საღამოს რვიდან თერთმეტ საათამდე მის სახლში შევიპარეთ და მთელი საწყობი გამოვუცარიელეთ. ჩვენ სამართლიანობის დამცველნი ვართ: რაც ცვიშენცალს წავართვით, ღარიბთა შორის უღარიბესთ დაგურიგებთ უფასოდ და თვითონვე მივუტანთ სახლებში. ჩვენ ვიურცბურგელები ვართ, გვაქვს საკუთარი საიდუმლო დაზვერვა და, ცხადია, ამერიკელთა პატივცემულ სამხედრო ადმინისტრაციაზე უკეთ მოგვეხსენება, ვის ენატრება ლუკმაპური. ეს დღესავეთ ნათელია. თუ ამერიკელთა პატივცემული სამხედრო ადმინისტრაცია დღეს საღამოს თერთმეტი საათის შემდეგ ჰიმელსპფორტენგასეს ნომერ 28 სახლს მიადგება, რვავე თარო ცარიელი დაზვდება. რასაც ამერიკელთა პატივცემულ სამხედრო ადმინისტრაციას ვატყობინებთ, წმინდა წყლის ჭეშმარიტებაა. ამის დასასაბუთებლად სპეკულანტი ცვი-შენცალისაგან წამოღებულ ამერიკულ სიგარეტებს ამერიკელთა პატივცემულ სამხედრო ადმინისტრაციას მივართმევთ. სამწუხაროდ, ნიღაბს ვერ მოვიხსნით, რადგან ჩვენი საზოგადოება აბსოლუტურად საიდუმლო და არალეგალურია.

ქრისტეს მოწაფეების სახელით  
დედანს ხელს აწერს პ ე ტ რ ი.

<sup>1</sup> ძვირფასო გენერალო! (ინგლ.).

გსარგებლობ შემთხვევით და გაცნობებთ, რომ ცვიშენცალი იმ სახლში სულ მარტო ცხოვრობს. აქვს სამი ოთახი, სამზარეულო და საპირფარეშო. როგორ მოგწონთ ეს ამბავი მაშინ, როცა ათასობით ადამიანმა არ იცის, ღამით სად მიდოს დაღლილი თავი.

პ ე ტ რ ე

კაპიტანმა ლიბენმა ჯერ კიდევ სველი აფიშა და სია ჩამოგლიჯა და შენობაში შებრუნდა. (ორი დღის შემდეგ მოწაფეებმა გაზეთში წაიკითხეს, რომ ცვიშენცალი დააპატიმრეს).

იაკობი და მნათეს შვილი, მოწაფე ბართლომე, ისევ ბერთა სასაფლაოზე იყვნენ. ბიჭები საფლავის ქვასთან, მრუმე ჩრდილში ჩამოსხდნენ. მთვარის შუქზე სვამოდებული კედელი მწვანედ ხასხასებდა. ირგვლივ არაამქვეყნიური სიჩუმე სუფევდა. ბიჭები ერთმანეთს ვერ უმხელდნენ, რომ ასე გვიან შინ მისვლისა ეშინოდათ.

— სულ არ მედარდება, რამდენიც უნდა, იმდენი იყვიროს, ახლავე მივდივარ, — თქვა იაკობმა, მაგრამ ადგილიდან არ დაძრულა. მხოლოდ წარმოიდგინა, რა შეუმჩნეველად შეძვრა ლოგინში. ბოლოს ბართლომე წამოდგა და ამოიოხრა:

— სხვა გზა არაა, რაც უფრო დავაგვიანებთ, მით უარესია.

ორი უზარმაზარი ზარი სამრეკლოს ჩამონგრევამდე მოსწყდა და მუყაოს ყდასავით გააბრტყელა მინაშენი პატარა სახლი, სადაც მნათე ცხოვრობდა. მას შემდეგ იგი მონასტრის სამრეცხაოში გადაბარგდა. მნათეს და მის ცოლს ეძინათ ტანსაცმლის უზარმაზარ, გაპრიალებულ, ყავისფერ კარადაში, რომელიც ბეტონის იატაკზე წაექციათ. კარადის კარი მაგიდის მაგივრობასა სწევდა. სანამ ბართლომე თითის წვერებზე ბნელ დერფთანში შეიპარებოდა, აიაზმის სასხურებელში თითები ჩაყო და პირჯვარი გადაიწერა.

იაკობი ჯერაც გზაში იყო. მამამისმა თავისი დანგრეული სახლის კარებისაგან რის ვაი-ვაგლახით შეაკოწიწა საღურგლო და სარდაფის კუთხეში, სადაც ორი კაპიტალური კედელი შერჩენილიყო, პაწაწინა აგურის სახლი ააშენა, — ესე იგი, მხოლოდ ორი კედელი ამოიყვანა და გადახურა. ცოლ-ქმარი მაგიდასთან იჯდა და შვილს ელოდა. ცოლმა თქვა:

— ოღონდ ბავშვს ნურაფერი შეემთხვევა და... თუ დაბრუნდა, ხელი არ ახლო, იცოდე! ოღონდ ნურაფერი შეემთხვევა!..

იაკობის ხუთი წლის დას ეძინა. იქვე, ფანჯრის რაფაზე ვერცხლისფერი ვარსკვლავებით მოხატულ ლურჯ ქაღალდზე ფორთოხლის გამზმარი ქერქი ეყარა.

იაკობმა სირბილს უმატა. ღამის, მყუდროება ზარავდა. ქვადორღს — ოდესღაც სახლებს, ქუჩებსა და ქალაქს — თითქოს ათასწლოვანი სამარისებური სიჩუმე დაუფლებოდა. ერთადერთი გადარჩენილი სულდგმული კედელ-ყურესთან შეჩერდა და ფანჯრის მკვდარ ღიობში შეიჭყიტა. სარდაფში შეყუჟულ პატარა სახლში უშუქი ენთო. იაკობი განწირული კაცის შემართებით ჩავიდა კიბეზე.

## V

ყავისფერი ფარდა ხის ქოხს ორ პაწია ოთახად ჰყოფდა. ფარდის უკან ძლივს ეტეოდა მარტინის სამგზავრო საწოლი. რუთს კოთახში ეძინა ბიდერმაიერის<sup>1</sup> კანაპეზე<sup>2</sup>. კანაპეს პირდაპირ ვიწრო და მაღალი წიგნების თარო იდგა. მეტისმეტად დიდი, ლურჯი ჩინური ხალიჩა სამფად იყო დაკეცილი: იაკობის მამამ წინა კედელში ფანჯარა გაჭრა და გამოხერხილი ფიცრიდან დარაბა გააკეთა, რომელიც შიგნიდან ურდულით იკეტებოდა. ფანჯარას მინა არ ჰქონდა. ქოხის უკან მდებლობზე თითბრის ონკანიანი წვრილი მიწა ერთი მეტრის სიმაღლეზე ამოჩრილიყო.

რუთი და მარტინი ერთმანეთს იშვიათად ხედავდნენ. მარტინი ღამით მუშაობდა, საღამოს რვა საათიდან დილის რვა საათამდე. როდესაც სამუშაოდან ბრუნდებოდა, რუთი, ჩვეულებრივ, შინ აღარ ხვდებოდა. მარტინმა სთხოვა თავის კოლეგას, რუთი გაესინჯა; ყოველ შემთხვევაში, ვნახოთ, იქნებ მკურნალობა სჭირდებოდეს. დოქტორმა გროსმა გულდასმით გასინჯა ქალი და ღიმილით განაცხადა:

1. XIX საუკუნის პირველ ნახევარში გერმანიისა და ავსტრიის ხელოვნებაში ვამეფებული სტილი (გერმ. *der Biedermeierstil*).

<sup>2</sup> პატარა დივანი, რომელსაც ერთი მხარე ცოტათი აწეული აქვს. (ფრანგ. *canapé*).

— ერთადერთი, რაც მას სჭირდება, გაძლიერებული კვებაა, შავრამ, სამწუხაროდ, ჩვენს პირობებში ეს შეუძლებელია.

— მაღლობა ღმერთს, ამ მხრივ საქმე არც ისე ცუდადაა, — უპასუხა მარტინმა. — უჩინარმა ქრისტეს მოწაფეებმა უკვე სამჯერ შემოგვიგდეს სურსათ-სანოვანა. ახლა ნუგბარს არ იკითხავ? შოკოლადიც კი მოგვართვეს! ყველაფერი თითქოს ციდან ცვიოდეს. გეგონება, ქონდრისკაცები გვიმართავდნენ ხელს.

მარტინმა ონკანს თავი შეუშვირა და წყალი მოუშვა. როცა გაწუწული ქონისაკენ წამოვიდა, დაინახა, კედელზე ცარციით რაღაც ეწერა. „შენსავე ქონში გამოგზუგავთ, იმიტომ რომ ებრაელ ღორთან გძინავს“.

რუთი ციხის თხრილს მიადგა. ძველ გალავანს საუკუნეთა მანძილზე უამრავი ქვა მორღვეოდა და იქვე ბალახში ეყარა. ირგვლივ მაყვლის ბუჩქები, წელამდე აყრილი ჭინჭარი და ვარდისფრად აყვავებული ნარშავი მომრავლებულიყო. აქაურობას მხოლოდ პატარა ბავშვები და წამოყვინჩილებული ბიჭები ეტანებოდნენ. პატარებს კენკრა იზიდავდა, ბიჭები კი გავერანებულ ადგილას ფათერაკს ეძებდნენ. ამ ფუტკრებისა და პეპლების საუფლოში სხვას იშვიათად შემოუდგამს ფეხი. რუთმა უზარმაზარი კვრინჩხის ჩრდილში მოიკალათა. ბუჩქმა კარგა ხანია დაიყვავილა. კენკრა წითლად ეღვარებდა მზეზე.

პეტრეს მეგობარს, კათარინას, რომელიც იქვე მეზობლად, ლონგასეზე ცხოვრობდა, კალათა ქუდივით ჩამოეფხატა თავზე და სახელური ნიკაპზე ამოედო. გოგონა ფეხშიშველა იყო, ჩუმად მიაბიჯებდა ხშირ ბალახში. ბუჩქს რომ შემოუარა, შეშინებული ერთ ადგილას გაშეშდა და გულზე ხელი მიიდო:

— ღმერთო დიდებულო, კაცი რომ ყოფილიყავით, შიშით გული გამისკდებოდა. კვრინჩხის მოსაკრეფად მოვედი.

თერთმეტი წლის გოგონას ნათელი, მოცისფრო-ნაცრისფერი თვალები, ალაგ-ალაგ გამონუნებული, მუქი ქერა თმა და მზედაკრული, ვაშლივით მრგვალი სახე ჰქონდა.

კათარინამ კალათი მიწაზე დადო და წითელი კენკრის კრეფა დაიწყო.



— სხვებსაც რომ გაეგოთ, რამდენი კვრინჩხა იცის აქ, ეს ბუჩქი კარგა ხნის გაძარცული იქნებოდა. მაგრამ კრეფის დროს დიდი სიფრთხილეა საჭირო, თორემ ეკალი დაგჩხვლევს.

რუთი თვალს არ ამორებდა გამხდარ გოგონას. როცა კათარინა კენკრას ვერ წვდებოდა და ბუჩქს ებოტინებოდა, გახუნებული ლურჯი კაბა მუხლებს ველარ უფარავდა.

— ბიჭების სულ არ მეშინია. ალბათ არ დამიჯერებთ, ბევრ ბიჭზე უფრო სწრაფად დავრბივარ. აი, კაცებისა კი მეშინია. რა თქმა უნდა, ქალაქში არა. მაგრამ აქ, ციხის თხრილთან ან ტყეში რომ ვინმე შემხვედროდა, ღმერთო დიდებულო, იცოცხლე, მოგკურცხლავდი. — გოგონამ რუთს გაუღიმა. — მეც არ ვიცი, რატომ. იქნებ არც არაფერი დამიშავონ. მაგრამ მე მაინც მეშინია.

რუთს მოეჩვენა, თითქოს ეს გოგონა გვერდით უწევს, თავი მის მკერდზე მიუდვია და სძინავს.

როცა კალათა აივსო, კათარინა გვერდით მიუჯდა რუთს.

— იციო, როგორ კეთდება კვრინჩხის მურაბა? დედაჩემი ამბობს, სანამ გააკეთებ, სული ამოგხდებო. — კათარინამ ცერის ფრჩხილებით ერთი კენკრა გახლიჩა და რუთს ბუსუსებით დაფარული, ღიაყვითელი წიბწა აჩვენა. — საშინლად წვავს ხელებს. პირდაპირ აუტანელია. წიბწას, ცხადია, გამოაცლით. მერე ჩენჩოს რამდენიმე საათს ხარშავთ. მოდულეებულ ფაფას წმინდა საცერში გაატარებთ, მერე ისევ ხარშავთ და კიდევ ერთხელ გაატარებთ საცერში. მართლაც გულის გამაწყვალეებელია! ბოლოს თითქმის აღარაფერი გრჩებათ, მაგრამ თუ არასოდეს გიჭამიათ, ვერც წარმოიდგენთ, რა გემრიელია კვრინჩხის მურაბა, განსაკუთრებით ფუნთუშას თუ შეატანთ. პირდაპირ თითებს ჩაიკვნეტო.

კვრინჩხის წითელი კანი შუათითის ფრჩხილზე დაიდო და რუთს აჩვენა.

— ხომ ლამაზია? კვრინჩხის კანი შეიძლება დაიწებოთ ფრჩხილებზე, და ისე გექნებათ, თითქოს წითელი ლაქით შეგიღებიათ. ალბათ, თქვენც გეშინოდათ კაცებისა, როცა პატარა იყავით, არა?

რუთმა თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია.

კათარინა და რუთი ქალაქისაკენ დაეშვნენ, ხიდი გაიარეს და ოთხკავლიან შადრევანს მიუახლოვნდნენ.



— ეს ფილიბეს დაა. — თქვა გველკაცამ. — დიდებულად არ მოვუწყვე შეხვედრა საქმროსთან! Quite a surprise!

— რამდენი საქმელი ჩავაყარეთ და ეს კი ისევ ისეა მიკნაგებული, მშიერ ბედურასა ჰგავს, — უკმაყოფილოდ თქვა საწყობის გამგემ.

— ალბათ საროსკიპოს შემდეგ არც ისე ადვილია გამობრუნება, — უპასუხა ჩაფიქრებულმა გველკაცამ. — ნეტა რა არის საროსკიპო?

— თურქული ფუნდუკია, სადაც არფაზე უკრავენ... ფეხსაცმელი კი მართლაც სჭირდება.

რუთის ოდესღაც თეთრ ფეხსაცმელს ქუსლები მოსცვეთოდა. კათარინამ რუთს მკლავში ხელი მოჰკიდა და ნაქსოვ ვარდისფერ კოფთანზე მიკერებულ ღილებს დააკვირდა.

— მადლობა ღმერთს, ღილები გახვრეტილია. თუ ზემო ღილი არ დაგიკარგავთ, ძაფი გავუყაროთ და დავამაგროთ. ნემსი მაინც არ იშოვება.

ოთხჭავლიანი შადრევნის ქვის კიდეზე სამი ბიჭი ჩამომჯდარიყო. ერთმა თქვა:

— ხედავთ, ფროიდენჰაიმი, ებრაელი კახბა მოდის. ეს-ეს არის საროსკიპოდან გამოვიდა. — ბიჭი ძირს ჩამოხტა და რუთს გზა გადაუღობა.

— რამდენს იღებ? — რუთს უნდოდა თავი აერიდებინა, მაგრამ ბიჭი მხრებში სწვდა. — რამდენს იღებ-მეთქი, შე ბინძურო ურია?

— ხელი გაუშვი! — დაუყვირა საწყობის გამგემ და სპორტულ კურტაკში გამოწყობილ ბიჭს ეძგერა. ბიჭმა სახეში მუშტი სთხლიშა. ამ დროს გველკაცა ერთი ნახტომით ბიჭს ზურგზე მოაჯდა და ორივე ხელით კისერში ჩააფრინდა. კურტაკიანს ამხანაგები მიეხმარნენ და საწყობის გამგესა და გველკაცას დასცხეს. კათარინას კალათა ხელიდან გაუვარდა. წითელი კენკრა ტროტუარზე გაიფანტა. მართალია, საწყობის გამგე ჩაქუჩივით უშენდა მოწინააღმდეგეებს მუშტებს და მიწაზე გაშხლართული გველკაცაც მაგრად იქნევდა წიხლებს, მაგრამ თვრამეტი წლის სამმა აყლაყულამ ორივეს

<sup>1</sup> რა სიურპრიზი იყო (ინგლ.).

შავი დღე აყარა. როდესაც უთანასწორო ბრძოლა დამთავრდა, გველკაცას მკვდრისფერი ედო და ცხვირ-პირიდან სისხლი სდიოდა.

კათარინამ გაცოფებულ კატასავით შეუბღვირა კურტაკიან ბიჭს და მოულოდნელად კალათა სთხლიშა სახეში. გოგონას წამწამებზე ცრემლი დაეკიდა. ამ ცემა-ტყევის დროს რუთი გულგრილად დასცქეროდა მიწას. შემდეგ კალათა აიღო და კენკრას დაუწყო აკრეფა.

შინ დაბრუნებულმა რუთმა — ქალაქში თავისი პირველი სასურსათო ბარათების მოსატანად იყო წასული — ვარდისფერი კოფთა და პერანგი გაიხადა და ჩამძვრალი შავი ქვედატანი ისევ დაიმაგრა წელთან. სხეული ნაზი და მოქნილი ჰქონდა. ოდნავ ამობურცული ძუძუებით პატარა გოგონას ჰგავდა. კოფთა და პერანგი ონკანზე გარეცხა, მზეზე გაფინა და იქვე აქლემის მატყლის საბანზე წამოწვა. საბანს მხოლოდ ღამით, ისურავდა.

გარეცხილი ტანსაცმელი ჯერ კიდევ შრებოდა, როცა მარტინი გორაკზე ამოვიდა. შაბათი დღე იყო, თანაც დღის ორი საათი, ის კი კვირა საღამომდე თავისუფალი იყო. საბანში გახვეული რუთი გაუნძრევლად იჯდა. მარტინმა ბალახზე გაფენილ ტანსაცმელს მოჰკრა თვალი. იცოდა, რუთს გამოსაცვლელი არაფერი ჰქონდა, ახლოს არც მისულა. ქოხის წინ ბალახზე წამოწვა და რამდენიმე წუთში კიდევ ჩაეძინა. ის, რაც სიზმარში ნახა, ოდნავადაც არ ჰგავდა ზღაპრულს ან ფანტასტიკურს. სიზმარმა ისევე შეაძრწუნა, როგორც სინამდვილემ... საროსკიბოს პატარა ქუჩკიან ოთახში ჯარისკაცი შედის და რუთს ეუფლება. რუთი შიშველია. მარტინი ცხადად ხედავს მის სახეს. შემოდის მეორე, ისიც იკმაყოფილებს უინს. გარეთ კი რიგი დგას. შემდეგი... რუთი თითქოს უსულო საგანია. ისტუმრებს ერთს და სანამ მეორე მოვა, სულს ითქვამს. მისი სახე ამ დროსაც ისეთივე არაფრისმთქმელი და გაქვავებულია, როგორც მამაკაცის გვერდით. უეცრად მარტინის სული მეწამული ზოლებით დასერილმა ნათელმა განაცისკროვნა და ჩურჩულში გამოელვია: „არა, ეს რუთი არ არის“. სანამ ფეხზე წამოდგებოდა, ზემთაგონებული მზერა სადღაც შორს მიაპყრო იმ კაცივით, რომელმაც ეს წუთია საკუთარ თავს სძლია და ჩურჩულით იმეორებდა გაწამე-

ბული სულის დამაამებელ სიტყვებს: „არა, ეს რუთი არ არის.“  
მარტინს რუთი მიუახლოვდა. ხელზე საბანი გადაეკიდა: მისი  
სახე ახლაც ისეთივე არაფრისმთქმელი და გაქვავებული იყო, რო-  
გორც საროსკიპოს ჭუჭყიან ოთახში. რუთი მარტინს მიესალმა და  
ქოხში შევიდა.

— არა, ის სხვა იყო, და მე არა მაქვს უფლება სულმდაბლობა  
გამოვიჩინო.

დღემდე ისინი მხოლოდ აუცილებელ შემთხვევაში ლაპარაკობ-  
დნენ. ორივენი იმ კაცსა და ქალს ჰგავდნენ, ხეირიანად რომ არც  
კი იცნობენ ერთმანეთს და კიბეზე შეხვედრის დროს მეზობლური  
სალმის მეტი არაფერი აკავშირებთ. მარტინი რუთს სახლში  
შეპყვა და უთხრა, მთელი დღე თავისუფალი ვარო. რუთმა ჩაი-  
აადულა, ძეხვი დაჭრა — ყველაფერი ეს ცვიშენცალის საწყობი-  
დან იყო წამოღებული — და კანაპეს წინ. დაბალ მაგიდაზე ფინჯ-  
ნები და თევზები დაალაგა.

რუთმა საჩვენებელი თითი ჩაიდნის ხუფს შეაშველა და ჩაი-  
დაასხა. მარტინი თვალს არ აშორებდა თლილთითებიან ხელს,  
რომლის მოძრაობაშიც ქალის სხეულის სინატიფე იგრძნობოდა,  
და უნებურად წამოსცდა:

— ყველაფერი მოგვარდება, რუთ. — მაგრამ დაუოკებელი  
გრძნობით გამთბარი მზერა მინას წააწყდა.

რუთმა მეორე ფინჯანიც პირამდე გაავსო, ჩაი დაიშაქრა, დაჯდა  
და თითქოს უნდოდა ერთხელ და სამუდამოდ აეხსნა ვაჟისთვის,  
რატომ ვეღარ მოგვარდება ვერაფერიო, მშვიდად თქვა:

— ისინი ათასები იყვნენ, მარტინ.

მაგრამ მარტინი ახლად გაღვიძებული გრძნობის ტყვეობაში  
შოექცა და გულში ჩამწვდომი ხმით უთხრა:

— ამ შემთხვევაში, რუთ, ამ შემთხვევაში ათასები ერთზე ნა-  
კლებია.

რუთი სიცარიელეს მიაჩერდა. მის სახეზე რაღაც ღიმილისმაგ-  
ვარი გამოკრთა. ამ ღიმილს არც სიმწარე ახლდა და არც სევდა. იგი  
თითქოს დასცინოდა ადამიანს, რომელიც გაგიჟდა და არ ესმის, რომ  
იმ ჯოჯოხეთში განცდილს ვერავითარი ძალა ვერ აღმოუხვრის.

— ჩემს ადგილას სხვა, ალბათ, თავს მოიკლავდა. ჩემთვის ყველაფერი სულ ერთია, — აღმოხდა ბოლოს რუთს.

ბალახი ხშირი იყო და ნაბიჯები ვერ გაიგონეს. მოულოდნელად ზღურბლზე ფრაუ ჰონერი და მესაათე კრუმბახი გამოჩნდნენ. ორივენი მარტინთან მკურნალობდნენ და ყოველ შაბათს მოდიოდნენ. რუთმა ონკანზე ფინჯნებს წყალი გამოავლო, ჩაი ხელახლა აადუღა და პური და ძეხვი დაჭრა.

— ქრისტეს მოწაფეებმა მოგვართვეს, — თქვა მარტინმა და ძეხვი მოხუცებს მიაწოდა. ყველაფერი ისე იყო, თითქოს ახალგაზრდა ცოლ-ქმარს სტუმრები ეწვივნენო.

შშიშარა ქვრივმა მესაათეს სთხოვა, ყავასა და ფეხსაცმელზე კრინტი არ დაეძრა, ვინ იცის, ამას რა მოჰყვებო.

— ეტყობა, ქრისტეს მოწაფეებს დავავიწყდით, — თქვა ჰონერმა, — იმედია, როდისმე ჩვენც მოგვიტანენ რამეს.

მესაათემ თავი გადააქნია:

— გაგონილა ამგვარი რამ ჩვენს დროში! — მეტის თქმა ველარ გაბედა.

სანამ მარტინი ფრაუ ჰონერს სინჯავდა, რუთი და მესაათე ქოხს უკან ბალახზე ისხდნენ. მოხუცი დიდხანს დუმდა, ბოლოს კი თქვა:

— ჯერ ახალგაზრდა ხართ. მთელი ცხოვრება წინ გიდევთ. დამიჯერეთ, დრო საუკეთესო მკურნალია.

რუთმა გულგრილად უპასუხა:

— ამ ქვეყანაზე ორჯერ არავინ იბადება.

ქალაქგარეთ შუა საუკუნეების ციხე-დარბაზის ნანგრევებს შორის, კვრინჩხის ხშირ ბუჩქნარში ციხის კოშკილა ჩანდა. ოდესღაც აქ მძარცველი რაინდი მბრძანებლობდა, ამ ნაშუადღევს კი ოციოდე ახალგაზრდას მოეყარა თავი, მათ შორის ისინიც იყვნენ, ვინც საწყობის ვამპე და გველკაცა მიბეგვა. ახალგაზრდები გაჭირმულნი იდგნენ ყოფილი ესეხელი კაპრალის, ქრისტთან შარფის წინ. შარფს მკერდზე სამხედრო ორდენები ჩამოეკონწიალებინა.

ვიურცბურგის სახალხო სკოლის მასწავლებლის ვაჟი, მწითური, ბრგე, ოცდაოთხი წლის ქრისტთან შარფი, ინსტრუქციებს ესეხელი



ლეიტენანტის ზივფრიდ კაბუსისგან იღებდა, კაბუსს კი დაშიფრულ ინსტრუქციებს მიუწვდნელი ესესელი მაიორი ბლიუმე უგზავნიდა შიკრიკის ხელით. მათ მიზნად დაისახეს ყველა ქალაქსა და პროვინციაში კვლავ აღედგინათ ჰიტლერული ახალგაზრდობა, შიკრიკების მეშვეობით კავშირი დაემყარებინათ ცალკეულ ჯგუფებს შორის, შეეგროვებინათ იარაღი და ასაფეთქებელი ნივთიერებანი, გამოეწვიათ საბოტაჟი, გაედვივებინათ ანტისემიტიზმი, სიძულვილი ამერიკელთა საოკუპაციო ჯარების მიმართ და მზად ყოფილიყვნენ „იმ დღისათვის“.

ქრისთიან შარფი ვიურცბურგის ჯგუფის შეკრებას ატარებდა. მან ჯერ მოკლე სიტყვით მიმართა დამსწრეთ (ყველაფერი უცვლელი რჩება — „ძირს ებრაელები. გაუმარჯოს გერმანიას!“). შემდეგ კი იმ სამს, ვინც საწყობის გამგე და გველკაცა მიბეგვა, დაავალა, ღამით ცეცხლი წაეკიდებინათ მარტინის ხის ქოხისათვის. მერე ორდენები ჩამოიხსნა, ჯიბეში ჩაიღო და ყველანი ქალაქისაკენ გაემართნენ.

მათ ჯგუფის ყველაზე ახალგაზრდა წევრი პეტრე შეუერთდა. იგი მახლობელ ბორცვზე იდგა საყარაულოდ. პეტრემ თავისი საიდუმლო მხოლოდ იოანეს, ძველი სოციალისტის შვილს გაანდოდა, როცა შარფთან შეკრებაზე მიდიოდა, ყოველ შემთხვევისათვის, ხისტარიანი დანა ედო ჯიბეში.

როგორც კი დაღამდა, მოწაფეები დაიმაღლნენ არყის ხის წარაფში, წარაფის პირას მარტინის ქოხი იდგა. ხშირ ბუჩქნარში ჩაცუცქულებმა ჯოხები მოიმარჯვეს. იოანე ბებერ პანტის ხეს ამოეფარა.

შუალამეს გადაცილებული იყო, როცა სამნი ქურდულად აბობლდნენ ბორცვზე. იოანემ ხელი ასწია. ბიჭები წამოცვივდნენ.

— ჯერ ადრეა, — წასჩურჩულა მათ პეტრემ.

იმ სამს ხის ტარზე წამოცმული, მაგარად შეკრული, ექვსი ცეცხლმოკიდებული ნამჯის კონა უმინო ფანჯრიდან ქოხში უნდა შეეგდო. ნამჯა წითლად აბრიალდა. პეტრემ ამხანაგებს ნიშანი მისცა. ბიჭები ჩუმად გამოცვივდნენ წარაფიდან და ქოხს ორივე მხრიდან შემოუარეს. წარაფში დარჩენილ პეტრეს გარკვევით ესმოდა ხან ტკივილისაგან გამწარებული სამეულის ყვირილი, ხანაც მათ თავზე ხელკეტების მაგარი, ყრუ ხათქახუთქი. მომხდურნი თავი-



რის მტკრევით დაეშვნენ დაღმართზე. მოწაფეებმა კი სასწრაფოდ წარაფს შეაფარეს თავი.

ქოხში ფანჯრიდან მხოლოდ ერთი აღმოდებული ნამჯის კონა შევარდა და რუთის საწოლის წინ დაეცა. მარტინმა ფიცხლავ გასწია ფარდა და ცეცხლი ფეხით ჩააქრო. შემდეგ გარეთ გავარდა და ირგვლივ მიმოიხედა. ახლომახლო კაციშვილი არ ჩანდა; პეტრემ ასეთი განკარგულება გასცა.

რუთს ღამის პერანგი არ ჰქონდა. როცა მარტინი ქოხში შებრუნდა, ქალი საბანში ჩაიმალა. მარტინიც ხელით იმაგრებდა გაღვლილ პიჯამას.

— ახლა კი უნდა გადავიდე აქედან, — თქვა რუთმა. ვაჟს მოეჩვენა, თითქოს ქალს გაეღიმა.

მარტინს ამ სიტყვებისათვის ყურადღება არ მიუქცევია, მხოლოდ მკრთალი ღიმილი ენიშნა. ანაზღად შვება იგრძნო. დაუოკებელ სურვილს დაემორჩილა და ქალისაკენ დაიხარა. რუთმა უარის ნიშნად ხელი ასწია. სახე ისევ გაქვავებოდა.

მარტინი სკამზე ჩამოჯდა და ხელზე ხელი დაადო. რუთმა თვალები მილულა. ახალგაზრდა კაცი ისე იჯდა მის სასთუმალთან, თითქოს ღამეს უთევსო განუკურნებელი სენით დაავადებულ ადამიანს. რამდენიმე წუთის შემდეგ ქალს სუნთქვაზე შეეტყუო, რომ ჩაეძინა. გულაჩუყებული მარტინი მის შიშველ, გამხდარ მკლავებს დაჰყურებდა და გრძნობდა, როგორ გათბა, გამოცოცხლდა მის ხელში ქალის ხელი.

მეორე დღით რუთი იოჰანასთან წავიდა. მდინარეს სქელი, ფაფუკი ნისლი გადაფარებოდა, ნისლი აქა-იქ მზის პირველ სხივებს გაებო. დროდადრო წყლიდან თევზები ხტოდნენ. გრილოდა.

იოჰანა გაუნძრევლად იდგა სარკესთან, მაგრამ სარკეში თავის თავს კი არა, სტივს ხედავდა. ეს-ეს არის დაესიზმრა: საღამოა. ისინი ქოხის წინ დგანან. დამშვიდობებისას სტოვი მისკენ დაიხარა. ამჯერად ქალიშვილმა კოცნის ნება დართო.

ნაბიჯები რომ მოესმა, იოჰანა შეკრთა და გაინაბა. არა, ის არ არის. ქალიშვილმა ერთდროულად იმედგაცრუებაც იგრძნო და შეეხატა. არა უშავს რა, სტივი ალბათ კიდევ მოვა. ჯერ ყველაფერი წინაა.

რუთი საწოლზე ჩამოჯდა. იოჰანა ქოხს ალაგებდა, რუთს სტივთან შეხვედრის ამბავს უყვებოდა და, ცოტა არ იყოს, ზედმეტად ფუსფუსებდა.

— მოულოდნელად გამომეცხადა ტირიფის ბუჩქებიდან. თითქმის შიშველი ვიყავი. ტანზე რაღაც მეცვა, მაგრამ ეს არ იყო ნამდვილი საბანაო კოსტიუმი. რომ დამინახა, საშინლად დაიბნა. მართლა დაიბნა. ასე რომ არ ყოფილიყო, უთუოდ გავაგდებდი. დამიჯერე, ის ჩემთვის არაფერს არ წარმოადგენს. მე ხომ იგი მხოლოდ ერთხელ ვნახე. მხრებამდე ძლივს ვწვდები. მაგრამ, გესმის... თვითონაც არ ვიცი. იქნებ იმიტომ, რომ ასეთი უბრალოა. ისეთივე უბრალო, როგორც აი ის ხე. რატომღაც ადვილად მიენდობი. — უეცრად იოჰანა მეგობარს მიუბრუნდა. — და მაინც შემეშინდა. უცნაურია, არა?

რუთმა იოჰანასაც ისე დაუქნია თავი, როგორც მაშინ, თხრილთან, კათარინამ რომ ჰკითხა. შენც ხომ არ გეშინია კაცებისო.

რუთი ფიქრით წარსულს, უმანკოების სამოთხეს დაუბრუნდა. თუ ხელმოჭრილი კაცი ზოგჯერ კიდევა გრძნობს მოკვეთილი ხელის ტკივილს, რუთისათვის ეს გრძნობა უცხო იყო და გაუგებარი.

იოჰანა საწოლზე ჩამოჯდა და ბავშვობის მეგობარს ლოყა ლოყაზე მიადო. რუთმა იცოდა, ეს აღერსი მას არ ეკუთვნოდა. იოჰანას ხელი მოხვია და უთხრა:

— იქნებ ყველაფერი კეთილად დამთავრდეს.

— აჰ, რუთ! რუთ! ვერ გამიგია, რა მომდის. მაპატიე, გეთაყვა, საშინელი ეგოისტი ვარ.

როცა რუთი შინ დაბრუნდა, მარტინი ქოხთან ახალგაზრდა კათოლიკე მღვდელს ელაპარაკებოდა. რუთმა მათ თავი აარიდა და ქოხის უკან, ბალახზე დაჯდა.

მაღალი, გამხდარი, შავსუტანიანი მღვდელი მარტინის ხნისა იქნებოდა. ყვრიმალებს ქვემოთ ბრტყელ ლოყებზე წითელი ლაქები აჩნდა.

მღვდელმა თვალები დახარა და თქვა:

— ისევ გიმეორებთ. ამ ქალიშვილთან ერთად ცხოვრება მძიმე დანაშაულია და ამით წმიდა ეკლესიის მიერ დადგენილ კანონებსა ბღალავთ. მორალური თვალსაზრისითაც, ხალხს ძალიან ცუდ მაგალითს აძლევთ.

მარტინმა მღვდელს თვალი აარიდა, მიწას დააშტერდა, ზედა ტუჩი აჭიმა, გრძელი კბილები გამოაჩინა და გესლიანად გაიღიმა:

— ნუთუ იმაზე არ ვიფიქრიათ, რომ მთელი ხალხი, თითოეული ჩვენგანი, მორალურად დამნაშავეა რუთის წინაშე? ნუთუ შესაძლებლად მიგაჩნიათ, გერმანელი ხალხის მორალური გამოჯანსაღება, სანამ გერმანელები საკუთარი ბოროტმოქმედების მსხვერპლთა ჯვარს აცვავენ? თქვენ გინდათ, რუთი ქუჩაში გავადო, თუმცა ახლანდელ პირობებში ეს მისთვის სიკვდილს უდრის. თქვენ ეს გინდათ, თუმცა ჩვენ, სახელდობრ, გერმანელებმა, თითოეულმა ჩვენგანმა, მეც და თქვენც ჩვიდმეტი წლის უმანკო გოგონა საროსკიპოში გავგზავნეთ. მაშ, ნება მომეცით, სულიერ მამას ერთი რამ გკითხოთ: რუთი რომ ქრისტესთან მისულიყო და მის წინ დამდგარიყო, რას იზამდა ქრისტე?

მღვდელმა თავი დახარა. ისედაც წითელი ლოყები კიდევ უფრო აელანდა. იგი ჯერ ახალგაზრდა იყო. მოტრიალდა და წავიდა.

## VI

ფრაუ ჰონერის სარდაფის დამტვრიანებული, ხშირგისოსიანი ფანჯრის წინ ჩასუქებული ქალი იდგა. ამ სახელდამეჭილ და ქუთუთობდაწითლებულ დედაკაცს დიდი ხანია კრუხი შეარქვეს, რადგან ერთთავად აცეცებდა თვალებს და გარეგნულად ქათამსა ჰგავდა. თანაც მთელი ოცდაათი წელი ზამთარ-ზაფხულ ბაზარში ქათმებით ვაჭრობდა.

— ჩემთვის ყოველთვის გაუგებარი იყო, მაგისტრატის მდივანი ბატონი ჰიორნლე დროთა განმავლობაში თვითონ დაემსგავსა თავის ძაღლს, თუ ეგ მოპსი სწორედ იმიტომ შეიძინა, აქაოდა, მე მგავსო. რაც შეეხება ფრაუ ქორნს, შემიძლია დაგარწმუნოთ, იგი იმიტომ გამოიყურება ასე, რომ მთელი სიცოცხლე ქათმებთან ჰქონდა საქმე, — უთხრა მესაათე კრუმბახმა ფრაუ ჰონერს.

კრუმბა საჩვენებელი თითი მოკაკვა და ჩურჩულით თქვა:

— ფრაუ ბახ, სსუ, მოდიოთ აქ!

ფრაუ ბახი, გველკაცას დედა, თავისი გზით მიდიოდა. დაძახებაზე შეჩერდა.

— სიზმარში ვარ თუ ცხადში? მითხარით, ყავის სუნი გცემთ თუ არა? — იკითხა კრუმბა.

კრუმბა კიდევ ორი ქალი გააჩერა და გისოსიან ფანჯარასთან მი-

იხმო. ოთხი ქვედატანი ფანჯარას ჩამოეფარა. სახტად დარჩენილი ქალები ერთმანეთს ეკითხებოდნენ, ნუთუ შეიძლება ამგვარი რამ მოხდესო. მაგრამ ერთი კია — ამ მშვენიერ მზიან კვირა დილას მათ ირგვლივ ისევე ტრიალებდა ახლად მოხარშული ყავის სუნი, როგორც ძველ დროს იყო ხოლმე.

ფრაუ პონერი ღრმა სარდაფიდან ოთხი ქვედატანის მეტს ვერაფერს ხედავდა, მაგრამ კარგად ესმოდა ქალების ლაპარაკი და შეშინებული სარდაფის უკანა მხარეს, კრუმბახთან წაცუნცულდა. ამ დილით ყავის ნალექს, რომელიც ბევრი ხარშვისაგან დანაყილი ორცხობილასავით ღია ყვითელი ფერისა გამხდარიყო, ოცი მარცვლიც დაუმატა და საკვირაო ყავა მოიხარშა. მაგრამ ამ სასიამოვნო ფუსფუსში გართულს ფანჯრის დახურვა დაავიწყდა.

აღელვებულ დედაბერს მოკაქული, წვეტიანი ნიკაბი უკანკალებდა და ხმას ვერ იღებდა. ერთ ხანს მესაათეს ვერაფერი გაეგო, ბოლოს როგორც იქნა, მიხვდა: დედაბერს ეშინოდა, ვაითუ ყავის კანონიერი მფლობელი გამოტყვერეს და თავისი საკუთრება მომთხოვოსო. მას კი ნახევარი უკვე შემოეხარჯა.

მესაათე გაწმენდილ-გაპრიალებული ფეხსაცმლით ქუჩაში გავიდა და ენაჩავარდნილ ქალებს წინასწარ მოფიქრებული არაკი უამბო. მთელი ამბავი შეეთხზა, უნდოდა სათანადოდ შეიარაღებულიყო, ვინიციობა ვინმეს ეკითხა, ფეხსაცმელი საიდანა გაქვსო. ეს ფეხსაცმელი რამდენიმე კვირის წინ შემთხვევით ძველმანებში ვიპოვე და ამას ჩემს ნეტარხსენებულ მეუღლეს უნდა ვუმაძღლოდეო.

— ასეთი ჩვეულება ჰქონდა ცხონებულს: რამეს შეინახავდა, იტყოდა, გაჭირვებაში გამოგვადგებაო და მერე სულ გადაავიწყდებოდა.

კრუსს თავი არ მოუტრიალებია, სწრაფად გადაავლო ყველას თვალი და აკაკანდა:

— ჩვენ ის გვაოცებს, ამ სარდაფიდან რომ ყავის სუნი ამოდის.

მესაათემ ნამდვილი რაინდივით ყავაც თვითონ გადაიბრალა. დიახ, ეს მართლაც გასაოცარია.

— რას იზამ, ასეთი იყო ნეტარხსენებული ჩემი მეუღლე. ზოგჯერ გულზე ვსკდებოდი. ვეძებ რაღაცას, ვეძებ და ვერ მიპოვია. თითქოს მიწამ ჩაყლაპა. ახლა კი ბედს უნდა ვუმაძღლოდე, რომ იმ



დალოცვილმა თავის ღროზე ფენსაცმელი და ყავა ასე საგანგებოდ გადაინახა. ერთი გირვანქა ყავა წლების მანძილზე იდო ძონქებში.

გველკაცას დედამ გზა განაგრძო. ოდესღაც მას თავის უბანში ვიურცბურგის ულამაზეს გოგოდ თვლიდნენ. საოცრად ტანწერწეტი და იდეალურად პროპორციული აღნაგობის ფრთხილი საუკეთესო ნიმუში იყო იმისა, რომ ანატომიური აგებულება უთუოდ განაპირობებს გამძლეობას, ჯანმრთელობას, სილამაზეს და უბერებლობას. როდესაც ეს ოცდათხუთმეტი წლის ქალი საუბრის დროს თლილ თითებს ოდნავ შეზნეჟილ საფეთქლებზე გადაისვამდა (თითებს ოქროსფერი ხოჭოს ფარივით ამოზნეჟილი ფრჩხილები უმშვენებდა) და მუქ ნაცრისფერ თვალებს მოსაუბრეს მიაპყრობდა, ყველასათვის ცხადი ხდებოდა, რატომ გადალახა გველკაცას მამამ ყოველგვარი დაბრკოლება ამ მშვენიერი თვრამეტი წლის ასულის გულის მოსაგებად. ერთხელ გველკაცას მამას მოეჩვენა, ცოლმა მიღალატაო. ეჭვიანობით შეპყრობილმა არც აცივა, არც აცხელა, ადგა და ესპანეთში გაემგზავრა.

პაწაწინა სახლი, რომელსაც ორივე მხრიდან დაფერდებული სახურავი და წინა კედელია შერჩენოდა, თეატრის დეკორაცია გეგონებოდათ. ადრე აქ ფრთხილ ბახის გარდა მოხუცი ცოლ-ქმარი ცხოვრობდა. ერთ-ერთი საპაერო თავდასხმისას მოხუცები დაიღუპნენ. ფრთხილ ბახი და გველკაცა მარტონი დარჩნენ. ამ სახლის სარდაფში და დავით ფროიდენჰაიმი შეიხიზნეს. სარდაფში ორი პაწაწინა ფიცრული ოთახი იყო. ჰაერი თავისუფლად გადი-გამოდოდა ამ ხის გალიებში. რომელნიც ფრთხილ ბახს მეტისმეტად კომფორტებულური ეჩვენებოდა.

დავითი და გველკაცა თავის გალიაში ისხდნენ. დავითს ცალ ხელში ბურღულით სავსე პარკი ეჭირა, მეორეში კი — ცვიშენცალის საწყობიდან წამოღებული ამერიკული შესქელებული რძით სავსე ქილა.

— ფრთხილად, არავინ დაგინახოს, — ურჩია გველკაცამ. — წასვლა და მოსვლა ერთი უნდა იყოს. დღეს ბევრი რამ გვაქვს დასარიგებელი.

შესახვევში დავითი ფრთხილ ბახს შეეჩეხა, ბურღული და რძე ზურგს უკან დამალა და შურღულივით გავარდა დაბომბილ სახ-



ლებს შორის. ბოლოს ერთ ფანჯარასთან შეჩერდა, ფანჯარას არც მინა ჰქონდა, არც გისოსი. ბიჭმა სარდაფში ჩაიხედა. ახალგაზრდა ქერა ქალს საკინძე შეეხსნა და ბავშვს ძუძუს აწოვებდა.

დავითი სახლის კედელს გაეკრა. ქალმა მხოლოდ ჭუჭყიან ხელს მოჰკრა თვალი. ხელმა ჯერ პარკი დადო ჩარჩოზე, შემდეგ ქილა, ქილაზე ბარათი, ხოლო ბარათზე ქვა. ქალი წამოდგა და ისე მივიდა ფანჯარასთან, რომ ბავშვი მკერდიდან არ მოეშორებია.

ამ დროს დავითი უკვე დანგრეულ სახლს გასცდა. ვიღაც კაცი, რომელსაც მხრებზე დამტვერიანებული ფარაჯა წამოესხა და ილიაში გაზეთში განვეული, ბაწრით შეკრული ფუთა ამოეჩარა, ისე გასცქეროდა ნანგრევებად ქცეულ ქუჩას, თითქოს რაღაცას ეძებდა. ბოლოს დავითს ჰკითხა:

— ხომ არ იცი, 37 ნომერი სად არის? მე იქ ვცხოვრობდი და ახლა ვერ მიპოვია.

— ოცდაჩვიდმეტი ნომერი აღარ არსებობს.

— იქნებ იცი, სად ცხოვრობს ახლა ფრაუ პაულინე ჰერცენ-ბერგი? — კაცს გაეღიმა. — ეს ქალი ჩემი ცოლია.

— ჰო-ო! თუ ასეა, ცოტა კიდევ გაიარეთ და დაინახავთ სარდაფის ფანჯარას, რომელსაც არც მინა აქვს და არც სხვა რამე. თქვენი ცოლი იქ ცხოვრობს; აქედან ორ ნაბიჯზეა.

ეს კაცი საფრანგეთის სამხედრო ტყვეთა ბანაკიდან გამოიქცა და ამ სიგრძე ვზა მეტწილად ფეხით გამოიარა. და, აი, მისი ცოლი უკვე ორ ნაბიჯზეა. ერთი წუთის შემდეგ იგი სარდაფის ფანჯარასთან იდგა და უყურებდა: ქალი ძუძუს აწოვებდა ბავშვს, რომელიც სხვისგან ეყოლა, მას ხომ აგერ ორი წელია ცოლი არ უნახავს.

ხის ტახტზე ჩამომჯდარმა ქალმა ბარათი წაიკითხა: „ქრისტეს მოწაფეები“. უეცრად თავი ასწია და ქმარი დაინახა. შეძრწუნებული, ნირწამხდარი ქალი ფართოდ გახელილი თვალებით მიაჩერდა ქმარს, მაგრამ კაცმა თვალი აარიდა და ზურგი შეაქცია.

ქალი გარეთ გამოვარდა. ახლომახლო აღარავინ იყო. ატატებუ-ლი ბავშვით ფრაუ ბახთან მიიბრინა და ტირილით უამბო, რაც მოხ-და. ფრაუ ბახმა თითის წვერები პირის კუთხესთან მიიტანა და ეს-ლა თქვა:

— რა სამწუხარო ამბავია.

დავითი და გველკაცა ქალებს შუა გაძვრნენ. ილიაში ორივეს

პაკეტი ამოეჩარა. გზის შესამოკლებლად რწყილებივით დახტოდ-  
ნენ დახვავებულ ქვა-ლორღზე და ერთი დანგრეული შესახვევიდან  
მეორეში გადავიდნენ. ისიც ქვა-ლორღით იყო სავესე. ბოლოს ხუთი  
საფეხური ჩაირბინეს და ერთი სარდაფის კართან შეჩერდნენ.

— ძეხვი საწოლზე უნდა დაეუღო, წამოდგომის თავი აღარა  
აქვს, — თქვა გველკაცამ. — როგორც კი კარში ფეხს შევდგამ,  
შენ სარდაფის ფანჯარასთან მიირბინე და ჰკითხე, რომელი საათია-  
თქო.

მუსიკის მასწავლებელი ფირჰაილიგი ერთ დროს ბავშვებს  
ფორტეპიანოზე დაკვრას ასწავლიდა, მაგრამ დიდი ხანია აღარა-  
ფერს აკეთებდა, ვიურცბურგში საღდა იყო როიალი ან პიანინო.  
მოხუცი მიცვალებულივით უძრავად იწვა ლოგინზე. ყველაფერი  
გასთეთრებოდა — სახეც, თმაც და წვერიც.

— ბატონო ფირჰაილიგი, ვერ მეტყვიოთ, რომელი საათია?

მაესტრომ ისე მოაბრუნა თავი, თითქოს ეს არის სწორედ ამ  
წამში დალია სულიო. მაგრამ მხერა მაინც ფანჯარას მიაპყრო და  
სანამ იტყოდა: „ჩემთვის სულ ერთია, რომელი საათიაო“, — მის  
საწოლზე ძეხვიანი პაკეტი დავარდა.

ბიჭები მდინარის ნაპირს მიჰყვებოდნენ ტირიფნარისაკენ.

— მატყლის საბანი ხომ მივეციოთ. ახლა საპონიც მივართვათ?

— პატარა რომ ვიყავი, იოჰანა ერთხელ კარაქიანი პურით გა-  
მიმასპინძლდა. თანაც კარაქი ისე სქლად წაეცხო! — თქვა დავითმა.

— All right. საპონი რაში სჭირდება. მაშინ საქმელი მაინც  
მიუტანე.

შორს, შუა მდინარეში ბიჭებმა მხოლოდ იოჰანას თავი დაინა-  
ხეს, სველი წმინდა სილით მოფენილ ნაპირზე კი მისი ფეხების კვა-  
ლი. დავითმა ტირიფის ტოტი მოჭრა და გულმოდგინედ გაზომა  
ფეხის ანაბეჭდი, სიგრძეზეც და სიგანეზეც.

— საოცრად პატარა ფეხი აქვს. ნეტავი ასეთი პატარა ზომის  
ფეხსაცმელი თუ გვაქვს საწყობში? თუმცა ფეხსაცმელი ისე სჭირ-  
დება, ცოტა დიდიც რომ მოუვიდეს, ამით არაფერი დაშავდება.

— ჩემის აზრით, შენ შეყვარებული ხარ და მეტი არაფერი, —  
დასცინა გველკაცამ.

— ნეტა შეყვარებული რას ნიშნავს?

— ახლავე აგიხსნი და თანაც ძალიან ზუსტად. ახლახან წავი-

კითხე: როცა ვინმე გიყვარს, მისი შერთვა გინდა. მაგრამ უთუოდ მეტოქე გამოგიჩნდება, იმასაც უნდა მისი შერთვა. მეტოქე უნდა მოკლა.

— თუ არ მოვკალი?

— მაშინ შეყვარებული არა ხარ. ეს თავისთავად ცხადია. გირჩევ ის წიგნი იყიდო. „მხურვალე სიყვარული“ ჰქვია. ათი პფენიგი ღირს. სამაგიეროდ, იცი, რამდენი სურათია შიგ!

იოჰანას თავი ნაპირისაკენ გამოცურდა. მალე ვოგონამ ფეხქვეშ მდინარის ფსკერი იგრძნო. როდესაც წამოიშართა, ბიჭები უკვე ტირიფის ბუჩქნარში გაუჩინარდნენ. იოჰანამ თავი ოდნავ გადახარა გვერდზე და რამდენიმე წამს უძრავად იდგა ბალახზე. თითქოს უნდოდა დაენახებინა ბუნებისათვის, მეც შენი სრულქმნილი ქმნილება ვარო.

ნახევარი საათის შემდეგ ტირიფის ბუჩქებს შორის, ბალახით დაფარულ ოდროჩოლოებზე სტივი დატვირთულ საზიდარს მოაგორებდა. მალე კარის მაგივრად დაკიდებულ ზეწართან შეჩერდა. საზიდარზე დაეწყო თიხით სავსე კასრი, ძველი ღუმელის მიღები, რკინის ფილები და აგური, რომელსაც საუკუნოვანი დუღაბი შემორჩენოდა. სტივი მთელი დღეები დაეხეტებოდა უზარმაზარ ნანგრევებად ქცეულ ქალაქში. სანამ ყოველივე ეს ღორღში არ ამოთხარა.

შემშოდისაგან დონემიხდილი იოჰანა საწოლზე წამოწოლილიყო თავისი იმპროვიზირებული საბანაო კოსტიუმისამარა და ჩასძინებოდა. სტივმა რამდენჯერმე დააკაკუნა კარის ჩარჩოზე და რადგან არავინ გამოეხმაურა, ქოხში შევიდა. ქალიშვილი გულაღმა იწვა, მუხლები ოდნავ მოეხარა, ხელები თავქვეშ ამოედო. ვაჟს ტუჩები დაემანჭა, მაგრამ ეს ღიმილს არ ჰგავდა. ასე ეგონა, თითქოს რაღაცას ისეთს ითვისებდა, რასაც ქალი ნებაყოფლობით არ მისცემდა. მიუხედავად ამისა, მაინც ვერ მოსწყვიტა თვალი მძინარე ქალს.

სტივმა გაპარვა დააპირა, მაგრამ ამ დროს ქალმა თვალები გაახილა, ტუჩებიც ოდნავ გააბო და ნახევრად მძინარე, მკლავები გაუწოდა.

იოჰანა მხოლოდ კოცნამ გამოაფხიზლა. მყისვე უკან დაიხია და დაინახა ის კაცი, ვისზედაც ეს წუთია ოცნებობდა. ფაიფურივით თეთრი ყურები და თვალები საშინლად აეწვა — თეთრ სახეს სიწითლე საერთოდ არ ეკარებოდა.

სტივიც იოჰანასავით გამოუცდელი იყო და ხმა ვერ ამოედო. შემდეგი ნაბიჯის გადადგმა ორივეს უჭირდა და ციცაბო კლდეზე გარჩენილი მთასვლელივით ვერც წინ წასულიყვნენ და ვერც უკან დაეხიათ.

გადაფერდებული საზიდრიდან ღუმელის მილი ჩამოცურდა და ხმაურით დაგორდა. სტივმა შვება იგრძნო და გარეთ გავიდა.

იოჰანამ კაბა გადაიცვა. მაგრამ ამ კოცნამ, პირველმა კოცნამ, მასზე ძალიან იმოქმედა. იძულებული გახდა საწოლზე ჩამომჯდარიყო, — ვერ იქნა და ქამრის ბალთა ვერ შეიკრა. მოდუნებულ მკლავებში ქრუანტელი უვლიდა, თვალები თავისთავად მიენახა და იქამდე ვერ გაახილა. ვიდრე შიშმა არ გაახელინა. გაურკვევლობის შიში უზარმაზარ კითხვის ნიშანივით ჩაუდგა თვალებში.

მარცხენა კუთხეში სწორედ ღუმელის ადგილი იყო. აგური და მილები ცალ-ცალკე შემოიტანეს, თიხიან კასრს კი ორივენი სწვდნენ და შემოათრიეს, თანაც ისე საქმიანად მსჯელობდნენ, თითქოს ის კოცნა აღარც კი ახსოვდათ.

იოჰანა წყლის მოსატანად მდინარეზე გაიქცა და უეცრად შედგა. შიშს აღარ გრძნობდა, რაღაც გალღვა, გულზე მოეშვა. ღუმელს უშენებს! აი, როგორ ზრუნავს მისთვის! მაგრამ იოჰანა სულაც არ ფიქრობდა ღუმელზე.

სტივმა ყველაფერი თან მოიტანა: ჩაქუჩი, ლოჯი, ქაფჩა, გონიო, თარაზო, ჭანჭიკები რკინის სარის დასამაგრებლად და ორი სანთელი. სანთლები მაშინვე აანთო. შემდეგ ბეტონის იატაკი დანამა, ზედ თიხის სქელი ფენა დაასხა და აგურები ისე დააწყო, რომ დაახლოებით სამოცი კვადრატული სანტიმეტრის ფართობი დაიფარა.

— ეს საძირკველია, ზედ ღუმელი დაიდგმება. საძირკველი ჰორიზონტალური უნდა იყოს, მილიმეტრული სიზუსტით, — იგი დაუსრულებლად ზომავდა თარაზოთი საძირკველის აგურებს და დროდადრო აქა-იქ ჩაქუჩს უკაკუნებდა.

დანარჩენ აგურებს ჯერ საუკუნოვანი კირღუდაბი შემოაცალა, მერე გონიოთი ნელ-ნელა ოთხი სწორი კედელი ამოიყვანა. წინა კედელში საცეცხლე დაატანა და ზემოდან ასახდელქურატებიანი დიდი რკინის ფილა გადაახურა. ამ ქურაზე ბატიც კი შეიწვებოდა, თუკი სადმე იშოვიდა.

იოჰანა იქვე ჩაცუცქულიყო და თვალს ადევნებდა, — სამხედრო



ფორმაში გამოწყობილი ამერიკა ევროპისათვის ღუმელს როგორ აშენებდა.

აგურის კუბი მხოლოდ ცხრა საათისათვის იყო მზად. ზევით და ქვევით კარნიზით დამშვენებული ნიუ-იორკის ძველი აგურის სახლების მაკეტს მოგაგონებდათ. ოღონდ სახლს ფანჯრები არ ჰქონდა და ჭიშკრის მაგივრობას საცეცხლეს რკინის კარი ეწეოდა. სახურავის ქვეშ სავენტილაციო ხვრელში მუხლის საშუალებით გარეთ გაყვანილი მილი ქოხიდან ერთ მეტრზე იყო ამოჩრილი. სტივმა დიდი ხალისით ჩამოაცვა საკვამლეს თუნუქის წვეტიანი ხუფი წვიმისაგან დასაცავად.

ქალი და ვაჟი ღუმელის წინ ბეტონის იატაკზე ისხდნენ.

— შესანიშნავია, — თქვა იოჰანამ, ხოლო გუნებაში დაუმატა: „ეს რომ ჩემთვის ააშენა“.

სიხარულით აღსავსე სტივმა ქალიშვილს გაუღიმა და მშვენიერ კბილებთან ერთად მთელი მისი ალაღმართალი ბუნებაც გამოჩნდა. იოჰანას უნდოდა ეთქვა: „ძვირფასო“.

სტივი და იოჰანა გარეთ გავიდნენ. ბოლო დღეებში მთვარემ საგრძნობლად იმატა, მაგრამ ჯერ არ გაბადრულიყო. ცის მნათობი გადმოსცქეროდა ნანგრევთა ველს, სადაც ოდესღაც ვიურც-ბურგი იდგა, და ზეცისაკენ აღმართული ოცდაათი ათასწლოვანი სამრეკლო უამთა ტრიალს არაფრად აგდებდა. მთვარის შუქზე ეს უზარმაზარი სივრცე მონაცრისფრო-თეთრი ძვლებით მოფენილ ბრძოლის ველსა ჰგავდა. ორივე მღუმარედ გაჰყურებდა არემარეს.

— ალბათ იმის გამო გძულვართ, თქვენი ქალაქები რომ დანგრეეთ, არა? — ჰკითხა სტივმა და კილოზე ეტყობოდა, სინდისი ქენჯნიდა.

სანამ პასუხს ვასცემდა, იოჰანა კარგა ხანს დუძდა.

— თუ ჩაუფიქრდება კაცი, არა, — ქალმა თავი დახარა და კვლავ წამებმა განვლო, სანამ ძლივს ვასაგონად ჩაილაპარაკებდა: — მაგრამ განა ყოველთვის ჩაუფიქრდება?

— და მაშინ გძულვართ, ხომ?

— პირადად მე, არა, — თქვა იოჰანამ და დაუწყო ახსნა, რატომ ურჩევნია ნაცისტების ბატონობას დამარცხება და დანგრეული ქალაქები. ამ დროს ისე იყურებოდა, თითქოს თვალნათლივ ხედავდა

იმას, რასაც ამბობდა, და ხელახლა განიცდიდა, რაც ერთხელ უკვე განიცადა.

— ერთ კვირა დილით ესესელებმა ფროიდენჰაიმები დააპატიმრეს. ფროიდენჰაიმებს ბეწვეულის მალაზია ჰქონდათ გერბერგასეზე, სულ პატარა მალაზია, უმეტესად კურდღლის ბეწვით ვაჭრობდნენ. გულკეთილი ადამიანები იყვნენ, ცუდი არავისთვის არ გაუკეთებიათ. ჯერ მთელი ქალაქი შემოატარეს, შემდეგ კი ბაზრის მოედანზე დახოცეს... მათი ქალიშვილი გადარჩა. რუთი ჩემი მეგობარი იყო. პატარაობიდანვე ერთად ვთამაშობდით. იგი პოლონეთში გაგზავნეს ისეთ სახლში... ხომ მიხვდით, რასაც ვგულისხმობ. მაშინ რუთი ჩემსავით ჩვიდმეტი წლისა იყო. ახლანა დაბრუნდა.

— დაბრუნდა? — ჰკითხა სტივმა სივრცეს. იგი თითქოს ყველაფერს ელოდა, ამას კი არა.

იოჰანას მსოფლიო პოლიტიკისა თითქმის არაფერი გაეგებოდა. იგი მხოლოდ პირადად განცდილის მიხედვით მსჯელობდა ისეთ მოვლენებზე, როგორც იყო გერმანიის მიერ ომის განაღება, ევროპის აწიოკება, მილიონობით უდანაშაულო ადამიანის ყოვლად გაუგებარი, მხეცური ამოჟლეტა. იმ საბედისწერო კვირა დილით გულმოკლულმა იოჰანამ ზურგი შეაქცია წარმატებებისაგან თავბრუდახვეულ მამასა და ყოველივე იმას, რისი მომხრეც მამამისი იყო, ყველაფერს. რაც გერმანიაში ხდებოდა. სასიკეთოს ვერაფერს იქმნოდა ის ქვეყანა, სადაც ყველაფერი ფროიდენჰაიმების მოკვლით დაიწყო. მისი დაკოდილი გული სხვა ამბებსაც ისევე აღიქვამდა, როგორც ფროიდენჰაიმების მხეცურად მოკვლას. ელდანაკრავი, დამბლადაცემულივით იდგა იგი ბაზრის მოედანზე და, როცა გასისხლიანებულ გვამებს ფეხებში სწვდნენ და გადაათრეხს, თავი ველარ შეიკავა და ყვირილი მორთო.

იოჰანამ თავი ასწია და სტივმა მის თვალებში დანაშაულის ვრძნობა შენიშნა: ქალის თვალები თითქოს ეკითხებოდნენ, შეგიძლია შეიყვარო ქალიშვილი, რომელიც სისხლითა და ხორცითაა დაკავშირებული იმათთან, ვინც ევროპას ენით აუწერელი ტანჯვა მიაყენაო. მზერა ტყვიასავით მძიმე იყო.

სტივმა იგრძნო, რომ მათ შორის გამთიშველი, სისხლიანი აჩრდილი ჩადგა და ქალიშვილს თვალი აარიდა. ერთ ხანს ჩუმად იდგა, სადღაც შორს, მონაცრისფრო-თეთრი ნანგრევებისაკენ იყურებოდა.

— ბევრი ჩვენგანი ფიქრობს, გაცილებით მეტი დავანგრიეთ, ვიდრე საჭირო იყო... ეს კი ბოროტებაა, ხომ მართალია? — თქვა მან ბოლოს და რა თქმა უნდა, თავის თავსაც გულისხმობდა.

იოჰანას არ უპასუხია და არც განძრეულა. გულში ორივე თავს დამნაშავედ გრძნობდა, მაგრამ ეს საქმეს ვერ შველოდა. სინდისის ქენჯნას, რომელიც ამ ორ უდანაშაულო ადამიანს თიშავდა, ორივეს გულში ჩასახული ძლიერი გრძნობა თუ დასძლევდა.

სტივემა იოჰანა კარის მაგივრად ჩამოკიდებულ ზეწრამდე მიაცილა, ღამე მშვიდობისა უსურვა და წავიდა. იოჰანა ადგილიდან არ დაძრულა. არაფერზე არ ფიქრობდა, სიამოვნებით იტირებდა, მაგრამ არ ეტირებოდა. ამქვეყნად ჩადენილ საზარელ ბოროტმოქმედებათა უდანაშაულო მონაწილე კიდევ დიდხანს იდგა კარის ჩარჩოს მიყრდნობილი.

სტივი ბალახით დაფარულ ვიწრო ბილიკს მიჰყვებოდა ტირიფნარში, სადაც გველკაცა და დავითი ბუჩქებში ჩაცუტქულიყვნენ.

— აგერ ჩემი მეგობარი სტივი მოდის. ჩემი ძალიან კარგი მეგობარი. ახლავე შემიძლია მივიდე და ვუთხრა: „Hallo, Steve, how are you?“<sup>1</sup> მაგრამ დრო არ ითმენს.

ქალის სნეულებათა ექიმის გეორგ გროსის სამზარეულოდან ტაფა ჰქონდათ წამოსაღები—ეს ის გროსი იყო, რუთი რომ გასინჯა,— შემდეგ საწყობის გამგესთან უნდა შეერბინათ და ერთი უნებლიე მწყალობლის თაობაზე მოეთათბირებინათ, მას სადამოს ათი საათისათვის უნდა სტუმრებოდნენ. ახლახან განხორციელებული დიდი ოპერაციის შემდეგ მოწაფეები უფრო გულუხვად ასაჩუქრებდნენ ღარიბთა შორის უღარიბესთ, მაგრამ საწყობის გამგის ხიაში გაჭირვებულთა რიცხვი დღითი დღე იზრდებოდა. თუმცა უნებლიე მწყალობელთა რიცხვიც დღითი დღე მატულობდა. საწყობის გამგე დაჟინებით მოითხოვდა, „მოიტანეთო“. იგი ერთგვარმა პროფესიონალურმა სიძუნწემ შეიპყრო, თუ საწყობს საქონელი არ ემატებოდა, რაიმეს გაცემა ძალზე უჭირდა. ქალაქში უკვე ხმა დაირხა. ზოგიერთმა უნებლიე მწყალობელმა პოლიციას წერილობით მიმართა და ქრისტესმოწაფეების ხელწერილიც წარუდგინა. გარდა ამისა, ცვიშენცალთან სტუმრობიდან რამდენიმე დღის შემდეგ გველკაცამ მეგობარი ჯარის-

<sup>1</sup> გამარჯობა, სტივი, როგორა ბრძანდებით? (ინგლ.).

კაცებისაგან შემთხვევით ვაიგო, კაპიტანი ლიბენი, საოკუპაციო ჯარების დაზვერვის ოფიცერი, უანგარო მძარცველებით დაინტერესდაო. ამ ამბავმა უფრო გააღიზიანა ბიჭები და მათ საქმიანობასაც ფრთები შეასხა.

ქალის სნეულებათა ექიმს ქალაქში სახლი აღარ ჰქონდა, დაბომბვისას დაენგრა. მისი პატარა ავარაკი, ერთი ოთახისა და სამზარეულოსაგან რომ შედგებოდა, ტირიფნარის გადაღმა იდგა ხეხილის ძველ ბაღში. ფრაუ ბახი კვირაში ორჯერ დადიოდა ექიმთან ბინის დასალაგებლად. გველკაცა დედას ხშირად ეხმარებოდა და კარგად იცოდა, რისი პატრონიც იყო ექიმი.

— როგორ არ მსიამოვნებს ამის გაკეთება. აბა, რა სასიამოვნოა. უნდა იცოდე, ბატონი დოქტორ გროსი შესანიშნავი პიროვნებაა. მაგრამ ერთი მითხარი, რად უნდა ორი ტაფა, როცა სხვებს ერთიც არა აქვთ, — თქვა გველკაცამ, სანამ ღობეზე გადაძვრებოდნენ. სახლში შუქი არ ენთო. სამზარეულოს ფანჯარა ღია იყო.

დოქტორი გროსი წითელი წიფლის ძირში იჯდა სკამზე. უცხო თვალისაგან დაბლა ჩამოშვებული ტოტები ფარავდა. ნათელი ღამე იყო. ექიმმა მაშინვე იცნო გველკაცა. ქრისტეს მოწაფეების ამბავმა მის ყურამდეც მიალწია, მაგრამ, სხვების მსგავსად, აქამდე ეს უცნაური ქურდები მასაც მოზრდილი ხალხი ეგონა. „ვინ იცის, იქნებ პატარა ბახი ერთ-ერთი ამ მოწაფეთაგანია?“, გაიფიქრა მან. „ვენახოთ, რა მოხდება. ჩემს სამედიცინო წიგნებს ხომ არ დახარბდება“.

ექიმი თვალს ადევნებდა, როგორ გადაძვრა გველკაცა ფანჯრიდან სამზარეულოში, რამდენიმე წამის შემდეგ კი ისევ გადმოძვრა და ტაფით ხელში ღობეს გადაევლო.

სამზარეულოს მაგიდაზე ბარათი იდო: „ხელწერილი ეძლევა ალუმინის ტაფის პატრონს. ქრისტეს მოწაფეები“, — ღიმილით წაიკითხა დოქტორმა გროსმა.

ვიწრო, მაღალი, წვეტიანი სახლი, რომელიც საწყობის გამგის მამას ეკუთვნოდა, ისე იდგა ერთიანად დანგრეული ქუჩის შესახვევში, როგორც ბებრის პირში შერჩენილი ერთადერთი კბილი. საწყობის გამგე მამის საბაყლო ღუქანში იჯდა და გზას ვაჭყურებდა. დავითსა და გველკაცას ელოდა.



ეს დუქანი მრავალ თაობათა მომსწრე იყო და მემკვიდრეობით მამიდან შვილზე გადადიოდა. უკანა კედელს ასზე მეტი გაპრიალებული წითელი ხის უჯრა ჰქონდა. ყოველ უჯრაზე ფაიფურის ფირფიტა დაეკრათ, ფირფიტებზე ეწერა, რა ინახებოდა შიგ. ახლა უჯრები ცარიელი იყო. ერთმანეთში არეული მიხაკის, საპნის, შაქრისა და ნავთის ნაცნობმა სუნმა, მთელი საუკუნე ცხვირში რომ სცემდა მუშტრებსა და გამვლელებს, დიდი ხანია დაკარგა მიზიდველობა.

იმ სამი კაციდან. რომელნიც დახლის უკან მდგარ საწყობის გამგის მამას ესაუბრებოდნენ, ორი უნებლიე მწყალობელი იყო. ოპტიკოსმა შაიბენკესმა ბურთივით მრგვალი, მელოტი თავი წინ წასწია და ხელმეორედ დაიწყო თავისი ამბის მოყოლა:

— აკი გითხარით, ვდგავარ ჩემი სარდაფის წინ, ვფიქრობ, დაძინებამდე ცოტა სუფთა ჰაერს გადავცლაპავ-მეთქი და შეეცრად ხელში ბართი შემაჩეჩეს, გეგონებოდათ, ციდან ჩამოვარდაო. ბართში კი წერია: „ხელწერილი ეძლევა მექანიკოსის ლურჯი კომბინეზონის პატრონს. ქრისტეს მოწაფეები“. მაშინვე ნახევრად დანგრეული სახლისაკენ გავიქეცი. სადღაა კომბინეზონი! — შაიბენკესმა ამბავი დაასრულა და თავი ისევ უკან გადასწია.

— მარტო ჩვენ როდი ვართ დაზარალებულნი, ბატონო შაიბენკეს, — თქვა რანტიე ფილიპიმ, სამოცდათხუთმეტი წლის უღვაშიანმა, მრგვალთვალება ბუმ, რომელსაც მოწაფეებმა ორი ძველი პერანგი და შალის ნიფხავი წაართვეს და სამაგიეროდ ხელწერილი დაუტოვეს. — მარტო ჩვენ როდი ვართ. თორმეტზე მეტ გაძარცულს პირადად მე ვიცნობ. ეს ქრისტეს მოწაფეები ჩვენს ქვეყანას ნამდვილ ჭირად მოევლინენ.

ისტორიის პროფესორმა ჰებერლაინმა ბრჭყვიალა სათვალე გაისწორა.

— ქრისტეს მოწაფეები ორი ათასი წლის წინათაც ნამდვილ ჭირად მოევლინენ ქვეყანას, მაგრამ, როგორც ცნობილია, დამაშვრალნი და ტვირთმძიმენი დიდი პატივით ეპყრობოდნენ მათ.

საწყობის გამგემ მოწონების ნიშნად თავი დააქნია:

— მათთვის ქრისტეს მოწაფეები ჭირი როდი იყო.

— ენა დაიმოკლე, როცა უფროსები საუბრობენ, — შეუტია მამამ, რომელიც, შვილისა არ იყოს, ნახევარი ათასწლეულის წინ

თითქოს მოდელად გამოიყენა არქიტექტორმა თილმან რიმენშნაიდერმა.

წელში გამართულმა და საფარნე ბოძივით გაჭიმულმა სამოცდა-თხუთმეტი წლის რანტიემ ღვარძლიანად წამოიძახა:

— მოციქულები ქრისტიანები იყვნენ და ნიფხვებს არ იპარავდნენ.

— ნამდვილი ქრისტიანები იყვნენ. ქვეყანას რწმენის ნათელი შოპფინეს. — პროფესორმა საჩვენებელი თითი მრავალმნიშვნელოვნად აღმართა და განაგრძო: — მაგრამ რელიგიის ისტორია გვასწავლის, რომ მეოცე საუკუნის ქრისტიანები ძველებს არაფრით არ ჰგვანან. ძველი ქრისტიანები მოციქულების კვალს მიჰყვებოდნენ. ძველი ქრისტიანები წმინდა ცეცხლით იწვოდნენ. დღეს კი ცეცხლი...

მაგრამ წმინდა ცეცხლი საწყობის გამგეს ნაკლებად აინტერესებდა. ამხანაგები დაინახა და ფეხზე წამოდგა. გველკაცამ უკვე რამდენჯერმე გაშალა მკლავები ჯვარცმულივით, თან გამწარებული თავს უქნევდა. საწყობის გამგე გარეთ გავიდა და ბიჭებს უთხრა:

— იცი, ჩვენ ვინა ვართ? — ძველი ქრისტიანები.

— არ ვიცი და არც მაინტერესებს. თუ ხუროთმოძღვარი ჰიმელჰოხი, როგორც შენ ამბობ, ცხრა საათზე გუნდის რეპეტიციაზე მიდის, მაშინ დროს ნუ დაგეარგავთ. უკვე ათის ნახევარია.

ხუროთმოძღვარი ჰიმელჰოხი აგერ ოცდაათი წელია ხელმძღვანელობდა მომღერალთა გუნდს — „მომღერალი ქალაქი“. ჰიმელჰოხმა უკანასკნელ რეპეტიციაზე გუნდის წევრებს უთხრა, რაკი სახლები აღარსადაა, მოდი, გუნდს სახელი შევუცვალოთ და „მწვანე ხეებს შორის“ დავარქვათ. წინადადება ერთხმად მიიღეს.

სამი ბიჭი ბნელ ქუჩას მიჰყვებოდა. საწყობის გამგე ბიჭებს არ წმუნებდა:

— ნამდვილად ვიცი, სამი საზამთრო პალტო აქვს. თვითონ უთხრა მამაჩემს. მეც მაშინვე გადავწყვიტე, ერთიც ეყოფა-მეთქი. ისიც ვიცი, პალტოები ქვემოთ საერთო ოთახში, კარადაში ჰკიდია. თუმცა გასაღებს კარადის კარებში ტოვებს, მაგრამ ფანჯარას კეტავს. ერთხელ უკვე ვიყავი იქ დასაზვერად.

ცივი ღამე იყო. ათი წუთის შემდეგ დავითი და გველკაცა კო-

ქებამდე გრძელ პალტოებში გახვეულები შინისაკენ მიიქაროდნენ. დავითს პალტო ქვაფენილზე დასთრევდა, და უკან კალთა ოდნავ აიკეცა.

ფრაუ პაულინა პერცენბერგი ფრაუ ბახის ფიცრულში იჯდა, ცრემლს აფრქვევდა და ბედნიერი ღიმილით უყვებოდა, ქმარი და მიბრუნდაო.

— ყველაფერი ვუამბე. როგორც მოხდა, ისიც ვუთხარი, მართო მე არა ვარ დამნაშავე, წყეული ცხოვრების ბრალიცაა-მეთქი, და ბოლოს ჩემთან დარჩენა გადაწყვიტა.

— სანამ ქალები ქაქანებენ, ამ პალტოებით შინ ვერ შევალთ, — თქვა გველკაცამ. — ჯობია შევიცადოთ, ვიდრე დედა დაიძინებს. — ბიჭებმა გზა განაგრძეს.

უცებ ნაზი, მხიარული ტიტინი მოესმათ და სარდაფის უმინო და უგისოსო ფანჯარასთან შეჩერდნენ. ფეხებაპლაკულ ჩვილს საბანი გადაეძრო. შინ დაბრუნებული ჯარისკაცი წამოდგა, ერთ ხანს უცქირა საწოლზე გამხლართულ ვალაღებულ თოთო ბავშვს, შემდეგ საბანი გადაახურა, კვლავ ტახტზე წამოწვა და ისე ამოიოხრა, თითქოს მხოლოდ ახლა მოიკრიბა ღონე და წარსულსაც საბურველი გადააფარაო.

## VII

შვიდი კვირა გავიდა მას შემდეგ, რაც რუთი დაბრუნდა. ამ ხნის განმავლობაში წონაში მოიმატა და ფიზიკურადაც მომაგრდა. ხშირად დახეტილებდა ტყეში. ანაზღად რომელიმე ბუჩქის წინ მონუსხულივით შეჩერდებოდა და ყველაფერი ავიწყდებოდა, ზოგჯერ კი გაუტრკვეველი მიწიერი კმაყოფილებით შეპყრობილს ისეთი გრძნობა ეუფლებოდა, თითქოს თვითონაც ტყის ნაწილი, ტოტი ან ხავსით დაფარული ქვა იყო. თითქოს ბუნებასთან ერთად სუნთქავს და მისგან მაცოცხლებელ ძალას შეიწოვსო.

რამდენიმე დღის წინათ რუთმა ისევ დაიწყო ნატურიდან ხატვა. დახატა ხავსით დაფარული მიწის ნაგლეჯი, თავისი მრავალფეროვანი ცხოვრებით, უსიერი ტყის მყუდროებაში რომ ჩაფლულიყო. რამდენიმე საათს იმუშავა, შემდეგ ამოიოხრა და ნახატი დახია, მაგრამ გული მაინც სიხარულით აუტოკდა. ჯერ კიდევ ბავშვი იყო,

როცა გატაცებით დაიწყო ხატვა და ოცნებობდა, ოდესმე, იქნებ ჩემგანაც „რამე“ გამოვიდესო.

ერთხელ, სექტემბრის დამლევს, დილით, რუთი ციხის გალავანზე იდგა და გადაჰყურებდა ფართოდ გაშლილ ხეობას, სადაც ამ დღესავით გამკვირვალე, უზარმაზარი ცისფერი მდინარე გველივით მიიკლავებოდა. მიდამოს ოდნავ შეჰპარვოდა შემოდგომის სიყვითლე. ფერდობზე შეფენილი ვენახები ჯერ კიდევ მუქ მწვანედ მოჩანდნენ, მაგრამ მარტინის ქოხის გვერდით უფრო დღემოკლე არყის ხის ფოთლებს ალაგ-ალაგ მოყვითალო ოქროსფერი დაჰკრავდა. ეს მშვენიერი დღე ზაფხულ-შემოდგომის გასაყარზე რუთსაც ეკუთვნოდა. მისი გული არსებობის ნეტარი გრძნობით აივსო.

შაბათობით მარტინი თავისუფალი იყო. რუთმა ხის ქოხს ირგვლივ შემოუარა. მარაგზა და მის მიღმა მდებარე მდგლო გადაჭრა, მდინარის ნაპირს გაჰყვა და პაწაწინა კუნძულთან მივიდა. კუნძული რამდენიმე მეტრით იყო დაშორებული ნაპირიდან. ჯერ ფენსაცმელი გადაისროლა კუნძულზე. შემდეგ კაბა წელამდე აიწია და ფონით გავიდა. კუნძულზე კი ტანთ გაიხადა, თმა ჩამოიშალა და მაღალ ბალახში ჩაწვა. თმა წელამდე ფარავდა.

ამ დილაადრიან არც ნაპირზე ჩანდა ვინმე და არც მდინარეზე. კუნძული მოხაზულობით ნავს წააგავდა, სიგრძითაც ნავისოდენა იყო — რამდენიმე კვრინჩხის ბუჩქი და ორი წვრილი არყის ხე ძლივს ეტეოდა. რუთმა უნებურად წარმოიდგინა, ვითომ მაინის დინებას ნავით პირდაპირ რაინისაკენ გაჰყვა და გაშლილ ზღვაში შეცურდა. ზურგზე მიწის სივრილე იგრძნო და ისეთმა გრძნობამ შეიპყრო, თითქოს თვითონაა ბუნებაც და მიწაც.

კუნძულის ბოლოში ჭინჭარი გაბარდულიყო. სულ ზედა ფოთოლი ეულად აწვდილიყო ცის ნათელი გუმბათისაკენ. რუთი რომ თვალს ჰუტავდა, წვეტიანი, დაკბილული ფოთოლი გოთური ეკლესიის კოშკს ემსგავსებოდა. და რუთიც მას სურვილისამებრ ხან კოშკად აქცევდა, ხან ისევ ფოთლად.

მოყავისფრო, მოკლებეწვიანი, უცნაური ჯიშის ლეკვი მდინარის ნაპირს მოადგა და წკმუტუნით დაუწყო მიწას ფხატა. რუთი ნიდაყვებზე დაეყრდნო და დაუძახა: „აქეთ მოდი!“ მაგრამ ლეკვს გამბედაობა არ ეყო. ერთი-ორჯერ კიდევ მოფხატა მიწა, დაყნოსა და ბუჩქს მიეფარა.





რუთმა მაღალი ბალახი ვასწი-გამოსწია. აღელვებული აკვირდებოდა ბუნების საოცრებას, — გადახრილ ღეროზე მოხდენილად მოქანავე მაჩიტას, წვრილ, ღია ყვითელ მტვრიანასა და უზადოდ გამოკვეთილ მქრქალ ლურჯ ყვავილს. უეცრად თითქოს ცხოვრების საწინააღმდეგო პოლუსზე აღმოჩნდა, თვალწინ დაუდგა აუშვიცი, საროსკიპო, და ისეთი შემადრწუნებელი სურათები, როგორიც ახლა სიზმარშიც კი აღარ ელანდებოდა. დამანჭული პირიდან ცხოველური ღმუილი აღმოხდა.

პირქვე დამხობილი მთელი სხეულით იკლაკნებოდა და იკრუნჩხებოდა. მკერდიდან რაღაც არაადამიანური ზმუილი ამოსდიოდა. ბოლოს კივილი გააბა და წლების მანძილზე დაგუბებული ცრემლი წასკდა. რუთი ტიროდა, კვნესოდა, მერე ჩუმად ასლუკუნდა და გაირინდა. პირი ბალახითა და მიწით ჰქონდა საესე.

ის ამბავი, რომ ათასობით მამაკაცმა წაბილწა, ცრემლმა ვერ ამორეცხა მესხიერებიდან. მაგრამ როცა რუთი ისევ წამოჯდა, ერთი რამ იგრძნო, — თუმცა უღვთოდ გათელეს, მაინც შეინარჩუნა რაღაც ისეთი, რასაც მოძალადეთა ბინძური ტორი ვერ მისწვდა. ორიოდღე წუთში რუთის სახე რამდენიმე წლით დაბერდა, მაგრამ ვაჭკვავებული აღარ იყო.

პატარა ძალი კვლავ მოადგა ნაპირს და ისე ფხაჭნიდა მიწას, თითქოს რაღაცას მოითხოვდა. რუთი წამოდგა, ყურადღებით მიმოიხედა ირგვლივ, მაგრამ ახლომახლო არაფერს ჩანდა. გაშლილი თმანიდაყვით დაიმაგრა, წყალში შეტობა და აკანკალებულ ლეკვთან ერთად კუნძულზე დაბრუნდა. შეშინებულმა ლეკვმა ჯერ ლოკვა დაუწყო, შემდეგ კი კუნძულზე გაინავარდა, იქაურობა კიდით კიდემდე დაათვალიერა და აღშფოთებულმა რამდენჯერმე შეჰყეფა ორ ბედურას. აქაოდა, როგორ გაბედეთ და ჩემს კუნძულს გადაუფრინეთო.

რუთი შინ დაბრუნდა, ლეკვი ჩვილი ბავშვივით მიეკრა მკერდზე. მარტინი არყის ხეთა ჩრდილში იწვა და კითხულობდა.

— თუ საწინააღმდეგო არაფერი გექნება, ამ ლეკვს დავიტოვებ, — უთხრა რუთმა. მის სახეს სინაზე დამჩნეოდა.

მარტინმა მაშინვე შენიშნა ცვლილება, თითქოს რუთში ახალი სასიცოცხლო ქსოვილების შექმნის პროცესი მიმდინარეობდა. „რუთმა გაუფრთხილებელმა სიტყვამ შეიძლება ყველაფერი დაღუ-

პოს. ფრთხილად უნდა ვიყო. მოთმინება მმართველს, — გაიფიქრა მარტინმა.

რუთი ქონისკენ გაემართა და მარტინისაკენ არც მიბრუნებულა, ისე ჰკითხა, წვნიანი კერძი ხომ არ მოვხარშო? სხვანაირადაც დადის, მარტინი რუთის ნაზ კისერს მისჩერებოდა და გონების თვალთ მის მოქნილ, სათუთ სხეულსაც ჰვრებდა. იმედმა სინამდვილის ზღვარი გადაალახვინა და მომავლის მიმზიდველი სურათები დაუხატა... ისინი დაქორწინდნენ. თეთრი ვილა აქვთ. რუთი ქმარს ბაღში ელოდება და შინ დაბრუნებულს კისერზე შემოაქდობს მკლავებს. მარტინი საკოცნელად გამოწვდილ ტუჩებში ჰკოცნის... მაგრამ უეცრად მტანჯველი სურათი დაუდგა თვალწინ. სიმწრისაგან სახე დაემანჭა: „ათასების ხელში გაუვლია“.

ბავშვობაში მარტინი და რუთი ყოველდღე ერთად თამაშობდნენ პაწაწინა ეზოში, სადაც ერთი ღერი ბალახიც კი არ ხარობდა. ქვის კედლის გასწვრივ ყუთებისგან შეკოწიწებული რამდენიმე საბატე იყო ჩამწკრივებული. იქვე მახლობლად გამხმარი, ფოთლებშემოძარცვული, შავტუტებიანი ხე იდგა. მოხუცი მოახლე ფროიდენჰაიმების ბატებს გასასუქებლად სიმინდის მარცვლებს აჭმევდა. შავი მიწა ბატის სკინტლს დაეფარა. მაგრამ როცა სკოლაში ასწავლიდნენ ადამისა და ევას თავგადასავალს სამოთხეში, შვიდი წლის ბიჭუნას აყროლებული ეზო სამოთხედ ეჩვენებოდა და განა მარტო მაშინ, უფრო გვიანაც „სამოთხის“ გაგონებაზე ეს გაბინძურებული პატარა ეზო და რუთი დაუდგებოდა თვალწინ. მარტინის მამა, ცნობილი ფსიქოლოგი-კრიმინალისტი გრაცის უნივერსიტეტში მიიწვიეს სამუშაოდ. მარტინი უკვე ცხრამეტი წლის ქაბუკი იყო, როცა კვლავ იხილა რუთი. ბავშვობისდროინდელ სამოთხეში ფესვგადგმული გრძნობა პაერივით აუცილებელი გახდა ვაჟისათვის იმ ბედნიერი, დაუფიწყარი ორი კვირის მანძილზე, ახლად მოწიფული გოგონას გვერდით რომ გაატარა. ახლა კი მათ შორის საროსკიპო დგას და რა მნიშვნელობა აქვს იმას, მარტინი რომ წარამარა ჩასჩიჩინებს საკუთარ თავს: „ის სხვა იყო, და მე არა მაქვს უფლება სულმდაბლობა გამოვიჩინო“.

რუთმა ჩაის ფინჯნებით კარტოფილის წვნიანი გამოიტანა. მან კათარინას რჩევას ყური არ უგდო და აწყვეტილი ზედა დილი არ დაამაგრა. როცა ჩაიჩოქა და სახსე ფინჯნები ფრთხილად დადგა

მიწაზე, მარტინმა საკინძვეგახსნილი კოფთიდან პატარა ძუძუებს მოჰკრა თვალი. იგი შეაძრწუნა ამ გათელილი სხეულის სინაზემ და ქალის მკერდს მზერა მოარიდა.

— წვნიანი ძალიან სქელია, ხვრება გაგვიჭირდება. ხომ არ ჯობია. ხის კოვზები გამოვთალო?

მარტინმა განზე გაიხედა და თქვა:

— საავადმყოფოში მოვიპარავ ორ კოვზს.— „იქნებ სიბრალულით მაინც მოვიგო მისი გული, — გაიფიქრა მან, — მაგრამ მგონი, მაგას უფრო ვებრალეები“.

ფოსტალიონმა აღმართი ამოიარა და მარტინს წერილი გადასცა. ამ დროს არყის ხის წარაფიდან იოჰანაც გამოვიდა. წერილი საავადმყოფოს ადმინისტრაციას გამოეგზავნა: ფროილან ფროიდენჰაიმი, რა თქმა უნდა, ყოველგვარ თანაგრძნობას იმსახურებს იმ ტრავმულით გამო, რაც მას შეემთხვა, მაგრამ მარტინმა ანგარიში უნდა გაუწიოს საზოგადოებრივ აზრს, განსაკუთრებით იმიტომ, რომ ქალაქის საავადმყოფოში მუშაობს. ადმინისტრაცია იმედოვნებს, რომ იგი ფროილან ფროიდენჰაიმთან ყოველგვარ ურთიერთობას გაწყვეტს.

რუთმა კითხვის თვალთ შეხედა. „ისეთი არაფერია“, — ჩაილაპარაკა მარტინმა და წერილი ჯიბეში ჩაიდო. უეცრად შეება იგრძნო. იმის წარმოდგენა, რომ რუთის გულისათვის სიძნელეებს წააწყდებოდა, ამშვიდებდა და ახარებდა კიდევ. მარტინს გაეღიმა. თუ სამსახურიდან დაითხოვენ, რუთთან ერთად შპესარტში გადასახლება, სადაც ექიმების ნაკლებობაა. მძიმედ დაავადებული გლეხი იძულებულია ქალაქში წავიდეს. მაგრამ ქალაქში წასვლას შინ დარჩენა ურჩევნია, და კვდება. გლეხები გასამრჯელოდ სურსათ-სანოვანებს მოუტანენ. შპესარტში რუთს თავისუფლად შეეძლება იცხოვროს მასთან. „ცხადია, შევირთავ“, — გაიფიქრა მარტინმა, პრაქტიკული მოსაზრებები უკუაგდო და ისევ ვილაზე დაიწყო ოცნება. რუთი ბაღში ელოდება...

— ...მერე ძველი აგურებისაგან ნამდვილი ღუმელი ამოიყვანა.

მარტინმა იოჰანას ბედნიერებით გაბრწყინებულ თვალებში ჩახედა და გაიფიქრა: „რუთის თვალები მთელი ერთი სიცოცხლით უფროსია. რუთიც ხომ ასეთივე ბედნიერი და იმედით აღსავსე იქნებოდა ახლა, როგორც ეს ხელშეუხებელი გოგონაა. რა მშვენიერად წარიმართებოდა ყველაფერი“.

მეგობრები წამოდგნენ და ხელიხელგადახვეულნი წარათვის პირს

გაჰყენენ. გამხდარი, ტანმორჩილი იოჰანას გვერდითაც კი რუთი იმ ბავშვსა ჰგავდა, რომელსაც უფროსი დის მეტისმეტად განიერი ქვედატანი ჩაუცვამს.

„მე კი რუთს ვერ მივწვდები“, — გაიფიქრა მარტინმა და უმწეობისაგან მკერდში ფიზიკური ტკივილი იგრძნო.

— იცი, კოცნა დამიპირა. მე შემეშინდა. ო, რუთ, რა მემწველება? რუთისათვის ამგვარი გრძნობა უცხო იყო. დაძაბული წინ იყურებოდა, მანქანის მძღოლივით, რომელიც რუკას დასცქერის და ცდილობს გაერკვეს, სწორ გზას ადგია თუ არა. მას შემდეგ, რაც მშობლიურ ქალაქში დაბრუნდა, რუთი იოჰანას დედობრივი მზრუნველობით ეპყრობოდა. ახლაც მკლავში ხელი მოუჭირა.

კათარინა და გველკაცა დაღმართზე დაეშვნენ. ისინი პიოპბერგიდან ბრუნდებოდნენ. იქ გველკაცა ბევრს ეცადა ბუხარში ჩამოკიდებული დაშაშხული ბარკალი დაეთრია, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. კათარინას ფეხები მიწასავით შავი ჰქონდა, წვივები კი მტვრით დაფარული. გულზე პეტრეს ნათხოვარი თეთრძაფგაყრილი ნემსი დაებნია.

— თუ გნებავთ, ზედა ღილს მიგიკერებთ, — უთხრა გოგონამ რუთს და მზედაკრულ, ვაშლივით მრგვალ სახეზე ალმური მოედო.

გოგონები მარტინს მიუსხდნენ ბალახზე. გველკაცას პერანგის სახელოები დაეკაპიწებინა, ორივე ხელი ვიწრო, დაღეულ საჯდომზე შემოტმასნილი ლურჯი შარვლის ჯიბეებში ჩაეწყყო და სერიოზულად ადევნებდა თვალს, როგორ აკერებდა კათარინა ღილს. როცა ღილის დაკერებას მორჩა, გველკაცამ იგი ონკანთან მიიყვანა და წყალი მოუშვა. გოგონამ კაბა აიწია, გველკაცას დაეყრდნო და ჯერ ერთი ფეხი შეუშვირა წყალს, შემდეგ კი მეორე. ფეხები საგრძნობლად გაუთეთრდა.

— თუ გინდა ჩემი პერანგით ფეხები შეიმშრალე, გავიხდი. შენ აუცილებლად გჭირდება ფეხსაცმელი, — უთხრა გოგონას გველკაცამ.

— ფეხსაცმელი არც მენა გაქვს.

— მე რომ არა მაქვს, ეს სხვა საქმეა, შენ გოგო ხარ!

— შენი აზრით, მე იმიტომ მჭირდება ფეხსაცმელი, რომ გოგო ვარ? ეგ სადაურია?

— ასეა მიღებული. თუმცა ფეხსაცმელს მე თვითონ შეგიკე-რავ. ოლონდ, ცხადია, ჯერ ზომა უნდა ავიღო.



გველკაცამ გადაწყვიტა ფეხსაცმლის მკერავი გამხდარიყო. რამდენიმე დღის წინ ფეხსაცმლის მკერავს ლემლაინს ჰკითხა, შეგირდად ხომ არ ამიყვანო. „მართალია, ტყავი არა მაქვს, მაგრამ შეგირდისათვის საქმე ყოველთვის გამოინახება. შეგიძლია ორშაბათიდან შეუდგე საქმესო“, — უთხრა ბატონმა ლემლაინმა.

ბატონი ლემლაინი ძველ ფეხსაცმელებს წიფლის ხის ძირებს აკრავდა და ხისგან ახალსაც თლიდა; ფეხსაცმელს ხელიდან სტაცებდნენ. დანგრეული სახლის სარდაფში ტყიდან დროულად წამოღებული წიფლის სამი იმოდენა მორი ედო, რომ ათასი წყვილი ფეხსაცმლისათვის იკმარებდა.

მარტინმა ბავშვებს თითო ნატეხი შოკოლადი გამოუტანა და ისევ გაბრუნდა.

— სად იშოვეთ შოკოლადი? — მიაძახა გველკაცამ.

— ქრისტეს მოწაფეებმა მოგვართვეს.

— ჰო-ო!

როცა ისევ აღმართს შეუდგნენ, კათარინამ ჰკითხა:

— ვინ არიან ქრისტეს მოწაფეები?

— ო... სოციალისტები.

— განა სოციალისტები შოკოლადს არიგებენ?

— რა თქმა უნდა! — გველკაცამ თავისი წილი ორად გაყო და ვაჟკაცური უდარდელობით უთხრა: — აი, ეს ნახევარიც შენი იყოს.

იოჰანა და რუთი ერთ ხანს მდუმარედ ისხდნენ ბალახზე.

— წელან რომ ქოხში შეხვედი, მარტინმა მითხრა, შპესარტში უნდა გადავსახლდე და რუთსაც თან წაიყვანო. შენი შერთვა უნდა. რუთი წარამარა იხსნიდა და იკრავდა ზედა ღილს.

— აქაურობას უნდა გავეცალო. უბედურების მეტს არაფერს მოვუტან. რატომ აუშვიცში არ დამწვეს. მაშინ მაგასაც აღარაფერი ექნებოდა სადარდებელი. აქაურობას უნდა გავეცალო.

— თუკი უყვარხარ, რუთ, თუკი უყვარხარ?

— არა, ეს შეუძლებელია, მაგრამ კიდევ რომ დავეთანხმო, არაფერი გამოვა. ამას შენ ვერ აგიხსნი, იოჰანა, ვერა, ვერ აგიხსნი.

— მითხარი, რუთ, ყველაფერი მითხარი, თუმცა, მე... ბევრი არაფერი გამეგება.

— ჰო, ბევრი არაფერი გაგეგება.

— ჩემთვის ისეთივე ხარ, რაც ადრე იყავი, არა, ბევრად უფრო ძვირფასი. თქ, რუთ, მარტინიც ამასვე გრძნობს. ნუთუ შენ ეს არ გესმის?

რუთმა გამომცდელი თვალთ შეხედა იოჰანას:

— ყოველდღე ათ მამაკაცს ვისტუმრებდი! ჩემთვის უკვე სულ ერთი იყო. ჩემთვის ყველაფერი სულ ერთი იყო. მაგრამ შეუძლებელია, მარტინისთვისაც სულ ერთი იყოს, არა, არასოდეს! ცოლად რომ შევერთე, უთუოდ შემეზიზნებოდა. იგი მხოლოდ ერთი იმ ათასთავანი იქნებოდა. რომ შევერთე, ან მას მოგვკლავდი, ანდა თავს მოვიკლავდი. — რუთს ზიზღით დაემანჭა ტუჩები.

იოჰანამ თავისი კუთვნილი ულუფა პური მიიღო და უკან გამობრუნებული, ჩვეულებისამებრ დახვავებულ ქვა-ლორღთან შეჩერდა. ერთ ღროს აქ მისი მშობლების სახლი იდგა და პირველ ხანებში ნანგრევებში ზოგჯერ ისეთ რაღაცას პოულობდა, რისი გამოყენებაც ჯერ კიდევ შეიძლებოდა. ღორღში გაკვალულ ვიწრო ბილიკზე რამდენიმე ნაცნობმა ჩაიარა. ისინი მღუმარედ მიესალმენ ქალიშვილს უღმიღამო იღუმალი ღიმილით — სიცარიელიდან სიცარიელეში.

დანახშირებული კოჭის ქვეშ იოჰანამ თვალი მოჰკრა რაღაც ფერადს და მაშინვე იცნო ბისმარკის პორტრეტის ოლეოგრაფია, რომელიც მამამისის კაბინეტში ეკიდა. გოგონას გულს არაფერი უგრძვნია. საერთოდ, მშობლების სახლი მასში არავითარ ამადელგებელ მოგონებებს არ იწვევდა. ქვა-ლორღიდან მტვრის კორიანტელი გამქვირვალე ჰაერში აღიოდა. ერთი ქვა საკუთარი სიმძიმის ძალით ორიოდე სანტიმეტრით დაბლა ჩამოცურებულიყო. ბუნების კანონები ურყევად მოქმედებდნენ.

საოკუპაციო არმიის ჯარისკაცები დაუნგრეველ სახლებში, მეტწილად ქალაქგარეთ გაფანტულ ვილებში ცხოვრობდნენ: სტივი და მისი ამხანაგები პატარა, თეთრი ვილის ბაღში გაზონზე წამოწოლილიყვნენ. სტივმა შორიდანვე იცნო იოჰანა და ფეხზე წამოდგა, ღობეს სხვებიც მოადგნენ და მათკენ მომავალ ქალიშვილს მიაჩერდნენ. იმ მთვარიანი ღამის შემდეგ, როცა შემაშფოთე-

ზელი საუბარი ჰქონდათ, სტივს რაღაც ამოუხსნელი გრძნობა აჩერებდა და იოჰანა არ უნახავს. როდესაც ქალიშვილი ისე ახლოს მივიდა, რომ სახის გამომეტყველებასაც კი გაარჩევდა კაცი, სტივი მისკენ გაემართა. აღსრულდა სტივის ოცნება, ახლა მასაც შეეძლო ლამაზ ქალიშვილთან ერთად ჩაეგლო ამხანაგების თვალწინ, მაგრამ ეს აღარ უნდოდა. ჯარისკაცებმა გოგონას თვალი გააყოფეს, ხოლო პატარა, ჩასუქებულმა სერჟანტმა მოწონების ნიშნად დაუხსტინა.

— ალო, იოჰანა! — მიამახა სტივმა. ჩაფიქრებული იოჰანა შეკრთა და უკან დაიხია. და, აი, უკვე სტივს გვერდით მიჰყვება. მაგრამ ქალ-ვაეს რაღაც მესამე, მტრულად განწყობილი, აედევნა.

— იმედია, ჯერ არ დაგინთიათ ცეცხლი ღუმელში. თიხა კარგად უნდა გამოშრეს და პირველად ძალიან უნდა გაახუროთ. მეც სიამოვნებით ვიქნებოდი ამ დროს იქ. შეიძლება? — თქვა სტივმა.

იოჰანამ მხოლოდ თავი დაუქნია, მაგრამ გული საამოდ აუძგერდა. ახოვანი სტივის გვერდით იგი მეტისმეტად პატარა ჩანდა. უნებურად ვაჟი მისკენ დაიხარა, თითქოს სურდა უფრო ახლოს ყოფილიყო.

— თქვენ პასუხს არ აგებთ იმაზე, რაც ნაცისტებმა ჩაიდინეს. სისულელეა! ტყუილუბრალოდ სწამებთ ცილს საკუთარ თავს! — უთხრა მოულოდნელად სტივმა გულწრფელი ადამიანის პირდაპირობით.

მალე ტირიფნარს მიუახლოვდნენ. იოჰანასთან ამაყი ქალიშვილები თავს იმ ადამიანისათვის ინახავენ, ვისაც ერთხელაც იქნება შეიყვარებენ; იგი სტივის სიყვარულს, როგორც დაუმსახურებელ ძღვენს, ვერაფრითარ შემთხვევაში ვერ მიიღებდა. მაგრამ ახლა, რაკი კონფლიქტი აღმოიფხვრა, შვებით ამოისუნთქა. იოჰანამ სტივს ახედა და მთელი თავისი გრძნობა ამ სიტყვებში ჩააქსოვა:

— გინდათ ახლავე დავანთოთ ღუმელი?

პასუხის ნაცვლად სტივმა ხელი გამოართვა და იოჰანამ ვაჟის ამგვარი ქცევა ბუნებრივად მიიჩნია. გზაში ყოველ ნაბიჯზე მიწიდან ნახევარ მეტრზე ამოჩრილ ჯირკებს და ფესვებს აწყდებოდნენ და სხვადასხვა მხრიდან ისე შემოუფლიდნენ, ერთმანეთს ხელს არ უშვებდნენ. იოჰანა ისე იყურებოდა და ისეთნაირად იღიმებოდა, თითქოს ეს მხოლოდ ბავშვური თამაში იყო. მაგრამ

როდესაც თითის წვერებზე შემდგარმა, ფესვს ფრთხილად შემო-  
უარა, არ წამოვედოო, შეტორტმანდა და უნებურად სტივს ჩაებ-  
ლაუქა, — იმწამსვე ყველაფერმა სერიოზული სახე მიიღო, ხო-  
ლო როცა სტივმა იოჰანა გულზე მიიკრა და აკოცა, ქალიშვილი  
ათრთოლდა და თვითონაც აკოცა სტივს იმ ადგილას, სადაც ტუ-  
ჩებით მისწვდა.

მათ ერთმანეთს ხელი გაუშვეს და უკანასკნელი ასი ნაბიჯი  
გვერდიგვერდ იარეს. იოჰანამ თავი დახარა, მაგრამ ეს სიმორცხვით  
არ მოსვლია, ერთბაშად დადინჯდა და ფექრს მიეცა. თითქოს ამ  
წუთიდან ცხოვრების ახალ გზას დაადგა და მიხვდა, აღრე თუ  
გვიან ყველაფრის საფასური უნდა გაიღო, ბედნიერებისაც კი.

სტივი დასცქეროდა მის თმას, რომელსაც ეს-ეს არის ჰკოც-  
ნიდა და უეცრად თვალწინ პენსილვანიის ფერმაში აყვავებული  
კვრინჩხის ბუჩქი წარმოუდგა. „თავლის უკან იზრდება“, — წა-  
მოსცდა უნებურად და როცა იოჰანამ კითხვის თვალით შეხვდა,  
შეცბა, რადგან საკუთარი თავისთვისაც ვერ აეხსნა, რა ჰქონდა  
საერთო აყვავებულ კვრინჩხის ბუჩქს იოჰანას თმასთან.

იგივე ბლომად ეყარა ფიჩხი და მდინარის გამონარიცი  
მცხუნვარე მზისაგან რუხ ქვისფრად ქცეული ნაფოტები. სტივმა  
ღუმელში ცოტაოდენი ფიჩხი შეყარა და ცეცხლი დაანთო. გახა-  
რებული იოჰანა ფიჩხის ტკაცატკუსს უსმენდა, ღუმელის მშენე-  
ბელს კი უფრო თიხის ოდნავ გასაგონი, ჩუმი სიმღერა აინტერე-  
სებდა, თიხისა, რომელიც პირველად შეერკინა ცეცხლს.

ქონში ახლა, ისევე როგორც ახალ შენობაში, ნესტისა და სა-  
ღებავის, კირისა და ახლად ამოყვანილი კედლების სუნნი იდგა. ცოტა  
ხნის შემდეგ კი წითელი აგურის კუბმა საამო სითბო მოჰფინა.  
ქონს და აღარც სუნნი ჰქონდა — იოჰანა ღუმელის მფლობელი  
გახდა.

სახურავიდან ერთი მეტრის სიმაღლეზე, მილის ბოლოსა და  
თუნუქის წვეტიან ხუფს შორის მოლურჯო კვამლი ბოლქვა-ბოლ-  
ქვად ამოდიოდა. კვამლი ისე შინაურულად, ისე მანუგაშებლად  
იფანტებოდა სექტემბრის გამჟვირვალე ჰაერში, თითქოს ევრო-  
პის ცივილიზაციამ, რომელმაც თმში საკუთარი თავი შთანთქა და  
ლორღად და ფერფლად აქცია, სტივის აშენებული ღუმელის მეო-  
ხებით პირველი ნაბიჯი გადადგა ახალი ცხოვრებისაკენ.



იმ იმედით, ეგებ სტივი ისევ მოვიდესო, იოჰანამ თავისი ქო-  
ზი მორთო. ახლა უმინო ფანჯარაზე შუაზე გაჭრილი თეთრი ფარ-  
და ეკიდა, რომლის ბოლოები ორსავე მხარეს ძაფით იყო დამაგ-  
რებული, მაგიდაზე კონსერვის ქილაში ჰყვებოდა ყვითელი ბა-  
ბუაწვერას თაიგული იდგა, ქილაზე კუწუბოვებამოჭრილი ცის-  
ფერი ქალაღლი შემოეკრა. საწოლის წინ ეფინა ტირიფის წნე-  
ლისაგან დაწნული ღია მწვანე ნოხი, სილამაზისათვის შუაში და-  
ტანებული წითელი ბაფთით. ნოხი სწორედ იმოდენა იყო, რომ  
ფეხშიშველა ადამიანის დასადგომად კმაროდა.

ბინდდებოდა, სტივი და იოჰანა საწოლის კიდეზე ისხდნენ.  
იოჰანამ სტივის მოტანილი სანთელი აანთო. სანთლის შუქი რბი-  
ლად ათამაშდა ქალიშვილის სახეზე. გუგებს ირგვლივ მოციმ-  
ციმე ნაპერწკლების რკალი უელავდა.

იოჰანა ამჩნევდა. რა ყურადღებით ათვალიერებდა სტივი  
მისი დიასახლისური გამჭრიახობით შელამაზებულ ქოხს, ყოველ  
ახალ წვრილმანს და უნებურად შერცხვა. ვაჟი მხოლოდ ახლა  
მიხვდა, მისი გულისათვის ცდილობდნენ ამდენს და ეს ქალიშვი-  
ლის თვალებმაც დაუდასტურა, თუმცა მან იმწამსვე დახარა წამ-  
წამები.

ამით ოდნავ გათამამებულმა სტივმა გოგონას ამგვარად აუხსნა  
სიყვარული: „ახლა შეგიძლიათ რამე მოიხარშოთ“.

ვაჟის კილომ იოჰანას გული აუჩუყა. რა საამუროა ცხოვრება!  
მაგრამ აქამდე ცხოვრება მას გვერდს უვლიდა. მისდა უნებურად  
უფრო ახლოს მიიწია ვაჟისაკენ. რა კარგია ასე გვერდიგვერდ  
ჯდომა. ამიერიდან ცუდი აღარაფერი შეემთხვევა.

მრავლისმეტყველი ღუმლის შემდეგ სტივმა — იგი არასო-  
დეს ყოფილა ქალების მუსუსი — იოჰანას წელზე ხელი მოხვია;  
ასეთი რამ პენსილვანიაშიც გაუკეთებია რამდენჯერმე, მას შემ-  
დეგ, რაც მორცხვობას სძლია და გაყოყოჩდა.

— გიყვარვართ, იოჰანა?

ქალიშვილმა მხოლოდ თავი დაუქნია. მაგრამ უცებ ცრემლი  
წასკდა. სანამ ტიროდა, ხმა არ ამოუღია.

სტივს უნდოდა დაემშვიდებინა და აკოცა. მერე კიდევ აკოცა,  
კიდევ და ბოლოს ტუჩები მოძებნა. ტუჩები წინააღმდეგობას

აღარ უწევდნენ. იოჰანა მოთენთილი, მიბნედილი იწვა მის მკლავებში და აღარაფერი ახსოვდა.

მაგრამ როდესაც ვაჟი მის ლოყას ტუჩებით შეეხო და ჩურჩულით ჰკითხა, შენთან დარჩენის ნებას თუ მომცემო, უმანკო ქალიშვილი სირცხვილით გაიწურა და ხელიდან დაუსხლტა. უბიწოება, სიწმინდის ეს მრისხანე მცველი, სურვილზე უფრო ძლიერი აღმოჩნდა.

როგორც კი საფრთხემ გაიარა, მან ვაჟს ისევ მისცა კოცნის უფლება და სახეგაბრწყინებული, თვალცრემლიანი კოცნითვე პასუხობდა.

სტივი წავიდა.

იოჰანას ჯერ ხელიხელჩაკიდებულს უნდა ევლო ამ ქვეყანაზე გულის ტოლთან ერთად, სანამ იმ დიდ სიახლოვეზე დათანხმდებოდა, რაც მისი ხასიათის ქალიშვილისათვის ერთად ცხოვრების დაწყებას ნიშნავს.

როდესაც სტივმა ვილასთან ბაღის ჭიშკარი შეაღო, ირგვლივ სწორედ ის ამხანაგები შემოეხვიენენ, ნასადილევს მასთან ერთად რომ გორაობდნენ გაზონზე. ყველას ჭიქა ეჭირა ხელში. სინარულისაგან თავი აღარ ახსოვდათ და ცოტა გადაკრულშიც იყვნენ. ერთმანეთს ლაპარაკს არ აცლიდნენ, ერთხმად მიახარეს, რაც თვითონ ახლახან შეიტყვეს: „ხვალ ყველანი სამშობლოში მივემგზავრებით, ჩვენც, შენც, მატარებელი დილის ათ საათზე გადისო“.

ამ ცნობას სტივიც აგერ რამდენი თვეა ყოველდღე ელოდა: შორს, უცხოეთში გატარებული ოთხი წლის შემდეგ, ამდენი ქარცეცხლისა და სამშობლოზე აუწერელი დარდის შემდეგ ეს მართლაც მნიშვნელოვანი მოვლენა იყო. სტივმა უნებურად მუნდირა გაისწორა, თითქოს უკვე ემზადებოდა გასამგზავრებლად, მაგრამ უეცრად იოჰანას სახემ დაჩრდილა ყველაფერი და სინარულიც ისევე სწრაფად გაქრა, როგორც ელვის წამიერი ციალი.

ამხანაგებმა სტივს ჭიქა მიაჩჩიეს ხელში. მაგრამ მან სასმისი გაზონზე დადგა, უხმოდ გატრიალდა და წავიდა. პატარა, ჩასუქებულმა სერჟანტმა, რომელიც ძლივს იდგა ფეხზე და ვისკით სავსე ჭიქაში ყინულს აწკრიალებდა, სტივს თვალი გააყოლა და გაოცებულმა იკითხა: „ნეტავი რომელმა ბუზმა უკბინაო?“

სტივმა გადაწყვიტა იოჰანას გამომშვიდობებოდა და უკანვე გაბრუნდა.

სტივის წასვლის შემდეგ იოჰანა მხოლოდ მასზე ფიქრობდა. საწოლზე წამოწოლილს ძილი არ ეკარებოდა. ცალი ხელი თავქვეს ამოდო, მეორე კი შიშველ ძუძუზე ედო. ძუძუ ისეთი მაღალი და მკვრივი ჰქონდა, საყრდენი არა სჭირდებოდა.

როგორც კი გარედან სტივის ჩუმი ძახილი მოესმა, იოჰანამ სასწრაფოდ გადაიფარა საბანი. სტივი ქოხში შევიდა და საწოლის კიდეზე ჩამოჯდა. იოჰანა ფართოდ გახელილ თვალებს არ ამორებდა.

სტივმა გზაში მოიფიქრა, რა როგორ ეთქვა, მაგრამ დაიბნა, სახეში მიაჩერდა და პირდაპირ მიახალა სიმართლე.

ეს სიტყვები დანასავეით მოხვდა იოჰანას გულში, მაგრამ ცვილივით გაფითრებულ სახეზე არაფერი დამჩნევია, გეგონებოდათ, იმწამსვე ამოხდა სულიო. მხოლოდ ბაგენი გააპო ოდნავ და ღიადვე დარჩა. იგი პირით სუნთქავდა, ხოლო სამყარო, რომელიც მას ეკუთვნოდა, სადღაც ინთქმებოდა.

— მე კი, იცი როგორ მიყვარხარ, — უთხრა სასოწარკვეთილმა სტივმა...

ველარასოდეს ველარ ნახავს სტივს, ველარასოდეს!

ამ რამდენიმე წუთში იოჰანამ მტკიცენტულად იგრძნო, მთელი სიცოცხლე სანანებლად ექნება ის ამბავი, თუ არ დაუთმობს და ცხოვრებისაგან თავის წილ ბედნიერებას არ მიიღებს.

იოჰანამ ტუჩები მოკუმა, თვალები დახუჭა. მის სახეს სიცოცხლის ნიშან-წყალი არ ეტყობოდა, ნიღაბივით გაქცავებულიყო. აკანკალებული ხელებით პერანგი მხრებზე გადაიწია და მკერდი გაიშვიშლა.

## VIII

სოფლის სამიკიტნო, სადაც ქრისტიან შარფის ჯგუფი სხდომებს ატარებდა, ტყეში, მიყრუებულ ხეობაში იდგა. მოშორებით შარავნაზე დროდადრო ამერიკული სამხედრო მანქანა თუ ჩაივლიდა. სამიკიტნოს პატრონი გლეხი იყო და მთელი დღე მინ-

დორში მუშაობდა. ძროხებსა და სამიკიტნოს მისი ქკუასუსტი ქალიშვილი უვლიდა, იგი ვერ ლაპარაკობდა, ზმუოდა მხოლოდ. კედელზე ჩამოკიდებულ გაქვართლულ პლაკატზე დამჯდარი ვაცი ეხატა, ვაცს ჩლიქებით ლუდით სავსე ჭიქა ეჭირა. სამიკიტნოში ლუდი დიდი ხანია აღარ მოიძევებოდა და თმის დამთავრების შემდეგ აქ იშვიათად თუ შემოიხედავდა ვინმე.

დღეს ქრისთიანმა მხოლოდ ის სამი თვრამეტ-თვრამეტი წლის ვაებატონი დაიბარა, რომელნიც მარტინის ქოხის გადაწვას აპირებდნენ, მაგრამ მოწაფეებმა კუდით ქვა ასროლინეს. წინა დღით მათ კიდევ ერთი საგულდაგულოდ მომზადებული საბოტაჟის აქტი ჩაეფუშათ. ქრისთიან შარფმა კარლ ზიკს, აი, იმ სპორტულ კურტაკში გამოწყობილ ახალგაზრდას, რუთი რომ გააჩერა და შეურაცხყო, მთელი ჯგუფის თანდასწრებით დაავალა საბეჭდი მანქანის საკისრების ზემო სახეთე კაფსულეებში ქვიშა ჩაეყარა და მწყობრიდან გამოეყვანა მანქანა, რაზეც სოციალისტური გაზეთი იბეჭდებოდა. მაგრამ სტამბის შენობის წინ იგი ორმა ასოთამწყობმა შეაჩერა, და პირდაპირვე უთხრეს, ვიცით, რა განზრახვითაც მოსულხარო, ერთი კარგად მიბეგვეს, გაჩხრიკეს და ჯიბეებში ქვიშა უპოვეს. როცა ზიკი საპოლიციო უბანში მიჰყავდათ, ხელიდან გაუსხლტათ.

ბევრი იმტვრის თავი, ვინ იყო ჯგუფის წევრთა შორის გამცემი, ბევრი იღავეს, მაგრამ ამაოდ. ბოლოს ქრისთიან შარფმა თქვა:

— ვინც არ უნდა იყოს, ახლავე უნდა გადავწყვიტოთ, როგორ გავუსწორდეთ. თუ არ გვინდა ჩვენს საქმეს სამუდამოდ ბოლო მოეღოს, ეს ერთი გზაა დაგვრჩენია.

ჯერჯერობით ნილაბაუხდელ გამცემს, პეტრეს, სასიკვდილო განაჩენი გამოუტანეს და საზეიმო ფიციც დადეს. ამის შემდეგ შარფმა სამივე სადღაც გაგზავნა. ზიგფრიდ კაბუსი, შტუტგარტელი ესესელი ლეიტენანტი ამ სამიკიტნოში კრებას უნდა დასწრებოდა.

ტყით დაფარულ მცირედ დაქანებულ დაღმართზე ლეიტენანტი გამოჩნდა. მას გაძვალტყავებული ბებრული სახე, ფართო მომჩვარული ტუჩები და პატიმარივით გადაკრეჭილი თმა ჰქონდა. ფანჯარასთან მდგომმა შარფმა პირველად ვერ იცნო სუტაჟ



ნასავით გრძელ: შავ ფარაჯაში გახვეული ლანდი და მღვდელი ეგონა.

შარფი სტუმარს მიეგება. ისინი ერთმანეთს მრავლისმეტყვე-  
ლი დუმილით მიესალმენ. პირადობის მოწმობა, რომელშიც ესე-  
სელის ფორმაში გამოწყობილი ლეიტენანტის, სურათი იყო ჩაკრუ-  
ლი, კაბუსმა მხოლოდ ტყეში აჩვენა შარფს და მაშინვე დაიწყო  
ლაპარაკი:

— მიუნჰენში ვიყავი ბლიუმთან. უნდა გაცნობოთ, რომ კავ-  
შირი დავამყარეთ არგენტინასთან, ესპანეთში ფრანკოსთან, საზ-  
ღვარგარეთ შეკრებილ პოლონეთის არმიასთან და — რასაც მე  
განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვანიჭებ — ემიგრირებულ რუს  
ოფიცრებთან, რომელნიც მთლიანად მხარს გვიჭერენ. გერმანიისა  
და ავსტრიის ყველა არალეგალური ჯგუფი ბლიუმს აბარებს ანგა-  
რიშს, და ბლიუმისავე ზურგს ეფარებიან ვერმახტის უმაღლესი რან-  
გის ოფიცრები. ჩვენი ორგანიზაცია ერთსა და იმავე დროს ვერტი-  
კალურიცაა და ჰორიზონტალურიც. მთელ მსოფლიოს მოიცავს!  
ერთი მთლიანი ბლოკია — რუსეთის წინააღმდეგ მიმართული  
გრანიტის გიგანტური ბლოკი!

შარფი აღმაცერად უცქერდა კაბუსს, თითქოს ეჭვი ეპარე-  
ბოდა, მთვრალი ხომ არ არისო. ერთი კვირის წინ თვითონაც იყო  
მიუნჰენში ბლიუმთან. ბლიუმმა უთხრა: „ჯერჯერობით ჩვენ მხო-  
ლოდ მათხოვრები ვართ. ჯერ ადრეა ლაპარაკი რაიმე ორგანი-  
ზებულ მოძრაობაზე. თუ მსოფლიო პოლიტიკაში არაფერი შეი-  
ცვალა გერმანიის სასარგებლოდ, ჩვენში ახლა ისეთი ვითარებაა,  
ხანგრძლივი საორგანიზაციო მუშაობაც შეიძლება უშედეგო აღ-  
მოჩნდესო“. შარფი იმ იმედით დაბრუნდა ვიუტრცბურგში, რომ  
მსოფლიო პოლიტიკაში გერმანიისათვის ხელსაყრელი ცვლილე-  
ბები მოხდებოდა.

კაბუსმა შარფს მკლავში ხელი მოჰკიდა.

— მთავარია მზად ვიყოთ. მზად ვიყოთ „იმ დღისათვის“! ჩვე-  
ნი ბლოკი, მიმართული რუსეთის წინააღმდეგ, უძლეველია. ბევრი  
იარაღი შეაგროვეთ?

— ორი ხელყუმბარა, — უთხრა გაბრაზებულმა ქრისტიანმა.  
შემდეგ რაღაც მოიმიზეზა, კაბუსს გამოემშვიდობა და ტყეში



მარტო დატოვა. შარფმა რამდენიმე ნაბიჯი გადადგა და უკან მოიხედა, შავმა ფიგურამ მარჯვენა ხელი აღმართა.

— მომავალ კვირას შტუტგარტში დიდი ამბები მოხდება! — წამოიძახა მან.

ხუთი დღის შემდეგ შარფმა გაზეთში წაიკითხა ცნობა იმის შესახებ, რომ შტუტგარტში ყუმბარები აფეთქებიათ. სასამართლოს შენობას, სადაც ნაცისტების საქმეს არჩევდნენ, ოთხმა ყუმბარამ ბევრი ვერაფერი დააკლო; მაგრამ „აფეთქება №1“, ნაცისტების პირველი ძალადობის აქტი გამარჯვებულ სახელმწიფოთა წინააღმდეგ, დიდად გახმაურდა გერმანიაში. მსოფლიო პრესა დაწვრილებით აშუქებდა ამ ამბავს.

(კაბუსი მხოლოდ ორი თვის შემდეგ, ნოემბერში დააპატიმრეს. როგორც გამოირკვა, ომის დროს ფრონტს არც კი გაჰყარებია, მაგრამ მიუხედავად ამისა, შტუტგარტის გაზეთებს მისწერა, მტერთან ბრძოლაში გამოჩენილი განსაკუთრებული მამაცობისათვის ლეიტენანტობა მიბოძესო, წერილს თან დაურთოთ ესესელი ლეიტენანტის ფორმაში გადაღებული სურათი. სინამდვილეში კი კაპრალი ყოფილა. კაბუსს სასიკვდილო განაჩენი გამოუტანეს. მხნეობამ მხოლოდ საკანში უმტყუნა, როცა ერთმა ამერიკელმა ქურნალისტმა ჰკითხა, რატომ თამაშობდით სასამართლო პროცესზე ქედმოუხრელი გმირის როლსო, კაბუსმა უპასუხა: „იმიტომ, რომ დედაჩემს ჩემი სწამსო“).

შარფი და ზიკი დომშტრასეზე იდგნენ გროვა-გროვად დაყრილ ღორღში. ზიკს მკლავზე სპორტული კურტაკი გადაეკიდა. მათ რამდენჯერმე გადაიკითხეს ცნობა ყუმბარების აფეთქების შესახებ. ბოლოს შარფმა უამბო, რაც კაბუსმა და ბლიუმმა უთხრეს და ჰკითხა:

— ვის უნდა დაუჯეროს კაცმა?

— როგორ თუ ვის?! ეტყობა, ბლიუმმა ბოლომდე არ გაგანდო საიდუმლო. ალბათ რაღაც მიზეზი ჰქონდა. მაგრამ ერთი რამ ცხადია, კაბუსი იმ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნის, ვინც მარტო სიტყვებს არ სჯერდება.

შარფმა გაზეთი ჯიბეში ჩაიღო.

— იქნებ ნაწილობრივ ორივე მართალია. აშკარაა, კაბუსი

ღირსეულად ვერ შევაფასე, რაც მან გააკეთა, დიდი საქმეა: ეს ცოტათი შეგვახურებს.

ზიკს ჩალურჯებული თვალი შემუშებოდა.

— ამგვარი რამ ჩვენც უნდა მოვაწყოთ. ქვიშას ხელყუმბარები ჯობს და ასეთი საქმეც უფრო ადვილი გასაკეთებელია. დიდი არაფერი უნდა, პირდაპირ თანჯრიდან შევაგდებთ! ორი ხელყუმბარით საბეჭდ მანქანას და მთელ ოთახს ავაფეთქებთ და ცხადია, მბეჭდავებსაც ზედ მივაყოლებთ. მაშინ, თუ უნდათ, ცაში ბეჭდონ თავიანთი მყრალი გაზეთი.

— ურიგო არ იქნება, — უთხრა შარფმა, — მაგრამ სანამ მოლატეს არ აღმოვაჩინებთ, და არ გავუსწორდებით, არაფრის წამოწყება არ შეიძლება, ამით მხოლოდ საკუთარ თავს ვავნებთ. როგორ აღმოვაჩინოთ არამზადა?

ზიკმა სპორტული კურტაკი ჩაიცვა და თქვა:

— ეს რომ ვიცოდე, ახლავე მოვულებდი ბოლოს.

ზიკი და შარფი მდინარის ნაპირისაკენ წავიდნენ. ხიდთან შეხვედრა პქონდათ დათქმული. ქვის პარაპეტზე ორნი ისხდნენ: პეტრე და პიტლერული ახალგაზრდობის ერთი წევრი. ყმაწვილს მოკლული ბატისთვის კისერში ხელი წაეწლო და ისე ეკირა, თითქოს წყალში ჩაგდებას უპირებდა. ბატი მიკიტნის ჰკუასუსტ ქალიშვილს დასტყუა.

— ცხადია, ფული არ მოუთხოვია, ოსკარ, — თქვა ყმაწვილმა და თვალი ჩაუკრა მათ უკან მდგომ ჩასკვნილ ახალგაზრდას.

ოსკარმა, რომელსაც შარფი და ზიკი უნდა შეხვედროდნენ, მსუქანი ტუჩები დამანჭა და თქვა:

— ნამდვილი ღორბაა.

ჯგუფის სხვა წევრთაგან განსხვავებით, რომლებიც ომის დამთავრების შემდეგ უსაქმოდ დაეხეტებოდნენ „იმ დღის“ მოლოდინში, ოსკარი მეცადინეობდა და პროფესიას ეუფლებოდა ოფიცრის ქვრივის შვილმა კვლავ მოჰკიდა ხელი მედიცინის შესწავლას.

— ღორბაო? რას მიჰქარავ! შენ რა გენადვლება, თუკი გოგოს მოსწონს.

როცა მათ შარფი და ზიკი მიუახლოვდნენ, ყმაწვილმა ბატი ლასოსავით შემოატრიალა თავის ირგვლივ.

— ამ ბატს „ოქროს ღუზის“ პატრონს მივყიდი, — თქვა და წავიდა.

ახალმოსულები პეტრესა და ოსკარის გვერდით ჩამოსხდნენ პარაპეტზე. უკვე ბნელოდა. მათ ფეხთით მდინარის ზვირთებზე მებადურის ნავი ირწეოდა. ზიკი აღფრთოვანებული ლაპარაკობდა შტუტგარტში მომხდარ აფეთქებაზე. შარფმა ოსკარს უამბო ყველაფერი, რაც კაბუსისაგან მოისმინა, უთხრა, ჩვენმა ორგანიზაციამ მტკიცედ მოიკიდა ფეხი მთელ მსოფლიოში და რუსეთის წინააღმდეგ ბლოკია შეკრულიო. ისიც გაუხშილა, რა იმედებს ამყარებდა ბლიუმი მსოფლიო პოლიტიკის შეცვლაზე გერმანიის სასარგებლოდ. „კაბუსმა ალბათ ზოგი რამ გააზვიადა. სანამ გერმანია ხმის ამოღებას შეძლებს, კიდევ ბევრი დრო გაივლის. მაგრამ ჩვენ მაინც სწორ გზას ვადგივართ“, — დაძინა შარფმა.

ოსკარი ღუშდა, პეტრე დროდადრო კენჭებს ისროდა წყალში. პეტრეს არც ყურადღებას აქცევდნენ და არც ანგარიშს უწყევდნენ. მას მხოლოდ ერთი რამ ევალებოდა, თავისი ტოლი ბიჭები ჩაება ორგანიზაციაში.

ზიკმა მუშტი წინ გაიშვირა. ყველა ქალაქში უნდა აფეთქდეს ყუმბარები, სანამ ჩვენი მტრები შარვალში არ... შემდეგი ყუმბარა ვიურცბურგში აფეთქდებაო.

— კიდევ ერთი სახლის აფეთქებას ერთი ახალი სახლის აშენება აჯობებდა! — ჩაილაპარაკა ოსკარმა ისე, თითქოს ხმამაღლა ფიქრობსო.

ამგვარი რამ მათ ჯერ ჯგუფის არც ერთი წევრისაგან არ გაუგონიათ.

ზიკმა და შარფმა თავი ოსკარისკენ მოაბრუნეს და გაოცებულნი სმენად იქცნენ.

— ყუმბარების აფეთქებით, საბოტაჟითა და ებრაელთა დევნით გერმანიას ვერას ვუშველით, — განაგრძო ოსკარმა.

— აბა რით ვუშველით?

— არ ვიცი. საერთოდ, რა ვიციოთ ჩვენ! ჯერ კიდევ ბავშვები პიტლერული ახალგაზრდობის ორგანიზაციაში მოვხვდით. ვინ მოგვცა საშუალება დამოუკიდებელი აზროვნება გვესწავლა. მაგრამ ახლა ერთი რამ მაინც ვიცი—გერმანიას ფეხზე ვერ დააყენებ იმავე საშუალებებით, რამაც ასე გაანადგურა.

— ომი რომ მოგვევთ? ცოტაც და ხომ მოვიგებდით.



— რაკი მეკითხები, მოგახსენებ. ეს კიდეც უფრო დიდი საში-  
ნელება იქნებოდა. ამ ბოლო დროს ბევრ რამეს ჩავუფიქრდი: ყველა-  
ფერს რომ თავი დავანებოთ, ექვსი მილიონი ადამიანი გაულიტეს  
მხოლოდ იმისათვის, რომ ებრაელები იყვნენ, მათ რუსეთის ცხრა  
მილიონი მოსახლეობაც მიაყოლეს! ვერავენ მეტყვის, ეს საზარელი  
ზღაპარიაო. ორჯერ რუსეთში ვიყავი, ორჯერ პოლონეთში. აუშვიც-  
შიც ვყოფილვარ. იმ მატარებელს გავყევი, რომლითაც რუსეთ ფრთ-  
დენჭაიმი წაიყვანეს. ის ღუმელებიც მინახავს.

— დიდი ამბავი! — წამოიძახა შარფმა. — ერთი ეს მითხარი, რა  
გინდა ჩვენთან, თუ ასეთი აზრისა ხარ?

— დიდი ხანია მინდოდა მოგლაპარაკებოდით ამაზე. მაგრამ ჯერ  
თვითონ უნდა გავრკვეულიყავი, რა უნდა ვაკეთდეს.

ზიკმა შემთხვევით ისარგებლა და ჰკითხა:

— მაშინაც ამ აზრისა იყავი, როცა იმ ქოხის გადაბუგვას ვაპი-  
რებდით, სადაც ებრაელი კახა ცხოვრობს?

— მაშინაც წინააღმდეგი ვიყავი. — უპასუხა ოსკარმა. პეტრემ  
ისევ გადააგდო წყალში კენჭი.

— წინააღმდეგი იყავი? მაშასადამე, არც საბჭუდ მანქანასთან  
დაკავშირებულ ღონისძიებაში გვეთანხმებოდი.

— ცხადია, არა.

— მაგრამ მაშინ შენ არაფერი წამოგცდენია, ყოველ შემთხვე-  
ვაში, ჩვენთვის არაფერი გითქვამს.

შარფმა ზიკს შეუმჩნევლად მოუჭირა ხელი ხელზე, მეორე ხელი  
კი მეგობრულად დაადო ოსკარს მხარზე და უთხრა:

— შენმა ნათქვამმა, — ამ გზით გერმანიას, ფეხზე ვერ დავაყუ-  
ნებთო, — მეც დამაინტერესა. ურიგო არ იქნება, თუ ამ საკითხზე  
ვისაუბრებთ. ვინ იცის, იქნებ შენ მართალი ხარ.

ოსკარმა ჯიბიდან ამოიღო სოციალისტური გაზეთის ნომერი,  
სადაც დაბეჭდილი იყო მოწაფე იოანეს მამის წერილი შტუტგარ-  
ტში ყუმბარების აფეთქების შესახებ.

— რასაც ესენი შტუტგარტის სიგიჟეზე წერენ, კარგადაა და-  
საბუთებული და მეც ამავე აზრისა ვარ.

ზიკმა, რომელიც პარაპეტის კიდეზე იჯდა შარფის გვერდით, ამ-  
ხანაგს ჩასჩურჩულა:

— ცურვა არ იცის.

— მარტო თავდასხმაზე კი არ წერენ. ამას საბაბად იყენებენ და შემდეგ განმარტავენ, რატომ მიაჩნიათ სოციალიზმი გერმანიის ხსნის ერთადერთ გზად. ამ ამბისა მე თითქმის არაფერი გამეგება, — დასძინა ოსკარმა.

— ყოველ შემთხვევაში, ეს საინტერესოა და საფუძვლიანი მსჯელობის საგანი უნდა გახდეს, — თქვა შარფმა. — მოდიოთ, ნავით გავისეირნოთ. ჯიბის ფარანი თანა მაქვს. შენ ამ წერილს ხეამაღლა წაგვიკითხავ, შემდეგ კი ვიმსჯელებთ ამ საკითხზე. მდინარეზე ხელს არავინ შეგიშლის, ერთმანეთს თმაშიც რომ ვწვდეთ, მაინც ვერავინ გაიგონებს.

პეტრე წამოდგა:

— მე წავედი.

— რაც აქ ითქვა, საიდუმლოა, არავისთან წამოგცდეს! ჩვენებთანაც კი არა, გესმის? — უთხრა შარფმა პეტრეს. შემდეგ სანაპირო ჯებირში დატანებულ რკინის რგოლზე მიბმული ნავი ახსნა და სამივენი შიგ ჩასხდნენ.

ბნელი ღამე იყო. ცაზე კანტიკუნტად კიაფობდნენ ვარსკვლავები. ნავი ნელა გაჰყვა მდინარის დინებას, ჩაუარა იოჰანას ქოხს. ამას იქით მოსახლე არ ჩანდა.

ზიკმა ნავი შუა მდინარეში გაიყვანა. ოსკარი შარფსა და ზიკს შორის იჯდა ფიცარზე. მცირე ხნის შემდეგ შარფი ოსკარს მიუბრუნდა.

— ჯობია აქ გადმოვდე. აქედან უკეთ გავიგონებთ შენს ხმას.

როცა ადგილების გადასანაცვლებლად წამოდგნენ, ნავი შეტორტმანდა. ამ დროს ზიკიც ადგა. ორივენი ოსკარისაკენ წამოვიდნენ, თან ცდილობდნენ წონასწორობა დაეცვათ. მიუახლოვდნენ თუ არა ოსკარს, მოულოდნელად ხელი ჰკრეს და მდინარეში გადააგდეს. ახალგაზრდა კაცმა ერთი კი ამოჰყო თავი წყლიდან, რაღაც დაიყვირა და ჩაიძირა.

მეორე დღით გვამი წყალმა ნაპირზე გამოირიყა ქალთა მონასტრის, „ბჰენი ზეცისანის“ მახლობლად.

იმ საღამოს პეტრე დახლის უკან იდგა სამიკიტნოში და, როცა გაზეთში გამოქვეყნებული ცნობა წაიკითხა. შეძრწუნებულმა ჩურჩულით ჩაილაპარაკა: „ოსკარი მათ მოკლეს“. ამ დროს იმ მხრიდან, სადაც მაგიდის ირგვლივ სამიკიტნოს ხშირი სტუმრები ისხდნენ,

მეთევზე კროიციპიუგელის, ამ სიტყვაძვირი კაცის ადღვებული ხმა მოისმა:

— ოცდათხუთმეტი წელია თევზს ვიჭერ და ჩემი ნავი ჯერ არავის მოუპარავს. მუდამ ხიდთან ვაბამდი, ამ დილით კი ქვევით ვნახე, საკმაოდ შორს, მეორე ნაპირზე მიებათ. ძაღლის თავიც სწორედ აქ არის დამარხული. თუ ჩემი ნავით ისარგებლა, შიგ, ცხადია, სხვაც იჯდა. დამხრჩვალ ხომ ვერ მიაბამდა ნავს.

უნევერსიტეტის პროფესორმა პებერლაინმა ჯერ ერთი ყლუპი მოსვა და მერე თქვა:

— ალბათ დამთხვევია. ეტყობა ვიღაცამ იმ ღამეს უკანონოდ გამოიყენა თქვენი ნავი... რა საშინელი ბედი ეწია! ოთხი წელი ფრონტზე გაატარა! ცოცხალი გადარჩა, აქ კი ასეთი რამ შეემთხვა. სამედიცინოზე სწავლობდა. საცოდავი დედამისი. ოსკარი ხომ მისი ერთადერთი ნუგეში იყო.

პეტრე გარეთ გავიდა და სახლის წინ შეჩერდა. კარის ზღურბლზე ჩამომჯდარი კათარინა ცდილობდა ფეხის თითები ხელის თითებივით გაეფარჩხა. მაგრამ პეტრეს დანახვისთანავე ფეხზე წამოხტა და მიაძახა:

— რა დაგემართა? ცუდად ხომ არა ხარ?

პეტრემ ნელა, მთვარეულივით გარინდებულმა განაგრძო გზა. „ვალდებული ვარ... ვალდებული ვარ...“ და არ იცოდა როგორ მოქცეულიყო.

ბინდდებოდა. როცა პეტრე გონს მოეგო. რამდენჯერმე დაუძახა იოანეს, მეტისმეტი ადღვებისაგან სუნთქვა ეკვროდა. ბიჭის ხმაში გაჭირვებულის მუდარა ისმოდა. როანე სწორედ სახლისაკენ მოჩანჩალებდა, პეტრეს უკნიდან მიეპარა და მხარზე ხელი დაადო. პეტრე ელდანაკრავივით მოტრიალდა.

ბიჭები მდინარის ნაპირისკენ გაემართნენ. გზაში პეტრემ სიტყვა-სიტყვით უამბო ყველაფერი. რაც წინა საღამოს მოისმინა.

ისინი ხიდთან სწორედ იმ ადგილას შეჩერდნენ, სადაც გუშინ პეტრე იჯდა. ქვევით კროიციპიუგელის ნავი ება.

— შემდეგ კი შარფმა ნავით გასეირნება შესთავაზა. ტანში ყრუ-ანტელმა დამიარა. მხოლოდ ახლა მივხვდი, რამ შემაშფოთა. როგორ მოვიქცე? პოლიციას შევატყობინო თუ ამერიკელებს, რომ ოსკარი იმით მოკლეს?

იოანე დაფიქრდა და თქვა:

— თუ მათ ლაპარაკს გუშინ საღამოს შენ გარდა არავინ ესწრებოდა, იმწამსვე მიხვდებიან, რომ შენ დააბეზღე და ბოლოს მოგიღებენ.

— თუ შარფს და ზიკს დააპატიმრებენ, ვინდა მომიღებს ბოლოს?

— სხვები?

— არა მგონია, სხვებისათვისაც გაემხილათ საიდუმლო. ეს მკვლელობაა! ვერ გაბედავენ.

— საიდან იცი, როცა იმასთან ერთად ნაწში სხდებოდნენ, შენი ზომ არ მორიდებიათ.

— მე სულელად მთვლიან. ყოველ შემთხვევაში, ვცდილობ ასე მოვაჩვენო თავი.

— დამიჯერე სასიფათოა.

— სხვა გზას ვერ ვხედავ. მოხდეს, რაც მოსახდენია.

— ჩემი აზრით, ჯობს მამაჩემს გკითხოთ რჩევა. ასეთ ამბებში რალაც გაეგება. სხვა მხრივ კი... თუმცა არ ღირს ლაპარაკი. შენზე, რა თქმა უნდა, კრინტს არ დაეძრავ.

— რომ გკითხოს, საიდან იციო?

— ვეტყვი, საიდუმლოა-მეთქი.

— კარგი, ჰკითხე. მაგრამ სადმე აუცილებლად უნდა განვაცხადოთ.

პეტრემ იოანე სახლამდე მიაცილა. გარედან სახლს სამი ძელი ჰქონდა შეყუდებული. მთელი კედელი გაბზარული იყო. მიუხედავად ამისა, აქ მაინც შეიძლებოდა ცხოვრება.

იოანეს მამა ფანჯარასთან იჯდა და სანთლის შუქზე კითხულობდა წერილს, რომელიც ყუმბარების აფეთქებასთან დაკავშირებით დაწერა ისევ. დახაუში გატარებული ოთხი წელი ისე დამჩნეოდა მის მოტეხილ სახეს, როგორც ლუქს ბეჭედი. ოთახში შემოსული იოანე მამამ მხოლოდ მაშინ დაინახა, როცა თავი ასწია. ბიჭი კედელს მიყრდნობოდა, ფეხი ფეხზე გადაედო და დოინჯი შემოეყარა.

— რა მოჩვენებასავით დადიხარ.

— მინდა რჩევა გკითხო.

— რას ბრძანებ! დიდად გამაკვირვე. რით დავიმსახურე ასეთი ნდობა?



— რას იტყვი, რომ გითხრან, ვიურცბურგში ისევ გამოჩნდნენ ნაცისტები, და რომ...

— ვიურცბურგში ნაცისტები უფრო მეტია, ვიდრე პური.

— დამაცადე, ნუ მაწყვეტინებ. გუშინ ღამით სამედიცინო ფაკულტეტის სტუდენტი დაიხრჩო მდინარეში. მაგრამ არა უბედური შემთხვევის გამო, როგორც ეს თქვენს გაზეთში წერია. ნაცისტებმა მოკლეს.

— შენ საიდან იცი?

— ამას ვერ გეტყვი, საიდუმლოა. მაგრამ ყველაფერს ავიხსნი. მაშინ გაიგებ.

— მიხარია, რომ ჩემზე ასეთი წარმოდგენა გაქვს.

იოანე კედელს მოშორდა.

— გუშინ საღამოს, დაახლოებით ამ დროს, სანაპიროზე ხიდთან ოთხნი ისხდნენ. — იოანემ ხელებით აჩვენა მამას, როგორ ისხდნენ ისინი ერთმანეთის გვერდით სანაპიროზე, — სტუდენტი-მედიკოსკარი, ქრისტიან შარფი და კარლ ზიკი, რომელსაც ქვიშა უნდა ჩაეყარა საბეჭდ მანქანაში. თქვენ ის დაიჭირეთ და მიზეზგეთ, რადგან ვიღაცამ ანონიმური წერილით გაგაფრთხილათ წინასწარ.

იოანეს მამამ საგაზეთო წერილი მაგიდაზე დადო.

— საიდან იცი ყოველივე ეს?

იოანემ ისე აიქნია ხელი, თითქოს შეკითხვას იგერიებდო.

— ქრისტიან შარფი ვიურცბურგის პიტლერული ახალგაზრდობის მეთაურია. დიდი ხანი არ არის, რაც ეს გგუფი ჩამოაყალიბა. თქვენ ეს ცხადია, არ იცით. ჰოდა, როცა ლაპარაკი ყუმბარების აფეთქებაზე დაიწყეს, ოსკარს განუცხადებია, ამის წინააღმდეგი ვარო; ჩემი აზრით, საერთოდ კარგია გერმანიამ რომ ომი წააგო, რადგან გერმანელებმა მილიონობით უდანაშაულო ადამიანი გაქლიტესო. ოსკარი რუსეთშიც ყოფილა და აუშვიცშიც, სადაც ებრაელებს ღუმელებში წვადნენ. შენს წერილზეც ულაპარაკია და უთქვამს, მგონი, სოციალიზმი ყველაზე სწორი გზააო. ერთი სიტყვით, მიხვდნენ, რომ ოსკარი განუდგათ. მაშინ შარფმა ნავით გასეირნება შესთავაზა. ოსკარს მათთვის ხმამაღლა უნდა წაეკითხა წერილი და ამ საკითხზე უნდა ესაუბრათ. დილით ოსკარის გვამი იპოვეს.

იოანეს მამა ფეხზე წამოდგა.

— მეოთხე ვინლაა?

— არის ერთი კაცი, თავს ნაცისტად ასალებს, რათა მათ ყველა-

ფერი გამოსტყუოს და გაიგოს, რას აპირებენ. ანონიმური წერილი სწორედ იმან მოგწერათ. ახლა ხომ გესმის, რატომ ვერ გეტყვი, ვინ არის, ეს ამბავი რომ გამომქლავნდეს, მასაც მოუღებენ ბოლოს.

ძველმა სოციალისტმა გაცემებით შეხედა კონსპირატორ შეილს, რომელსაც დონივი შემოეყარა და ისევ კედელს მიყრდნობოდა.

— გვიჩიე, რა ვქნათ, პოლიციას შევატყობინოთ თუ ამერიკელებს? მაგრამ ეს ისე უნდა გაკეთდეს, რომ ჩემს მეგობარს არაფერი შეემთხვას. მე მგონია, შენ ასეთ ამბებში ერკვევი.

ერთი საათის შემდეგ იოანეს მამა კაპიტან ლიბენის, Intelligence Officer of the Occupation Army<sup>1</sup>, სამუშაო კაბინეტში იჯდა, ღამით კი შარფი და ზიკი დააპატიმრეს.

## IX

მას შემდეგ, რაც ომი დამთავრდა, წელიწადნახევარი გავიდა. ბრძოლა ახლა არსებობის უზადრუკი ნარჩენებისათვის გრძელდებოდა. პატარა ადამიანი გაიგო, რას ნიშნავს სიტყვა „კალორია“, ისიც გაიგო: თუ ადამიანი კალორიების განსაზღვრულ მინიმუმს მაინც არ მიიღებს, გამოიფიტება. ვინც სერიოზულად დააუადღებოდა, კვდებოდა კიდეც, უკვდავ ევროპაში უამრავი ხალხი ისოცებოდა.

მოწაფე ლებოსს თმის მოკლედ შეკრეჭა უყვარდა. მოწაფეები მას „თაგვს“ ეძახდნენ, რადგან მეტრსმეტად პატარა, თავივით წაწვეტებული ცხვირი ჰქონდა და ცოცხალი თვალები, რომელთაც არაფერი გამოეპარებოდათ. იგი ყუთზე იჯდა თავისი უმუშევარი მეგობრის, პარიკმახერის თანაშემწის სარდაფში. მეგობარი მანქანით ორ წუთში კრეჭდა თმას უფასოდ.

წინა ღამეს თავმა ჭლექიან მღებავს — ჰოლფუსს ხუროთმოძღვარ ჰიმელჰოხის აქლემის ბეწვის პალტო შეუმჩნევლად დაუდო საწოლზე. იქვე დატოვა ხელწერილი და პეტრეს გამაფრთხილებელი ბარათი, უსიამოვნება რომ არ შეგემთხვათ, სანამ ჩაიცვამდეთ, პალტო შავად შეადებინეთ.

თუმცა სარდაფში სექტემბრის მზის თბილი სხივები იღვრებოდა, ჭლექიანს მაინც სციოდა, ამიტომ გათენდა თუ არა, აქლემის ბეწვის

<sup>1</sup> საოკუპაციო არმიის დახვეწვის ოფიცერი (ინგლ.).

ხავერდოვანი პალტო ჩაიცვა და კუთვნილი ულუფა პურის მისაღებად წავიდა. ოცდაათი წლის, ჯერ კიდევ ახალგაზრდა, აწოწილი, ჩხირივით გამხმარი მღებავი დიდ იმედებს ამყარებდა მზის სამკურნალო ძალაზე და მთელი ზაფხული ყოველდღე საათობით იჯდა ზოლმე სუფთა პაერზე, მისი უწვერული, ლოყებჩაცვივნილი სახე მხეს გაერუჯა. რამდენიმე კვირის შემდეგ მღებავი წუთისოფელს გამოესალმა.

თავი სარდაფიდან ქუჩაში გავიდა და თავზე ხელი გადაისვა. ხელისგულსა და თავის კანს სასიამოვნოდ უღიტინებდა ყალყზე შემდგარი მოკლე თმა. თავგმა გადაწყვიტა, მომავალ სხდომაზე წინადადება შეეტანა, რათა მისი პირადი პარკი მახერი, რომელსაც არც სამუშაო ჰქონდა და არც სხვა საარსებო წყარო გააჩნდა, გაჭირვებულთა სიაში ჩაეწერათ.

ვიურცბურგში აქლემის ბეწვის ორიოდუე ხეირიანი პალტო თუ მოიძებნებოდა, მაგრამ ხარისხითა და გამოჭრილობით ვერც ერთი ვერ მოვიდოდა ხუროთმოძღვრის პალტოსთან. არქიტექტორმა ფერითა და ელევანტური ნაკეცებით შორიდანვე იცნო თავისი პალტო, თუმცა კლექიანს მაგრად შემოეჭირა ქამარი.

სახლთან, სადაც პურს არიგებდნენ, ორასზე მეტი ადამიანი იდგა, მათ შორის იყვნენ იოჰანა, ჰონერის ქვრივი და კრუხი. კლექიანი რიგში ჩადგა. მის მახლობლად მდგომნი შურის თვალით შეჰყურებდნენ თითქმის სულ ახალ პალტოს.

ხუროთმოძღვარი სხვებივით კუთვნილი ულუფა პურის მისაღებად მოსულიყო, თავისი პალტო რომ დაინახა, მღებავს მივარდა ყვირილით:

— ეს ჩემი პალტოა. თქვენ მომპარეთ! — აყვირებულს მწითური უღვაში ჯაგარივით აებურძენა.

— მე არაფერი მომიპარავს, — უბასუხა კლექიანმა ყრუდ. ხმაზევე ეტყობოდა, ცხოვრებაც ფეხებზე ეკიდა და ხუროთმოძღვარიც მან დიდხანს აფათურა ხელები, განიერი პალტოს ჯიბეს ეძებდა, ბოლოს, როგორც იქნა, მიაგნო და მოწაფეების ხელწერილი და პეტრეს ბარათი ამოიღო.

— ქრისტეს მოწაფეები? მოეშვით ზღაპრებს! პო-პო ქრისტეს მოწაფეები! არა, მე ვერ მომატყუებთ. ეს პალტო ჩემია! — ხუროთმოძღვარმა მოიხმო პოლიციელი, რომელიც პურის დარიგებას თვალყურს ადევნებდა.

რიგი დაიშალა; ხალხი სამივეს შემოერთყა. ამ ამბით მონუსხული კრუხი თვალს არ აშორებდა პოლიციელს, რომელმაც ყველას გასაგონად წაიკითხა: „ქრისტეს მოწაფეები“.

ფრაუ ჰონერს დიდი ხანია ეჭვი ეპარებოდა, რომ ყავა ზეციდან გამოუგზავნეს ქრისტეს მოწაფეებმა. იგი სწრაფად გაეცალა იქაურობას. საგონებელში ჩავარდნილი იოჰანა დაჰყურებდა თავის კობტა ფეხსაცმელს, ამ რამდენიმე დღის წინ დავითმა რომ შეუგდო ქობში.

თავემა სიფრთხილე ამჯობინა, ხალხში შეერია და სხვების წასაქეზებლად დაიძახა:

— რა აყვირებს ამ კაცს? სახლში სამი საზამთრო პალტო უკიდია. ერთს საყელოც ბეწვისა აქვს და სარჩულიც.

მაშინ საკვამურის მწმენდელმა კლეტერერმა, — ძველი სახელი შემორჩა, თორემ სადღა იყო საკვამურები, — თქვა:

— ნამდვილ სახლში ცხოვრობს, თანაც ყოველდღე შეუძლია გამოთვრეს. ზოგს ყველაფერი აქვს, ზოგს კი სარდაფში ხდება სული. — საკვამურის მწმენდელი დაბადებიდანვე ფეხმრუდე იყო.

დანგრეულ შენობათა ფანჯრების მკვდარი ღიობები ჯიუტად დასცქეროდნენ აფუსფუსებულ ბრბოსაგან ჩაშავებულ მზიან მოედანს. ხალხი ხუროთმოძღვრის წინააღმდეგ განეწყო. „ბოლოს და ბოლოს, მე ხომ არ მომიპარავს პალტო!“ — აყვირდა გაოცებული ჰიმელჰოხი.

პოლიციელმა ჭლეჩიანს მკლავში მოჰკიდა ხელი, ბრბოს მოაცილა და პოლიციის განყოფილებაში წაიყვანა. მათ ხუროთმოძღვარიც გაჰყვა, იგი გზადაგზა ხელებს აქნევდა და ირწმუნებოდა, ორი პალტო მომპარესო.

— სასადილო ოთახის ფანჯარაც გამიტეხა. სად ვიშოვო ახლა მინა?

ხალხი ისევ რიგში ჩადგა. თავი კი პეტრესკენ გაეშურა — „მყუდრო სოროში“.

იმაგე საღამოს ადგილობრივ „ცნობის“ ფურცელში“ დაიბეჭდა, როგორც იქნა, ყბადაღებულ ქრისტეს მოწაფეების კვალს მივაგნითო. კაპიტანმა რაღაც ლიბენმა ისარგებლა შემთხვევით და გადაწყვიტა, პალტოს ქურდი საჯაროდ დაეკითხა: იქნებ გამოვამჰყარავო, ვის ურევია ხელი ამდენ სამარცხვინო ქურდობაშიო. დაზარალებულები უნდა გამოცხადებულიყვნენ საპოლიციო შენობის დარ-



ბაზში და დაწვრილებით ეამბნათ ყველაფერი, რასაც იქვე ოქმში შეიტანდნენ.

ქრისტეს მოწაფეები ზუსტად ექვს საათზე შეიკრიბნენ.

სარდაფი ახლა სულ სხვაგვარად გამოიყურებოდა, სურსათ-სანოვავის თარო ხორავით იყო გაჭედილი. ტანსაცმლისა და თეთრეულის თაროზე სამი განყოფილება ცვიშენცალისეული საწყობიდან წამოდებულ ფენსაცმელს ჰქონდა დათმობილი. თაროს ერთ მხარეს კაუჭზე ძველი ფრაკი ეკიდა, მოპირდაპირე მხარეს კი ხუროთმოძღვრის მეორე პალტო — წავის ბეწვის საყელოიანი მოკლე სანადირო ტყაბუჭი. ტყაბუჭს სარჩულად ონდატრის ბეწვი ედო. თაროების მარცხნივ და მარჯვნივ წესიერად დაეწყოთ სურსათ-სანოვავის ზეინები, ხორავს კი ორივე მხრიდან თითო ცენტნერიანი ფქვილის ტომარა უმშვენებდა გვერდს. საწყობში სანიმუშო წესრიგი საწყობის გამგემ დაამყარა. იგი სიმეტრიის დიდი მოყვარული გახლდათ.

ადგილის მოსაგებად ეკლესიის სკამები ახლებურად დაალაგეს. ახლა ისინი კუთხეში მიყუდებული ქრისტეს დასახიჩრებული ქანდაკების ირგვლივ კი აღარ იდგნენ ნახევარწრედ. არამედ კედლის გასწვრივ. სკამებზე ჩამწკრივებული თერთმეტი დაკონკილი ქრისტეს მოწაფე ლეონარდო და ვინჩის გაცოცხლებულ „საიდუმლო სერობას“ მოგაგონებდათ. ოღონდ, ეს იყო, ქრისტეს ნაცვლად შუაში პეტრე იჯდა და მოწაფეებს პურს კი არა, დაშაშხული ძეხვის ნაჭრებს ურიგებდა. „საიდუმლო სერობის“ მარცხნივ და მარჯვნივ სახელდახელოდ მავთულით შეკოწიწებულ ბაროკოს სტილის ორ მაღალ შანდალში სანთლები ენთო.

თავისი წილი ძეხვის ნაჭერი პეტრეს ხელში ეჭირა. გაზეთში გამოქვეყნებული ცნობით გამოწვეულმა აღელვებამ და შიშმა — ვაითუ მღებავისა და უნებლიე მწყალობელთა საჯარო დაკითხვამ საიდუმლო გამოამყდავნოსო — მადა წაართვა. ბოლოს თავს ძალა დაატანა და ჩვეულებრივი ბათოსით წარმოთქვა:

— ჩვენ, ქრისტეს მოწაფეები, ვიცავთ სამართლიანობას, ვართმევთ მდიდრებს, რომელთაც ყველაფერი აქვთ და ვაძლევთ ღარიბებს, რომელთაც არაფერი გააჩნიათ... სხდომას გახსნილად ვაცხადებ. — და მაშინვე განაგრძო: — საქმე ცუდადაა. ცული უკვე მოგვიქნის.



ველკაცამ გაქონილი თითები შარვალზე შეიწმინდა და თქვა:

— რა შუაშია ცული. ბატონ ჰოლფუსს თავი არ დაუნახავს. მაგათი თავის გახეთქვამ, რაც არ იცოდნენ, ვინცა ვართ.

თავმა სიამოვნებით გადაისვა ხელი ძალიან მოკლედ შეკრეპილ თმაზე.

— პალტოების საქმეში ძალზე უგუნურად მოვიქეცი. ვერც აქ ქურქს გამოვიყენებთ. ბატონი, გახეთქილი მთვრალიც რომ იყოს, მაინც იცნობს.

— Certainly<sup>1</sup>. პალტოები საერთოდ სახიფათოა. That's clear<sup>2</sup>. შავი რომ ყოფილიყო, არაფერი უშავდა. შავი პალტო ბევრს აცვია ქალაქში. მაგრამ ჩვენ, რასაკვირველია, ორი საუკეთესო წამოვიღეთ. მუდამ ასე ხდება, როცა საქმე არჩევანზე მიდგება.

ჩაფიქრებულმა მოწაფე იოანემ თქვა:

— ხომ არ აჯობებს, დაუყოვნებლივ დავარიგოთ ყველაფერი? თუ დაგვიჭირებს, აქ აღარაფერი დახვდებათ.

საწყობის გამგემ სევდიანი თვალი გადაავლო თავის კეთილმოწყობილ მდიდარ საწყობს და უარის ნიშნად თავი გაიქნია.

პეტრე წელში გასწორდა.

— უდანაშაულო კაცს ციხეში ჩაადგებენ. ეს კი არავითარ შემთხვევაში არ უნდა მოხდეს. თუ ბედმა გაგვიმეტა, თუ ცოდვების მონანიება აუცილებელია, რაღა უდანაშაულო ავადმყოფმა უნდა ავოს პასუხი იმაზე, რაც ჩვენ ჩავიდინეთ. ჩვენი საქმისათვის ყველამ ისე უნდა გაეწიროთ თავი, როგორც ერთმა კაცმა. ამიტომ წინადადება შემომამქვს, მოსამართლეს წერილი გავუგზავნოთ, ყველაფერი ჩვენს თავზე ავიღოთ და ექვმიტანილის უდანაშაულობა დავამტკიცოთ. მე მგონია, ხვედრს ღირსეულად შევეგებებით. ცხადია არ ვიტყვი, ვინა ვართ. დაე, — თუ ამის უნარი შესწევს, — თვითონ ჩამოგვხსნას ნიღაბი. ერთი სიტყვით, რაც უნდა მოხდეს, ყველაფრისთვის მზადა ვართ, — დაასრულა პეტრემ და ძეხვის ნაჭერი პირში ჩაიღო.

სხდომა ყველას დამთავრებული ეგონა. მაგრამ პეტრემ ტანსაცმლის თაროდან ძველი პერანგი აიღო და სახელოები გაშალა. პერანგი დახეული იყო.

<sup>1</sup> რა თქმა უნდა (ინგლ.).

<sup>2</sup> ცხადია (ინგლ.).

— აი, როგორ გამოიყურება ჩვენი ძღვენი, — თქვა პეტრემ და პერანგი ყველას აჩვენა. შემდეგ კი დიდი ხნის გულისნადები თამაშად გამოამქლავნა: — წინადადება შემომამქეს, მივიღოთ ახალი წიგნი, გოგონა, რომელმაც დაკერება და კემსვა იცის.

ბიჭებმა ვერაფერი გაიგეს და პეტრეს მიაჩერდნენ. გველკაცამ თათი შუბლზე მიიღო და ჰკითხა. ჰკუთაზე მწყურალად ხომ არა ხარო პროტესტის ნიშნად ყველა ერთხმად აყაყანდა. მაგრამ მათი ყიფინა პეტრეს ხმამ დაფარა:

— ვის რად უნდა ეს ძონძები! ხალხს ვურიგებთ, ისინი კი დაკერებასაც ვერ ახერხებენ. ნემსი არსად იშოვება. ქვაბს ან ამღაგვარ რამეს კიდევ იპოვის კაცი ნანგრევებში, ნემსს კი სად ნახავ! — პეტრემ თაროდან ასანთის კოლოფი აიღო. კოლოფი ორ კოჭა ძაფს შორის იდო. სამი ნემსი გვაქვს, მაგრამ დამკერებელი არა გვყავს.

— საქმე ისედაც ცუდადაა, ჩვენს კვალს ეძებენ. ენაჭარტალა გოგოლა გვაკლია. მე ერთსაც არ ვიცნობ ისეთს, ენაზე კბილის დაჭერა რომ შეეძლოს! — იყვირა გველკაცამ.

— იცოცხლე, კარგი იქნებოდა. — თქვა საწყობის გამგემ, რომელიც საწყობს ისე უფრთხილდებოდა, როგორც მომჭირნე დიასახლისი თეთრეულს, — ვინ არის ის გოგონა?

— კეთჰენი.

მოწაფეები გაჩუმდნენ. კათარინას ყველა პატივის სცემდა. რამდენიმე დღის წინათ მან ისეთი რამ ჩაიდინა, რასაც ქრისტეს მოწაფეების აზრით, ვერც ერთი სხვა გოგო ვერ გაბედავდა. მაღალ ციცაბო კრამიტის სახურავს ჩაჰყვა და ღარიდან საცოდავად აქნაფლებული სამი კვირის კნუტი ამოიყვანა. გველკაცამ კუშტად წამოსწია ტუჩები, როცა გაახსენდა, როგორ სთხლიშა გრგონამ კალათი შიგ სახეში სპორტულ კურტაკიან ყმაწვილს.

გამოცდილ თავმჯდომარესავით პეტრემ მოწაფეების დაბნეულობით ისარგებლა და იმწამსვე კენჭისყრა მოითხოვა. უარის ნიშნად მხოლოდ თავგმა გაიქნია ენერგიულად თავი — მას სამი და ჰყავდა. ბოლოს გველკაცამ ასწია ხელი და პეტრეს უთხრა:

— თუ გინდა, მოიყვანე ერთხელ.

— გარეთ იცდის, — პეტრე გაწითლდა და სარდაფიდან გავიდა. კათარინა საფლავის ქვაზე ჩამომჯდარიყო ბერთა სასაფლაოზე.

ათასგვარი საქონლით გამოტენილმა საწყობმა, ირგვლივ მიყ-

რილ-მოყრილმა ძველებურ ხის ქანდაკებათა თავებმა და ხელ-ფეხ-  
მა, ეკლესიის სკამებზე მდუმარედ ჩამომსხდარმა მოწაფეებმა, —  
ორივე მხრიდან ბარკოს სტილის შანდლებში ჩადგმული სანთლების  
შუქი რომ ეცემოდათ, — კარებში გაჩერებულ ფენშიშველა კათა-  
რინაზე ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა.

— კეთვენ, ამიერიდან შენ ქრისტეს მოწაფეების საიდუმლო სა-  
ზოგადოების, სრულიად საიდუმლო არალეგალური ორგანიზაციის  
წევრი ხარ. რომ გაწამონ და მოგკლან კიდევ, ამაზე არავისთან არა-  
ფერი არ უნდა დაგცდეს, დედასთანაც კი, — უთხრა პეტრემ.

— არავის არაფერს ვიტყვი. უმალ ენას მოვიკვნეტ, — განაცხა-  
და დაბნეულმა კეთვენმა.

ყველამ იგრძნო, რომ ეს ასეც იქნებოდა.

სხდომის დამთავრების შემდეგ თავგმა კიდევ ორი კაცი დაასა-  
ჩუქრა — თავის უმუშევარ პარიკმახერს იტალიური ძეხვის ნაჭერი  
წაუღო, ბუხრის მწუმენდელს კი ძველი ფრაკის შარვალი. ამ შარვალს  
მუშაობის დროსაც ჩაიცვამს, როგორც კი საკვამლე მიღები გაჩ-  
ნდება.

როცა თავვი სახლისაკენ გაემართა, გვიან იყო. ბნელში ბნელი  
ლანდი მიაბიჯებდა. ქუჩის განათებას ვინღა დაეძებდა, ქუჩებიდან  
ქვა ქვაზე აღარ დარჩა. სიბნელეში ღორღის გროვები უზარ-  
მაზარ, გაქვავებულ, უხსოვარ დროში გადაშენებულ, პირველ-  
ყოფილ ცხოველებს ჰგავდა. როდესაც სამარისებურ სიჩუმეში აქა-  
იქ ბუნაგიდან მოულოდნელად გამობობლდებოდა ადამიანი, ისევე  
დაოთხილი, როგორც ასი ათასი წლის წინ, დამფრთხალი ბიჭი  
გვერდს უქცევდა.

თავგის მშობლების სახლი დანგრეული იყო. მამამისი, შეძლებული  
სირაჯის შვილი, თვითონაც ღვინით ვაჭრობდა. მარნის კუთხეში  
იდგა ათასლიტრიანი ცარიელი კასრი. სამასი წლის მანძილზე ყურ-  
ძნის წურვისა და ღვინის დაყენების მომსწრე, ერთი მეტრის სისქე  
შეუღლესავი კედლები ღვინის სუნით იყო გაჟღენთილი.

თავვი შინ შევიდა. მისი მშობლები იატაკზე, ნამჯის ლეიბზე  
იწვნენ. ძილში შეიშუშუნენ, სამივე და კი — უმცროსი შვიდი წლი-  
სა, უფროსი — ცამეტის — ერთმანეთის გვერდით იწვა ძველი ღო-  
ბის ფიცრებიდან შეკოწიწებულ ტახტზე.

უზარმაზარი ღვინის კასრი, რომელსაც ძირი მოახერხეს, მრგვალ  
მაგიდასავით იდგა შუა ოთახში. თავგმა მნათის შვილის ნაჩუქარი  
8. ლ. ფრანკი



სანთლის ნამწვი ანთო და კასრში შეძვრა. დედას გული ეთანადრებოდა, მაგრამ ბოლოს მაინც დაეთანხმა, რომ თავს კასრში დაეძინა. — უკეთესი ადგილის მოძიება გაჭირდებოდა.

კასრი შიგნიდან ერთიანად ნახატებით იყო აჭრელებული. ბოლო დროს თავი დილიდან საღამომდე გადახურულ სახლებს ხატავდა. ერთხელ ციხის ვალაენიდან ვიჟრტუბურგის ათი ათას უსახურავო სახლს გადასცქეროდა. ქალაქის უზარმაზარი ნანგრევების შემყურე ბიჭმა გადაწყვიტა; არქიტექტორი გამხდარიყო. ორი თვის წინ შეგირდად დაიწყო მუშაობა ორ ახალგაზრდა არქიტექტორთან, რომელნიც გაერთიანდნენ და არქიტექტორთა ბიურო „ოპტიმიზმი“ დააარსეს. ჯერჯერობით საქმე არაფერი ჰქონდათ. ამიტომ ორივეს უხაროდა, რომ ცნობისმოყვარე მსმენელი იმოვეს და უხსნიდნენ თავს, რა როლს თამაშობს „სილამაზე გამოყენებით არქიტექტურაში“, რას ნიშნავს „ოქროს კვეთი“ და რა არის „პროპორციის ესთეტიკური და პრაქტიკული დანიშნულება“; უჩვენებდნენ ზუსტად დამუშავებულ გეგმებს, პროექტების ესკიზებს, იმ პროექტებისა, რომელთა მიხედვითაც აპირებდნენ სახლების აგებას, როგორც კი შეეკეთებს მიიღებდნენ და ამავე დროს დაუდალავად აღგენდნენ ახალ პროექტებს იმ შენობებისას, რომლებიც მათთვის ჯერ არავის შეეკეთა. ეს შენობები პროპორციის ნიმუში უნდა ყოფილიყო. მაგრამ სამშენებლო მასალა არ იმოვებოდა და თვითონაც ისევე შორს იდგნენ მშენებლობისაგან, როგორც მათი შეგირდი.

უზარმაზარ კასრში ზურგზე მოხერხებულად გაწოლილ თავს ხელები თავქვეშ ამოედო და მშვიდად ათვალეირებდა თავის ნახატებს — სახურავიან სახლებს. უეცრად დაინახა, მისი ცამეტი წლის და ტანტზე წამოძვარიყო და მოციმციმე სანთლის შუქზე დებს უყვებოდა, რანაირ კაბაზე ოცნებობდა.

— საკაბე ღია მწვანე ფერისა უნდა იყოს, ვარდისფერი ზოლებით, ძალიან წვრილი ზოლებით! — გოგონამ ორივე ხელი ნაზ მკერდსა და გამხდარ თეძოებზე ჩამოისვა. — ზევით ძალიან ვიწროს შევიკერავ, ტანზე შემოტმასნულს! ქვედატანს კი — აი, ამ სიგანეს! — სახეგაბრწყინებულმა შიშველი, გამხდარი მკლავები გაშალა.

ამასობაში დედას გაეღვიძა და ბავშვების ლაპარაკს ყური მიუგდო. თავი მუცელზე გადაბრუნდა და კასრიდან თავი გამოჰყო:

— არც საკაბის საყიდელი ფული გაქვს, არც ფენსაცმელი, გარდა ამისა საკაბეც არ იმოვება.

გოგონას თვითონაც აღარ სჯეროდა, რასაც საოცნებო კაბაზე  
ჰყვებოდა. მაგრამ კოხტად გამლილი თითები კისერზე მაინც ისე  
შემოივლო, თითქოს კაბის საყელოს ისწორებდა.

— საყელო უნდა იყოს ვიწრო, პიკესი, პიკესავე მანქეტები.  
დედამ გოგონა ქვითინით გულში ჩაიკრა და ღიმილით თქვა:  
— გეყოფათ, ბავშვებო, დაიძინეთ. აბა, ჩააქრეთ სანთელი და  
დაიძინეთ.

ოთახში სიბნელე ჩამოწვა.

## X

პენსილვანიის შტატში სტივის მამის ფერმა მდინარე დელავე-  
რის მეორე ნაპირზე იყო გაშენებული და უახლოესი ქალაქიდან  
მხოლოდ მანქანით თუ ჩახვიდოდი. უზარმაზარ, მოქანგისფრო-  
წითელ ბედლებსა და სახლს შორის ბევრი თავისუფალი ადგილი  
დაეტოვებინათ: ამერიკა ვრცელი ქვეყანაა.

სტივი აივანზე იჯდა შალის ჟილეტისამარა. პიჯაკი სკამის ზურგ-  
ზე გადაეკიდა. პირი დაებანა და თმაც სველი ჰქონდა. ოდნავ და-  
ქანებული მდელი, რომელსაც წყარო ჩამოუდიოდა, დღისა და ღა-  
მის გასაყარზე მუქი მწვანე ჩანდა. ქვევით გუბეში თითქმის უძრა-  
ვად გაწოლილიყვნენ თეთრი ბატები. დროდადრო სიმყუდროვეს  
რომელიდაც ჩიტის ხამუშ-ხამუში გამალებული სტვენა არღვევდა.  
სტივმა პიჯაკის ჯიბიდან იოჰანას სურათი ამოიღო.

მათ ხუთი ათასი კილომეტრი და ის კანონი თიშავდა, რომლის ძა-  
ლითაც ამერიკელს უფლება არა ჰქონდა გერმანელი ქალიშვილი  
შეერთო ცოლად. როცა სურათს აკვირდებოდა — სურათზე იოჰანა  
ისეთი სერიოზული ჩანდა, რაც სინამდვილეში იყო და რა ცხოვრე-  
ბაც ჰქონდა, — სტივს თითქოს გულში ფოლადის ნემსი უჩხვლი-  
ტესო. თანდათან სურათს ნისლი გადაეკრა... იოჰანა მისი ცოლია.  
აივანზე გამოდის და მის გვერდით ჯდება. მხოლოდ წყნარი საღამო  
მეტყველებს... მთელი ცხოვრება წინ უდევთ. ცხადია, ვაჟი ეყოლე-  
ბათ.

დედამ — იგი ჩვიდმეტი წლისა გათხოვდა და გაცილებით უფრო  
ახალგაზრდა ჩანდა, ვიდრე ოცდასამი წლის ვაჟის დედას შეეფე-  
რებოდა, — სტივს ჩაუარა ქორთვა ბოსტნეულით სავსე ჯამით ხელში,  
და დაბეჯითებით უთხრა:



— სულ ასე ხომ არ იქნება.

სტივმა დედას ყველაფერი უამბო, მხოლოდ იოჰანასთან გამოშვიდობება დაუმალა.

სიჩუმეში ყოყინი გაისმა. სტივმა თავი ასწია: მდელოზე საბატესაკენ მობაჯბაჯებდა ოცდაოთხი თეთრი ბატი — მოყიყინე, თოვლივით თეთრი ზოლი მწუხრით გამუქებულ მწვანეზე. სტივი ხშირად შუკითხვია თავს, რატომ არის საღამოობით მუდამ ერთსა და იმავე დროს ბატები უეცრად ყოყინს რომ ატეხენ და საბატისაკენ გასწევენო. ეს მშვიდი სურათი თითქოს საკმარისი საბაზი იყო, იოჰანასთვის ბარათი მიეწერა. სტივმა პიჯაკი აიღო და თავის ოთახში ავიდა.

შეთეთრებულ კედელზე სამხედრო ქუდი ეკიდა. სტივმა უნებურად ქუდი დაიხურა. თითქოს უნდოდა ხუთი ათასი კილომეტრი გადაეღახა, კვლავ ჯარისკაცი გამხდარიყო და იოჰანას გვერდით ყოფილიყო, მაგრამ წერილის დაწერა უფრო ძნელი აღმოჩნდა, ვიდრე ეგონა. ბოლოს ისევ წამოდგა და ფიქრმორეულმა მზერა შორს მოელვარე დელავერსა და დაქანებულ, ბორცვებიან მხარეს მიაპყრო. რამდენი რამ აქვს მისაწერი, რამდენი რამ! მაგრამ რით დაიწყოს? იქნებ ის მისწეროს, რა გუნებაზეა და როგორ ოცნებობს. იოჰანაც აქა ჰყავდეს გვერდით? მერე? ამას რომ წაიკითხავს, რა ხასიათზე დადგება — მათ ხომ დიდი მანძილი და კანონი თიშავთ? იქნებ ჰკითხოს დედას, რას ურჩევს, რა იღონოს. თუმცა რა საჭიროა, თვითონაც ხომ იცის, ამ საქმის მოგვარება შეუძლებელია. ყოვლად შეუძლებელი.

სტივი უმწუროდ შესცქეროდა თეთრ ბატებს. ისინი ჯერ კიდევ საბატის წინ იდგნენ. ამ დროს იგი სხვა ფიქრებშია და სხვა წარმოდგენებშია შეიპყრეს. თვალწინ დაუდგა იოჰანას სახე, როცა მასთან გამოსამშვიდობებლად მივიდა. დაინახა ფართოდ გახელილი თვალები. ვერასოდეს დაივიწყებს იმას, რაც იოჰანამ ჩაიღინა, დილით კი ადგა და დაემშვიდობა. რა კარგად ეჭირა თავი. იოჰანას, რა მხნედ. წასვლის წინ მხოლოდ ეს უთხრა: „კარგად იყავით!“ ხოლო როცა უკან მიიხედა, დაინახა, როგორ დაუქნია იოჰანამ ხელი, შემდეგ კიდევ ერთხელ გაუბედავად, ოდნავ შესამჩნევად.

ინგლისური ტერიერი მაიკლი კარს მოადგა და ფხაქნა დაიწყო. სტივმა ძალი შემოჟვია, საწერი ქალაღლი წინ დაიდო და ისევ

იოჰანას ქოხში დაბრუნდა. ვერაფერს ვერ მისწერს, თუ სიმართლე არ უთხრა.

„ძვირფასო იოჰანა!

იცო, როგორ დავღონდი, როცა მატარებელი დაიძრა? შემდეგ გემში ჩავსხედით და სულ უფრო და უფრო გშორდებოდი, ახლა კი აქა ვარ. ასე შორს შენგან. მამაჩემს შენი სურათი ვაჩვენე. მითხრა, „It's a fine girl“<sup>1</sup>. დედაც თანახმაა. მაგრამ ეს როდია მთავარი. მთავარი ისაა, რომ მენატრები. თუმცა შენც კარგად იცი. ჯერ-ჯერობით არაფრის გაკეთება არ შეგვიძლია. დედა ამბობს, დიდხანს არ გაგრძელებოთ ასე. შენ აქ მშვენივრად იგრძნობდი თავს და ყველაფერი კარგად იქნებოდა, ისე, როგორც ჩვენ გვინდა. არ შემიძლია შენი დავიწყება. მოთმინებით აღვიჭურვები, მაგრამ ესეც ძნელია, როცა ყველაფერი გაურკვეველია და არც იცი, როდემდე გასტანს ეს მდგომარეობა. თუ შენ წერილს მომწერ, თუ მეცოლინება, რომ ჩემზე ფიქრობ, მაშინ ლოდინიც უფრო ადვილი იქნება“.

სტივმა გარაჟიდან მანქანა გამოიყვანა და გაემგზავრა პატარა ქალაქში, სადაც ერთ-ერთი კუთხის სახლის კედელზე საფოსტო ყუთი ეკიდა.

არყის ხეების ძირში მდებარე რუთთან საუბრის შემდეგ შეშინებულმა იოჰანამ გადაწყვიტა მარტინი გაეფრთხილებინა. იმავე დღეს აუწერა რუთის მდგომარეობა. ისიც უთხრა, შენს ცოლობას აქედან წასვლა და თავის მოკვლა ურჩევნიაო. ამის შემდეგ მარტინი კიდევ უფრო თავდაპერილი გახდა და რუთს ისე ექცეოდა, როგორც მეგობარს.

სხვა მხრივ მათ ცხოვრებაში არაფერი შეცვლილა. მარტინი იმავე საავადმყოფოში მუშაობდა. სანგრძლივი ბრძოლის შემდეგ საავადმყოფოს მთავარმა ექიმმა, დოქტორმა გროსმა განაცხადა, თუ რუთ ფროიდენჰაიმის შეკედლებისათვის მარტინს დაითხოვენ, მეც მივატოვებო სამსახურს. ვიურცბურგში ექიმების დიდი ნაკლებობა იყო და იმ დროს დოქტორ გროსს ვერც ერთი სხვა ექიმი ვერ შეცვლიდა.

<sup>1</sup> მშვენიერი ვაგონაა (ინგლ.).



რუთი, კათარინა და გველკაცა, რომელსაც უკანა ჯიბეში სახ-  
რახნისი და თეთრი საკეცი მეტრი ედო, იოჰანას ქოხისაკენ გაე-  
მართნენ. ტირიფის ბუჩქების ფოთლები მაგარია და გვიან ჭკნება,  
სიყვითლე მაინც შეპარვოდათ და ბევრიც ბალახზე ჩამოცვენილი-  
ყო. ოქტომბრის დამლევს მზიან დღეებშიც კი მხოლოდ შუად-  
ღისას თბილია. ღამით ციოდა. სარდაფებში შეხიზნული ალა-  
მიანები იყინებოდნენ.

იოჰანა ქოხის წინ იჯდა მზეზე და სტივის სანთლების ჩამონა-  
ღვენთით დახურული ფეხსაცმლის გაკრიალებას ცდილობდა. ქა-  
ლაქში ფეხსაცმლის კრემი არ იშოვებოდა.

— თუ ცვილს კიდევ ერთხელ შეათბობთ ან გაადნობთ, მაშინ  
საქმე უფრო კარგად წავა. თუმცა ფეხსაცმელი ფურთხითაც მშვე-  
ნიერად პრიალდება, — თქვა კათარინამ და გაღიმებულს ლოყები  
ჩაეჩხვლიტა.

გველკაცამ ყურადღებით შეათვალიერა კარის ჩარჩო, რომ-  
ელზედაც ზეწარი ეკიდა და კათარინასთან ერთად მდინარის ნაპი-  
რისაკენ წავიდა.

— როგორ მოვაცილო რუთი და იოჰანა ქოხს? თუ კარის მო-  
ტანას დღესვე ვაპირებთ, უნდა ვიჩქაროთ, ცოტა დრო გვრჩება.  
ჯერ ზომი უნდა ავიღო, იქნებ არ მოერგოს.

კათარინამ ხელი ლოყაზე მიიღო.

— ღმერთო დიდებულო, მართლაც ძალიან ძნელია, ბაღში შე-  
იპარო, პატარა სახლს კარი მოხსნა და ისე წამოიღო, ბატონმა შა-  
იბენკესმა არ დაგინახოს.

— როგორ გგონია, მექანიკოსის კომბინეზონის წამოღება არ  
გამიჭირდა? მით უმეტეს, იგი იქვე ჩაცუცქულიყო და ჩიბუხს ეწე-  
ოდა.

— ზამთარში ცივა, იქნებ ბატონ შაიბენკესს თვითონ დასჭირ-  
დეს კარი?

— შაიბენკესს ხომ იქ არა ძინავს. იმ პატარა სახლს ორი კე-  
ღელია შერჩა.

— ხედავ, წავიდნენ, — იყვირა კათარინამ, — მიდი, გაზომე.

რუთი და იოჰანა ისევ მარტინზე ლაპარაკობდნენ და ტირიფებ-  
ში გაუჩინარდნენ. იოჰანამ იფიქრა, რუთს გამოვცდიო და მო-  
გონილ ამბავს მოუყვა: ერთი ჩემი ნაცნობი, ძალიან ლამაზი და

მომხიბვლელი ქალიშვილი ორი კვირა საავადმყოფოში იწვა და მარტინი ძალზე შეუყვარდაო. რუთმა მშვიდად უპასუხა:

— ურიგო არ იქნება მარტინისათვის, ეს საქმე რომ კეთილად დაგვირგვინდეს.

გველკაცამ სასწრაფოდ გაზომა სიგრძე-სიგანეზე კარის სიო, მეტრი დაკეცა და გამოცდილი ღურგალივით ისევ უკანა ჯიბეში ჩაიღო.

— დაიხსომე, სიმაღლე მეტრი და ორმოცდაათი სანტიმეტრი, სიგანე — ორმოცი. თუ შაიბენკესის კარი დიდია, ცოტას მოვახერხავ.

რუთი და იოჰანა ერთ ხანს იქით-აქეთ სეირნობდნენ, შემდეგ კი ქოხისაკენ წამოვიდნენ. უეცრად რუთმა იოჰანას ჰკითხა:

— რატომ გაიღიმე?

— ბავშვი მეყოლება.

— აჰ! — წამოიძახა რუთმა და იოჰანას მკლავში ხელი გაუყარა. მცირე ხნის ღუმელის შემდეგ კი დასძინა: — რა კარგია. მისწერე.

იოჰანამ თავი გაიქნია.

— ო, არა! — უცებ ტირილი წასკდა. — მე ის ძალიან მიყვარს და ამიტომ არ მივწერე. — იოჰანამ ღრმად ამოიოხრა. — დოქტორ გროსთან ვიყავი, ვერაფრით ვერ გამეგო, რა მჭირდა. გამსინჯა. — ქალიშვილს კვლავ გაეღიმა. — აჰ, რუთ! ერთიც ვნახოთ და გოგო გამიჩნდა?

მეგობრები ქოხის წინ შეჩერდნენ. კათარინამ, რომელიც ახლა ქრისტეს მოწაფეების საიდუმლო საზოგადოების სრულუფლებიანი წევრი იყო, თავი ვეღარ შეიკავა და სულმოუთქმელად მიაყარა იოჰანას:

— ჯერ არც ისე ცივა! მაგრამ ზამთარში! ღმერთო დიდებულო! უნახშიროდ რა გაგაძლებინებთ! ისიც უკაროდ. — გოგო მაშინვე გველკაცას გაეკიდა, რომელიც უკვე ქალაქისკენ მიაბიჯებდა.

უეცრად შეშინებული იოჰანას ყვირილი მოესმათ და მაშინვე უკან გაიქცნენ. ის ვაჟი, გლეხის ჭკუასუსტ ქალიშვილს რომ ბატი დასტყუა, და შარფის ჯგუფის ერთი წევრი, თხის სადგომის წინ იდგნენ. რუთი ის იყო ფეხზე წამოდგა, ვაჟს იგი მიწაზე წაექცია და ახლაც ისევ მისკენ მიიწევდა.

— ისეთ დღეს დაგაყრი. საროსკიპოს მოგანატრებ!

გველკაცას მთელი სხეული უცახცახებდა. მოწმესავით ხომ ვერ დადგებოდა იქ! ანგარიშმიუხეცემლად ჩაება უთანასწორო ბრძოლაში. მომხდურმა მუშტი სთხლიშა და მიწაზე დასცა. კათარინა ცივი ხმით აკივლდა.

ამ დროს თხის სადგომს ამერიკელი ჯარისკაცი მიუახლოვდა. ვაეზატონებმა იმწამსვე მოუსვენს და ტირიფის ბუჩქებში მიიმალნენ. ჯარისკაცმა მათ თვალი გააყოლა, შემდეგ კი გაუბედავად მობრუნდა რუთისა და იოჰანასაკენ. ჯიბიდან სტივის წერილი ამოიღო. — ტირიფნარი, თხის სადგომი, ვერაფერი მისამართი იყო, ამიტომ სტივმა ამხანაგს გამოუგზავნა წერილი, — და დამტკრეული გერმანულით ჰკითხა რუთს, იოჰანა ხომ არა ხარო.

დროდადრო გველკაცა ქურდულად გადახედავდა კათარინას. მისი თანდასწრებით ეს უკვე მეორედ მოეჭრა თავი და რცხვენოდა. კათარინა და გველკაცა ისევ ქალაქისაკენ გაუყვნენ გზას. ამერიკელი ჯარისკაცი რუთს ელაპარაკებოდა. იოჰანა რკინის საწოლზე იჯდა. სტივის წერილს კითხულობდა და გაბმით ქვითინებდა, წაკითხულს ისევ და ისევ კითხულობდა, ცრემლი დაბალუპით სდიოდა თვალოვან.

ის ვაეზატონები, რუთს რომ მიუხტნენ, მდინარის ნაპირზე ისხდნენ და პეტრეზე ლაპარაკობდნენ, მხოლოდ მას შეეძლო შარფისა და ზიკის გაცემაო.

— ფრაუ როზენკრანცი — „ოქროს ღუზის“ ახალი პატრონი — სამზარეულოში ბატს წონიდა. მე კი დარბაზში ვიცდიდი ფანჯარასთან. ჩემი თვალით დავინახე, როგორ ჩასხდნენ ნავში შარფი, ზიკი და ოსკარი. ცხადია, პეტრემაც დაინახა, მის გარდა იქ არავინ იყო. მოგვიანებით, მდინარეზე, მათ ვერავინ მოჰკრავდა თვალს. რადგან ამასობაში დაღამდა კიდეც. ვინმეს რომ დაენახა, გახეთქი დაწერდნენ. ამგვარად მათი გაცემა სხვას არავის შეეძლო.

— შეიძლება ასეც იყო, — თქვა მეორემ, — მაგრამ შარფი ძალიან უგუნურად მოიქცა. მე რომ ასეთი რამ განმეზრახა, არაფრით არ ჩავჯდებოდი ნავში სხვისი თანდასწრებით, თუნდაც იგი ჩვენიანი ყოფილიყო. სისხლის სამართლის საქმეში მხოლოდ უშუალო მონაწილე უნდა ჩარიო. ამ საკითხზე თვით შარფმა წა-

გვიკითხა ვრცელი მოხსენება. ასე რომ, თუ იმ ძალს საიქიოს ვადისტუმრებთ, ეს უნდა იყოს ყოველმხრივ დამაჯერებელი უბედულო შემთხვევა. არავითარი სურვილი არა მაქვს მთელი ჩემი სიცოცხლე ციხეში გავატარო.

როცა ასიოდე ნაბიჯზე კათარინამ წყლის პირას ჩამომჯდარ ვინგინდარებს მოჰკრა თვალი, გველკაცა ტირიფის ბუჩქნარისკენ გაიყოლა და, ბიჭის ღირსება რომ არ შეეღახა, უთხრა:

— სად გვცალია მაგათთვის.

გველკაცა თითქოს ძალით მიჰყვებოდა გოგონას. კათარინა კი მაგრად ჩაებლაუჭა მკლავში და ხელს არ უშვებდა, თანაც ჩუმ-ჩუმად ეღიმებოდა იმ ქალივით, რომელსაც არ უნდა ქმარს თავისი უპირატესობა აგრძნობინოს.

ისინი ოპტიკოს შაიბენკესის სახლისაკენ მიიჩქაროდნენ. სახლი თეატერშტრასეზე იდგა, ქუჩა თითქმის მთლიანად იყო დანგრეული. სახლის უკან პატარა ბაღი ჩიხში გადიოდა და ირგვლივ ქვიტყირის ვალავანი ერტყა.

სახალხო სკოლის მასწავლებელი შარფი დახლთან იჯდა მოოქროსფრო ბრინჯაოთი მოვარაყებულ პატარა სკამზე. იგი თავის მეგობარს, უნივერსიტეტის პროფესორს ჰებერლაინს მოჰყვა.

— ბატონო პროფესორო, სათვალის ჩარჩოს როგორმე მივარჩილავ, მაგრამ ახალი მინები არ იშოვება. — თქვა ოპტიკოსმა და მაშინვე აშკარად დაინტერესებული, მასწავლებელს მიუბრუნდა: — შემდეგ რა მოხდა?

— როგორც მოგახსენეთ, ჩემი ვაჟი შინ გალუმბული დაბრუნდა და ყველაფერი მიაშბო. თურმე ადგილების გაცვლა უნდოდათ და ამ დროს ოსკარი წყალში გადავარდნილა. ხომ გესმით, ნავი პატარაა! ჩემი ვაჟიც მაშინვე გადაჰყოლია, მაგრამ ბნელ ღამეში, აბა, რას იპოვიდა! ახლა კი უნდათ მკვლელობა დააბრალონ, თუმცა არავითარი მიზეზი არ ჰქონია მკვლელობისათვის. მართლაც საშინელებათა!

როცა მაღაზიის კარი კიდევ ერთმა მუშტარმა შეაღო, კათარინამ და გველკაცამ კვარტალს შემოუბრინეს და ჩიხში ამოჰყვეს თავი. გველკაცა იმწამსვე ბაღში გადაძვრა. კათარინამ მეთვალყურეობა იკისრა და კრამიტით გადახურულ, ფრონტონივით წაწვე-



ტებულ ქვიტიკირის გალავანს მოაჯდა. გველკაცამ რვა ჭანჭიკამ  
ამოხრახნა და ბოლოს კარი გალავანზე შეაცურა, კათარინამ ჩიხში  
ჩაუშვა და ზედ ჩასრიალდა. კარი საკაცესავით მიჰქონდათ მთელ-  
ქალაქში. როგორც იქნა, ტირიფნარამდე მიადწიეს. გველკაცა თხის-  
სადგომთან მიიპარა. შიგ არავინ იყო.

იოჰანამ მეგობარი გააცილა. ორივენი ახლა მარტინის ქოხის  
უკან მდებარე იხდნენ. რუთი თავის ნახატებს უჩვენებდა იოჰან-  
ნას. მარტინმა საავადმყოფოში ძველი ქაღალდების დასტა აღმო-  
აჩინა. ფურცლები ორმოცდაათი კვადრატული სანტიმეტრის ზო-  
მისა იყო. ცალ მხარეზე მოჩანდა გარდაცვლილი პაციენტის ტემ-  
პერატურის მრუდი, მთელი მისი ტანჯვის ისტორია სიკვდილამდე,  
მეორეზე კი სიცოცხლით სავსე პეიზაჟები ეხატა.

რუთი აუშვიცამდეც გვარიანად ხატავდა, მაგრამ მერე უფრო  
გაიწაფა ხელი და ისევ დაიწყო ხატვა. ნიჭმა და განცდილმა ჭირ-  
ვარამმა ასწავლეს, როგორ გადმოეცა კალმითა და ფუნჯით ყვე-  
ლაფერი, რასაც ხედავდა და გრძნობდა. დაოსტატებულ ხელს-  
ტყის ტევრის ესა თუ ის კუნჭული გამოესახა. მაგრამ ცა არსადა  
ჩანდა. სიზუსტე, ძალა და ბოღმა ცალკეული დეტალების მოხაზ-  
ულობაშიც კი იგრძნობოდა.

იოჰანამ უკანასკნელი პეიზაჟი გადააბრუნა და უეცრად დაი-  
ნახა აუშვიცი — ღორღივით დახეავებული შიშველი გვამები, სიგამხ-  
დრისაგან ჩონჩხად ქცეული, გაზით ამომხრჩვალი, შავად ხახადაფ-  
ჩენილი სხეულები. იოჰანამ მხოლოდ ესღა თქვა:

— ყველაფერი ჩვენი ნამოქმედარია. ჩვენი!

საქაღალდეში აუშვიცის ამსახველი ბევრი სურათი იდო.  
იოჰანამ თავს ძალა დაატანა და ყველა დაათვალიერა — ისევ  
და ისევ ადამიანის ღირსების არნახული შებღალვა, რის გამოც  
მთელ გერმანელ ხალხს ჩირქი მოეცხო და მსოფლიოში თავი  
მოექტრა.

— ამას ყოველდღე ვხედავდი, — თქვა რუთმა, თანაც ისე  
მშვიდად შეხედა იოჰანას, თითქოს პირადად მას ეს საშინელება  
არც კი შეხებია, თითქოს ეს მხოლოდ ნახატები იყო და მეტი  
არაფერი.

— ამას ნუ დახედავ, ჯობს ნუ დახედავ, — წამოიძახა რუთმა.  
სწრაფად.

მაგრამ გაოგნებული იოჰანა ქალაღს დაშტერებოდა. უხეი-  
როდ მოღიმარი, კბილებდაკრეჭილი, გვერდზე ქუდმოქცეული,  
შიშველი ჯარისკაცი საროსკიპოს საწოლზე გაშლართულ რუთის  
შიშველ სხეულს ჩასჭიდებია. რუთის სახე უსიცოცხლოა.

— რუთ! ღმერთო ჩემო, რა საშინელება! ოჰ, რუთ!

— მომეცი აქ ეს ნაჯღაბნი. ასეთ რამეს მხოლოდ... მხოლოდ  
იმიტომ ვხატავ... არა, თვითონაც არ ვიცი, რატომ. — რუთმა სა-  
ქალაღდე იქვე ბალახზე დადო. ორივე დუმდა.

ხუთი საათი იქნებოდა. მარტინი სამორიგეოდ საღამოს რვა  
საათზე უნდა წასულიყო, ამიტომ აქამდე ეძინა. რუთი შინ არ  
ეგულებოდა და ონკანთან პირის დასაბანად ფეხშიშველი და პი-  
ჯამოს შარვლის ამარა გამოვიდა. მარტინს ბიჭივით თეთრი და ნაზი  
სხეული ჰქონდა.

რუთი ფეხზე წამოვარდა.

— გამშორდი! გამშორდი! — იყვირა მან და სიბრაზითა და  
ზიზლით სახე დაემანჭა. უეცრად მუხლები მოეკვეთა, თითქოს ვი-  
ლაცამ გამოაცალა ყავარჯენი, რომელსაც აქამდე ებჯინებოდა. პირ-  
ქვედამხოზილი, მიწაზე ხოხავდა. დაკრუნჩხულ ფეხებს მიწას უბარტ-  
ყუნებდა და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ყვიროდა. ბოლოს  
ყვირილი გაბმულ კვილად იქცა და ნელ-ნელა მიწყდა. იოჰანამ  
რუთი მიიზიდა, მოეხვია, მიუალერსა, რუთი პატარა ბავშვივით  
საცოდავად ზღუქუნებდა და კვნესოდა. მარტინი ქოხში შევარდა.  
რუთი თანდათან დამშვიდდა, თან გოცებულ თვალებს აციცებდა,  
თითქოს არც კი ახსოვდა, რატომ წაიქცა.

იოჰანა ერთ ხანს კიდევ დარჩა მეგობართან, შემდეგ კი შინი-  
საკენ გაუდგა გზას. კარს შორიდან მოჰკრა თვალი. შუაში დატანე-  
ბულ სპილენძის პატარა რგოლში ხელწერილი იბოვა. გველკაცას  
ბეჭდური ასოებით დაეწერა: „ეს კარი ზამთრის სუსხისაგან დავი-  
ცავთ. ქრისტეს მოწაფეები“.

იოჰანამ კიდევ ერთხელ გადაიკითხა სტივის წერილი, და ისეთი  
გრძნობა დაეუფლა, თითქოს ღამით გამანადგურებელი გრიგალი  
მძვინვარებდა, ხოლო გაღვიძებულს ნათელი დილა შეეგება. იოჰა-  
ნა წერილის წერას შეუდგა.



სანანებელი არაფერი მაქვს. ამას აქედანვე გეუბნები. დიდად უბედური ვიქნებოდი, ჩვენ შორის რომ არ მომხდარიყო ის, რაც მოხდა. სტივ, საყვარელო, მე მხოლოდ ახლა ვიგრძენი, რა კარგია, როცა გყავს ვინმე, ვინც გენატრება. რა კარგია, შენ რომ არსებობ ამქვეყნად. მაგრამ ძნელიც ყოფილა. შენ ისე შორსა ხარ ჩემგან. თანაც ის კანონი... მაგრამ შენი წერილი! ჩემს გარდა აქ ყველა უბედურია. არ ვიცი, რა მოხდება. იქნებ ბედმა გაგვიღიმოს. ცხადია, ყოჩაღად ვიქნები და ყველაფერს გაუძლებ. აჰ, შენ რომ აქ იყო, შენ გვერდით რომ შემემლოს დაძინება. შენი ყველაფერი მიყვარს. გამოხედვაც კი. მიყვარხარ, ძალიან მიყვარხარ. იქნებ საქირო არ იყო უოხელივე ამის მოწერა, მაგრამ უნდა მეთქვა, ეს ცოტათი მშველის. ო, ღმერთო, ვაითუ ველარასოდეს გნახო? ჯობს წერილის წერას თავი დავანებო.

იოხანა.

XI

იმ დარბაზს, სადაც მოწმეთა დაკითხვას აწარმოებდნენ დროებით (საგამომძიებლო სასამართლოს ძველი შენობა დაინგრა), გოტიკური ისრულთაღოვანი სარკმლები ჰქონდა შუაში დატანებული ბოძებით. ას ორმოცდაათი წლის წინათ ხელახლა დაგებულ პარკეტის იატაკს ლუი XVI სტილის შავი ხის მრულდხაზოვანი ორნამენტი ამშვენებდა. ბოლო დროს ამ საოცრად პროპორციულ დარბაზში ფქვილის საწყობი იყო.

დიდძალი ხალხის მოლოდინში, რაც კი სკამები და მერხები მოეძებნებოდათ, ყველა დარბაზში შეზიდეს. სკამები ოც რიგად ჩაამწკრივეს. კედლების გასწვრივ კი მერხები დადგეს. სასამართლოზე გამოცხადდა ყველა უნებლიე მწყალობელი, დასაჩუქრებულთა უმრავლესობა და ასობით ცნობისმოყვარე, რომელთაც ეს საქმე უშუალოდ არ ეხებოდა. დარბაზში ტევა არ იყო. ბევრი ფეხზეც კი იდგა. უნებლიე მწყალობლებმა პირველი ხუთი რიგი დაიკავეს. მათ უკეთესად ეცვათ და უკან მჯდომ დაკონკილ, ფეხშიშველა, ლოყებჩაცვივანულ ადამიანებთან შედარებით გარეგნულადაც უკეთ გამოიყურებოდნენ. მეხუთე და მეექვსე რიგს შორის სიდუხჭირემ მკვეთრი გამთიშველი ხაზი გაავლო.



სამი მეტრის სიგრძე მაგიდასთან ისხდნენ მდივანი, კაპიტანი ლიბენი და მოსამართლე-გამომძიებელი, იმ ბიჭის მამა, რომელმაც იუდა ისკარიოტელის სახელი იუკადრისა. მაგიდასა და პირველ რიგს შორის განცალკევებით ხუროთმოძღვარი ჰიმელჰოხი და ქლეჟიანი მღებავი დაესვათ. აქლემის ბეწვის პალტო მაგიდაზე იდო. დილის ათი საათი იქნებოდა. მაღალი ისრულთაღოვანი სარკმლებიდან მზის შუქი იღვრებოდა.

კაპიტანმა ლიბენმა, რომლის თაოსნობითაც ეს საქმე დაიწყო. იმიტომ კი არ გადაწყვიტა მღებავისა და უნებლიე მწყალობელთა საჯარო დაკითხვა, რომ ქრისტეს მოწაფეები დაესაჯა, არამედ უნდოდა მოსახლეობის ყველა ფენის წარმომადგენლებისათვის სიტყვით მიემართა და დაეყოლიებინა ხალხი, შეექმნათ ისეთი ორგანიზაცია, რომელიც ნებაყოფლობით შეწირულებას შეაგროვებდა და ღარიბთა შორის უღარიბესთ დაუბრუნებდა. მოსამართლე-გამომძიებელს უფრო კრების თავმჯდომარის მოვალეობა უნდა აღესრულებინა.

მასობრივი კრება ისე დაიწყო, როგორც სასამართლო პროცესი. მოსამართლე-გამომძიებელმა ჯერ წესის მიხედვით მღებავის ვინაობა დაადგინა, შემდეგ კი ჰკითხა, პალტო შენთან როგორ მოხვდაო.

ქლეჟიანმა წამოდგომა დააპირა, მაგრამ ისე იყო დასუსტებული, რომ შეტორტმანდა და ისევ სკამზე დაეცა. მას ნება დართეს ჩვენების მიცემის დროს მჯდარიყო.

— იმ ღამეს გამომეღვიძა და ვხედავ, საწოლზე პალტო დევს.

— სასადილო ოთახის ფანჯარა ჩამიმტვრია! — იყვირა ამ დროს ხუროთმოძღვარმა ჰიმელჰოხმა.

— ილაპარაკეთ მხოლოდ მაშინ, როცა შეგეკითხებიან. კარი დაკეტილი გქონდათ. ბატონო პოლფუს?

— სარდაფს კარი არა აქვს.

— ფანჯარა?

— არც ფანჯარა.

— იქნებ იცით, ვინ დადო პალტო თქვენს საწოლზე? რა იფიქრეთ, როცა დაინახეთ.

— სრულიად არაფერი. ციოდა, ავიღე და მაშინვე ზემოდან გადავიფარე.

— არც ის იცით, ვინ არიან ქრისტეს მოწაფეები?



— ეს არავინ არ იცის!

დოქტორ გროსმა ღიმილით გადახედა გველკაცას, რომელიც თავგსა და პეტრეს შორის ჩამჯდარიყო.

— ახლა წაგიკითხავთ წერილს, რომელიც ქრისტეს მოწაფეებმა გამომიგზავნეს, — თქვა მოსამართლემ.

„ფრიად პატივცემულო სასამართლო!

ხუროთმოძღვარ ჰიმელჰოხს სამი საზამთრო პალტო აქვს, გარდა ამისა, ყოველდღე გაღეშილია და ესეც ათბობს. თუმცა იგი ამას არ იმსახურებს, და უნდა რცხვენოდეს, ერთი პალტო მაინც დავუტოვეთ. ჩვენ, სამართლიანობის დამცველებმა, აქლემის ბეწვის პალტო უსასყიდლოდ დავუტოვეთ საწოლზე ბატონ ჰოლფუსს, რადგან, როგორც ირკვევა. ძველი ქრისტიანები ვართ. თუ ფრიად პატივცემული სასამართლო დაგვაპატიმრებს, ვაჟკაცურად შევხვდებით განსაცდელს. ამაში ეჭვი ნუ შეგეპარებათ. მაგრამ ჯერ უნდა დაგვიჭიროთ. დაპატიმრებული უდანაშაულოა და, მამასადამე, უნდა გაათავისუფლოთ. ეს თავისთავად ცხადია.

ქრისტეს მოწაფეების საიდუმლო საზოგადოების სახელით პეტრე“.

— მართლაც, თავისთავად ცხადია, რომ დაპატიმრებული უდანაშაულოა და ამიტომ უნდა გაათავისუფლოთ, — თქვა მოსამართლემ ღიმილით. — მაგრამ სულ სხვაა სამართლიანობის დამცველთა საქმე. ეს ვაჟბატონები სასტიკად დაისჯებიან უკანონო მეთოდებით ქველმოქმედებისათვის.

გველკაცამ პეტრეს ზურგში მუჯლუგუნი წაჰკრა და წასჩურჩულა:

— გაიგონე? ვაჟბატონებო, მაგას წარმოდგენა არა აქვს, ვინა ვართ ჩვენ.

მოსამართლე-გამომძიებელმა უნებლიე მწყალობელთა სიას თვალი გადაავლო და სახალხო სკოლის მასწავლებელს შარფს ჰკითხა, იქნებ გუმანი აიღეთ, ვინ არიან ეს ქრისტეს მოწაფეებიო?

მასწავლებელი გრძელი მაგიდის წინ გაჩერდა და ბლის ჯოხს დაეყრდნო. ჯოხის თითბრის რგოლში მარყუჟივით შენასკული ტყავის ღვედი გაეყარათ. ჩამომხმარ მასწავლებელს მელასავით მწითლური წვერი და მომწვანო-ლურჯი თვალები ჰქონდა.

— თქვენის ნებართვით მინდა ამ შემთხვევით ვისარგებლო



და მოგახსენოთ, რომ ორმოცი წლის მანძილზე პედაგოგიური მოღვაწეობისა და მოვალეობის პირნათლად შესრულების შემდეგ იძულებული ვარ სიცოცხლის უკანასკნელი დღეები სარდაფში გაატარო.

— ბატონო მასწავლებლო, თქვენ ერთადერთი არ ბრძანდებით და, გარდა ამისა, ეს საქმეს არ ეხება.

— კი მაგრამ, რაღაც განსხვავება ხომ უნდა იყოს.

— არავითარი განსხვავება არ უნდა იყოს, ბატონო მასწავლებლო. გუჟანი თუ აიღეთ-მეთქი?

— ახლა ესეც არ მაკმარეს და გამქურდეს. როცა საღმე მივდივარ, სარდაფს ყოველთვის ვკეტავ, ფანჯარაზე მაგარი გისოსია აკრული. მეტი რაღა მექნა და მაინც გამქურდეს. ერთ საღამოს ჩემი ყველაზე დიდი ბალიში წაიღეს, ექვსი ახალი ფლანელის ღამის პერანგიდან სამი გაქრა. ქრისტეს მოწაფეების წგრეთ წოდებული ხელწერილი პოლიციას გადავეცი.

იოანე, რომელიც უნებლიე მწყალობელთა შინ ყოფნისას ამჯობინებდა მუშაობას და დაკეტილი კარები და მაგარი გისოსები ვერ აბრკოლებდა, მოხერხებულად გადაწვა სკამის ზურგზე. იგი უკანასკნელ რიგში იჯდა თავისი მამის, ძველი სოციალ-დემოკრატის გვერდით, რომელმაც ოთხი წელი დახაუში გაატარა. იოანე სკოლაში შარფთან სწავლობდა, ეს სკოლაც ერთგვარი საბავშვო დახაუ იყო.

ფეხსაცმლის მკერავის ქვრივმა, რომელმაც ომში ქმარი და შვილი დაკარგა, შიშით გადახედა თავის მკურნალ ექიმს დოქტორ გროსს. ექიმმა მის სახლში ბალიში და ახალი ფლანელის პერანგი ნახა, და ჰკითხა, ასეთი ძვირფასი ნივთები ვინ მოგართვაო.

მეორე უნებლიე მწყალობელმა, მეთათიქე ადელსპოფენმა ასეთი რამ თქვა:

— სხვენზე საბავშვო ეტლი მქონდა შენახული და საღამო გაქრა. ეტლი აღარ მჭირდება. ჩვენი ბავშვები გაიზარდნენ, მაგრამ ერთი რამ მინდა მოგახსენოთ — სხვენს ორმაგი საკეტი აქვს, საგანგებო ავტომატური კლიტით. ყოვლად გაუგებარია, როგორ წაიღეს ეტლი. იქნებ ეს ქრისტეს მოწაფეები პირდაპირ ციდან და ეშვნენ სხვენზე?

კაპიტანს გაეღიმა და ოდნავ გამოშვერილი ეშვები გამოუჩნდა.



ლიბენი ტანმორჩილი და ჩაფსკვნილი ებრაელი იყო. ოცდაათი წლისა იქნებოდა.

მათ გარდა კიდევ ორ უნებლიე მწყალობელს ჩამოართვეს ჩვენება, მაგრამ უშედეგოდ. ამის შემდეგ მოსამართლე-გამომძიებელმა სთხოვა ადგილობრივი „ცნობის ფურცლის“ მთავარ რედაქტორს, რომელიც მეხუთე რიგში იჯდა, ადგილიდან ელაპარაკა. წინა რიგებიდან ყველამ მისკენ მიაბრუნა თავი. უეცრად პეტრემ თვალი მოჰკრა იმ ბიჭუნას. იუდა ისკარიოტელის სახელი რომ იუჟადრისა, იგი პირველ რიგში განაპირა სკამზე მოკალათებულიყო და დარბაზის მეორე ბოლოში მჯდომ პეტრეს პირდაპირ თვალებში უყურებდა. ბიჭუნა იმწამსვე შეამჩნიეს თავგმაც და გველკაცამაც.

მეგობრებმა ისე ახლოს მიადეს თავი ერთმანეთს, რომ სამი სფეროს სამკუთხედი შეიქმნა.

— მან ხომ ყველაფერი იცის. მისი ერთი სიტყვა სრულიად საკმარისია, რომ ჩავცვივდეთ. ჯობს გავიპაროთ, — წასჩურჩულა თავგმა ამხანაგებს და ადგომა დააპირა.

— იჯექით, გაქცევა ვერაფერს გვიშველის. თუ გაგვცა, მაინც ციხეში გვიკრავენ თავს, — თქვა პეტრემ მშვიდად.

გველკაცა ისევ გასწორდა წელში.

— It's okay with me<sup>1</sup>.

— მას შემდეგ, რაც ჩვენს გაზეთში ამ ქურდების ბანდაზე ცნობა დაიბეჭდა, კომოდიდან ხელით ნაქსოვი შალის სეიტრი მომპარეს. კომოდზე ჯვარცმის ქვეშ, აი, ეს ბარათი დამხვდა. — ყველას რომ დაენახა, მთავარმა რედაქტორმა ბარათი მალლა ასწია და ხვამალლა წაიკითხა: „ქრისტეს მოწაფეები“.

პირველ ხუთ რიგში მსხდომთაგან კიდევ რამდენიმე კაცმა მისცა ჩვენება ადგილიდან და აშკარა გახდა, რომ სხვების გაჭირვება მათ ცივ გულს არ ეკარებოდა. ანგარებით შეპყრობილნი რაღაც ძველი პერანგისა თუ წინდების გამო განრისხებულნი ჩიოდნენ, უკანა რიგებში კი სასოწარკვეთილი, უკიდურესად გადატაკებული ადამიანები სულ უფრო და უფრო ივსებოდნენ მათდამი ზიზღით და დროდადრო გულს მხოლოდ შეძახილებით იოხებდნენ.

ბოლოს ყასაბი შტუმპფი წამოდგა. ყასაბს მთელი დღეები დი-

<sup>1</sup> რაც იყოს, იყოს (ინგლ.).

ვანზე ეძინა, რადგან მისი საყასბო და მაცივარი ცარიელი იყო. მან სასამართლოს მოახსენა, ვეფხვის ტყავივით შავყვითელსახიანი მატყლის საბანი მომპარესო, მერე კი ასთმატური ქოშინით დასძინა:

— მაგრამ საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, თუკი ქრისტეს მოწაფეებმა ჩემი საბანი ისეთ ადამიანს მისცეს, ვისაც ნამდვილად სჭირდება...

იოანემ ჩუმად უთხრა იაკობს:

— მე კი ვაბღენძილი ტახი მეგონა. ასე რომ მცოდნოდა, საბანს არ წავართმევდი, ნამდვილად არ წავართმევდი. როგორ ცდება ზოგჯერ ადამიანი!

კაპიტანმა მოსამართლეს რაღაც უთხრა, იმან ჯერ ეჭვით გააქნია თავი, მერე კი დარბაზს მიმართა:

— თუ დამსწრეთა შორის არის ვინმე, ვინც რაიმე მიიღო ქრისტეს მოწაფეებისაგან, გამოვიდეს და მოგვახსენოს.

რამდენიმე წამს ისეთი სიჩუმე ჩამოწვა, თითქოს დარბაზში ძე-ხორციელი არ იყო. ყველა სმენად იქცა. ზოგიერთმა დასაჩუქრებულმა თავი დახარა. იოჰანამ გადაწყვიტა, სხვებივით მასაც არ ამოედო ხმა, მაგრამ ყასბის სიტყვებმა გადაწყვეტილება შეაცვლევინა. სიჩუმეში რაღაც ფაჩუნის გაისმა. ხალხმა რიგრიგობით მოაბრუნა თავი. იოჰანა ფეხზე წამოდგა.

ხუთას კაცს თვალი არ მოუშორებია მისთვის მანამდე, სანამ ქალიშვილი ნელი ნაბიჯით არ მიუახლოვდა მოსამართლის მაგიდას.

იოჰანას გახუნებული ლურჯი ჩითის კაბა და ის დახურული ფეხსაცმელი ეცვა, ამას წინათ დავითმა რომ შეუგდრ თხის სადგომში. კისერწაგრძელებული დავითი წინ მსხდომთა თავებს შორის პატარა ნადირივით იყურებოდა. თითქოს საფრთხე იგრძნო და გაინაბაო.

კაპიტანმა ღიმილით ჰკითხა:

— აბა, გვითხარით, რა მიიღეთ? — ლიბენი თავისუფლად ლაპარაკობდა გერმანულად.

იოჰანამ ნიკაპი აბრეშუმის ლურჯ ყელსახვევში ჩარგო.

— მატყლის საბანი, იქნებ სწორედ ის საბანია, ბატონმა შტუმპფმა რომ ახსენა. გარდა ამისა, აი, ეს ფეხსაცმელი და ერთი ნაჭერი საბონი.





— ჰოო, საბანი კანონიერ მფლობელს უნდა დაუბრუნოთ.

— არა, დეთის გულისათვის, დარჩეს საბანი ფროილან იოჰანას, — წამოიძახა ყასაბმა. — მე კიდევ მაქვს ერთი.

— თვითოეულ თქვენგანს ბატონ შტუმპფისათვის უნდა მიეძაძა, მაგრამ ამაზე შემდეგ ვილაპარაკოთ, — თქვა კაპიტანმა.

— ტყუილად შეიწუხებთ თავს, — დაიძახა ვილაცამ უკანა რიგებიდან.

— არის აქ ვინმე ისეთი, ვისაც ქალის ფეხსაცმელი მოჰპარეს? — მაგრამ პასუხი არავინ გასცა და კაპიტანი მოსამართლისკენ დაიხარა: — ფეხსაცმელი ალბათ, ცვიშენცალის საწყობიდანაა წამოღებული.

ცვიშენცალის გაქურდვიდან ერთი დღის შემდეგ კაპიტანმა ლიბენმა ფოსტით ამერიკული სიგარეტები მიიღო. მის წინ მაგიდაზე საქონლის სია და აფიშა იდო, რომელიც მოწაფეებმა სამხედრო შტაბის ჭიშკარზე გააკრეს.

— უბრძანეთ, ცვიშენცალი შემოიყვანონ, — უთხრა კაპიტანმა მდივანს.

უადგილოდ დარჩენილებმა შესვენებით ისარგებლეს და ჯგუფ-ჯგუფად შეგროვდნენ, ხოლო ვინც იჭდა, ფეხზე წამოდგა და რიგებს შორის ერთმანეთთან საუბრობდნენ. სამივე ბიჭს სიტყვა „ცვიშენცალი“ მეხივით დაეცა თავზე. ისინი ხომ სპექულანტმა თავის სახლში შეისწრო. პეტრე და გველკაცა უკვე კართან იყვნენ, საწყობის გამგემ კი მამას ჩასჩურჩულა, გარეთ უნდა გავიდე, მუცელი ამტკივდაო. და მართლაც იგრძნო ტკივილი, გარეთ გავიდა, პეტრესა და გველკაცას წინ ჩაუქროლა და გრძელი დერეფნის ბოლოში საპირფარეოსო მიაშურა.

დერეფანში ხალხი ირეოდა. გველკაცა დოქტორ გროსს მიუახლოვდა. მკვლელსაც ასე ეშართება, სინდისის ქენჯნა დანაშაულის ჩადენის ადგილისაკენ ეწევა, ახედა და ჰკითხა:

— ბატონო დოქტორო, როგორ ფიქრობთ, განა ქრისტეს მოწაფეები მართებულად არ იქცევიან?

ის იყო, დოქტორ გროსს ტაფა უნდა ეხსენებინა, რომ გველკაცა უკვალოდ გაქრა. ბიჭმა შორიდანვე მოჰკრა თვალი ცვიშენცალს: იგი დერეფანში ორ პოლიციელს შორის მოაბიჯებდა.

ცვიშენცალი გაუპარსავი იყო, ლურჯი კოსტიუმი ეცვა. ჯერჯერობით წინასწარ პატიმრობაში იმყოფებოდა. როცა კაპიტანმა ჰკითხა, როგორ გგონიათ, ვინ უნდა იყვნენ ის კაცები, საწყობი რომ გაგიჭურდესო, პატიმარმა ძლივს შეიკავა თავი და მიახალა:

— რომელი კაცები! ბიჭებია!

უეცრად ამტყდარმა საერთო ჩოჩქოლმა დარბაზში დარჩენილ რვა ბიჭს ტალღასავით გადაუარა თავზე. მოსამართლე გაოცებული მიაჩერდა კაპიტანს, რომელიც გაკვირვებული ბიჭივით იღიმებოდა.

მათ ერთმანეთს ჩუმად გადაულაპარაკეს რაღაც. ბოლოს მოსამართლემ თქვა:

— ყველას, ვინც ჯერ ჩვიდმეტი წლისა არ არის, ვთხოვ, წინ გამოვიდეს.

რამდენიმე წამს ადგილიდან არავინ დაძრულა. პირველი თავგოწამოდგა სკამიდან გაუბედავად. ადგნენ სხვა ბიჭებიც და ნელა, უხმოდ გავიდნენ წინ. ყველა ფეხშიშველი იყო.

მაგიდასთან ჩვიდმეტი ბიჭი ჩამწკრივდა. რვა მოწაფე ცალკე შეჯგუფულიყო. მოსამართლის ვაჟიც წამოდგა, მაგრამ მამამ ღიმილით უთხრა, შეგიძლია დაჯდეთ. ბიჭმა ისე ნაღვლიანად ამოიოხრა, გეგონებოდათ, გულიც ამოატანათ და ისევ დოქტორ გროსის გვერდით დაჯდა. მოსამართლის შვილს დაგლეჯილი სპორტული ჩუსტები ეცვა. ბიჭები მას შიშით შეჰყურებდნენ.

დავითი თითქოს არ უსმენდა მოსამართლეს, რომელიც ცვიშენცალს ეკითხებოდა, ამ ბიჭთაგან ვინმე ხომ არ შეიცანითო. დავითი თავისი მშობლების მკვლელს მიშტერებოდა. უეცრად გულშემზარავი ყვირილი აღმოხდა და იატაკზე დაეცა. მთელი სხეულით იკრუნჩხებოდა, იქით-აქეთ აწყდებოდა, ბოლოს უძრავად გაშეშდა.

ხალხი ისე წამოცვივდა ადგილიდან, როგორც ცეცხლმოკიდებულ თეატრში. იოჰანა დავითთან მიიჭრა. მაგრამ ბიჭუნას წინ უკვე დოქტორი გროსი დაჩოქილიყო. ექიმმა გულწასული დავითი ხელში აიყვანა და მოსამართლის მაგიდაზე დააწვინა, როგორც აშკარა საბუთი იმისა, რომ ფროიდენჰაიმების მკვლელი ცვიშენცალია.

შვიდივე მოწაფე მაშინვე „მყუდრო სოროსაკენ“ გაეშურა. ადრე გამოპარულ სამ ამხანაგს აცნობეს, კაპიტანმა ლიბენმა განკარგუ-



ლება გასცა, ჭლექიანი მღებავი და დავითი საავადმყოფოში დააწვინეთო.

— შემდეგ კი სიტყვა წარმოთქვა. კაპიტანს ჰგონია, მდიდარი ღორები ნებაყოფლობით შეეღვინან რამეს. ეგ რამ აფიქრებინა! ჩვენ, ცხადია, მაშინვე წამოვედით. — თქვა იოანემ. მამამისი უკვე დიდ მრგვალ მაგიდასთან იჯდა უნივერსიტეტის პროფესორ ჰებერლაინსა და მასწავლებელ შარფს შორის.

ნაცისტების ვაბატონებამდე იოანეს მამას წიგნის პატარა მაღაზია ჰქონდა აუგუსტინერშტრასეზე. როცა ბერლინში უნთერ დენლინდენზე დიდ კოცონზე უამრავი წიგნი დაწვეს, ვიურტმურგელმა ნაცისტებმა აუგუსტინერშტრასეზეც დაანთეს პატარა კოცონი. მაშინ მასწავლებელიც იქ იყო და ცდილობდა რკინის ბუნიკიანი ჯოხით ფეხით დავარდნილი წიგნი ცეცხლში შეეგდო. წიგნი რამდენჯერმე გადაატრიალა, თითქოს დაწვეს ერიდებათ, მაგრამ ბოლოს ფეხი ჰკრა და ცეცხლს მისცა.

სამიკიტნოში მნათე შემოვიდა. დაჯდომისას გამხდარი ხელი ცვილივით გაყვითლებულ სახეზე ჩამოისვა და თითქოს სახეც თანდათან დაუგრძელდა. ხოლო როდესაც ხელი ნიკაპთან შეაჩერა, კაცს ეგონებოდა, უკბილო პირში შავი კვერცხი უდევსო.

მოწაფეები სამზარეულოში გაიკრიბნენ. ოთხ მეტრზე გაჭიმული ქურა ცივი იყო, საკუჭნაო კი ცარიელი. ამ ოდითგანვე განთქმულ სამიკიტნოში ოდესღაც საუკეთესო შინაურ სოსისსა და ცხელ-ცხელ, სისხლიან ჯივრის ძეხვს მოგართმევდნენ, ახლა კი უხეირო ღვინის მეტი აღარაფერი ჰქონდათ.

სამზარეულოსა და სამიკიტნოს შემაერთებელ დერეფანში კარი არ იყო, ამიტომ მოწაფეებს კარგად ესმოდათ, რასაც დიდ, მრგვალ მაგიდასთან ლაპარაკობდნენ, თვითონ კი ხმადაბლა საუბრობდნენ, რათა არავის გაეგონა. რაც შეიძლება მკიდროდ დასხდნენ და სახელდახელო სხდომა ჩურჩულით ჩაატარეს. პეტრე სამზარეულო მაგიდაზე ჩამოჯდა. „ამჯერად ცული მოგვიქნის, მაგრამ აგვცდა“, — თქვა მან. დაფიქრებულმა საწყობის გამგემ, რომელსაც შიშით კუჭი აეშალა, თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია, თავგმა კი ჩურჩულით დაიწყო:

— ანტონს თუ უნდა, ჩემს სახელს მიცემ. ბოლოს და ბოლოს ჩემთვის სულ ერთია, ლებეოსი მერქმევა თუ იუდა ისკარიოტელი. ანტონი კარგი ბიჭია. არ გაგვცა.



საწყობის გამგის მამამ, წვერი ჭიპამდე რომ წვდებოდა, საცი-  
ლით წამოიძახა:

— ვინ იფიქრებდა, რომ ქრისტეს მოწაფეები ბავშვები არიან.

— აქ სასაცილო არაფერია, — თქვა მასწავლებელმა. — ბოროტ-  
მოქმედთა თაობა გვეზრდება, ჩემი ვაჟი რომ ერთ-ერთი ამ მორა-  
ლურად გახრწნილ ყმაწვილთაგანი ყოფილიყო, პირადად მე დავა-  
ჭერინებდი.

თუმცა მასწავლებელი გვერდით ეჯდა, იოანეს მამამ ყველას გა-  
საგონად თქვა:

— მე კი ასე არ მოვიქცეოდი, ბატონო მასწავლებლო. ჩემს  
ვაჟს ავუხსნიდი, რატომ არის ეს მეთოდი უვარგისი, რა ვინდ სანა-  
ქებო განზრახვაც არ უნდა გქონდეს.

— ნეტა მაცოდინა, რით არის ცუდი, მდიდარ ღორებს რომ მცი-  
რედს ართმევ და აძლევ ბალახის მძოველებს, ვისაც შიმშილით სუ-  
ლი ხდება, — ჩაიჩურჩულა აღშფოთებულმა იოანემ. ბიჭმა მშობ-  
ლების სახლში ბავშვობიდანვე შეაჩვია ყური სოციალიზმზე ლაპა-  
რაკს და ბოლოს ერთ დღეს თავის მეგობრებსაც აუხსნა, რატომ  
უნდა გახდნენ ყველანი სოციალისტები.

სწორედ ამიტომ დააარსეს ქრისტეს მოწაფეების საიდუმლო სა-  
ზოგადოება. სახელი პეტრემ გამოიგონა და წესდებაც მან შეადგინა.

უეცრად მასწავლებელი წელში გასწორდა, თითქოს ეს-ეს არის  
რადაც მოიფიქრაო.

— როგორ დაკნინდა გერმანელი ხალხი. გაგონილა მთელი  
ერისათვის ამაზე მეტი თავის მოჭრა? გერმანელი იძულებულია  
ვიღაც ამერიკელ ებრაელს მისცეს ჩვენება.

ნაცისტთა რეჟიმის დამხობის შემდეგ პოლიტიკურმა შუღლმა  
აშკარად იჩინა თავი. იოანეს მამას ვერაფრით ვერ მოენელებინა  
თუნდაც ის ამბავი, რომ შარფი ისევ არხეინად მასწავლებლობდა.

— ჩემი აზრით, მთელი ერისათვის თავის მოჭრა ის არის,  
რომ მილიონობით ებრაელი გაწყვიტეს და დაწვეს. ამის გამო  
გერმანიის ცა კიდევ ას წელიწადს იქნება აყროლებული, — თქვა  
მან უკმეხად.

უნივერსიტეტის პროფესორმა ჰებერლაინმა ლმობიერად გაი-  
ლიმა, თითქოს უნდოდა ეთქვა, ადელდით და იმიტომ გადააჭარ-  
ბეთო.



პეტრეს მამა, ჩვეულებრივ, სტუმრების დაშოშმინებას ცდილობდა ხოლმე, მაგრამ აქ თავი ვეღარ შეიკავა:

— ამერიკელმა ის ბიჭი და საწყალი ჭლექიანი საავადმყოფოში მოათავსებინა. ჩვენს დროში ეს წვრილმანი როდია. ეტყობა, კეთილია.

გველკაცამ თავი გაიქნია და შუბლზე ჩამოშლილი თმა უკან გადაიყარა.

— The Captain is okay<sup>1</sup>. იმ ამერიკელთა შორის, ვისაც მე ვიცნობ, ყველას სჯობია. And I know lots of them<sup>2</sup>. მასწავლებელი პირწავარდნილი ფაშისტია.

— კარგი ამბავია, თანაც მისი თანდასწრებით მეუბნებიან, არავითარი განსხვავება არ უნდა იყოსო. თვითონ ხომ ცხოვრობს ვილაში! მაშ, ის როგორ არის, სხვებს რომ სარდაფში ხდებათ სული?! ძველი სოციალისტი გაცხარდა.

— მე გეტყვით, როგორ, ბატონო მასწავლებელო. როცა მსოფლიოში გაბატონებისათვის ომს გააჩაღებ, მთელ ევროპას დაანგრევ, ათასგვარი საზარელი ხერხით ოც მილიონ ადამიანს მოსპობ, ცხადია, სარდაფში მოგიხდება ცხოვრება.

მასწავლებელი მაშინვე წამოხტა და სამიკიტნოდან გავარდა.

რამდენიმე წამით სიჩუმე ჩამოვარდა. თითოეული ფიქრს მიეცა. თითქოს მიხვდნენ, განკითხვის უამი დადგაო. ამ წუთში ყველა ისეთი გულგახსნილი და მგრძნობიარე იყო, როგორც მიწა ახალი თესლის მწლოდინში. ბოლოს უნივერსიტეტის პროფესორმა საქმიანი, შემავარდნელებელი კილოთი თქვა:

— რადგან მსოფლიოში დოვლათი არათანაბრადაა განაწილებული, ეროვნული ომი სასიცოცხლო სივრცისა და გავლენის მოსაპოვებლად გამართლებულია. რაც დახაუში მოხდა და სხვა ამგვარი რამ. ცხადია, დასავლობია. მაგრამ გერმანიას რომ ომი მოეგო, მაშინ, ალბათ, თქვენც სხვაგვარად ილაპარაკებდით.

იოანეს მამა გაჩუმდა, გრძნობდა, პასუხის გაცემას აზრი არ ჰქონდა. მაგრამ ბოლოს თავისთვის მაინც ჩაილაპარაკა:

— სწორედ იმიტომ გამგზავნეს დახაუში, რომ სხვანაირად არ მილაპარაკია.

1 კაპიტანი ყოჩაღია... (ინგლ.).

2 მე კი ბევრს ვიცნობ (ინგლ.).

გველკაცამ კისერი წაიგრძელა და თვალი გააყოლა იოჰანანს, რომელმაც ნელი ნაბიჯით ჩაუარა სამზარეულოს ფანჯარას.

— არ შეუძლია ენას კბილი დააჭიროს?! ცოტაც და უსაზნოდ დარჩებოდა.

— ყასაბი შტუმპფი ნამდვილი სოციალისტივით მოიქცა, საბანი რომ დაუტოვა, — მოწონებით შენიშნა იოანემ.

პროფესორმა ჰებერლაინმა ოქროს წვრილჩარჩოიანი სათვალე მოიხსნა. მისი შთამაგონებელი თეთრი სახე უეცრად თითქოს გაშიშვლდა. წაბლისფერთმიან პროფესორს წამწამები მწითული ჰქონდა. როცა სათვალე გაწმინდა და სახე ისევ შემოა, თქვა:

— კაცობრიობა მარად უნდა ემადლიერებოდეს გერმანიას. მარტო ბეთჰოვენის გახსენებაც კმარა. გერმანელ ხალხში ამოუწურავი პოტენციალია. მართალია, ჩვენ, ძველი თაობა, ქვეყნის ხელახალ აღმავლობას ვეღარ მოვესწრებით, მაგრამ გერმანია ისევ აღსდგება. სხვათა შორის, დღეს უკვე ყველასათვის ნათელია, ავსტრიელი დილეთანტის სტრატეგია რომ არა, გერმანია ომს მოიგებდა. — პროფესორი ფეხზე წამოდგა.

— პროფესორი ნაცისტი არ არის და არც როდისმე ყოფილა. პირად ცხოვრებაში უწყინარი ადამიანია. მოდი და ამის შემდეგ იმედი ნუ ვაგიწყდება, — თქვა იოანეს მამამ, როცა პროფესორი ჰებერლაინი წავიდა.

მოწაფეებმა უკანა კარი გააღეს და „მყუდრო სორო“ დატოვეს.

## XII

მორიგ სხდომაზე, რომელიც საზეიმო ვითარებაში მიმდინარეობდა, მოსამართლე-გამომძიებლის ვაჟი ერთხმად აირჩიეს საზოგადოების წევრად. მან ალერსიანად გაიღიმა და უარი განაცხადა ჩამოერთმიათ თავვისათვის ლებეოსის საპატიო სახელი. იუდა ისკარიოტელს ბიჭებმა „სწავლული“ შეარქვეს, რადგან გიმნაზიაში სწავლობდა და დიდ სათვალეს ატარებდა. ანტონი თხუთმეტი წლისა იყო, პეტრეზე ოთხი თვით უფროსი. ფერმკრთალი მოკლე სახე ტოლფერდა სამკუთხედს მიუგავდა.

მოწაფეები კვლავ შეკრებილიყვნენ. კერვა და კემსვა რომ გაადვი-

ლებოდა, გველკაცამ კათარინას თავისი სკამი დაუთმო, თვითონ კი მის ფეხთით ჩამოჯდა ცვიშენცალის საწყობიდან წამოღებულ ვერმიშელის ყუთზე. კათარინა მამაკაცის უზარმაზარ ნიფხავს აკერებდა. ეს ნიფხავი თვითონ „მოიპოვა“. ქიშმა, კასრივით მსხვილმა მეკასრემ, სწორედ ამ დროს მოუსწრო და ერთი წყვილი დახეული წინდაც თან გამოატანა. გაწითლებულ, გათოშილ თათებში ნემსი ძლივს ეკაეა. თებერვალი იდგა. მონასტრის ეკლესიის სარდაფში საშინლად ციოდა.

კათარინას გვერდით საწყობის გამგე იჯდა. დროდადრო ბიჭუნა სევდიანი თვალებით შეჰყურებდა ორ დაცარიელებულ თაროს, სადაც ახლა მხოლოდ გაქუცული ფრაკი ეკიდა ლურსმანზე. უკანასკნელი წყვილი ფეხსაცმელი სწავლულს მისცეს. გველკაცამ წინდახედულობა გამოიჩინა და დიდი თოვლი რომ მოვიდა, მხოლოდ მაშინ შემოიტანა წინადადება, თითო-თითო წყვილი ფეხსაცმელი ჩვენც ჩამოვირიგოთ, რათა თოვლსა და სიცივეშიც ვესტუმროთო უნებლიე მწყალობელთ. ეს წინადადება სიტყვაშეუბრუნებლად მიიღეს. ახლა ყველა მოწაფეს და საპატიო წევრს — კათარინასაც ფეხსაცმელი ეცვა.

მაგრამ უნებლიე მწყალობელთა რიცხვი ძლიერ შემცირდა. სიამში, სადაც ზოგჯერ ოთხმოცზე მეტი გვარი იყო ჩამოწერილი, ახლა ორიღა დარჩა. გადამალული არავის აღარაფერი ჰქონდა. ომის დამთავრების შემდეგ მთელი ოთხმოცდათხუთმეტი კვირა მდგომარეობა ყოველკვირეულად უარესდებოდა. ადამიანებს მხოლოდ ერთი საზრუნავიღა დარჩენოდათ — ლუკმაპური ეშოვათ და ფეხები გაეთბოთ. სარდაფებში ყინავდა.

შიმშილმა და სიცივემ ბევრი დაასწავლა და წუთისოფელს გამოასალმა, ცოცხლად დარჩენილებს კი ყველაფრის იმედი გადაუწყდათ. თუმცა ხალხს ახლა უფრო სჭირდებოდა დახმარება. ვიდრე ოდესმე, ქრისტეს მოწაფეების საიდუმლო საზოგადოების არსებობას მაინც აზრი აღარა ჰქონდა, რადგან აღარსად აღარაფერი იშოვებოდა.

სწავლულმა, რომელმაც ჯერ კიდევ წინა დღის სხდომაზე სრულიად სხვაგვარ კილოზე დაიწყო ლაპარაკი, სიტყვა აიღო. ნასადილევს მანამის ძველი უნივერსიტეტელი ამხანავი, „ევროპის პრობლემების შემსწავლელი საერთაშორისო კომიტეტის წევრი“

სწევია. ამ კომიტეტს საანგარიშო მოხსენება გაერთიანებული ერებისათვისაც გაუგზავნია.

— ახლა კი სიტყვა-სიტყვით მოვახსენებთ, რა უთხრა იმ კაცმა მამაჩემს: „დიდძალი თანხებისა და ყოველდღიურად მზარდი გავლენის წყალობით ნაცისტებმა კვლავ წამოპყვეს თავი. მათ იმედი აქვთ ამერიკისა და ბრიტანეთის საოკუპაციო ზონებში კვლავინდებურად მაღალ თანამდებობებზე ძოკალათებული მრავალრიცხოვანი ნაცისტების მფარველობისა, მშვენივრად იციან. საფრთხე არ ემუქრებათ და აშკარად და მოურიდებლად მოქმედებენ“.

— ამას რა საერთაშორისო კომიტეტი სჭირდება? გაერთიანებულ ერებს ასეთ რამეს ხომ მეც მოვახსენებდი, — თქვა გველ-კაცამ ავღებით.

კათარინამ მამაკაცის ნიფხავი გაშალა, დაათვალიერა.

— რას უყურებდი მერე, დაგეწერა საანგარიშო მოხსენება და გაგეგზავნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში. — გოგონა გამოხეულ ნიფხავს უყურებდა და თავს აქნევდა. — ნაჭერი რომ მომცა, დავაკერებდი. ამას კიდევ ჩაიცვამდა კაცი.

— ჩვენმა ძველმა ნაცნობმა მამაჩემს დაუტოვა იმ წერილის ასლი, რომელიც კომიტეტს ანტინაცისტებმა გაუგზავნეს. წერილი ჩუმად გადმოვიწერე და თან წამოვიღე, — განაგრძო სწავლულმა.

შემდეგ ჯიბიდან სასკოლო რვეული ამოიღო და ხმამაღლა წაიკითხა წერილი, რომელიც ოთხი თვის შემდეგ, 1947 წლის 15 ივნისს საერთაშორისო კომიტეტის მოხსენების ნაწყვეტთან ერთად „ნიუ-იორკ ტაიმსში“ დაიბეჭდა:

„1940 წელს მე და ჩემი ოთხმოცდაშვიდი ამხანაგი დავვაპატიმრეს. ოთხმოცდაშვიდივე სიკვდილით დასაჯეს. მოსამართლე, რომელმაც ჩვენი დაპატიმრების ბრძანება ვასცა და ციხეში ჩავსვა, როგორც ეტყობა, ამერიკელთა სამხედრო ადმინისტრაციის ნებართვით ახლა სამხრეთის ერთ-ერთ მხარეში იუსტიციის მინისტრია“.

ბიჭები გაჩუმდნენ. ხანგრძლივი დუმილის შემდეგ იოანემ თავი ასწია.

— ამ ცოტა ხნის წინ მამაჩემმა თქვა, თუ ახლო მომავალში რამე მოხდა, ნაცისტების მაგივრად ისევ ჩვენ, სოციალისტებს, მოგვიწევს იატაკქვეშ ცხოვრობაო. ნუთუ მართლა ასე ფიქრობდა?



პასუხი არავის გაუცია. კათარინამ გათოშილი თითები დაი-  
ორთქლა და ბოლოს თქვა:

— რისთვისღა ეომებოდნენ ნაცისტებს, თუკი მათ ახლა მი-  
ნისტრებად ნიშნავენ? ვერაფერი გამიგია. — კათარინამ თავის  
მეგობარს პეტრეს გადახედა, იქნებ გამარკვიო, რა ხდებოდა.

მაგრამ პეტრეს გონება სხვაგან ქროდა. სხდომის დაწყებამდე  
მან ადგილობრივ „ცნობის ფურცელში“ წაიკითხა, რომ შარფი და  
ზიკი გაუთავისუფლებიათ. მოსამართლემ, სახალხო სკოლის მას-  
წავლებლის შარფის მეგობარმა, განაცხადა, სამედიცინო ფაკულ-  
ტეტის სტუდენტი უბედურმა შემთხვევამ იმსხვერპლაო.

გველკაცა ჩაფიქრებული იჯდა. მისმა კერპმა, კაპიტანმა ლიბენ-  
მა იმედი გაუცრუა.

— ამერიკული სიგარეტები იმიტომ გავუგზავნეთ, რომ საბუ-  
თად გამოეყენებინა. Seventeen cartons! Seventeen! თუ ეს სა-  
ბუთად არ კმარა... — ჩაილაპარაკა თავისთვის.

დავითს, რომელიც ორი კვირა იწვა საავადმყოფოში, უეცრად  
კანკალი აუვარდა, სავარძლის სახელურებს ჩაებლაუჭა და თვალები  
მილულა.

ცვიშენცალიც გამოუშვეს ციხიდან. სასჯელად წინასწარი პატიმ-  
რობა აკმარეს. „რაც შეეხება ძველ ბრალდებებს, დიდი ხანია დამ-  
ტკიცებულია, რომ პირადად მას ფროიდენჰაიმების მკვლელობაში  
მონაწილეობა არ მიუღია. ვერც პოლიციელს დავსჯით იმის გამო,  
რომ მისი თანხლებით ციხისაკენ გზად მიმავალ პატიმარს ბრბო  
გაუსწორდა“. — წერდა ადგილობრივი „ცნობის ფურცლის“ მთა-  
ვარი რედაქტორი.

ის ორი კაცი, რომელთაც საკუთარი თვლით ნახეს, როგორ  
მოკლეს ფროიდენჰაიმები და ერთხელ უკვე მიმართეს საგამომძი-  
ებლო ორგანოებს, ჩვენება ჩამოგვართვითო, არც ამჯერად დაჰ-  
კითხეს. მოწაფეებმა იცოდნენ, რომ ცვიშენცალმა ისევ სპეკულა-  
ციას მოჰკიდა ხელი და შავ ბაზარზე ვაჭრობს ამერიკული სიგა-  
რეტებით. ბევრს ეცადნენ, მაგრამ ჯერჯერობით მისი ახალი საწ-  
ყოზის კვალს ვერ მიაგნეს.

— რა თქვი, კეთქენ? — ფიქრებიდან გამოერკვა პეტრე. —

<sup>1</sup> ჩვიდმეტი კოლოფი! ჩვიდმეტი! (ინგლ.).

პოო, რისთვისღა ეომებოდნენ ნაცისტებს? აბა, მე რა ვიცი.  
ბიჭმა მხრები აიჩეჩა.

— ღმერთო დიდებულო, ისეა გაცრეცილი, ძაფს ვეღარ უძლებს და იხევა. — თქვა სასოწარკვეთილმა კათარინამ. — ჯობდა სულ ამომეჭრა ეს ადგილი. მაგრამ მაშინ ძალიან დავიწროვდებოდა. თქვენ როგორ ფიქრობთ? თუმცა გააჩნია, ვის მოუწევს ამის ჩაცმა.

მაგრამ ბიჭებს სულ არ ჰქონდათ დახეული ნიფხვის, მათი ოდესღაც პირამდე სავსე საწყობის ამ უკანასკნელი ნივთის, დარდი.

ქრისტეს მოწაფეებს თავგზა დაებნათ. მათ საქმიანობას აზრს უკარგავდა რაღაც ისეთი, რაც მათზე ძლიერი იყო. სხდომას სამგლოვიარო ელფერი დაჰკრავდა.

— რადგან ასეთი ვითარება შეიქმნა, — თქვა სწავლულმა. — ჩემი აზრით, უმჯობესია სოციალისტურ ახალგაზრდობას შევუერთდეთ. იქაც შეგვიძლია დამოუკიდებელი ჯგუფი შევქმნათ. მემარცხენე ფრთა, — დასძინა მან და ტუჩები მოპრუწა.

წინადადება რევოლუციური იყო და ბიჭები საგონებელში ჩავარდნენ. თითქოს გრძნობდნენ, სოციალისტური ახალგაზრდობის კავშირში შესვლა ბავშვობასთან გამოთხოვებას ნიშნავდა.

— ეს რა, წინადადებაა? იქნებ პატივცემულ მოწაფე იუდა ისკარიოტელს სურს კენჭი ვუყაროთ მის წინადადებას? — იკითხა პეტრემ უხალისოდ.

სათვალის მინებიდან სწავლულის კრიალა თვალები ჩანდა. თხუთმეტი წლის მოზარდის სახეს უდრეკი მამაკაცის გამომეტყველება ჰქონდა.

— პატივცემულო მოწაფეებო, სანამ ამ გადამწყვეტ ნაბიჯს გადავდგამდეთ, ყველაფერი კარგად უნდა ავწონ-დავწონოთ, — თქვა მან, ხოლო როცა კათარინამ გაუბედავად იკითხა, გოგოებსაც თუ აქვთ ამ ორგანიზაციაში შესვლის უფლებაო, მტკიცედ უპასუხა: — რა თქმა უნდა, გოგოებსაც ისეთივე უფლება-მოვალეობა აკისრიათ, როგორც მამრობითი სქესის წარმომადგენლებს.

იოანემ პეტრეს გადახედა:

— მამაჩემმა არა ერთგზის შემომთავაზა ასეთი რამ, ცხადია, უარი ვუთხარი. ამ ბოლო დროს ისიც კი განვუცხადე, ქრისტეს მოწაფეები ნამდვილი სოციალისტები არიან-მეთქი. მამას გიჟივით

გაცინა და მიპასუხა: თუ მათ ასე ჰგონიათ, ნაძღვრილი შტერები ყოფილანო. ჯერ კიდევ საკითხავია, ვინ არის შტერი, გავიფიქრე მაშინ ჩემთვის.

პეტრე დიდად შეშფოთებული ჩანდა, არ იცოდა, როგორ დაეცვა თავი შარფისა და ზიკისაგან და სხდომა ისე დახურა, პათეტიკური საბოლოო სიტყვა არც წარმოუთქვამს. ბიჭები კიბეს აპყენენ, ბერთა სასაფლაო თოვლს გადაეთეთრებინა. გათოშილმა ბიჭებმა კურტაკების საყელო აიწიეს. თოვლში ბედის ანაბარად მიგდებული პატარა ჩგუფი გზას დაადგა. თოვლს აქა-იქ დახვავებული ღორღი დაეფარა და უზარმაზარ ბორცვებად აღმართულიყო. გაყინულ სივრცეში მკაფიოდ იხატებოდა სახურავახდილი; დანგრეული, თოვლით დაფარული სახლების დაკბილული სილუეტები. ქალაქი მკვდარი და მიტოვებული ჩანდა.

კათარინა გველკაცას გაჰყვა. ბიჭი თავის მეგობართან, ახალგაზრდა პოლონელთან მიდიოდა. პოლონელი უწინ იძულებით შრომას ეწეოდა, ახლა კი მეფურნესთან მუშაობდა. ფურნეში თბილოდა. ბავშვები სკამზე ჩამოსხდნენ და ერთმანეთს მიეკრნენ. შავთმიან, წელამდე შიშველ ახალგაზრდა პოლონელს გრძელტარიანი ხის ნიჩბით ღუმელიდან ცხელი პურები გამოჰქონდა და მაგიდაზე აწყობდა. მაგიდაზე მრგვალი პურები ორ რიგად ელაგა. ზოგჯერ ცომის გუნდებს ცოტაოდენს მოაციცქნიდა და გველკაცას პაწაწინა კვერს გამოუცხოზდა. მაგრამ ამას ხშირად ვერ აკეთებდა, რადგან მკაცრად ადევნებდნენ თვალს. თუმცა თბილი პურის სურნელებაც სასიამოვნო იყო.

გველკაცამ კათარინას გაწითლებული ხელი ხელში აიღო.

— უნდა დაგიზილო, სისხლი თუ არ ამოძრავდა, მოგეყინება. კათარინას არც უფიქრია ხელის წართმევა. ამ ცოტა ხნის წინ იგი თორმეტი წლის გახდა, გველკაცა კი თოთხმეტის. ბამბის ვიწრო კაბა მჭიდროდ შემოტმასნიოდა გოგონას ოდნავ ამობურცულ მკერდსა და ქალურად დამრგვალებულ თეძოებს.

ჩამოშლილი კულულები ბიჭმა ალერსიანად გადაუყარა მხარზე და უთხრა:

— როგორ გიბზინავს თმა, თანაც რა მალე გეზრდება. ფეხსაცმელიც გაქვს.

კათარინა წამოწითლდა, ბიჭს ცოტათი მოშორდა, მაგრამ ანთებული თვალები მაინც ვერ მოაშორა:

— შენ ისე მიყურებ, თითქოს ძალიან შეგიყვარდი.

ეს სიტყვები მოულოდნელ დარტყმასავით მოხვდა გველკაცას. დაბნეულმა პასუხის გაცემა ვერ მოახერხა, და პასუხიც სწორედ ეს იყო.

მუყაოს ყდებისაგან რუთმა სამი საქაღალდე გააკეთა. მთელი ზამთარი ყოველდღე საათობით ხატავდა. ბოლო დროს მხოლოდ საროსკიპოს ცხოვრების ამსახველმა სურათებმა გაიტაცეს. ზოგიერთი სურათი საზარელი იყო, მაგრამ რუთი ერთგვარ აღგზნებას შეეპყრო. ნახატს ხვეწდა და საკუთარ თავს არ ინდობდა. ასე ემართება მოწამლულ ავადმყოფსაც — ოღონდ გადარჩეს და, რაგინდ გამაწამებელი იყოს მკურნალობა, გაუძღებს. მარტინს მხოლოდ ის სურათები აჩვენა, სადაც პეიზაჟები და აუშვიცის ცხოვრება იყო ასახული. „საწამლაგვიანი საქაღალდე“ კი შეუშინევლად დამალა წიგნის თაროს უკან, სადაც საქონლით მოვაჭრის რევოლვერიც ინახებოდა.

შაბათი დღე იყო. მარტინი სამსახურში არ წასულა. საღამოს ერთად ივანშემეს, რუთმა ჭურჭელი დარეცხა, გულდაგულ გამშრალა და ფარდის უკან მარტინს გასძახა, სასეირნოდ მივდივარო. შემდეგ რევოლვერი ჯიბეში ჩაიღო და ბორცვს თავქვე დაჰყვა.

ხიღზე, სადაც თორმეტი ნახევრადწრიული თაღი იყო აღმართული და ქალაქის დანგრევამდე თორმეტი წმინდანის ქანდაკება იდგა საუკუნეების მანძილზე, დოქტორ გროსი შეხვდა. ისინი ერთ-ერთი თაღის ქვეშ გაჩერდნენ. დოქტორმა სიხარული გამოთქვა, კარგად გამოიყურებითო. რუთმა იოჰანას ჯანმრთელობის ამბავი აკითხა.

— ყველაფერი ნორმალურად მიმდინარეობს და ახლა უნდა ვიზრუნო, რათა დროულად მოუმზადონ საწოლი საავადმყოფოში, — უპასუხა გროსმა.

— იოჰანა გოგოზე ოცნებობს, — უთხრა რუთმა და სახეზე ოდნავ შესამჩნევმა ღიმილმა გადაურბინა, ასე მხოლოდ ის ადამიანი იღიმება, ვინც ფვითონ აღარაფერს ელის ამ ცხოვრებისაგან.

რუთი სრულიად დამშვიდებული ჩანდაო, უთხრა მოგვიანებით დოქტორ გროსმა მარტინს.

რუთი ქალაქიდან გავიდა, შარავხას დაადგა და მანამდე იარა, სანამ კარტოფილის მინდორს არ მიაღწედა. ამ მინდვრის გადაღმა ცვიშენცალის სახლი იდგა. ბაღში შესასვლელი ჭიშკარი ღია დახვდა. ბაღია გაიარა და დარეკა. სახლი ჩაბნელებული იყო. ერთმანეთში ჩახლართული ბუჩქების ტალავერში სკამი იდგა, რუთი ჩამოჯდა. მარტის შუა რიცხვები იყო. იასამნის რტოებს პაწაწინა კვირტები გამოეხდა. ჯერ არც ისე ბნელოდა და ბუჩქებიც ვერ ფარავდნენ სკამზე ჩამომჯდარ ქალიშვილს. თუმცა რუთი დამალვას არც აპირებდა და არც რაიმე გეგმა ჰქონდა მოფიქრებულად.

ორივე ხელი სკამის ზურგზე გადაეწყო და გაუნძრევლად იჯდა, საფიქრებელი არაფერი ჰქონდა. იჯდა იმ ადამიანივით, ვინც კარგად იცის, რა უნდა გააკეთოს. ცხვირსა და ყვრიმალებს შორის ისევ გამოჩნდა ხაზი, რის გამოც საქონლით მოვაჭრემ ვერ გაბედა ხელი ეხლო ქალიშვილისათვის. რუთს რევოლვერი კალთაში ედო.

როგორც კი ნაბიჯები შემოესმა, მაშინვე ფეხზე წამოდგა. ცვიშენცალი და ვარსკვლავთმრიცხველთა საზოგადოების თავმჯდომარე ბაღის ჭიშკართან შეჩერდნენ.

რუთს მათი ლაპარაკი ესმოდა: „ხვალ 17 მარტია — მთავარია, როდის დაიბადე — სამ საათამდე, თუ სამი საათის შემდეგ, სწორედ ამაზეა დამოკიდებული ყველაფერი, საქმეში წარმატებაც კი“ ბოლოს გაიგონა, თავმჯდომარემ ცვიშენცალს ღამე მშვიდობისა უსურვა.

ცვიშენცალი ბაღში შევიდა და სახლისაკენ გაემართა. უცერად წინ რუთი გადაუდგა. მან იმწამსვე იცნო ქალი და შეჩერდა.

— აქ რა გინდათ?

რუთმა ესროლა, ცვიშენცალმა ორივე ხელი მუცელზე იტაცა, წელში მოიხარა და მუხლებიც ნელ-ნელა მოეკეცა. შემდეგ პირქვე დაემხო, კენესა აღმოხდა და ზურგზე გადაბრუნდა. რუთმა კიდევ ორჯერ ესროლა.

თავმჯდომარე ფიცხლავ შემოვარდა ბაღში. ქალმა გვერდით ჩაუარა და გზაზე გავიდა. როგორც კი რამდენიმე ნაბიჯი გადადგა, რევოლვერი უსარგებლო ნივთივით განზე ისროლა.

რუთი იმავე გზით აუჩქარებლად დაბრუნდა შინ. მარტინი ბიდერმაიერის კანაპეზე იწვა და კითხულობდა. ქალის შემოსვლის-



თანავე თავი ასწია. რუთმაც ორიოდ წამით თვალი გაუსწორა.  
— ვწუხვარ, მაგრამ უსიამოვნება არ ავცდება. ცვიშენცალი მოვკალი.

მარტინი ჯერ მიაშტერდა, შემდეგ ისე წამოდგა, მზერა არ მოუშორებია მისთვის. ყოველგვარი შეკითხვა ზედმეტი იყო.

— უნდა გაიქცე. ერთად უნდა გავიქცეთ; — თქვა მან ბოლოს.

— არა, მარტინ, რა საჭიროა.

— გერმანიაში მილიონობით ადამიანი დახეტილებს. შევერევით ამ ხალხში და ვინდა გვიცნობს. ახლაც უნდა გავიქცეთ.

— მარტინ, ძალიან ვწუხვარ, რომ ამ დღეში ჩაგაგდე. მაგრამ გაქცევას აზრი არა აქვს, განა სულ ერთი არ არის?

მარტინს აღარაფერი უთქვამს. კარგად იცნობდა რუთს და იცოდა, ვერაფერს გააწყობდა. ქალი არაჩვეულებრივად გამოცოცხლებულიყო, იგი იმ ადამიანსა ჰგავდა, რომელმაც ოპერაციის გაკეთება გაბედა და უკვე გამოჯანსაღების გზაზეა.

— ახლა მალე მოვლენ, — თქვა რუთმა ისეთი კილოთი, თითქოს ჩადენილისათვის სასჯელს კი არა, ჯილდოს ელოდა.

მოკუნტული მარტინი კანაპეზე იჯდა. რუთი სკამზე ჩამოჯდა და ლოდინად იქცა. ხმას არც ერთი არ იღებდა.

პოლიციელების შემოსვლისთანავე ორივენი ფეხზე წამოდგნენ. პოლიციელებმა რუთ ფროიდენჰაიმი იკითხეს.

— მე ვარ. მე მოვკალი, — უპასუხა ქალმა.

მარტინმა აქლემის ბეწვის საბანს დაავლო ხელი (ამ საბანს რუთი ღამით იხურავდა) და ქალს გაჰყვა. ორი პოლიციელის თანხლებით რუთი პიონზბერგის შარამდე მივიდა, იქ პოლიციის მანქანა იცდიდა. ახლაც ისევ ის შავი ლიუსტერის ქვედატანი და ვარდისფერი, ნაქსოვი კოფთა ეცვა; რითაც ვარშავიდან ვიურცბურგში ჩამოვიდა. რუთს პალტო არა ჰქონდა, გარეთ კი ციოდა. მარტინმა ქალს მხრებზე აქლემის ბეწვის საბანი მოახურა. „თქვენ ვერ წამოხვალთ“, — უთხრა მას პოლიციელმა.

რუთი მარტინთან მივიდა, თითის წვერებზე შედგა, ტუჩებით მისწვდა ვაჟის ლოყას და აკოცა. ეს იყო მისი პირველი ალერსი.. პოლიციელებმა ორივე კარი გამოაღეს და ერთდროულად ჩასხდნენ მანქანაში.

მეაფთიაქე ადელსჰოფენის ოთხმოცი წლის დედა — ადელსჰოფენების სახლის სხვენიდან იოანემ საბავშვო ეტლი წამოიღო — ყოველდღე ნასადილევს ამოჩემებულ სკამზე იჯდა სასახლის ბაღში და ნახევრად დანგრეულ, რენესანსისა და ბაროკოს სტილით აგებულ სასახლეს მისჩერებოდა. სასახლე ბალთაზარ ნოიმანს<sup>1</sup> აუშენებია, ჭერი კი ტიეპოლოს<sup>2</sup> მოუხატავს.

გაზაფხულზე ამ დიდსა და ლამაზ ბაღს ბევრი მოხუცი ეტანებოდა. ერთ დღეს თავი ფრაუ ადელსჰოფენს მიუჯდა და საუბარი გაუბა, უნდოდა გაეგო, ჩვილი ბავშვის საცვლები ხომ არ შემორჩა სახლში და თუ ჰქონდა, სად ინახავდა. მეორე დღეს იოანემ ჩვილის უეთრეული წამოიღო იმავე სხვენიდან, სადაც საბავშვო ეტლი ჰქონდათ შენახული.

ერთხელ, მაისის დამდეგს, პეტრემ და იოანემ საბავშვო ეტლი მთელ ქალაქში ჩაატარეს და ტირიფნარისაკენ გააგორეს. შავი ეტლი ბიჭებმა თეთრად შეღებეს, თვლების მანები კი — ვარდისფერად. ეშინოდათ, ვაითუ იოჰანა ისეთივე უსიამოვნებას გადაეყაროს, როგორც მღებავ ჰოლფუსს შეხვდა აქლემის ბეწვის პალტოს გამოო. ეტლში დიდი ფუთა იდო შიგ გამოკრული ბავშვის თეთრეულით, ზემოდან კი ხელწერილი. ეტლი სადგომში შეაგორეს და იქაურობას გაეცალნენ. იოჰანას რომ ივნისში ბავშვი ეყოლებოდა, პეტრეს გველკაცას დედამ უთხრა.

— კონრადმა მტხოვა, ოთხ საათზე ჩემთან მოდი, ძაღლს გაჩვენებო. არ ვიცი, მართლა ძაღლი უნდა მაჩვენოს, თუ სხვა რამ უდევს გუნებაში, — თქვა პეტრემ, როცა უკან ბრუნდებოდნენ. კონრადი ის ახალგაზრდა იყო, ვინც გლეხის ჭკუასუსტ ქალიშვილს ბატი დასტყუა და „ოქროს ლუზის“ პატრონს მიჰყიდა.

— რომ მოგკლას? შარფმა და ზიკმა ალბათ იციან, რომ შენ დააბეზლე. შენს გარდა ხომ არავის დაუნახავს, როგორ ჩასხდნენ ოსკართან ერთად ნავში. მე არ წავიდოდი, — თქვა იოანემ.

— წაუსვლელობა ვერაფერს მიშველის, მაგრამ მაინც ვერ გადამიწყვეტია, როგორ მოვიქცე, ხან წასვლას ვამჯობინებ, ხან არწასვლას, — თქვა ფიქრობიერულმა პეტრემ. — ამგვარ გაურკ-

<sup>1</sup> ბალთაზარ ნოიმანი (1687—1753) გერმანელი არქიტექტორი.

<sup>2</sup> ჯიოვანი ბატისტა ტიეპოლო (1696—1770) იტალიელი მხატვარი.

ვეელობას დიდხანს ვერ გავუძლებ. მინდა ვიცოდე, რა მომელის გესმის? თუ კონრადი მარტო დამხვდა, ადვილად მოვერევი. დანა მუდამ თან დამაქვს.

— მე სხვაგვარად მოვიქცეოდი, — თქვა იოანემ, რომელიც ახლა იმ სტამბაში მუშაობდა, სადაც სოციალისტების გაზეთი იბეჭდებოდა. — შევადგენდი სიას, ჩამოვწერდი ყველას გვარს და ჩვენს გაზეთში დავაბეჭდინებდი. ყველას ციხეში ჩასვამდნენ, შენ კი მშვიდობით ივლიდი.

— შენ რა, მართლა გჯერა, რომ ჩასვამენ? კიდევ რომ ჩასვან, მალე ისევ გაათავისუფლებენ. ხომ ნახე, რა უყვეს შარფს და ზიკს, ასეთებს არაფერი მოუვათ. დიახ, ქვეყანა კვლავ მათ ხელშია.

— მაშინ საა მაინც მომეცი იმ შემთხვევისათვის, თუ რამეს მოგწევინ.

— ეს მართლაც საჭიროა, — თქვა პეტრემ. შემდეგ ქალაქის ფურცელი ამოიღო და გვარები ჩამოწერა. სულ ოცდათორმეტი კაცი იყო. შარფის ჯგუფი ამ ბოლო წელს გაიხარდა.

კონრადი ოთხსართულიან სახლში ცხოვრობდა ბრუნენგასეზე. კუთხოვან ფრონტონებს შორის მოქცეული სახურავის ნაწილი ქვიშის სქელი ფენით იყო დაფარული. ზუსტად შუაში კიბის შახტის გასაშუქებლად სახურავისთვის ფანჯარა დაეტანებინათ. ფანჯარა ჩვეულებრივი მინისა იყო და ერთი კვადრატული მეტრი იქნებოდა. ზემოდან გისოსი ჰქონდა გადაკრული. კონრადმა გისოსი მოხსნა და მინასაც სქლად დააყარა ქვიშა. სწორედ ქვიშამოყრილ სახურავზე დაუგეს პეტრეს სასიკვდილო ხაფანგი.

— ჯერ მხოლოდ ერთი წლისაა. მაგრამ იცი, რა დღეს აყრის ვირთხებს? — თქვა კონრადმა, როცა პეტრე ჩამოჯდა. — გუშინ ერთდროულად ორ ვირთხას ჩაუმტვრია კეფა, თანაც ისეთი ტკაცანი გაისმა. — კონრადის სანაქებო ძაღლი, ხეშეშბეწვიანი პინჩერი, დახეულ საბანზე იწვა.

— მოდი, სახურავზე ავიდეთ, გარეთ კაშკაშა მზეა, — თქვა კონრადმა და ცალი ხელი საბანს წაავლო, მეორე კი ძაღლის სალაფავით სავსე ჯამს დასტაცა. ბიჭები კიბეზე ავიდნენ. ძაღლი უკან გაჰყვათ. პეტრემ ხელი ჯიბეში ჩაიყო, სადაც დანა ედო.

ბრტყელ სახურავს ირგვლივ მეზობელი სახლების კედლები შემორტყმოდა. აქედან ვერ გადმომავდებს, — გაიფიქრა პეტრემ.

ამან ოდნავ გაამხნევა. ქვიშით დაფარულ ადგილს მზე დასთამაშებდა. კონრადმა საბანი ზუსტად იმ ადგილზე გაშალა. ძალღი იმწამსვე საბნისკენ გაძუნძულდა და ზედ წამოწვა; მთელი წელი ამ საბანზე ეძინა ღამღამობით. კონრადმა, ადრევე შეამოწმა და იცოდა, ფანჯარა ძალღის სიძიმეს გაუძლებდა, არ ჩატყდებოდა.

— წავალ, დასაღევად მოვიტან რამეს, შენ კი ჯამი დაუდგი ძალღს, — უთხრა მან პეტრეს და კარისაკენ გაემართა.

როგორც კი პეტრემ ქვიშით დაფარულ ფანჯარაზე შედგა ფეხი, მინა ჩუმი წკრიალით ჩაიმსხვრა. აღმუვლებული ძალღი ოთხსართულიანი კიბის შახტში ჩავარდა. ნიადაგგამოცლილი პეტრე ელვისებური სისწრაფით ჩაეჭიდა ფანჯრის კედეს. ერთ ხანს მკერდამდე ეკიდა ხვრელში, მერე როგორც იქნა მოახერხა ზევით ამობობლება, ორივე ხელისგული დასერილი ჰქონდა. გული საშინლად უცემდა. პეტრემ ძირს ჩაიხედა და სისხლიანი მასა დაინახა.

### XIII

სტივს და იოჰანას არც განშორების შემდეგ შეცვლიათ ერთმანეთზე აზრი. სტივის წერილებში სწორედ ის ადამიანი ჩანდა, რომელსაც ქალი მაშინვე მიენდო. იოჰანას წერილები კი თვით იოჰანა იყო. სტივისთვის ისიც კი არ მიუწერია, რომ მისგან შვილს ელოდა. ასეთი იყო ბუნებით.

იოჰანამ სახვევები, ჩვრები, პაწაწინა პერანგები გარეცხა და გასაწობად ბალახზე გადინა. ქოხში მზემ შეიხედა. სტივის ღუმელმა მკაცრ ზამთარში სიცოცხლე შეუნარჩუნა და ახლაც სიმშვიდესა ჰგვრიდა. სტივის სურათთან ლურჯქალღმშემოკრულ კონსერვის ქილაში ფურისულას თაიგული, ხოლო კუთხეში თეთრად შეღებილი საბავშვო ეტლი იდგა. მალე პატარა გოგონას ჩააწვენდა შიგ. იოჰანას ქოხი საოცნებო გემის მყუდრო კაიუტად გადაიქცა. ამ გემით ყოველდღე რამდენჯერმე მიემგზავრებოდა სტივთან ამერიკაში.

ნასადილევს იოჰანა სწავლულის მამასთან უნდა მისულიყო. კიდევ რამდენიმე თვე და მოსამართლე-გამომძიებელი პენსიაზე გავიდოდა, მაგრამ სამსახურს მაინც თავი დაანება: გადაწყვიტა რუ-

თის დაცვა ეკისრა. იგი ჯერ კიდევ ომის დროს შეუდგა მასალების შეგროვებას თავისი წიგნისათვის „გერმანიის მართლმსაჯულება ნაცისტების ბატონობის დროს“. რუთ-ცვიშენცალის საქმე ორნა-  
ირად აინტერესებდა, როგორც იურისტს და როგორც ნაციზმის მო-  
წინააღმდეგეს.

ბლიუმენშტრასეს 27 ნომერს იოჰანა კარგა ხანს ეძებდა. ად-  
ვილი როდი იყო მოენახა იმ სახლის ნომერი, რომელიც აღარ არ-  
სებობდა. ბოლოს ციციბო კიბეს ფრთხილად ჩაჰყვა სარდაფში.  
მაისის ცის ლაჟვარდში სარდაფის ზემოთ შემორჩენილი კედლების  
დაკბილული ნანგრევები შეჭრილიყო.

სწავლულის მამა ყუთზე იჯდა ჯოჯგინაზე დადებულ ფიცართან.  
ფიცარზე წესიერად დაეღაგებინა ქაღალდის დასტები. ამ კაცს გა-  
მთხედვანზე ეტყობოდა, იმედი ბევრჯერ გასცრუებია, მაგრამ რწმე-  
ნა მაინც არ დაუკარგავს. რუთის წინააღმდეგ აღძრულ პროცესზე  
იოჰანა დაცვის მთავარი მოწმე იყო და ამიტომ დაწვრილებით აუწე-  
რა დამცველს ფროიდენჰაიმების მოკვლის სურათი, ყველაფერი ის,  
რასაც შეძრწუნებული უყურებდა. დამცველმა თავისთვის რაღაც  
ჩაინიშნა, კიდევ რამდენიმე შეკითხვა მისცა, სარდაფის კარამდე  
მიაცილა და სანამ გამოემშვიდობებოდა, უთხრა: რუთის ნახვის  
ნებართვა მოგიხერხეთ.

იოჰანა მაშინვე გაემართა საპატიმროსაკენ. როცა საკანში შე-  
ვიდა, რუთი საწოლზე იჯდა და ხატავდა. რუთმა კიდევ ერთი ხაზი  
გაავლო და წამოდგა:

— რა კარგია, რომ მოხვედი. როგორ ჩაგცვენია ლოყები. ეტ-  
ყობა, საჭმელი არაფერი გაქვს.

— დოქტორი გროსი მეუბნება, სადარდებელი არაფერია, ბავშ-  
ვი ისედაც არ დაიკლებს, რაც სჭირდებაო, — მიუგო იოჰანამ ლი-  
შილით.

პოლიციის ვანმისტრი კედელს მიყრდნობოდა.

— დედას კი დააკლდება. დიახ, დიახ, ეს დაბადებამდე იწყება  
და მთელი სიცოცხლე გრძელდება. გოგო გინდათ თუ ბიჭი? —  
ჰკითხა ვანმისტრმა.

იოჰანას სიხარულით სახე გაუნათდა:

— გოგო.



— თუ ბიჭი გეყოლათ, ხუთ წუთში დაგავიწყდებათ, რომ გოგოზე ოცნებობდით.

იოჰანა რუთის გვერდით ჩამოჯდა საწოლზე.

— ბავშვს რამე მოუშადა?

— ქრისტეს მოწაფეებმა ყველაფერი მომიტანეს: აი, ასეთი პაწაწინა ნაქსოვი ფაჩუჩები და საბავშვო ეტლიც კი, — ჩასჩურჩულა იოჰანამ.

— ხმადაბლა ლაპარაკი აკრძალულია, — თქვა ვახმისტრმა.

— როცა ბავშვი დაიბადება, მაშინ მაინც თუ მისწერ სტივს?

— ჯერ არ ვიცი, ალბათ.

— კანონი ხომ გააუქმეს, შეგიძლიათ დაქორწინდეთ.

— მე მგონი, მივწერ.

— კარგს იზამ. იცოდე, შენ თუ არა, მარტინი მისწერს. მე უკვე ვთხოვე. — რუთმა იოჰანას გამომცდელი თვალით ახედა თავიდან ფეხებამდე; ასე დედა თუ შეხედავდა შვილს. მას შემდეგ რაც ფეხმძიმედ იყო, იოჰანა ზევით ავარცხნილ თმას კეფაზე იმაგრებდა. ლურჯი ჩითის კაბა რაც შეიძლებოდა, გააგანიერა. უკვე მერვე თვეში გადადგა. ბუნებრივ პროცესს ვერ დაემახინჯებინა არაჩვეულებრივად პროპორციული სხეული.

— მეტი უნდა ჭამო. დოქტორ გროსმა მითხრა, იოჰანასათვის საავადმყოფოში საწოლს გავათავისუფლებინებო. ყველაფერი კეთილად დამთავრდება. შენს შვილს ტირიფნარში ბევრი მზე და სუფთა პაერი ექნება, — რუთი კვლავ ბავშვზე ლაპარაკობდა, როცა ვახმისტრმა საათს დახედა და კედელს მოსცილდა.

— თუ კიდევ გაქვთ რამე სათქმელი, იჩქარეთ. ნახვის დრო ამოიწურა. თქვენ გვიან მოხვედით.

მეგობრები წამოდგნენ, ერთმანეთი გადაკოცნეს. იოჰანა გარეთ გავიდა და მხოლოდ დერეფანში მიხვდა, რომ მთელი ეს ხანი მარტო მასზე და ბავშვზე ლაპარაკობდნენ. „როგორ შეიცვალა რუთი! რა დინჯია! ისე იქცევა, თითქოს ახლა ნორმალურ პირობებში ცხოვრობსო“, — უთხრა მერე იოჰანამ მარტინს.

შინ მიმავალი იოჰანა გრძელი სარდაფის წინ შეჩერდა; იაკობის მამამ, დურგალმა, ამ სარდაფში პაწაწინა სახლი ჩააშენა. კუთხეში სახლზე სამჯერ უფრო მაღალი დახვავებული ღორღი აღმართულიყო. ადრე გაზაფხულზე დურგალმა ღორღი ტერასებად დაჰყო და

ბაღად აქცია. ხოლო სარდაფის იატაკს მაინის ყვეთელი ქვიშა მო-  
აყარა. მიწა ტომრებით მოზიდა ტყიდან. იოჰანამ თვალი შეავლო  
თალგამისა და სალათის მოყვითალო კვლებსა და კარტოფილის  
გრძლად ჩაყოლებულ ნერგებს. ერთი კვადრატული მეტრი ფარ-  
თობი ყვავილებისათვის დაეთმო. ორ აყვავებულ ტულაჰს ნელი  
სიო არხევდა. უღაბნოდ ქცეულ ქალაქში ეს სარდაფი იდილიურ  
ოაზისსა ჰგავდა.

რუთის დაპატიმრების შემდეგ მარტინის ქოხს იოჰანა ალაგებ-  
და და სადილსაც ის უმზადებდა. ციხიდან დაბრუნებულმა იოჰანამ  
მარტინი დაინახა. იგი მდელიოზე იდგა იმ ადამიანივით, რომელმაც  
აღარ იცის, რა ქნას, რა წყალს მისცეს თავი. იოჰანამ უამბო, რა  
შესამჩნევად შეიცვალა რუთი.

— ორი-სამი წლით კატორდა რომ მიუსაჯონ, მისთვის ესეც  
სიკვდილს უდრის. ციხიდან ცოცხალი ვერ გამოვა, — მარტინს  
იოჰანასათვის არც შეუხებდავს. ეტყობოდა, თვითონაც ვერ გადა-  
იტანდა ამას. სახე გაუყვიოლდა, ლოყები ჩაუცვივდა, პირი ისე  
დაედო, თითქოს შინაგანად გამოიფიტაო.

— რუთს საუკეთესო დამცველი ჰყავს, — დაამედა იოჰანამ.  
მერე მარტინს შეხედა და იცრუა: — დამცველმა მითხრა, არა მგო-  
ნია, საქმე წავაგოთო.

მარტინმა ზედა ტუჩი აჭიმა და მეტისმეტად გრძელი კბილები  
გამოაჩინა.

— ამ პროცესზე სასამართლოს თავმჯდომარედ დანიშნულია  
ანტისემიტი და ნაცისტი, იმ მოსამართლის საუკეთესო მეგობარი,  
რომელმაც ცვიშენცალი გაათავისუფლა. აბა, რისი იმედი უნდა  
გვქონდეს.

მარტინი ქოხში შევიდა და კანაპეზე ჩამოჯდა. კედელზე ტუ-  
შით დახატული დიდი პეიზაჟი ეკიდა, რუთს აქა-იქ აკვარელიც გა-  
მოეყენებნა. აყვავებული, ზაფხულის ფერებით მორთული მაინის  
დაბლობის ფონზე ვიურცბურგის რუხი ნანგრევები მოჩანდა.

ფიქრებში წასული, იოჰანა ქოხის წინ იდგა. მას არყის ხის წა-  
რაფში ბუჩქს მოფარებული პეტრე და იოანე უთვალთვალედნენ.  
ბიჭებმა თხის სადგომის კარზე ბოქლომი ჩამოაკიდეს, ეშინოდათ,  
საბავშვო ეტლი არავის მოეპარა, და ახლა უნდოდათ, გასაღები  
ჩუმად მიეგდოთ იოჰანასათვის.

იოჰანა ქოხში შევიდა და კანაპეზე ჩამომჯდარ, სასოწარკვეთილ მარტინს სხვათა შორის უთხრა:

— ეს საქმე რომ საიმედო არ იყოს, ბატონი შოლენბრუხი ხელს არ მოჰკიდებდა. — პეტრე ის იყო ქოხთან უნდა მიპარულიყო, რომ იოჰანა გარეთ გამოვიდა და ქვაბი წყაროს წყლით აავსო.

— ეს არაფერს არ ნიშნავს, — ჩაილაპარაკა მარტინმა. — დამცველი ვის არ აღმოუჩნდება!

იოჰანამ ქვაბი თუნუქის ღუმელზე შედგა.

— ბატონმა შოლენბრუხმა მხოლოდ იმიტომ თქვა უარი მონამართლე-გამომძიებლის თანამდებობაზე, რომ რუთის დაცვა ეკისრა. მასაც რომ შენსავით დაეკარგა იმედი, ამას არ გააკეთებდა.

ხელწერილში გახვეული გასაღები ფანჯრიდან ქოხში შევიარდა და ქალის ფეხებთან დავარდა. ბიჭებმა ქალაქისაკენ გასწიეს.

— მე ბევრი ვიფიქრე ამ ამბავზე, — თქვა იოანემ. — წერილი უნდა მისწერო შარფს. დაახლოებით ასეთი შინაარსის: „დიდად პატივცემულო ბატონო შარფ. უნდა ვაღიარო, რომ ჩემი მოკვლა უფრო კარგად იყო მოფიქრებული, ვიდრე ოსკარის. თქვენ დარწმუნებული იყავით, იმ ძალღვივით მეც საკუთარ სისხლში ვიცუარაებდი. ცხადია, ყველაფერი რომ წარმატებით დაგვირგვინებულიყო, ალბათ, შარს ვერავინ მოგდებდათ. აი, რა მინდა მოგახსენოთ თავაზიანად. ამ წერილის სამი ეგზემპლარი არსებობს. ორი ეგზემპლარი დალუქულ კონვერტებსა და სავსებით საიმედო ანტინაციისტების ხელშია. თუ მე უბედური შემთხვევის გამო დავიღუპები, ისინი ამ წერილებს დაუყოვნებლივ ხელისუფლებას გადასცემენ. მაშინ წერილებს ოფიციალურ პირთა თანდასწრებით გახსნიან და გამომქლავენდება წინასწარ განზრახული მკვლევლობა. რა ოსტატურადაც არ უნდა მოიფიქროთ მკვლევლობა, ამჯერად თავს ვერ დაიხსნით. თქვენი მხილება არც ისე ძნელია და ამიტომ სიკვდილით დაგსჯიან“. — იოანე შეჩერდა. — „უბედური შემთხვევა“ უეჭველად ბრტყალებში ჩასვი, ირონიულად უნდა ქლერდეს. ჩემის აზრით, როცა შარფი ამ წერილს წაიკითხავს, ასჯერ მაინც დაფიქრდება, სანამ შენ წინააღმდეგ რამეს განიზრახავდეს.

პეტრემ შევებით ამოიოხრა:

— მართალი ხარ, ვეღარ გაბედავს, თავად მე როგორ არ მომივიდა ასეთი რამ აზრად!

იოანემ წერილი მამის საწერ მანქანაზე დაბეჭდა. ერთი ასლი თვითონ დაიტოვა, მეორე სწავლულს გადასცა. როცა სხდომაზე მიდიოდნენ, შარფისათვის განკუთვნილი მესამე წერილი საფოსტო ყუთში ჩაადგეს.

— ჩვენ, ქრისტეს მოწაფეები, ვიცავთ სამართლიანობას, ვართმევთ მდიდრებს, რომელთაც ყველაფერი აქვთ და ვაძლევთ ღარიბებს, რომელთაც არაფერი გააჩნიათ.

— ის დრო წავიდა. ახლა წასართმევი არავის არაფერი აღარა აქვს, — თქვა გველკაცამ და კათარინას რომ უფრო გაადვილებოდა გაქუცული ფრაკის დარღვევა, ცალი კალთა დაუჭირა. გოგონას უნდოდა ზედა ნაწილისაგან კურტაკი შეეკერა პატარა ბიჭისათვის.

საწყობის გამგემ ხელი ასწია. გამხდარი. თითქოსდა რიმენშიაიდერის ნაქანდაკევი სახე გაუფითრდა და აღელვებულმა ენის ბორძიკით დაიწყო:

— ცვიშენცალის ახალი საწყობი აღმოვაჩინე. დღეს ნასადილევს მამაჩემის დუქანში ვარსკვლავთმრიცხველთა საზოგადოების თავმჯდომარე, თავპატარა შემოვიდა და მამას შავი ბაზრიდან საქონელი შესთავაზა. მეზობელ ოთახში ვიყავი, როცა ამ ამბავს მამა დედას უყვებოდა. ალბათ, წარმოგიდგენიათ, როგორ დავცქვიტე ყურები. მამამ თავმჯდომარე კინწისკვრით გააგდო. „ჩვენნი ფირმა 1745 წელს დაარსდა. მთელი ორასი წელი ღირსეულად გვეჭირა თავი, ახლა კი ამ ვიგინდარამ ასეთი რამ შემომთავაზაო“, — უთხრა მამამ დედას.

საწყობის გამგემ სული მოითქვა და უფრო მშვიდად განაგრძო:

— ცხადია, მაშინვე დავტრიალდი, ყველაფერი გამოვარკვიე. თქვენ იცით, თავპატარა ავეჯით ვაჭრობდა და საწყობი ვიურცბურგის უდიდეს სარდაფში ჰქონდა მოწყობილი. ის სარდაფი იულიუსის საავადმყოფოს ქვეშ გამოთხრილ ღვინის სარდაფზე უფრო დიდია, ეს კი რალაცას ნიშნავს. თავპატარას საწყობი ჰერამდღა გამოტენილი. საწყობს მივუახლოვდი, მის წინ ავეჯის გადასაზიდი ფურგონი იდგა, ცხენები არ ება. ფურგონს ორი კაცი ცლიდა. მაგრამ მე იქ ავეჯი ვერ დავინახე. თავპატარაც იქვე

იდგა; ხელში ქვითარი ეკავა და გადმოტვირთული ყუთების ნომრებს ამოწმებდა. ბოლოს მუშებს უთხრა, დღეისათვის კმარათ. სინამდვილეში კი საწყობში საქონელი აღარ ეტეოდა.

კათარინამ კერვას თავი დაანება. ბიჭებმა მზერა საწყობის გამგიდან პეტრეზე გადაიტანეს და ელოდნენ, რას იტყოდა. ბოლოს პეტრე გონს მოვიდა:

— საიდან იცის პატივცემულმა მოწაფე მათემ, რომ ეს საქონელი განსვენებულ ცვიშენცალს ეკუთვნის?

— საიდან და, თვითონ თავპატარამ უთხრა მამაჩემს. თურმე ნუ იტყვიოთ, იგი ვეღარ უძლებს ღარიბთა ტანჯვას, სურს ულუკმაპუროდ დარჩენილ ხალხს დაეხმაროს და ამით კეთილი საქმე მოიმოქმედოს. მაგრამ მამაჩემი ყველაზე მეტად იმან აღაშფოთა, რომ თავპატარა საქონელს ოცჯერ უფრო ძვირად ყიდის, ვიდრე ღირს, და ღარიბები ვერაფერსაც ვერ იყიდიან.

— ასეთი კაცი სასამართლოს წინაშე უნდა წარსდგეს, და ამაზე ჩვენ უნდა ვიზრუნოთ, — წამოიძახა აღშფოთებულმა სწავლულმა. მაგრამ გველკაცამ შენიშნა:

— ჩვენ უკვე მწარე გამოცდილება მივიღეთ. The main thing is that we get the stuff<sup>1</sup>.

— იქნებ პატივცემულმა მოწაფე მათემ შეიმუშავა რაიმე გეგმა?

საწყობის გამგემ მხრები აიჩეჩა.

— დღეს შაბათია. რვა საათზე თავპატარა ვარსკვლავთმრიცხველთა შეკრებაზე წავა. მაგრამ საწყობის ფანჯრები ციხესავეით რკინის მსხვილი გისოსითაა დაცული. ერთი გისოსის გადახერხვა მაინც მოგვიწევს; ეს კი ბევრ დროს წაგვართმევს. დარჩენილ დროში მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილის გადმოზიდვას მოვასწრებთ.

მოწაფეებმა გადაწყვიტეს უმნიშვნელო ნაწილით დაკმაყოფილებულიყვნენ. საღამოს რვა საათზე ხელის საზიდრები მახლობელი ქუჩის შესახვევში დაეყენებინათ. არც ქლიბი დაეიწყებოდათ. მაგრამ საქმე ამჯერადაც სულ სხვაგვარად წარიმართა, ვიდრე ნავარაუდები და დაგეგმილი იყო.

პეტრემ სწავლული სარდაფის დასაზვერად გაგზავნა. ეს მისა

<sup>1</sup> მთავარია, საქონელი ჩავიდოთ ხელში (ინგლ.).



პირველი დავალება იყო და რადგან ღელავდა, გველკაცაც თან გაჰყვა. სარდაფი ერთიანად დანგრეული შესახვევის ბოლოში მოეთავსებინათ. ამას იქით მინდვრები იწყებოდა. თავპატარა ავეჯის გადასაზიდ ფურგონზე იდგა, ყუთებზე და ქვითარში აღნიშნულ ნომრებს ადარებდა. ოდნავ დაქანებულ ქუჩაზე რომ არ დაგორებულყო, ფურგონის წინა ბორბლებისათვის ხის სოლები დაედოთ. ფურგონის უკანა ორსაგდულიანი კარი გარედან რკინის ურდულით იკეტებოდა.

— მოდი, თავპატარას კარი ჩავუკეტოთ და ბორბლებს სოლები გამოვაცალოთ. მაშინ ფურგონი თავისით დაგორდება მინდვრებისაკენ. — წაიჩურჩულა სწაველულმა.

გველკაცამ გაკვირვებისაგან ჯერ პირი გააღო. შემდეგ ისევ მოკუმა და როცა ყველაფერს მიხვდა, თვალები სიხარულით გაუბრწყინდა. ბიჭები სხვადასხვა მხრიდან მიადგნენ ფურგონს და ერთმანეთის პირდაპირ დადგნენ. გველკაცამ ხელი ასწია. „აბა!“ კარის ორივე საგდული ერთდროულად მიაჯახუნეს და გარედან რკინის ურდულით გადაარაზეს. დამწყვდეულმა თავპატარამ ბრახუნია ატეხა:

— გაადეთ, ფურგონში მე ვარ.

— That we know! — მიამახა გველკაცამ. ბიჭებმა ქუსლით ბორბლებს სოლები გამოაცალებს. მძიმე ფურგონი ისე დაიძრა, ხელის კვრაც არ დასჭირვებია. ფურგონში ჩაკეტილი თავპატარა ყვირილით იქაურობას იკლებდა. ბიჭები ხელნას ჩაეჭიდნენ და ფურგონს თან გაჰყვნენ, ამხანაგებს კი ანიშნეს, მოგვეყვიეთო.

მინდვრებს შორის გზა სულ უფრო დამრეცი ხდებოდა. მეტისმეტად გაჭირდა უზარმაზარი ფურგონის, ანუ დაგორებული სახლის ტარება. ამიტომ ყველანი დააწვინენ ხელნას. კათარინა ფურგონს გვერდით მისდევდა, ხელები მკერდზე მიეკრა და დროდადრო თავისთვის ჩურჩულებდა: „ღმერთო დიდებულო!“

ბიჭები ახლა უკვე კისრისტეხით მიჰქროდნენ:

— მარჯენისაკენ! — დაიძახა პეტრემ და ხელნა ძლიერად მოქაჩა მარჯენივ.

ფურგონმა სვლას უმატა, დაქანებული შვრიის ყანა გადაჭრა და

<sup>1</sup> ჩვენ ეს ვიცით (ინგლ.).

ტყისაკენ დაიძრა. ტყეს უკან მდინარე ჩაუდიოდა. ბიჭები აქეთ-იქით გაიფანტნენ. ფურგონი ტყეში შეიჭრა და ხეებს შორის გაიჩხირა. თანაც პატარა ხეები მიღეწა და ხელნაც ნამსხვრევებად იქცა.

თავპატარა ფურგონის კედელს კვლავ მუშტებს უბაგუნებდა და ყვიროდა:

— კარი გამიღეთ!

— დილაშდღე მოითმინეთ! — მიაძახა გველკაცამ. — იცოდეთ, თუ ახლავე თავგვივით არ გაიტრუნებით, მაინში გადაგიძახებთ და იცურავეთ მერე, რამდენიც გენებოთ.

ბიჭებმა თავპატარას საწყობს მიაშურეს. გველკაცა სარდაფის ერთ მსხვილგისოსიან ფანჯარასთან ჩაცუცქდა და ქლიბი მოიმარჯვა.

— სარდაფის კარი ღიაა. გასაღები კარებშია, — უთხრა გველკაცას სწავლულმა სანდომიანი ღიმილით.

მოწაფეები მთელი ღამე მუშაობდნენ. განთიადამდე მხოლოდ საქონლის ორი მესამედი გამოზიდეს და ამით დაკმაყოფილდნენ. მონასტრის ეკლესიის სარდაფი უკვე გაჭედილი იყო.

პეტრემ მამინვე მისწერა წერილი კაპიტან ლიბენს, აცნობა, სად იდგა ფურგონი და შინ მიმავალმა ბარათი სამხედრო შტაბში დატოვა. დაახლოებით დილის ათ საათზე ფურგონს ორი ჯარისკაცი ნიადგა და კარი გააღეს. ორი მეტრის სიმაღლე თავპატარა ყუთებს შორის გაშლართულიყო და ქანცგამოცლილს ჩასძინებოდა. ჯარისკაცებმა თან წაიყვანეს.

(თავპატარა საპატიმროში მოათავსეს. გამოძიებით დადასტურდა, რომ ამ საქმეში ვარსკვლავთმრიცხველთა საზოგადოების ოცდაჩვიდმეტევე წევრს დაეზანდებინა ფული. მთელი საზოგადოება დააპატიმრეს. ციხიდან გამოსვლის შემდეგ ცვიშენცალმა ისევ მოჰკიდა ხელი თავის საქმეს, ოღონდ ახლა უფრო გაბედულად. უკვე ბითუმად დაიწყო ვაჭრობა და მრავალ წერილ სპეკულანტს იშველიებდა).

ხალხს მეტისმეტად გაუჭირდა, ამიტომ მოწაფეებმა შემდეგ სხდომაზე მიიღეს გადაწყვეტილება, ყველაფერი სწრაფად დაერიგებინათ. რამდენიმე დღეს თითქმის მთელ ქალაქს კვებავდნენ. ხალხს სხვა არაფერი ჰქონდა სალაპარაკო.

კაპიტანმა ლიბენმა სერიოზულად გადაწყვიტა გაეგო, ვინ არიან ის ბიჭები, ვინც ამერიკის სამხედრო ადმინისტრაციას რამდენიმე დღით მოსახლეობის კვება გაუადვილა. კაპიტანმა კვალსაც მიაგნო და დამნაშავეც აღმოაჩინა იმ ჯარისკაცის დახმარებით, რომელსაც გველკაცა ცვიშენცალის საწყობზე პირველი თავდასხმის დროს მამის ამბავს მოუყვა და სამხედრო შტაბის ჭიშკრიდან გაიტყუა-ინტერნაციონალურ ბრიგადაში ერთადერთი ვიურცბურგელი იბრძოდა. მისი გვარის დადგენა ძნელი არ იყო. კაპიტანმა ფრაუ ბახთან ჯარისკაცი გაგზავნა და სთხოვა, გაეთან ერთად ჩემთან გამოცხადდითო.

მაგრამ გველკაცა დედას კი არ გაჰყოლია, არამედ კაპიტანს კათარინასა და მოწაფეების თანხლებით წარუდგა. სანამ სამხედრო შტაბში მივიდოდნენ, სახელდახელო სხდომა ჩაატარეს იმ შადრევანთან, სადაც ერთი წლის წინ იოანე წებოწასმული აფიშით ხელში იჯდა და ელოდა, როდის დაჰკრავდა საათი თერთმეტჯერ.

— ეთხოვოთ, შედავათი მოგვცეს და ყველა ერთ საკანში მოგვათავსოს, — თქვა სწავლულმა.

— მეც არ დაგავიწყდეთ! — წამოიძახა კათარინამ და მუდარით შეხედა გველკაცას.

— შენ მხოლოდ კემსავდი და აკერებდი. ხელს ვერ გახლებს, — უთხრა გველკაცამ კუშტად.

— რას ამბობ! ნიფხავი ვინ მოიპარა?

ფრაუ ჰონერი, კრუხი და კიდევ ერთი ჭადარა ქალი, რომელსაც სამი წლის გოგონა ახლდა, შადრევნის მეორე მხარეს შეჩერდნენ და ერთ სახლს დაუწყეს უტრება. ორი მუშა სახურავზე მუშაობდა და ახლა ფრონტონს დასტრიალებდნენ. ირგვლივ ყველა სახლი დანგრეული იყო. ნანგრევები, — დაკბილული მწვანე ბორცვები, — უკვე ბალახსა და სარეველას დაეფარა.

— ხედავთ, ყასაბი ფრიცი ისევ იშენებს სახლს. რატომ არ აიშენებს რა, ფული აკლია თუ? — თქვა კრუხმა.

სამი წლის გოგონამ, — მას ხომ დაუნგრეველი ქალაქი არასოდეს არ ენახა, — თითი სახურავისკენ გაიშვირა და თქვა:

— იქ, ზევით, რა ლამაზ ბალახს აფუჭებენ ძიები.

— ციხეში რომ ქლიბი შეუმიჩნევლად შემატანინა, დიდხანს არ

მოგვიწევდა ჯდომა, — თქვა გველკაცამ და ხელები შარვლის ჯიბეებში ჩაიწყო.

— კაბის ქვეშ დავმალავ.

სწავლულმა ალერსიანად გაუღიმა კათარინას:

— პატიმრებს თავით ფეხამდე ჩხრეკენ და ყველაფერს ართმევენ, შარვლის აჭიმსაც კი, რათა თავი არ ჩამოიხრჩონ.

— თუ ასეა, მაშინ თვითონ ჩამოიხრჩონ თავი ჩვენს აჭიმებზე. — გველკაცა ბრძოლის ხასიათზე დადგა.

— ქრისტეს მოწაფეები ღვთის წყალობაა, — თქვა შადრევნის მეორე მხარეს ფრულ ჰონერმა, რომელმაც ამ დილით ისევ იპოვა სარდაფში ერთი გირვანქა ყავა და ხელწერილი.

— გესმით ხმა ერისა? — თქვა პეტრემ ამბყად და მშვიდად. — აბა, წავიდეთ!

ჯარისკაცმა მოწაფეები კიბეზე აიყვანა, კარზე დააკაკუნა, ოთახში შევიდა, ჩაიციხა და კაპიტანს მოახსენა:

— ქრისტეს მოწაფეები მობრძანდნენ. თორმეტი ბიჭი და ერთი გოგო.

ღად, დაბალჭერიან ოთახში კედლების გასწვრივ ჩამწკრივებულ თაროებზე საქალაქდებები ელაგა. ჭერზე, ისევე როგორც „მყუდრო სოროში“, გულგანგმირული მადონას ძველისძველი, წითლად და ლურჯად მოხატული ბარელიეფი მოჩანდა. კაპიტანი ფანჯრისკენ ზურგშექცეული იჯდა საწერ მაგიდასთან.

— რამდენი? — იკითხა შეშინებულმა კაპიტანმა. — თორმეტი? ჯარისკაცმა ორი ათასი წლის წინანდელი ამბავი შეახსენა:

— მაშინაც ამდენნი იყვნენ.

— Allright, — თქვა კაპიტანმა ბედს დამორჩილებული კაცივით და სცადა მრისხანე გამომეტყველება მიეღო, მაგრამ როდესაც ოთახში ბიჭები შემოლაგდნენ, კათარინა შუაში ჩაიყენეს და მაგიდის წინ ნახევარწრედ ჩამწკრივდნენ, ღიმილი ვეღარ შეიკავა და საკუთარი თავი გასცა. ღიმილში თანაგრძნობა გამოკრთა.

გველკაცა გრძნობების ნამდვილი სეისმოგრაფი იყო. მყისვე ჩაებლაუჭა ამ წამქეზებელ ღიმილს, კაპიტანს ტოლივით გაუღიმა და მცირე ხნის შემდეგ უთხრა:

— Good morning, captain!

<sup>1</sup> დილა მშვიდობისა, კაპიტანო (ინგლ.).

1929 — 1932 წლების კრიზისის დროს კაპიტანი ქრისტეს მოწაფეების ტოლი იყო და მათსავით მშვიერ მოზარდთა ერთ-ერთ ბანდას შეუერთდა. ბიჭები ყოველდღე დაძრწოდნენ ქალაქში იმ იმედით, იქნებ ნიუ-იორკს ერთი ლუკმა პური გამოვვლიჯოთო და ხშირად ამერიკის შეერთებული შტატების კანონებისადმი უპატივცემლობას იჩენდნენ. კაპიტანს თავისი ბავშვობა დაუდგა თვალწინ და დაიბნა. ბოლოს კათარინას ჰკითხა:

— შენც ამათი წრის წევრი ხარ?

— კეთჰენი საპატიო წევრია. მისი საქმე მხოლოდ კემსეა და კერვაა, — მაშინვე ჩაერია ლაპარაკში გველკაცა. — კონკებს ხომ ვერ დავუირიგებდით ხალხს! საკერავი ნემსი არსად იშოვება. საერთოდ, მდგომარეობა მეტისმეტად მძიმეა, captain, ეს თქვენც იცით. ნებით არავინ არაფერს იძლევა. იმ დღეს თქვენ სიტყვა წარმოთქვით. კეთილი! მაგრამ რა შეიცვალა? არაფერი! თუ ვინმეს რამე ზედმეტი აქვს, უნდა ჩამოართვათ ისევე, როგორც ჩვენ ვაკეთებთ. მისამართებს რა თქმა უნდა, ჩვენ მოგცემთ.

— შენ კარგად იცი, აღარავინ დარჩა ისეთი, ვისგანაც რამეს წამოღება შეიძლება, — გაბრაზდა კათარინა.

იმ ამბავმა, რომ გველკაცა მის გადაბირებას და ამ საქმეში ჩათრევას ცდილობდა, კაპიტანი აშკარად აღტაცებაში მოიყვანა.

— შენის აზრით, ჩვენ ერთად უნდა ვიმუშაოთ, არა? — ჰკითხა კაპიტანმა ორაზროვანი ღიმილით.

— That's what I mean, captain!

— ახლა კი მე დამიგდეთ ყური. ქურდობა ყოველთვის ქურდობაა და ამისათვის ხალხს აპატიმრებენ. თუ მოვინდომე, ციხიდან მანამდე ვერ გამოხვალთ, სანამ არ დაბერდებით და არ გაჭაღარავდებით.

— ეს კიდევ საკითხავია, — თქვა ჩაფიქრებულმა სწავლულმა და თავი გვერდზე დახარა. — ქურდობისათვის უმადლესი სასჯელი სამი წელია.

— შენ მოსამართლე-გამომძიებლის, ბატონ შოლენბრუხის შვილი არა ხარ? — შემდეგ დავითი იცნო და გაკვირვებულმა წამოიძახა. — აა, შენც ამათი ამხანაგი ბრძანდები? — აღშფოთებულმა დავითმა პასუხის ნაცვლად მხრები აიჩეჩა და კალმით ნახატი წარბებო

1 სწორედ ეს მქონდა აზრად, კაპიტანო (ინგლ.).



ისე აზიდა, თითქოს აგრძნობინა, აბა, ვისი ამხანაგი უნდა ვიყო, თუ არა ამათიო.

კაპიტანი მაშინვე ქრისტეს მოწაფეების საიდუმლო საზოგადოების მტკივნეულ ადგილს შეეხო და იკითხა: მოპარულ საქონელს ხომ არ ითვისებდათო.

— ჩვენ მხოლოდ ყველაზე აუცილებელს ვიტოვებთ. მე თუ მკითხავთ, უფრო ნაკლებსაც, ორიდან სამ პროცენტამდე. ეს თქვენთვისაც გასაგები უნდა იყოს. ჩვენ თვითონ არაფერი გვაბადია, — უპასუხა პეტრემ.

— მაინც რამდენი იქნება ძველი შარვლის სამი პროცენტი?

გუნებაწამხდარ გველკაცას უნდოდა. ხუმრობით გამოესწორებინა საქმე:

— ოო, დაახლოებით, ერთი იტალიური ძეხვი, — თქვა დიმილით და ლამაზი კბილები გამოაჩინა, მაგრამ მის ხუმრობაზე არავის გასცინებია.

მზერა ყველამ კაპიტანს მიაპყრო.

— თუ ამ ამბავს ბოლო მოეღება, გარკვეული მიზეზების გამო არ დაგსჯით, — თქვა კაპიტანმა და ხმისა და გამოხედვაში მუქარა ჩააქსოვა.

ეს უკვე საიდუმლო საზოგადოების დაშლას ნიშნავდა, მოწაფეებისათვის კი ამქვეყნად ამაზე ძვირფასი არაფერი იყო.

ხანგრძლივი დუმილი ჩამოვარდა.

რაკი არ უპასუხეს, კაპიტანმა გადაწყვიტა მათ თავმოყვარეობაზე ემოქმედა.

— საკმარისია სიტყვა მომცეთ. მეტს მე არაფერს ვთხოვლობ.

— ახლა ვერაფერს შეგპირდებით. ჯერ სხდომა უნდა მოვიწვიოთ და ამ წინადადებას კენჭი ვუყაროთ დემოკრატიული... მხედველობაში მაქვს... — აღელვებული პეტრე ჩვეულებრივზე უფრო ხმამაღლა ლაპარაკობდა.

სწავლულს ლაპარაკი ეხერხებოდა, პეტრეს სიტყვა შეაწყვეტინა და საწინააღმდეგო წინადადება წამოაყენა:

— შეგვიძლია ასეთი პირობა მოგცეთ: იმ შემთხვევაში, თუ დიდი გაჭირვების გამო ჩვენს მოვალეობად მივიჩნევთ, არ დავემორჩილოთ თქვენს მოთხოვნას, დაუყოვნებლივ გაცნობებთ. გაკმაყოფილებთ ეს?

— მაშინ შეგიძლიათ დაგვატუსალოთ, — თქვა გველკაცამ. ბიჭი ისევ ბრძოლის გუნებაზე დადგა და კონტრშეტევაზე გადავიდა. — ცვიშენცალი ახლა მკედარია, მაგრამ ადრე რატომ გამოუშვით ციხიდან? იმის დასამტკიცებლად, რომ იგი სპეკულანტია, ჩვენ ხომ სიგარეტები გამოგიგზავნეთ, seventeen cartons. თქვენ ის გაათავისუფლეთ, ჩვენ კი დააბათიმრებას გვიპირებთ. Allright, captain! სად არის სამართალი?

კაპიტანს, ჩანს, მოეწონა გველკაცას ლოგიკური მსჯელობა და დამნაშავესავით თავის მართლებას მოჰყვა:

— ჩვენ ვერაფერს გავხდით. ცვიშენცალის საქმე გერმანიის სასამართლოს იურისდიქციას ექვემდებარებოდა.

— თუ ასეა, გერმანიის სასამართლოს ყველა მოხელე ციხეში უნდა ჩასვთ! — წამოიძახა გველკაცამ.

— ეს მართლაც არ იქნებოდა ურიგო, — თქვა კაპიტანმა და ჩაიციხა. იგი უფრო მეტ დათმობაზეც წავიდა. — მე რომ გთხოვოთ, ჩემი ხათრით მოეშვებით ამ საქმეს?

ეს სიტყვები მოწაფეებს გულზე მოხვდათ. ამ საოცარი ამერიკელის თხოვნის უგულვებელყოფა ძალიან უჭირდათ. მაგრამ საიდუმლო საზოგადოების დაშლაც ქრისტეს მოწაფეებისათვის მეტისმეტად მტკივნეული იყო.

— ყველაფერს ავწონ-დავწონით, — წაილულულა პეტრემ და ტუჩები აუკანკალდა.

— Allright, ახლა წადით და კარგად აწონ-დაწონეთ ყველაფერი.

ბიჭები უხალისოდ გამოეთხოვნენ კაპიტანს. კათარინამ პატივისცემა კნიქსენით გამოხატა. კაპიტანმა ბავშვებს თანაგრძნობით გააყოლა თვალი, თანაც ისე იღიმებოდა, თითქოს ფიქრობდა, მოვა დრო და ეს ბავშვები კარგი გერმანელები დადგებიანო.

#### XIV

საქმის გარჩევა 15 მაისისათვის დაინიშნა. „ამ პროცესს საზოგადოებრიობისათვის პრინციპული მნიშვნელობა აქვს,“ — წერდა წინა დღეს იოანეს მამა თავის ვაზეთში.

„არსებული კანონის ავტორიტეტულმა დამცველებმა ფროიდენ-

პაიშების მკვლელი არ დასაჯეს. სამაგიეროდ, განაჩენი სისრულეში მოიყვანა ფაშისტების მიერ გაქედილმა ქალიშვილმა. ეს განაჩენი მისი მშობლების მკვლელმა სამართლიანად დაიმსახურა. ნაცისტების მსხვერპლმა აღასრულა ის, რის განხორციელებაც კანონის დამცველებმა არ ისურვეს. ახლა საკითხავია, ვინ არის დამნაშავე?;

სამხრეთ გერმანიის ყველა გაზეთმა კორესპონდენტები გამოგზავნა ვიურცბურგში, მიუნჰენიდან ორიც კი ჩამოვიდა. პროცესის დაწყებამდე ერთი საათით ადრე სასამართლოს მაღალი, ჭერამდე მუხის ხით მოპირკეთებული დარბაზი უკვე გაქედილი იყო ხალხით. მოზარდებს პროცესზე დასწრება ეკრძალებოდათ, — იოანე და სწავლული დარბაზში ჩუმად შეიპარნენ. გველკაცა ორჯერ გადაძევეს დარბაზიდან, მაგრამ ახლა ისევ პეტრეს გვერდით იჯდა უკანა რიგში, კედელთან. კაპიტანი ლიბენი და იოანეს მამა პირველ რიგში, დამცველის მაგიდასთან ისხდნენ. პროკურორის მაგიდა მოპირდაპირე მხარეს იდგა. მოსამართლის მაგიდის მარცხნივ და მარჯვნივ ნაფიცი მსაჯულები, — ისტორიის პროფესორი ჰებერლაინი, ფილოსოფიურ და მათემატიკურ მეცნიერებათა დოქტორი ბუჯი, ერთი ქალი და სამი ხელოსანი დამსხდარიყვნენ.

როცა რუთი შემოიყვანეს, თავმჯდომარე და ორი მოსამართლე<sup>1</sup> ერთმანეთს ესაუბრებოდნენ. რუთს ისევ ის ლიუსტერის ქვედატანი და ვარდისფერი ნაქსოვი კოფთა ეცვა. ხუთასი კაცის დაქინებულ მზერას ქალი აინუნშიაც არ ავდებდა. რუთი აღარ იყო ის მკვდარი ქალიშვილი, რომელიც შპესარტში მეზორნემ მდინარის მეორე ნაპირზე გადაიყვანა.

მარტინი, დავითი და იოჰანა ოთახში იმ ორი კაცის გვერდით ისხდნენ გრძელ სკამზე, რომლებმაც ორჯერ სცადეს ეამბნათ სათანადო ორგანოებისათვის ყველაფერი, რაც საკუთარი თვალით ნახეს, მაგრამ ამაოდ. ამჯერად ისინი დამცველმა გამოიძახა. გამოძახებულნი ჩუმად ლაპარაკობდნენ და დაწვრილებით იხსენებდნენ ბაზრის მო-

1. 1924 წელს გერმანიაში გამოიცა ე. წ. ემინგერის კანონი, რომლის ძალითაც განაჩენის გამოტანაში მონაწილეობდა ექვსი ნაფიცი მსაჯული და სამი ოფიციალური მოსამართლე. ერთ მათგანს სასამართლო პროცესზე თავმჯდომარედ ნიშნავდნენ. მანამდე განაჩენი ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს — თორმეტ მსაჯულს გამოჰქონდა

ედანზე მომხდარ მკვლელობას. იოჰანამ დავითს ხელი მოჰკიდა. მაგრამ ბიჭმა ხელი გამოსტაცა და კბილებში გამოსცრა:

— ჩემი დარდი ნუ გაქვთ.

— პირველად ცვიშენცალმა დაარტყა.

— მთავარი სწორედ ესაა, — მიუგო მეორემ. — ამ დარტყმამ წააქეზა სხვები. — ამ დროს კედელზე გაკრულ წარწერას მოჰკრა თვალი: „მოწმეებს ერთმანეთთან ლაპარაკი ეკრძალებათ,“ და პირდაპირ მჯდომ თავპატარას გადახედა. თავპატარა წინასწარ პატიმრობაში იმყოფებოდა. მის გვერდით პოლიციელი იდგა.

თავმჯდომარემ ჯერ რუთის ანკეტური მონაცემები გააცნო სასამართლოს, შემდეგ შეეკითხა, აღიარებთ თუ არა, რომ 1947 წლის 16 მარტს საღამოს 8 საათზე ცვიშენცალი რევოლვერით მოკალითო. ნაფიცო მსაჯული, დოქტორი ბუკი ქალაქის ფურცელზე გეომეტრიულ ფიგურებსა ხატავდა. მან მხოლოდ მაშინ ასწია თავი, როცა თავმჯდომარემ რუთს ჰკითხა:

— ნანობთ თუ არა, ეს რომ ჩაიღინეთ?

— ამას არასოდეს არ ვინანებ, — უპასუხა რუთმა.

— ნუთუ ადამიანის სიცოცხლე თქვენთვის ასე ცოტას ნიშნავს?

— მისთვის ჩემი მშობლების სიცოცხლაც არაფერს ნიშნავდა.

— დანაშაულის გრძნობა თუ გაწუხებთ?

— მას შემდეგ უკეთა ვარ.

— კარგი ამბავია, — თქვა თავმჯდომარემ და ღიმილით გადახედს ხალხით გაჭედებულ დარბაზს.

თავმჯდომარე, იმ მოსამართლე-გამომძიებლის დიდი ხნის მეგობარი, რომელმაც ცვიშენცალი გაათავისუფლა, ჩამომავლობით ძველი იურისტთა ოჯახიდან იყო. ბაბუამისს ბავარიაში იუსტიციის მინისტრის თანამდებობაც კი ეკავა. თავმჯდომარეს მიკითხნით მსუქანი, ალკოჰოლისაგან შეჭარბებული სახე და კრიალა, ჭკვიანი თვალეზები ჰქონდა. ნაციისტური პარტიის წევრი არასოდეს ყოფილა.

— რევოლვერი სად იშოვეთ?

— შპესარტის ტყეში ვიპოვე შარშან, როცა ფრანკფურტიდან ვიურტემბურგში ვბრუნდებოდი.

— დავიჯერო, შპესარტის ტყეში რევოლვერები ყრია?

— ამ რევოლვერით ერთმა კაცმა თავი მოიკლა. იარაღი თან წამოვიღე. მინდოდა რამე მქონოდა კაცებისაგან თავის დასაცავად.



— ნუთუ თქვენ მამაკაცებისა გეშინოდათ? — თავმჯდომარეს მარჯვენა ქუთუთო აუთამაშდა და მხოლოდ ამაზე დაეტყო, რომ ჩაეცინა. — ვიურცბურგში რაღად უნდა შეგშინებოდათ მამაკაცების, თქვენ ხომ დოქტორ მარტინთან ცხოვრობდით. იცოდა მან, რომ რევოლვერი გქონდათ?

— არა, არ იცოდა. გავიგე, რომ ცვიშენცალი ისევ ვიურცბურგში ცხოვრობდა და რევოლვერი დავმაღლე.

— თითქმის ერთი წელიწადი იმისათვის ინახავდით რევოლვერს, რომ ცვიშენცალი მოგეკლათ?

რუთმა თავის სიმაართლეში დარწმუნებული ადამიანივით დაუქნია თავი: — დიახ.

— დამნაშავე გამოტყდა. მკვლელობის მოტივი გასაგებია. ყველაფერი გასაგებია. წინასწარ მოფიქრებული მკვლელობაა. ახლა ისღა დაგვრჩენია, რომ დარბაზიდან გავიდეთ და განაჩენი გამოვიტანოთ, — უთხრა პროფესორმა ჰებერლაინმა ხუმრობით დოქტორ ბუკს, რომელიც ისევ გეომეტრიულ ფიგურებსა ხატავდა.

როცა თავბატარა შემოიყვანეს, დადუმებულ დარბაზში ვიღაცამ წამოიძახა:

— ეს მარტო ვარსკვლავებით როდი ეწეოდა სპეკულაციას!

მხარბეჭგანიერი, ორი მეტრი სიმაღლის გოლიათი რუთის გვერდით გაჩერდა. ისინი „გულივერის მოგზაურობიდან“ გაცოცხლებულ ილუსტრაციას მოგაგონებდათ.

— გვიამბეთ, რა ნახეთ.

— ჩემი მეგობარი სახლამდე მივაცილე და ბაღის ჭიშკართან გამოვეთხოვე. რამდენიმე წამის შემდეგ გავიგონე, რომ სამჯერ გაისროლეს. მაშინვე უკან გავიქეცი. ბაღში რომ შევედი, გვერდით ფროილან ფროიდენჰაიმმა ჩამიარა. ხელში რევოლვერი ეჭირა. ცვიშენცალი სისხლში ცურავდა და უკვე მკვდარი იყო. იმწამსვე პოლიციაში წავედი.

— როგორ იქცეოდა ბრალდებული? აღელვება თუ ეტყობოდა? გოლიათმა ორი მეტრის სიმაღლიდან დახედა რუთს და უარის ნიშნად თავი გაიქნია:

— ისეთივე მშვიდი იყო, როგორც ახლა.

შემდეგმა მოწმემ, მარტინმა, წესი დაარღვია, რუთთან მივიდა და ხელი გაუწოდა. დიდი ხანია არ ენახა. „მარტინ“, წარმოთქვა რუთმა.



მისმა ხმამ მარტინი ააღელვა და კიდევ ერთხელ მოუჭირა ხელი ხელზე.

სასამართლომ საჭიროდ არ ცნო ფიცი ჩამოერთმია მარტინისათვის, ეჭვობდნენ, ამ საქმეში ისიც ურევიაო.

— თქვენ ბრალდებულთან ცხოვრობთ? — ჰკითხა თავმჯდომარემ.

— ფროილიან ფროიდენჰაიმი ცხოვრობს ჩემთან.

— თქვენ ფრთხილობთ, პირდაპირ პასუხს თავს არიდებთ. განაჩენის გამოსატანად კი დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, ზუსტად გვეცოდინება თუ არა, როგორ ცხოვრებას ეწეოდა ბრალდებული.

მარტინმა ზედა ტუჩი აჭიმა და მეტისმეტად გრძელი კბილები გამოაჩინა. შემდეგ იატაკს დააჩერდა და სახეზე გესლიანი ღიმილი აუთამაშდა.

— ფროილიან ფროიდენჰაიმი ჯერ აუშვიცში, მერე კი ვარშავის საროსკიპოში გაგზავნეს. საროსკიპოში ორი წელი გაატარა. ჩემი აზრით, განაჩენის გამოსატანად არა ნაკლები მნიშვნელობა აქვს მისი ცხოვრების ამ მხარესაც, — თქვა მან.

— ამაზე ნათეცი მსაჯულები იმსჯელებენ. ერთ დროს თქვენ ბრალდებულის ცოლად შერთვას აპირებდით, არა?

— ახლაც ვაპირებ.

თავმჯდომარემ ისე მიმართა დარბაზს, თითქოს მისი სიტყვები მარტინს არ ეხებოდა:

— რაკი თქვენ ასეთ ახლო ურთიერთობაში ხართ ბრალდებულთან, უთუოდ გეცოდინებოდათ, რომ მას რევოლვერი ჰქონდა დამალული და ცვიშენცალის მოკვლას აპირებდა. — თავმჯდომარემ მარტინს შეხედა. — გვიპასუხეთ.

— პირადად ჩემთვის არაფერი გიკითხავთ. თქვენ დამსწრე საზოგადოებას უთხარით რაღაც.

— თქვენი ყურადღება შემდეგ გარემოებებზე უნდა გავამახვილო: სასამართლოს უბატივცემლობისათვის შეიძლება დაისაჯოთ.

— მარტინმა არაფერი არ იცოდა! — წამოიძახა რუთმა და უნებურად წამოდგა.

მარტინი მობრუნდა, რუთის სახეზე შიში ამოიკითხა და გახარებულმა თქვა:

— მე არაფერი ვიცოდი.

— გვიამბეთ გულახდილად, რა მოხდა იმ საბედისწერო საღამოს.

— ფროილან ფროიდენჰაიმი შინ დაბრუნდა და მითხრა, ცვიშენცალი მოკალიო. ჩვენ ველოდით, როდის მოვიდოდა პოლიცია, მერე კი ფროილან ფროიდენჰაიმი დააპატიმრეს.

შემდეგ დაჰკითხეს ის ორი პოლიციელი, რომელთაც რუთი დაპატიმრების დროს იქვე უკითხავად გამოუტყდა, დანაშაული ჩავიდინეთ.

— არავინ არ უარყოფს, რომ ბრალდებულმა ცვიშენცალი მოკლა, და მოკლა სრულ ჭკუაზე მყოფმა, წინასწარი განზრახვით, — თქვა დამცველმა გულგრილად.

სანამ საგონებელში ჩავარდნილი პროკურორი გაოცებული შესცქეროდა დამცველს, შემოიყვანეს დაცვის ერთ-ერთი მოწმე, ასოთამწყობი ჰანს ფრანკი. პატარა, ოდნავ ფეხმრუდე კაცს მოკლედ თმაშეკრეჭილი მრგვალი თავი ჰქონდა, რბილი ტუჩები ზედმიწევნით ზუსტად და ლამაზად მოეკუმა. მეგობრებში მას სანდო, წესიერი კაცის სახელი ჰქონდა მოხვეჭილი და მუდამ ისე იქცეოდა, არც მწვადი დაეწვა და არც შამფური. საკუთარი ვაყისათვის, რომელიც ქრისტეს მოწაფეების საიდუმლო საზოგადოების წევრი იყო, არა ერთხელ უთქვამს, „ეს მოწაფეები შენთვის ვერაფერი მაგალითია, კანონის წინააღმდეგ გაილაშქრესო.“

— გვიამბეთ, რა მოხდა ბაზრის მოედანზე იმ კვირა დილას, როცა ბრალდებულის მშობლები დაიღუპნენ. ოღონდ ის კი არა, რასაც შემდეგ ყვებოდნენ, არამედ ის, რაც საკუთარი თვალთ ნახეთ!

— მშვენიერი კვირა დილა იყო...

— რა საჭიროა ამის მოყოლა.

მავრამ, ეტყობა, მოწმემ ასეთი შესავალი წინასწარ გაიზებირა.

— მშვენიერი ამინდი იყო, მზე კაშკაშებდა, — განაგრძო მან და ხელი მოწმეთა ოთახისაკენ გაიშვირა. — მე და ჩემი მეგობარი ფაულშტიხი მომდერალთა გუნდის „მწვანე ხეებს შორის“ წევრები ვართ და რეპეტიციაზე მივდიოდით. ბაზრის მოედანი გადავჭერით და, როცა შუა მოედანზე მჩქეფარე შადრევანს მივუახლოვდით, უცრად უკანიდან ყვირილი მოგვესმა, გაოცებულნი მოვტრიალდით, რადგან მოედანზე ჩვენს გარდა არავინ გვეგულებოდა. ვხედავთ, მარტგასედან დაახლოებით ასი კაცი გამოვიდა, მოედანს მოეფინნენ და შადრევანისაკენ გამოსწიეს. ეს არ ჰგავდა პროცესიას. ბრბო საშინლად არეული იყო. ყველა ერთად ყვიროდა. ცოლ-ქმარი ფროიდენ-

ჰაიმები და ფროილან რუთი შუაში მოემწყვდიათ. მისი უმცროსი ძმა პირველად ვერ დაეინახე. ბრბო შადრევანთან შეჩერდა: ცვიშენცალმა მათრახი აღმართა. ყველა გაჩუმდა. „ამ ღორ ებრაელებს უნდათ, რომ გერმანიამ ომი წააგოს!“ — დაიყვირა მან. „ოჰ, არა არა!“ — წამოიძახა ფრაუ ფროიდენჰაიმმა. ცვიშენცალმა ქალს მათრახი სახეზე გადაუჭირა. ხოლო როცა ბატონი ფროიდენჰაიმი ცოლს გამოექომაგა, ცვიშენცალი მოსდგა ცოლ-ქმარს და მანამდე ურტყა მათრახი, სანამ ორივე არ წაიქცა. წაქეულებს მთელი ბრბო დაეხვია. უწყალოდ სცემდნენ მათრახებით, რეზინის ხელკეტებით. ჩექმის ქუსლებს ცხვირ-პირში უშენდნენ. ბოლოს გვამები წაათრიეს. უმცროსი ძმა... გვამები ბაზრის ურიკასთან მიათრიეს და ზედ დაყარეს. პატარა ბიჭი...

— ჰო, რა დაემართა პატარა ბიჭს?

— იგი ტირილით გაიქცა და ურიკაზე აბობლებას ლამობდა. — ასოთამწყობს ტუჩები აუკანკალდა. იატაკზე მიუთითა. ამის თქმალა მოახერხა: — ქვაფენილზე... სისხლის გუბე...

— დაბრძანდით, — უთხრა თავმჯდომარემ და დარბაზს გადახედდა. არაფერს შერხეულა, ხუთასი სახე სურათივით გარინდულიყო. რუთი მხრებში მოიხარა, გახვევებული იყურებოდა სადღაც, თითქოს ახლაც ისევ ბაზრის მოედანზე იდგა, როგორც ამ ხუთ-ნახევარი წლის წინ. თავი მხოლოდ მაშინ ასწია, როცა მეორე მოწმის დაკითხვა დაიწყეს.

ზეინკლის ქარგალს ფაულშტიხს, გუნდის პირველ ტენორს, ხუჭუჭა შავი თმა ნახევრად გაჭალარავებოდა. ხმა ხორხისმიერი ჰქონდა, ლაპარაკობდა ისე, თითქოს ჰაერს ლეჭავსო. სიტყვები ბურთულევივით მოგორავდნენ მეტისმეტად პატარა პირიდან.

— ...მთავარია, რომ პირველად ცვიშენცალმა დაარტყა.

— ბრალდებულს რა დაემართა?

დაბნეულმა ზეინკალმა რუთს გადახედა.

— ცვიშენცალმა — ამ დროს გვამები უკვე ურიკაზე ეყარა — ცვიშენცალმა... ფროილან რუთს კოფთა და პერანგი შემოახია. დაცფხრეწილი კოფთა სისხლის გუბეში გადაუძახა.

— იქ, ალბათ, ძალი პატრონს ველარა სცნობდა, თქვენ კი ასე ზუსტად გახსოვთ ეს წვრილმანი, და ისიც ხუთ-ნახევარი წლის შემდეგ.

— ამის დავიწყება შეუძლებელია. ადამიანი ვერც იმას დავიწყებს, როგორ იღვა მამაკაცების თვალწინ ნახევრად შიშველ ფროილან რუთი მშობლების სისხლის გუბეში, — ჩაილაპარაკა ფიქრმორეულმა. — თეთრი, განამებული კოფთა ეცვა.

თავმჯდომარეს გაელიმა.

— ესეც გახსოვთ? უკმაყოფილება ხომ არავის გამოუთქვამს?

— უკმაყოფილება? — იკითხა მოწმემ და თვლები დახარა. — ნეტა ვინ გაბედავდა ხმის ამოდებას. და თუ გაბედავდა, კარგ დღესაც დააყრიდნენ!.. ამ დროს ვილაცამ დაიყვირა. როცა გვამებს ფეხებში სწვდნენ და გადაათრიეს, საშინელი ტირილი და ყვირილი ატეხა ფროილან იოჰანამ.

— აი, ხომ ხედავთ, მისთვის არავის არათფერი დაუშავებია, — თქვა თავმჯდომარემ და იოჰანა და დავითი გამოაძახებინა.

იოჰანას მშობიარობამდე სამი კვირადა აკლდა. გველკაცას დედამ განიერი შავი კაბა ათხოვა. დავითს, რომელსაც ამ ცოტა ხნის წინ თერთმეტი წელი შეუსრულდა, თხუთმეტი წლის სწავლულია მოლურჯო-ზღვისფერი პიჯაკი ეცვა. პიჯაკი მხრებში ძალიან განიერი ჰქონდა, სახელოები კი თითებს უფარავდა.

— თუ დგომა გიჭირთ... — თავმჯდომარემ სასამართლოს მსახურთ ხელით ანიშნა და სკამი მოატანინა. იოჰანა დაჯდა, დავითმა მოკრძალებით გადადგა მისკენ სამი ნაბიჯი, ისევე მის გვერდით გაჩერდა და თავი დახარა. სადად გადავარცხნილი შავი თმა ისე უბზინავდა, თითქოს ეს-ეს არის დაიბანაო. — მაშინ თქვენ ფროიდენჰაიმების სახლში ცხოვრობდით. სად იყავით, როცა მთელი ოჯახი დააბატომრეს?

— მე და რუთი სახლის უკან, პატარა ეზოში ვისხედით, ბატებს საკენკს ვუყრიდით და იმაზე ვლაპარაკობდით, წავსულიყავით თუ არა ნასადილევს ვაიციონაიმის სასახლის ბაღში, სადაც გედები დაცურავენ. ამ დროს მოვიდა...

— რა ეცვა ბრალდებულს?

იოჰანა მცირე ხნით დაფიქრდა.

— შავი ქვედატანი და თეთრი კოფთა. ასეთივე კოფთა მეცვა მეც.

— თეთრი კოფთა? დარწმუნებული ხართ?

— კოფთები ერთად ვიყიდეთ რამდენიმე დღის წინ შვარცშილ-  
დთან აიხპორნშტრასეზე, რადგან ძალიან იაფი ღირდა.

— თქვენ ბრძანეთ, ამ დროს მოვიდაო... ვინ მოვიდა?

— ამ დროს მოვიდა ცემშენცალი, კიბესთან შეჩერდა და დაიძა-  
ხა: „აი, სად ყოფილა აღმოსავლეთის მეფის ასულიო!“ შემდეგ მათ-  
რახი დაჰკრა ყუთს, რაზეც რუთი იჯდა და უყვირა: „ადგები თუ  
არა ფეხზეო!“ უწმაწური სიტყვით მიმართა, ყურში ხელი მოჰკი-  
და, ყუთიდან წამოაგდო და სახეში გაართყა, მერე მეორედ გაართყა  
ხელუკუღმა... რუთის მშობლები უკვე სახლის წინ იდგნენ ნაცისტე-  
ბით გარშემორტყმულნი: ჯერ დომშტრასეზე ჩაატარეს, ქალაქი გა-  
დაკვეთეს, სადგურამდე მიიყვანეს, შემდეგ იმავე გზით უკან წამოი-  
ყვანეს დომშტრასესა და მარქთვასეს გავლით და მოედანზე შეჩერ-  
დნენ. ხალხი თანდათან მატულობდა და მატულობდა. ბაზრის მო-  
ედანზე...

— პირველად ვინ დაართყა?

— ცვიშენცალმა! ეს გამოწვევასა ჰგავდა, თითქოს სხვებს ეუბ-  
ნებოდა, მოკალით ცემითო.

— ალბათ, იმის თქმა გინდათ, რომ პირადად თქვენ ასეთი შთა-  
ბეჭდილება შეგექმნათ. პატარა ბიჭს რაღა მოუვიდა?

— დავითი სოფელში წავიყვანე აშაფენბურგის მახლობლად,  
ერთ ნაცნობ გლეხთან. მაშინ მხოლოდ შვიდი წლისა იყო.

— თვითონ თქვენ რა ხნისა იყავით?

— ჩვიდმეტის.

— ახლა გათხოვილი ბრძანდებით?

— არა, არა ვარ გათხოვილი.

— მაშ, გათხოვილი არა ხართ? — თავმჯდომარემ დარბაზს გა-  
დახედა. კარგა ხნის დუმილის შემდეგ დავითს მიმართა: — გლე-  
ხი ალბათ ბევრს გაჰმეგდა. ჩვენ კი ქალაქში ზოგჯერ ლუქმაპური  
გვენატრებოდა. ხომ ხედავ, შენ იქ ბევრად უკეთესი პირობები  
გქონდა. აბა, ახლა მითხარი, თუ დაინახე, ვინ რა დაუშავა პირვე-  
ლად დედაშენს ბაზრის მოედანზე?

დავითმა თავი გააქნია. უკანა რიგში, კედელთან, ოთხი მოწაფე  
სკამებზე აძვრა.

— შენ სად იდექი ამ დროს?

— დედასთან.



— თუ დედასთან იდექი, მაშინ უთუოდ შეამჩნევდი, რომ დედაშენს პირველად ერთმა კაცმა დააარტყა. ხომ მართალია?

— დავითი მთელი გზა საშინლად ტიროდა, ხოლო ბაზრის მოედანზე დედის ფეხებს მოეჭიდა და აღარ მოსცილებია, — თქვა იოჰანამ.

— თქვენ მხოლოდ მაშინ უნდა ილაპარაკოთ, როცა გეკითხებიან.

— იმიტომ ვტიროდი, რომ მე უკვე ყველაფერი ვიცოდი, — მიუგო დავითმა იოჰანას.

— შენ მე უნდა მომმართო, — ალერსიანად უთხრა თავმჯდომარემ ბიჭს.

— ცვიშენცალმა ჯერ კიდევ ჩვენს სახლში ამოიღო ჯიბიდან რეგოლეფი.

— შენ საიდან იცი, რომ ის კაცი ცვიშენცალი იყო?

— ის ჩვენი კვარტალის ზედამხედველი იყო. დედაჩემს ჯერ რეგოლეფი დაუმოიჭნა, შემდეგ კი გაიცინა და თქვა: „რა გვეჩქარება. ამას ყოველთვის მოვასწრებთ. კვირა დღეა, ჯობს ჯერ გავასეირნოთო“. ამიტომაც ვტიროდი გზაში.

შესვენების შემდეგ თავმჯდომარემ განაცხადა, მოწმეთა ჩვენება დამთავრებულიაო და სასამართლოს ფსიქიატრს სთხოვა მოესხენებინა თავისი დასკვნა რუთის ფსიქიკურ მდგომარეობაზე. ატყდა კამათი. დამცველმა იკითხა, ბატონ პროკურორს მოწმეები ხომ არ მოუწვევიაო.

— როგორც ჩანს, არა, თორემ დავკითხავდი.

— ცოლ-ქმარ ფროიდენჰაიმების მკვლელობას თითქმის ასი კაცი ესწრებოდა, ზოგი სეირს უყურებდა, უმრავლესობამ კი უშუალო მონაწილეობა მიიღო მათ მკვლელობაში. განაჩენის გამოტანის დროს ნაფიცმა მსაჯულებმა უნდა გაითვალისწინონ ის გარემოება, თუ რატომ არ მოიწვია პროკურორმა არც ერთი იმათგანი, ვინც ყველაფერი საკუთარი თვალთ ნახა. ამას უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

— მოიწვევს თუ არა ბატონი პროკურორი მოწმეებს, ეს მხოლოდ მის სურვილზეა დამოკიდებული.

— პროკურატურა აშკარად ვერც კი ბედავს მოწმეთა ჩვენების საფუძველზე სახალხოდ დაამტკიცოს ცვიშენცალის უდანაშაულობა ფროიდენჰაიმების მკვლელობაში.

— ამგვარი რამ შეგიძლიათ მხოლოდ მაშინ ამტკიცოთ, როცა ბრალდებულის დასაცავად სიტყვას წარმოთქვამთ, და არა საქმის გარჩევის დროს.

— სანამ ბატონი ფსიქიატრი თავის დასკვნას მოგვახსენებს, მე, როგორც ბრალდებულის დამცველს, მოვალეობად მიმაჩნია, ნაფიც მსაჯულთა ყურადღება ამ პროცესის უაღრესად მნიშვნელოვან პუნქტზე გავამახვილო. მიუხედავად იმისა, რომ მოწმეებმა ფრანკმა და ფაულშტიხმა ომის დამთავრებისთანავე წერილობით მიმართეს პროკურატურას, ყველაფერი ჩვენი თვალთა ვნახეთ და მოგახსენებთო, ფროიდენჰაიმების მკვლელი ცვიშენცალი ნაციისტების ბატონობის დამსობის შემდეგაც ძველებურად დაფარვაშობდა. ამას წინათ, როცა ცვიშენცალი სპეკულანტობისათვის წინასწარ პატიმრობაში იმყოფებოდა, მათ კიდევ ერთხელ სცადეს, სიმართლე ეამბნათ პროკურატურისათვის, მაგრამ შედეგი არც ამ ცდას მოჰყოლია. მოსამართლემ მოწმეთა დაკითხვა არ ისურვა და ცვიშენცალი გაათავისუფლა.

— კაცმა რომ თქვას, ეგ რა სალაპარაკოა? — წამოიძახა პროკურორმა უხეშად. — დღეს ცვიშენცალი კი არ ზის საბრალდებულო სკამზე, არამედ მისი მკვლელი რუთ ფროიდენჰაიმი. — თავმჯდომარემ პროკურორს თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია.

— დღეს აქ საბრალდებულო სკამზე გერმანიის მართლმსაჯულება ზის, — თქვა დამცველმა.

— მართალს ამბობს, — უთხრა ხმამაღლა ნაფიცმა მსაჯულმა დოქტორ ბუკმა პროფესორ ჰებერლაინს.

თავმჯდომარეს ალკოჰოლისაგან ისედაც შეჭარხლებულ სახეზე აღმუხრი აუვიდა.

— იმედია, ნებას მისცემთ სასამართლოს ფსიქიატრს თავისი დასკვნა მოგვახსენოს.

დამცველმა მტკიცედ განაგრძო:

— გერმანიის კანონების თანახმად, განაჩენის გამოტანის დროს

მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული დანაშაულის ჩადენის მოტი-  
ვები. იმედია, ბატონმა სასამართლოს ფსიქიატრმა თავის დასკვნაში  
გაითვალისწინა ის გარემოება, რომ ბრალდებულმა მოკლა ნაცისტი,  
მისი მშობლების მკვლელი, ვისთვისაც გერმანიის კანონების თანახ-  
მად მუდმივი კატორღა უნდა მიესაჯათ, მაგრამ დაუსჯელი დატოვეს.

ფსიქიატრს შავი უღვაში, სოლივით წაწვეტებული წვერი და გა-  
ფშევილი თმა ჰქონდა. გამხდარი სახე ჩიტს მიუგავდა, ოქროს სათ-  
ვალე ეკეთა. მან რამდენიმე შრომა გამოაქვეყნა ფროიდის ფსიქო-  
ანალიზის შესახებ და სპეციალისტთა წრეებში სერიოზული მეცნიე-  
რის სახელი მოიხვეჭა. სასამართლოს მაგიდასთან ისე ექირა თავი,  
თითქოს პროფესორი სტუდენტებს ლექციას უკითხავსო. საკითხს  
ჯერ ზოგადად შეეხო. საკონცენტრაციო ბანაკიდან დაბრუნებულთა  
შორის გვხვდება ფსიქიკური დაავადების შემთხვევები, რომელთაც  
ნაცისტების ბატონობამდე ასეთი სიმპტომები არ ჰქონიათ. ადამიან-  
ის ფსიქიკის ამ ახალ ფენომენებზე ამჟამად ფსიქიატრი მხოლოდ  
განყენებულად თუ იმსჯელებსო.

— რაც შეეხება ფროილიან ფროიდენჰაიმს, — ჩვიდმეტი წლის  
უმანკო გოგონა ჯერ აუშვიცში გაგზავნეს, შემდეგ კი საროსკიპო-  
ში, — აქ ფსიქიატრს საქმე აქვს უაღრესად რთულ, მძიმე შემთხვევა-  
სთან. ერთი შეხედვით ფროილიან ფროიდენჰაიმი სრულიად ნორმა-  
ლური ადამიანია. მაგრამ ეს შთაბეჭდილება მცდარია. ნაფიც მსაჯუ-  
ლთა სწორი ორიენტაციისათვის მინდა აღვნიშნო, რომ ადამიანები,  
რომლებიც მძიმე განცდების შედეგად სულიერად დაავადდნენ, ლო-  
გიკურად ვეღარ აზროვნებენ და პიპერტროფიული ემოციების ზეგავ-  
ლენით მოქმედებენ. ფროილიან ფროიდენჰაიმი ახლაც ლოგიკურად  
აზროვნებს, უფრო მეტიც, — გამჭრიახი ვონება აქვს, მიუხედავად  
საშინელი განცდებისა, შინაგანად ისეთი მშვიდია, თითქოს არაფერი  
მოსვლია. ეს მდგომარეობა კი მხოლოდ იმით აიხსნება, რომ აუშვი-  
ცსა და საროსკიპოში ემოციურად სრულიად განადგურდა. მისი  
გრძნობები ჩაკვდა. იგი ადამიანს კლავს, მშვიდად ბრუნდება შინ და  
გულგრილად ელის, როდის დააპატიმრებენ. მის გულს არაფერი  
ეკარება. არც შიშის გრძნობა აწუხებს და არც სინანულის. პირიქით,  
ამბობს, უკეთა ვარო. ასე მხოლოდ ის ადამიანი იქცევა, ვინც საჭირო  
საქმე გააკეთა და კმაყოფილია თავისი ნამოქმედართ. ეს იმით აიხს-  
ნება, რომ გრძნობების სრულმა ატროფიამ გამოიწვია გრძნობებით  
განპირობებული შემთხვევებელი ცენტრების ატროფია, რის გარეშეც

სოციალურ საზოგადოებაში ცხოვრება შეუძლებელია. აქედან კი შეიძლება დავასკვნათ, რომ მან დანაშაულისა და პასუხისმგებლობის შეგრძნების უნარიც დაკარგა. ფროილიან ფროიდენჰაიმი, როგორც ნაცისტების მსხვერპლი, უდიდეს სიბრაღულს იმსახურებს და ჩადენილი დანაშაულისათვის პასუხს ვერ მოვთხოვთ. იგი ფსიქიატრიულ კლინიკაში უნდა გაიგზავნოს.

რუთმა შემთხვევით ზევით აიხედა და გაოცდა. ფსიქიატრის ყოველ სიტყვაზე პროკურორი თანხმობის ნიშნად თავს აქნევდა. ფსიქიატრი თავის ადგილზე დაჯდა. მაგრამ როგორც კი დამცველის ლაპარაკი გაიგონა, განცვიფრებულმა თავი მოაბრუნა და დიდად დაინტერესებული მიაჩერდა.

— მე ხელთა მაქვს პროფესორ კ-ს ოფიციალურად დამოწმებული დასკვნა. პროფესორი კ. მთელ ევროპაში სახელმწიფოებრივი მცენიერია და ბატონ სასამართლოს ფსიქიატრის მასწავლებელი გახლდათ. სანამ დასკვნის დედანსა და ნოტარიულად შემოწმებულ რვა ასლს სასამართლოს გადავცემდე, ბატონ თავმჯდომარის ნებართვით, მინდა რამდენიმე ფრიად საყურადღებო ადგილი წაგიკითხოთ. სხვათა შორის პროფესორი კ. წერს:

„ფროილიან ფროიდენჰაიმთან მთელი ერთი კვირის განმავლობაში საუბრის შემდეგ, — ყოველი საუბარი ერთ საათს მაინც გრძელდებოდა, — იმ დასკვნამდე მივედი, რომ ფსიქიკური მდგომარეობის მიხედვით იგი სავსებით აგებს პასუხს თავისი მოქმედებისათვის. ის არ არის სულით ავადმყოფი. ამას წინათ ჩემი დაკვირვების ობიექტი გახლდათ ერთი ახალგაზრდა ებრაელი ქალიშვილი, რომელიც ასევე საროსკიპოში გავზავნეს. ქალიშვილმა თავი მოიკლა, რადგან მშობლებსა და ორ ძმას სირცხვილით თავი ვერსად გამოეყოთ. ფროილიან ფროიდენჰაიმი ამის გამო თავს არ მოიკლავდა, თუნდაც მთელი გერმანელი ხალხი სირცხვილით დამწვარიყო. პირიქით, მას გერმანელი ხალხის მაგივრად რცხენია. იმ ქალიშვილმა მამის აღმაცერ მზერას ვერ გაუძლო და თავი მოიკლა. ფროილიან ფროიდენჰაიმის მაგალითმა დაადასტურა ძველი ჭეშმარიტება: თუ ადამიანმა მძიმე განსაცდელს გაუძლო და არ დაიღუპა, კიდევ უფრო ძლიერი ხდება. ფროილიან ფროიდენჰაიმი არაჩვეულებრივი პიროვნებაა. ჩვენი საუბრების დროს მისმა პასუხებმა დამარწმუნა, რომ საროსკიპოში განცდილმა მას სრულიად დაუკარგა ინტერესი საკუთარი თავისა და მომავლისადმი. მისთვის სულ ერთია, რა მოუვა. იგი ისევე მშვიდად



შეეგებებოდა სიკვდილს, როგორც იმ საღამოს მივიდა იმ კაცის სახლთან, ვინც რევოლვერით მოკლა. ამგვარ მდგომარეობას შეიძლება ვუწოდოთ გრძნობების სრული გამოფიტვა, გრძნობების ისეთი გამოფიტვა, რაც მთელ სულიერ სამყაროზე ვრცელდება. მაგრამ სინამდვილეში ეს ასე არ არის. მართალია, მისთვის სულ ერთია — საშუალოდ კატორღას მიუსჯიან, თუ სხვაგვარად დასჯიან, მაგრამ მისი ინტერესი ვარე სამყაროსადმი სავსებით ნორმალურია. მას ძალიან უყვარს ბავშვობის მეგობარი, რომელმაც უნდა მოიშობიაროს, და ზრუნავს, რომ ახალშობილს არაფერი მოაკლდეს. თავისი პატარა მეგობრის, თორმეტი წლის კათარინასადმი დედობრივ სიყვარულსა და მზრუნველობას იჩენს. დაპატიმრებისას, როცა ყოფილ საქმროს ემშვიდობება, საკუთარი ბედი კი არ აწუხებს — თუმცა გამორიცხული არ არის, რომ სამუდამო კატორღას მიუსჯიან — არამედ საქმროს დარდი აქვს, — რადგან მას ტანჯვა არგუნა. გრძნობების ასეთი გამოვლენა ახასიათებს ნორმალურ ადამიანს, რომელსაც სოციალური შეგნება აქვს და იმედი უნდა ვიქონიოთ, მომავალში რუთ ფროიდენჰაიმში კვლავ დაუბრუნდება ცხოვრებას“.

დამცველმა თავი ასწია:

— მე ვერ წავიკითხავ იმ აბზაცს, სადაც გაანალიზებულია საროსკიბოში განცდილი. ამის საჯაროდ წაკითხვა დაუშვებელია. შემდეგ პროფესორი კ. წერს:

„ფროილიან ფროიდენჰაიმს მშობლები თვალწინ მოუკლეს. როცა ეს ქალიშვილი — საროსკიბომ მასში ყველაფერი ქალური ჩაკლა — ნაცისტების ბატონობისაგან გათავისუფლებულ სოციალურ საზოგადოებაში დაბრუნდა, გაიგო, ნაცისტი, რომელმაც მისი მშობლები ასე უღვთოდ გასწირა სასიკვდილოდ, არ დაუსჯიათ. მან იგი მოკლა. ფროილიან ფროიდენჰაიმმა, სავსებით შერაცხადმა, წინასწარი განზრახვით, სრულიად შეგნებულად ჩაიდინა მკვლელობა. სოციალურ საზოგადოებაში, სადაც კანონს იცავენ, ასეთი დანაშაულისათვის მან პასუხი უნდა აგოს. სამწუხაროდ, ფსიქიატრ-ექსპერტის უფლებამოსილებას აღემატება იმის განსაზღვრა, უნდა დაისაჯოს თუ არა იგი მშობლების დაუსჯელი მკვლელის მოკვლისათვის ისეთ სოციალურ საზოგადოებაში, სადაც კანონს ამკამადაც უგულვებელყოფენ. მე მხოლოდ ამას ვიტყვოდი: როცა ბნელა, შუქს ანათებენ. ეს ნორმალურია. რუთ ფროიდენჰაიმმა შუქი აანთო“.



დარბაზში სიჩუმე ჩამოვარდა. ბოლოს, როცა დამცველმა იკითხა, სასამართლოს ფსიქიატრი ამ დასკვნასთან დაკავშირებით თავის აზრს ხომ არ გამოთქვამსო, თავმჯდომარემ წამოიძახა: „სასამართლო ფიციალური ექსპერტის დასკვნებს უნდა დაეყრდნოს“.

მაგრამ სასამართლოს ფსიქიატრი წამოდგა და თქვა:

— ჩემს დასკვნაში ხაზგასმით აღვნიშნე, რომ საკონცენტრაციო ბანაკებში შექმნილ ფსიქიკურ დაავადებებზე მსჯელობა განსაკუთრებით ძნელია; ფსიქიატრები წააწყდნენ ადამიანის ფსიქიკის ახალ, ჯერჯერობით გამოუცვლევ ფენომენებს. არავითარ შემთხვევაში არ არის გამორიცხული, რომ დიდად პატივცემული ჩემი მასწავლებლის ანალიზი ბრალდებულის სულიერ მდგომარეობას შეესაბამება. მაგრამ ერთ რამეში მაინც ვერ დავეთანხმები, თითქოს ბრალდებულმა თავისი მოქმედებისათვის პასუხი უნდა აგოს.

პროკურორმა კმაყოფილების ნიშნად ფსიქიატრს თავი დაუქნია; მან თავის საბრალდებულო სიტყვაში ჯერ დაწვრილებით აღწერა ის საღამო, როცა მკვლელობა მოხდა და ბოლოს თქვა:

— სულ მოკლედ მოგახსენებთ. ამ პროცესზე არ დაგვჭირვებია ბოროტმოქმედის მხილება. ბრალდებულმა თვითონ აღიარა, ცვიშენცალი მე მოგკალიო. ისიც განაცხადა, მას შემდეგ უკეთ ვარო. ჩვენ რომ ნორმალურ პიროვნებასთან გვექონოდა საქმე, ეს გაველურების უკიდურესი გამოვლინება იქნებოდა.

პროკურორმა რამდენიმე წინადადება ამოიკითხა სასამართლოს ფსიქიატრის დასკვნიდან, და თითქოს დამცველი ყოფილიყოს, დაქინებით განაცხადა: რუთმა, როგორც სულით ავადმყოფმა, ჩადენილი დანაშაულისათვის პასუხი არ უნდა აგოს, და საჭიროა ფსიქიატრიულ საავადმყოფოში გაიგზავნოსო.

დამცველმა იმ კაცივით გაიღიმა, რომელმაც სწორედ ის გაიგონა, რასაც ელოდა.

ტანადი, წელში გამართული დამცველი კარგად შენახული კაცის შთაბეჭდილებას ტოვებდა; იგი თავის სასიცოცხლო ძალას თითქოს აუჩქარებლად და მიზანშეწონილად ხარჯავდა ზუსტად აგებული და გულდაგულ მოვლილი მანქანასავით, რომელიც მუდამ თანაბრად მუშაობს და უფრო დიდხანს ძლებს, ვიდრე ვარაუდობდნენ. ერთ-ერთი

საჭრელ კბილზე ოქრო გადაეკრა. ცუდი კვებისაგან გაფერმკრთა-  
ლებულ სახეზე სისხლის ნატამალი არ ემჩნეოდა.

სანამ დამცველი სიტყვას წარმოთქვამდა, ქალღლები ტყავის  
პორტფელში ჩაალაგა, თითქოს მისთვის პროცესი უკვე დამთავრდა,  
და მხოლოდ მაშინ ასწია თავი, როცა ქალღლების ჩალაგებას მორჩა  
და პირველი ფრაზა წარმოთქვა:

— მსოფლიოს სასამართლოს პრაქტიკაში, ალბათ, იშვიათად მო-  
მხდარა, პროკურორმა შეურაცხადად მიიჩნიოს ადამიანი, რომელ-  
მაც მკვლელობა ჩაიდინა, ხოლო დამცველი მას სავსებით შერაცხა-  
დად თვლიდეს. მე მგონია, ნაფიც მსაჯულებს პროცესის მსვლელო-  
ბაში გარკვეული წარმოდგენა შეექმნათ როლების ამ უცნაურ გაც-  
ვლასთან დაკავშირებით. ბატონი პროკურორი რუთ ფროიდენჰაიმს  
კატორღაში ვერ გაგზავნის, რამდენადაც კანონიერების ნორმები  
დაარღვიეს და მკვლელი ცვიშენცალი დაუსჯელი დატოვეს. ამიტომ  
ცდილობს საგიჟეთში მაინც გაგზავნოს და ამგვარად გაართვას თა-  
ვი ამ დილემას. რუთ ფროიდენჰაიმი არ არის სულით ავადმყოფი.  
სამართლებრივ სახელმწიფოში მას ჩადენილი დანაშაულისათვის პა-  
სუხს მოსთხოვენ. მაგრამ ისეთ სახელმწიფოში, სადაც კანონის  
დამცველნი სოციალური საზოგადოების საფუძველს — კანონს არ-  
ღვევენ, მან არ უნდა აგოს პასუხი. ნაცისტებმა ექვსი მილიონი ებ-  
რაელი გაწყვიტეს. ებრაელმა ქალმა კი ერთი ნაცისტი მოკლა. ყოვ-  
ლად დაუშვებელია, ნაციზმის მსხვერპლის მიმართ გამოვიყენოთ  
ფორმალური კანონი, მაშინ, როცა ასეთი კანონი არ გამოუყენებიათ  
იმ ნაცისტის მიმართ, რომელმაც ამ ქალს მშობლები მოუკლა. ეს  
იქნებოდა ნაცისტთა უსამართლო მართლმსაჯულების გაგრძელება,  
რამაც გერმანელი ხალხის ერთი ნაწილი მორალურ გახრწნილებამ-  
დე მიიყვანა. ნიურნბერგის პროცესზე ნაცისტები იმ კანონის ძალით  
გაასამართლეს, რომელიც მათ მიერ ბოროტმოქმედების ჩადენისას  
ჯერ არ იყო დაწერილი. დაიწერა ახალი კანონი და განაჩენმა მთე-  
ლი მსოფლიოს სამართლიანობის გრძნობა დააკმაყოფილა. — დამ-  
ცველმა ნაფიც მსაჯულებს გადახედა. — და თქვენც განსაჯეთ ისე,  
როგორც სამართლიანობის გრძნობა გიკარნახებთ და გაათავისუფ-  
ლეთ რუთ ფროიდენჰაიმი; მას რომ სამართლებრივ სახელმწიფოში  
ეცხოვრა, არც აზრად მოუვიდოდა და არც შესაძლებლობა ექნებო-  
და, თვითონ გაესამართლებინა მშობლების მკვლელი.



ნაფიც მსაჯულთა ოთახიც სანახევროდ მუხის ხით მოეპირკეთებინათ. პანელის ზემოთ, ჩამუჭებულ კედელზე, შუაში, მკვეთრად გამოირჩეოდა ღია ფერის ოთქუთხედი ლაქა; ერთ ღროს ამ ადგილას კაიზერ ვილჰელმის, შემდეგ ვაიმარის რესპუბლიკის პრეზიდენტისა და უკანასკნელი თორმეტი წლის მანძილზე კი ჰიტლერის პორტრეტი ეკიდა. გრძელი სათათბირო მაგიდა ოთახს იმ ღროიდან შემორჩა, როცა დანაშაულობისა და უდანაშაულობის დადგენა მხოლოდ და მხოლოდ თორმეტ ნაფიც მსაჯულს ჰქონდა მინდობილი.

მართლმსაჯულების წარმომადგენელი შუა ოთახში ისხდნენ ღია ფერის ლაქის ქვეშ. თათბირის დაწყებამდე თავმჯდომარემ თქვა:

— ფრიად სამწუხაროა, რომ ბატონი დამცველი ცინიკურად სწამებს ცილს გერმანიის მართლმსაჯულებას.

— საქმის ვითარებაა ცინიკური და არა დამცველი; მან მხოლოდ მიუთითა ამაზე. სახელმწიფო, სადაც მოსამართლე-გამომძიებელი უარს ამბობს დაჰკითხოს ორი ადამიანი, რომელთაც ყველაფერი საკუთარი თვალით ნახეს და შეუძლიათ საყურადღებო ჩვენება მისცენ, უარს ამბობს მხოლოდ იმ განზრახვით, რომ მკვლელს სასჯელი აარიდოს, მართლაც არ არის სამართლებრივი სახელმწიფო, — მიუვო ნაფიცმა მსაჯულმა დოქტორ ბუქმა.

დოქტორ ბუქს ვიურცბურგში უწყინარ შეშლილად თვლიდნენ. ახირებული კაცი გახლდათ, არავინ უწევდა ანგარიშს. ასეთ ადამიანს გერმანიის ყველა ქალაქში შეხვდებით. ორ-სამ წელიწადში ერთხელ რამდენიმე სტრიქონს უბეჭდავდნენ — ფილოსოფიურ თეზას ან მათემატიკურ ფორმულას, — რის გამოც შემდეგ ევროპის ფილოსოფიურ ჟურნალებში დისკუსია იმართებოდა. ამ დისკუსიების გამოძახილი ვიურცბურგამდე არ აღწევდა. დოქტორი ბუქი კერძო ვაკვეთილებით ირჩენდა თავს. ძველი ბერძნული, ლათინური და ხუთი ახალი ენა იცოდა. ომის შემდგომი წლების გაჭირვება მაინცადამაინც არ უგრძენია, რადგან უკეთ არც მანამდე უცხოვრია. პირველ სართულზე ახლაც იმავე ბნელ ოთახში ცხოვრობდა, სადაც ორმოცდახუთი წლის წინ, სტუდენტობის დროს შესახლდა. ყველგან წიგნები ეწყო — ქურაზე, საწოლზე, იატაკზე ხომ გროვა-გროვა ელაგა. უკანა კარი გავერანებულ პატარა ბაღში გადიოდა. ამ ბაღში დოქტორ ბუქს ორმოცდახუთი წლის მანძილზე ფეხი არ შეუდგამს. ახლა სამოცდაოთხი წლისა იყო. ჯერ კიდევ მუქი, ბუმბულივით მსუ-

ბუქი თმის რამდენიმე ღერო შუბლზე ჩამოშლოდა. დამქცნარი კანის ღრმა ნაოჭები ვერტიკალურად ეშვებოდა ყვრიმალეებიდან ნიკაპამდე. თავმჯდომარემ სხდომა ნაფიც მსაჯულთა იურიდიული შეგონებით გახსნა. თუ ბრალდებულს სულით ავადმყოფად ჩათვლით. გასამართლება ასცდება. ამ შემთხვევაში მას, როგორც სოციალურად საშიშ პიროვნებას, სახელმწიფო ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მოათავსებენ. ამას მოითხოვს პირადად მისი და სოციალური საზოგადოების ინტერესები.

თავმჯდომარეს კიდევ უნდოდა რაღაც ეთქვა, მაგრამ ერთ-ერთმა მსაჯულმა სიტყვა შეაწყვეტინა. ეს იყო მკინძავი ამენი, ჭაღარა, პატარა კაცი, ტანთ ახლაც ის სერთუეი ეცვა, რაშიც ამ ოცდაათი წლის წინ ჯვარი დაიწერა.

— ჩვენ საიდან უნდა ვიცოდეთ, ბრალდებული სულით ავადმყოფია თუ არა, როცა ამ საკითხში სწავლული სპეციალისტებიც კი ვერ შეთანხმებულან, — თქვა მან.

თავმჯდომარემ გაიმეორა, ნაფიცმა მსაჯულებმა მხოლოდ ოფიციალური ექსპერტის დასკვნით უნდა იხელმძღვანელონო. ამაზე მემინე ფრიოლიძმა თქვა:

— ამას წინათ ქალაქის საგიჟეთში, რომლის შუა ფლიგელს ყუმბარა მოხვდა, 187 ფანჯარაში ახალი მინები ჩავსვი. ღმერთმა უწყის, სად იწოვეს მინა. მაგრამ მე აი, რა მინდოდა მეთქვა — ორი კვირა ვიმუშავე იქ და მთელი დღე გიჟებს ვუყურებდი, ნამდვილ გიჟებს, როგორ იმანჭებიან, და რას მიედ-მოედებიან, ამის აღწერა შეუძლებელია. როცა ამას ვიგონებ, ეჭვიც არ მეპარება, რომ ფროილიან ფროიდენჰაიმი ისეთივე ნორმალური ადამიანია, როგორიც კი შეიძლება იყოს საერთოდ ადამიანი. თუ ფროილიან ფროიდენჰაიმი გიჟია, მაშინ საგიჟეთში დამწყვდევული გიჟები ჭკვიანები ყოფილან, ანდა მე აღარაფერი გამეგება და თვითონა ვარ გიჟი.

— არა, ამ გოგოს სიგიჟისა არაფერი ეტყობა, — წამოიძახა უცრად აღმფრთხილებლმა ნაფიცმა მსაჯულმა, მარი იბელმა. მარიმ თავი ველარ შეიკავა, ბოღმა ახრჩობდა. სახე წითელი ლაქებით დაეფარა. იგი გულკეთილი ქალი იყო და წამდაუწუმ ტიროდა. მოწმეთა დაკითხვის დროს ამოდ ცდილობდა შეეკავებინა ცრემლები. მარი იბელი ობერკელნერის ქვრივი იყო. მის ძმისშვილს დახაუში ამონადეს სული.



— იმ შემთხვევაში, თუ ბრალდებულს შერაცხადად სცნობთ, და ამით წინასწარ განზრახულ მკვლელობაში დასდებთ ბრალს, მაშინ სამუდამო კატორღა უნდა მიუხაჯოთ, — თქვა თავმჯდომარემ იურიდიული შეგონების დასასრულს. აშკარად იგრძნობოდა, რასაც ფიქრობდა, — მე გავაფრთხილეთ და ახლა თქვენ იცითო.

ლოქტორმა ბუკმა, ლაპარაკის დროს წარამარა ცხვირს რომ ისრესდა, თავმჯდომარეს უთხრა:

— ამრიგად, ორში ერთი: ან ფსიქიატრიული საავადმყოფო ან სამუდამო კატორღა? ისეთი ვითარება რომ იყოს, როგორც თქვენა ბრძანეთ, მაშინ ასარჩევი არაფერი გვექნებოდა. ორივე შემთხვევაში რთუ ფროიდენჰაიმის მიმართ უდიდეს უსამართლობას ჩავიდენდით, — ბუკმა ცხვირი მოისრისა, — მაგრამ სინამდვილეში ამ პროცესის მიზანია, მხოლოდ ერთი რამ დადგინდეს, საერთოდ შეიძლება თუ არა რთუ ფროიდენჰაიმის პასუხისგებაში მიცემა მაშინ, როცა მისი მშობლების მკვლელს პასუხი არ მოსთხოვეს.

თავმჯდომარე გაოგნებული მიაჩერდა ბუკს და მეტისმეტად აღელვებულმა წამოიძახა:

— ამ პროცესის მიზანი განაჩენის გამოტანაა.

— სამართლებრივ სახელმწიფოში ეს მართლაც იქნებოდა ჩვენი მიზანი, მაგრამ არსებულ ვითარებაში ამ პროცესისათვის არავითარი სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს. ან იქნებ კვლავაც ძალაშია ბანდიტების კანონი — კაციჰამია ნაციისტებმა უნდა იცოცხლონ, მათი მოწინააღმდეგენი კი დაიხოცონ?

— დავუშვათ ერთი წუთით, რომ პროკურატურა მართლაც უკანონოდ მოიქცა და განზრახ აარიდა თავი ცვიშენცალის პასუხისგებაში მიცემას. განა ამის გამო ბრალდებული, რომელმაც ცვიშენცალი მოკლა, უდანაშაულოა? ცხადია, არა! იგი ამ შემთხვევაშიც დამნაშავეა და პასუხისგებაში უნდა იქნას მიცემული, — თქვა ისტორიის პროფესორმა და გაიღიმა. — ბოლოს და ბოლოს კანონიერების აღსადგენად ხომ უნდა გადაიდგას პირველი ნაბიჯი, თუ გვინდა, რომ გერმანიაში კვლავ დამკვიდრდეს კანონი და წესრიგი.

ლოქტორი ბუკი ჰებერლაინს მიუბრუნდა:

— ნაფიც მსაჯულთა ამოცანა არ გახლავთ, ფეხქვეშ გათელილი სამართალი რთუ ფროიდენჰაიმის ხარჯზე შეაკოწიწოს. კანონიერება მხოლოდ ბოროტმოქმედ ნაციისტების ხარჯზე უნდა



აღსდგეს. ისინი ახლაც ათასობით ცხოვრობენ ჩვენს შორის და ხელისუფალთა მფარველობითაც სარგებლობენ. — ბუკმა ხელი ღია ფერის ლაქისაკენ გაიშვირა. — მისი სურათი აღარ ჰკიდია აქ, მაგრამ მისი ავი, სატანური სული ისევ ცოცხლობს გერმანიაში და თავის ბინძურ საქმეს განაგრძობს. ერთი მითხარით, როგორ მოიკიდებს ფეხს ახალი სამართლებრივი სახელმწიფო, თუ კანონის დამცველნი ბოროტმოქმედ ნაციისტებს ხელს არ ახლებენ, მათ მოწინააღმდეგეებს კი დასჯიან. ზუსტად იგივე ხდებოდა ნაციისტების ბატონობის დროსაც და ამ ქაობში დღემდე ვართ ჩაფლული. უპირველეს ყოვლისა, ქაობის ამოშრობაა საჭირო. მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება დაიბადოს ახალი. წმინდა გერმანია.

— მეც ასე ვფიქრობ, — უნებურად წამოსცდა კელნერის ქვრივს, იგი მაშინვე წელში გასწორდა და ტუჩები ისე მაგრად მოკუმბა, თითქოს თავდაცვაზე გადავიდა, აქაოდა, საკუთარი აზრი გამოვთქვიო. — ჩვენი კვარტალის ზედამხედველმა ჩემი ძმისშვილი გესტაპოში დააბეზდა. ახალგაზრდა კაცს დახაუში ამოხადეს სული, კვარტალის ზედამხედველი კი ახლა პოლიციაში მსახურობს. როგორც კი ეს ამბავი გამახსენდება, პირდაპირ ავად ვხდები.

— ჩემს ძმას ფროილან ფროიდენჰაიმის ხნის ქალიშვილი ჰყავს. ცვიშენცალს ჩემი ძმა და რძალი რომ მოეკლა და როში საროსკიპოში გაეგზავნა — ხალხო კეთილო, თავადაც არ ვიცი, რას ვიზამდი, — უთხრა პროფესორ ჰებერლაინს გამხდარმა, გაძვალტყავებულმა მშვედელმა, რომელიც აქამდე ჩუმად იჯდა.

— ის, რაც რუთ ფროიდენჰაიმმა ჩაიდინა, რევოლუციური აქტია, — განაგრძო დოქტორმა ბუკმა. — ფეხქვეშ გათელილი, გახრწნილი სამართალი რომ რევოლუციური გზით კვლავ აღმდგარიყო, საჭირო გახდა ეს პატარა, წამებული ებრაელი გოგონა დაბრუნებულიყო. — ბუკი მიუბრუნდა ნაფიც მსაჯულებს, რომელთაც იურისპრუდენციის არაფერი გაეგებოდათ. — რუთ ფროიდენჰაიმი რომ გაგვემართლებინა კიდევ, ეს არ იქნებოდა კანონის ჯეროვანი დაფასება, რადგან ბრალდებისათვის არავითარი კანონიერი საფუძველი არ არსებობდა. ჩვენ მხოლოდ მაშინ მოვეპყრობით რუთ ფროიდენჰაიმს სამართლიანად და გერმანულ ხალხსაც გაუუწვეთ სამსახურს, თუ ბრალდებას არაკანონიერად ჩავთვლით და აქედან გამომდინარე უარს ვიტყვით განაჩენის გამოტანაზე.

— მაშინ ხომ ჩვენც რევოლუციონერებივით მოვიქცევით, ვაეცინა პროფესორ ჰებერლაინს, სასამართლოს თავმჯდომარე კი ფეხზე წამოხტა:

— ეს ხომ სკანდალი იქნება. გერმანიის სასამართლოს ისტორიაში ჯერ არ ყოფილა შემთხვევა, რომ ნაფიც მსაჯულებს უარი ეთქვათ განაჩენის გამოტანაზე.

ამ სიტყვებმა ყველა ააღელვა, ერთმანეთს ლაპარაკს არ აცლიდნენ.

— რუთ ფროიდენშაიმი მართლაც არ უნდა იყოს გიყი. მაგრამ როგორ შეიძლება, გავაგზავნოთ კატორღაში ქალიშვილი, რომელმაც ამდენი გადაიტანა! ამას ვერასოდეს ვერ ვაპატიებ ჩემს თავს, — თქვა მჭედელმა გოტლიბმა.

— რაც აქ ვზივართ. სულ იმაზე ვფიქრობ, როგორ უნდა გავართვათ თავი ამ საშინელ საქმეს, — თქვა მემინე ფრიოლიჰმა, სანამ კენჭისყრას დაიწყებდნენ. — ის, რაც დოქტორმა ბუქმა ბრძანა, ერთადერთი სწორი გადაწყვეტილებაა და საერთოდაც სწორია.

ამ გადაწყვეტილებას სამმა მოსამართლემ და პროფესორმა ჰებერლაინმა არ დაუჭირეს მხარი.

სანამ ნაფიც მსაჯულთა თათბირი დამთავრდებოდა, დამსწრე საზოგადოების ერთი ნაწილი დერეფანში იდგა და განაჩენის გამოტანას ელოდა. ამ არეულ-დარეულობაში ოთხმა მოწაფემ სასამართლოს დარბაზში შეუმჩნევლად შეპარვა მოახერხა და ოთხივემ კედელ-კედელ წინა რიგებამდე მიადწია, როცა რუთი შემოიყვანეს, მოსამართლე და ნაფიცი მსაჯულები უკვე თავ-თავიანთ ადგილებზე ისხდნენ. რუთი დაჯდა და მარტინს მიაჩერდა, მაშინაც კი არ მოუშორებია მისთვის თვალი, როცა დოქტორი ბუკი, ნაფიც მსაჯულთა თავკაცი, ფეხზე წამოდგა.

— სამართლიანობის, მხოლოდ და მხოლოდ სამართლიანობის გამარჯვებისათვის ნაფიც მსაჯულთა უმრავლესობამ უარი განაცხადა განაჩენის გამოტანაზე, — თქვა მან.

პირველად დარბაზში ვერავინ მიხვდა, რას ნიშნავდა ამგვარი გადაწყვეტილება. პროკურორი მაშინვე თავმჯდომარეს მივარდა და დაბნეულმა ჰკითხა, ახლა რაღა ექნათო.

თავმჯდომარემ უმწეოდ აიჩეჩა მხრები. მათ დამცველი მიუახლოვდა და თქვა:

— ნაფიც მსაჯულთა გადაწყვეტილებას ველარ შეცვლით. თუ გინდათ უხერხულ მდგომარეობას თავი დააღწიოთ. ერთადერთი რაც დაგრჩენიათ, ბრალდების მოხსნაა.

ხალხში ჩოჩქოლი ატყდა. ყველა ფეხზე იდგა. ბოლოს ზოგი მიხვდა, რაც მოხდა და დარბაზში „ვაშას“ ძახილი გაისმა. აქა-იქ პროტესტის ნიშნად ანტისემიტური შეძახილებიც ისმოდა. დარბაზში ყურთასმენა აღარ იყო. ხალხი მუშტებით დაერია ერთმანეთს, გეგონებოდათ, მიტინგი ჩაშალესო. სასამართლოს დარბაზში რევოლუცია მოხდა.

მოწაფეები რუთსა და მარტინს შემოეხვივნენ.

— წადით ახლავე აქედან! ახლავე წადით! — დაიყვირა აღელვებულმა გველკაცამ და რუთს მკლავში ხელი წაავლო. მარტინსა და ოთხ მოწაფეს ამოფარებულმა რუთმა ძლივს დააღწია თავი გამმაგებულ ბრბოს.

## XV

### „ძვირფასო სტივი!“

დღეს შენმა მეგობარმა ისევ მომიტანა შენი გამოგზავნილი ამანათი. ყველაფერი ძალიან გემრიელია! თუ რამე მაქვს, რუთსაც ვუნაწილებ, საზრდო სულ გამოელია. ცოტა ფრატუ ბახისთვისაც მიმაქვს. კარგი ადამიანია, იცის, როგორ დაეხმაროს ჩემს მდგომარეობაში მყოფ ქალს. მე ხომ სულ გამოუცდელი ვიყავი. თავისი კაბაც კი მაჩუქა, რადგან ჩემსაში ველარ ვეტევი. შენ ახლანამდელიად იფიქრებ, ბერსა ეკამ და ამიტომაც კასრივით სქელო გავხდი. სტივ, საყვარელო, ერთი რამ უნდა გაცნობო. რუთს კარგა ხანია მეჩინებდა, მისწერო სტივს, და ახლა მეც ვფიქრობ, რომ უფლება გაქვს ყველაფერი იცოდე. მაგრამ არ შეგეშინდეს, დამიჯერე, მე ამის გამო ძალიან, ძალიან ბედნიერი ვარ. ძვირფასო სტივ, სამ კვირაში ბავშვი მეყოლება. ჩემო კარგო, ძალიან გთხოვ, მძიმე ფიქრებს ნუ მიეცემი. სადარდებელი არაფერია, ბავშვს ყველაფერი ექნება, რაც საჭიროა. მე უკვე საბავშვო ეტლიც მაქვს და სხვა რაღაცეებიც. ჩემს ქონს ახლა კარი აქვს, კუთხეში შენი ღუმელი დგას. ამასობაში შეშაც მოვიმზადე. ასე რომ, ზამთარში არ შესცივდება. დოქტორმა გროსმა

მიტხბა, როცა დრო მოგიწევს, საავადმყოფოში საწოლს გავა-  
თავისუფლებო. აი, ხომ ხედავ, ამაზე უკეთ მდიდარ ქალსაც  
ვერ მოუმართავდნენ ხელს. (კარგი იქნება, რძის ფხვნილსა და  
საბავშვო ეტლისათვის პატარა მატყლის საბანს თუ გამომიგ-  
ზავნი. მართალია, დოქტორი გროსი ფიქრობს, მე თვითონაც  
საკმარისი რძე მექნება, მაგრამ წინასწარ ამის თქმა ვის შეუძ-  
ლია). ნეტა შენ თუ გემგვანება? უთუოდ დაგემგვანება. ფრაუ  
ბახი ამბობს, ხშირად ბავშვებს თვალელები ჭერ ლურჯი აქვთ, შეკ-  
დევ კი უშავდებათო. მაგრამ მას აუცილებლად შენსავით ლურ-  
ჯი თვალელები უნდა ჰქონდეს. ძალიან მენატრები, და ხშირად  
მტკივა გული, ის მხარე, სადაც გულია, რადგან ყოველ წუთში  
მენატრები. აჰ, სტივ, რა ძნელია. მაგრამ ბავშვთან ამას საერთო  
არაფერი აქვს. პირიქით! უამისოდ უფრო გამოიჭირდებოდა. რა  
მართო ვიქნებოდი მაშინ! ასე კი შენ სულ ჩემთანა ხარ. ღვთის  
გულისათვის, ნუ მიწყენს ჩემი შვილი, მას რომ შენგან ვერ ვან-  
სხვავებ, შენ კი მისგან. მე თქვენ ერთმანეთისაგან ვერ განსხ-  
ვავებთ: ჩემთვის ორივე ერთი ხარო — მიყვარხარ.

იოჰანა“.

იოჰანას არც საფოსტო მარკა ჰქონდა და არც მარკის ფული.  
ამიტომ წერილი ჯიბეში ჩაიღო და რუთთან წავიდა: რუთს ერთი-  
ორი პფენიგი ყოველთვის მოუძებნებოდა.

შაოტინი გაზეთში პროცესთან დაკავშირებით დაბეჭდილ წე-  
რილს კითხულობდა. „რევოლუციამ, რომელსაც ნაციისტების ბა-  
ტონობის დამხობის შემდეგ ვხა გადაუღობეს, კვლავ იჩინა თავი  
მსაჯულთა და საზოგადოების სამართლიანობის გრძნობაში“.

რუთი ვახშამს ხარშავდა. ისეთი გამოცოცხლებული, გაბრწყინ-  
ებული და რაღაც უჩვეულოდ გადატკეცილი სახე ჰქონდა,  
თითქოს ეს წუთია თბილი, მაამებელი აბაზანიდან ამოვიდაო. ყვე-  
ლაფერი, რასაც იგი აკეთებდა, — თუნუქის პატარა, ღუმელთან  
იდგა, ქვაბი გადადგა, წვნიანს გემო გაუხსინჯა, ცოტა მარილი და-  
უშმატა, — იმაზე მეტყველებდა, რომ აწმყოთიც კმაყოფილი იყო  
და მოძავლის იმედიც ჰქონდა.

— მარტინ, გამოდი, ვივახშმოთ! — გასძახა ფარდის უკან მო-  
კალათებულ მარტინს.



რამდენი საათი ფიქრობდა მარტინი ამაზე, მაგრამ ვერა და ვერ გაბედა რუთისათვის გაეზიარებინა გულისნადები. ბოლოს, როცა წვნიანი უკვე მაგიდაზე იყო, თავს ძალა დაატანა:

— ამ პროცესმა მთელი ქალაქი ააღელვა. შენ აქ არასოდეს არ მოვასვენებენ. მოდი, შპესარტში გადავსახლდეთ. იქ მშვიდად ვიცხოვრებთ. რუთ, მე მინდა, დავქორწინდეთ კიდევ.

— აჰ, მარტინ, — წამოიძახა შემფოთებულმა რუთმა, თითქოს მთელი ცხოვრება, რომელიც ნელ-ნელა ძლივს ააწყო, ისევ უეცრად თავზე დაენგრათ. ქალმა მოძალებული ცრემლი შეიკავა, თავი ასწია და მიაჩერდა მარტინის დამწუხრებულ სახეს, რომელსაც რუთის გამო განცდილმა შიშმა თავისი კვალი დაამჩნია. მარტინი მეტისმეტად დარცხვენილი ჩანდა. თვალები იმ მძიმე ავადმყოფს მიუგავდა, რომელიც შველას ითხოვს. რუთს სხვა გზა აღარ ჰქონდა:

— როგორც გინდა, მარტინ.

უხმოდ ივახშმეს. მარტინი საავადმყოფოში წავიდა ღამე სამორიგეოდ. რუთი ერთ ხანს გაუნძრევლად იჯდა, მერე კი ჩაილაპარაკა: „სიტყვა მივეცი, ველარ გადავთქვამ“. უეცრად საროსკიპოში მომხდარი ამბავი გაახსენდა. ამ ამბავს თითქოს რუთის ბედის ტრიალთან საერთო არაფერი ჰქონდა. ერთმა ახალგაზრდა ქალმა ასეთი რამ უამბო: ქმარი რომ მომიკვდა, ვერაფრით ვერ შევეგუე იმ აზრს, რომ ის ამქვეყნად აღარ იყო. ბოლოს იტალიაში გავემგზავრე, გამიჭირდა იმ ბინაში ცხოვრება, სადაც ყოველი ნივთი ასე მტკივნეულად მაგონებდა ქმარს. ერთი წლის შემდეგ დავბრუნდი და მატარებელში საკუთარ თავს ვუთხარი, თუ მის საყვარელ მელოდიას მშვიდად მოვისმენ, კვლავ შევძლებ ჩვენს ბინაში ცხოვრებას-მეთქი. პატეფონთან ისე მივედი, ისე დავდე ფირფიტა, რომ არც ქუდი მომიხდია და არც პალტო გამიხდია. როგორც კი ნაცნობი მელოდია მომესმა, მკვდარი ბინიდან გამოვვარდი და ისევ სადგურს მივაშურე (რამდენიმე დღის შემდეგ ამ ახალგაზრდა ქალმა საროსკიპოში თავი მოიკლა).

რუთი ისევ გაუნძრევლად იჯდა. შეეცადა თავისი თავი მარტინის ცოლად წარმოედგინა. რატომღაც ქვეცნობიერად საროსკიპოს ამსახველი სურათებით სავსე საქაღალდე გახსნა. შიშველი ჯარისკაცი, მის სხეულს რომ ჩასჭიდებოდა, უეცრად მარტინად

იქცა. რუთი ზიზღით სავსე თვალებს არ აშორებდა მარტინს, რომელიც მის სხეულს ჩასჭიდებოდა. ასე ეგონა, ლიანდაგზე იდგა და ცდილობდა, მუშტებით გაეჩერებინა მისკენ სწრაფად მომავალი მატარებელი...

იოჰანა რომ ესტუმრა, რუთი უკვე დამშვიდებული ჩანდა. მეგობრები ფოსტაში წავიდნენ და მარკები იყიდეს. როცა უკან ბრუნდებოდნენ, რუთმა თქვა, სასამართლოს ფსიქიატრთან უნდა შევიარო, ფრაუ ბახის პირით შემომითვალა, ამ სადამოს გელოდებიო. ფრაუ ბახი ფსიქიატრს ბინას ულაგებდა. „რისთვის გიბარებს,“ — ჰკითხა იოჰანამ. რუთმა ოდნავ გაიღიმა და უბასუხა:

— იმ პროცესისა არ იყოს, ალბათ ახლაც დამიწყებს მტკიცებას, სულით ავადმყოფი ხარო. — მან არ იცოდა, ფსიქიატრს მარტინმა სთხოვა, გასაუბრებოდა რუთს.

მაგისტრატმა ფსიქიატრს ოთახი ერთ დაუნგრეველ შენობაში მისცა. ეს შენობა ქალაქს ეკუთვნოდა. შუა ოთახში გრძელი მაგიდა იდგა, მაგიდაზე წიგნები და ჟურნალები ელაგა. სავარძელში ღრმად ჩამჯდარი რუთი ფეხებით იატაკს ვერა სწვდებოდა, ზემოდან მაღალი ტორშერის შუქი ეცემოდა. ფსიქიატრი ჩრდილში იჯდა, რუთი მის სახეს ვერ ხედავდა, მხოლოდ ხმა ესმოდა.

ფსიქიატრმა ჯერ პროცესის კეთილად დამთავრება მიულოცა, მერე კი უთხრა, სხვა ქალებსა და ქალიშვილებივით ახლა უთუოდ უნდა სცადოთ ნორმალურ ცხოვრებას დაუბრუნდეთო. როცა რუთმა მიუგო, მარტინს რომ ჩემთვის ეთხოვა, ისედაც მოვიდოდიო თქვენთან, ფსიქიატრი ჩრდილიდან გამოვიდა, ქალის წინ გაჩერდა და ხუმრობით უთხრა:

— ექვი არ მებარებოდა, ეშმაკობას მიგვიხედებოდით. დოქტორ მარტინს ჰგონია, რომ მე შევძლებ ზოგი რამ ავიხსნათ. მას ძალიან უყვარხართ. ეს თქვენთვის დიდი ბედნიერებაა.

— მისთვის კი უბედურება.

— ეს მხოლოდ თქვენზეა დამოკიდებული.

— ვერც მე და ვერც მარტინი ვერ ამოვშლით მეხსიერებიდან იმას, რაც მოხდა.

— გარწმუნებთ, მან ეს უკვე შესძლო. დიდხანს მოურიდებლად ვესაუბრე ამ საკითხზე. სიყვარულს ბევრი რამ შეუძლია.

— მაგრამ არა ყველაფერი.

— ჩემთვის გასაგებია, რატომ არა გჯერათ. მაგრამ დავუშვათ ერთი წუთით, რომ მან შეუძლებელი შესძლო და თქვენი შერთვა ბედნიერებად მიაჩნია, თქვენ რაღას იზამთ ამ შემთხვევაში, ნუ-თუ არ გაუწვდით ხელს?

რუთმა ჯერ არაფერი უთხრა. ფსიქიატრი ისევ ჩრდილს ამო-ეფარა, იქიდან აკვირდებოდა ქალს. ბოლოს რუთი აღაპარაკდა:

— საროსკიპოში ერთმა ძალიან კარგმა ქალიშვილმა მითხრა. როგორც კი თმი დამთავრდება, თუ აქედან ცოცხალი გავაღწევ, დაესახლდება რომელიმე დიდ ქალაქში. სადაც ჩემზე არავის არაფერი ეცოდინება, იქნებ შემხვდეს ისეთი კაცი, ვინც შემიყვარებს და ჩემშიც გააღვიძებს სიყვარულის გრძნობას. თუ ასე მოხდა, გავთხოვდები და სხვა ქალებივით წესიერად ვიცხოვრებო... ის ქალიშვილი ყველაფერს როგორღაც მარტივად უყურებდა. ეს მე არასოდეს არ მესმოდა.

ამ დროს ფსიქიატრის ხმა გაიგონა:

— ვიცი, თქვენ ასეთ რამეს იოლად ვერ შეეგუებით. თქვენ უფრო მგრძნობიარე არსება ხართ. სამაგიეროდ, ისეთი თვისებებით დაგაჯილდოვებთ ბუნებამ, რაც იმ ქალიშვილს არ გააჩნდა. თქვენ უფრო დიდი გაქანების ადამიანი ბრძანდებით და სწორედ ეს მოგცემთ ძალას, განთავისუფლდეთ მძიმე განცდათა ფსიქიკური ზემოქმედებისაგან. რატომ მაინცდამაინც ფიზიკურ მხარეს ანიჭებთ უპირატესობას? მთავარი თვითონ ადამიანია. მიუხედავად მძიმე ხვედრისა, მაინც არ დაკარგეთ თქვენი „მე“. ეს ჭეშმარიტად საამაყოა. ჩემი ყოფილი მასწავლებელი თავის დასკვნაში იმედს გამოთქვამს, რომ თქვენ მომავალში კვლავ დაუბრუნდებით ცხოვრებას. მაშ, გამოიჩინეთ სულგრძელობა საკუთარი თავის მიმართ, და ნუ გაუშვებთ ხელიდან ასეთ შესაძლებლობას.

ხანგრძლივი დუმილი ჩამოვარდა. ამასობაში რა არ იფიქრა, რა არ განიცადა რუთმა. ბოლოს შეძრწუნებულმა თქვა:

— მარტინი ერთი იმ ათასთაგანი იქნება, ეს კი საშინელებაა, რადგან იგი ჩემთვის ძალიან ძვირფასია. სწორედ იმიტომ შექმულდება, რომ ასე ძალიან მიყვარს. — ქალი წამოდგა. — დიდად გმადლობთ გულისხმიერებისათვის. — რუთმა უხერხულად გაიღიმა და გავიდა.

ორი კვირის შემდეგ რუთი და მარტინი დაქორწინდნენ. იოპა-

ამ ძველი ფარდისაგან რუთს კაბა შეუკერა. მარტინი შპესარტში გაემგზავრა და სამი სოფლის ბურგომისტრებს მოელაპარაკა. სამივეს ძალიან გაეხარდა, როგორც იქნა, ჩვენს სოფლებს ექიმი ეღირსაო, და ერთხმად გადაწყვიტეს, მუნიციპალიტეტის ხარჯზე შეეკეთებინათ ტყეში განმარტოებით მდგარი სახლი, სადაც დიდი ხანია არავინ ცხოვრობდა.

იოჰანა და დოქტორი გროსი მეჯვარედ გაჰყვნენ. გრძელწვერა, პენსნიანი მოხელე, პირველად სულ იოჰანას მიმართავდა, დღე-დღეზე მოსალოგინებელი ქალი პატარძალი ეგონა. რუთს კი დიმილითა და ბოდისით უთხრა, სასიძოს უმცროსი და მეგონეთო.

როგორც კი დაქორწინდნენ, მარტინი და რუთი მაშინვე საღვურისაკენ გაემართნენ. მარტინმა სამედიცინო ხელსაწყოები, წამლების ყუთი და ველოსიპედი ადრევე გაგზავნა შპესარტში, თავის ახალ სახლში. მატარებლის გასვლას ცოტაღა აკლდა, როცა იოჰანამ ადევნებულ და დაბნეულ რუთს გაუბედავად უთხრა:

— მარტინმა ეს იმიტომ გააკეთა, რომ დაუქორწინებლად გლენებთან ერთ ჭერქვეშ ვერ იცხოვრებდი.

რუთმა თითქოს ვერ გაიგონა მისი სიტყვები, ორთქლმავალთან გაჩერებულ დავითს მიუბრუნდა. დის გვერდით ბიჭი ყოველთვის დარცხვენილი ჩანდა და ორიოდვე წუთზე მეტ ხანს ვერ ძლებდა მასთან.

მაგრამ როცა მატარებელი თვალს მიეფარა, დავითი კვლავ გადახურულ ბაქანზე იდგა, გზას გაჰყურებდა და ტუჩები უთრობდა.

მატარებელი მაინის გასწვრივ მიჰქროდა. ახლად დაქორწინებულნი ფანჯარასთან ისხდნენ. რუთი გაჰყურებდა იმ ადგილებს, ერთი წლის წინ ფეხით რომ გამოიარა მკვდარმა ქალიშვილმა, რომელსაც მხოლოდ ერთი სურვილიღა შეერჩენოდა, — აუჩქარებლად, ფეხით მიეღწია მშობლიურ ქალაქამდე. შესამჩნევად გამოცოცხლებულ სახეზე უზომო კმაყოფილების კვალი აღბეჭდოდა. ამ ერთ წელიწადში დიდი გზა განვლო — საკუთარი თავი იპოვა.

რუთი ახლა ყველაფერს ისე აჯამებდა, როგორც ვაჭარი წლას ბოლოს: აი, იგი მონუხსხულივით ღვას ტყის მყუდრო ტევრში ნახევრად გამხმარ ტოტთან, ტოტს აქა-იქ ჭერ კიდევ შერჩენია ნორჩი, ფოთლიანი ყლორტები; უეცრად გაურკვეველი გრძნობა



იპყრობს, თითქოს თვითონაც ტყის ნაწილია. იმ წუთს ვერ მიხვ-  
და, მაგრამ ახლა იცის, სწორედ მაშინ გადადგა პირველი ნაბიჯი,  
უკან, ცხოვრებისაკენ. უკვე მშვიდად ათვალეირებს აუშვიცის და  
საროსკიპოს ამსახველ სურათებს. ეს მხოლოდ ნახატებია. აი, სი-  
ცოცხლეს უსპობს მშობლების მკვლელს. მოსამართლეს ეუბნება,  
მას შემდეგ უკეთ ვარო, და სასამართლოს დარბაზს ტოვებს. ამ-  
ჟამად პროცესიც წარსულს ჩაბარდა. რუთმა ღრმად ამოისუნთქა.

ნგრევის პირველ დღეთა სისხლიან ქარცეცხლში, სანამ სა-  
როსკიპოში მორიგ კლიენტს მიიღებდა, რუთმა ჩასთვლამა  
და განთავისუფლება დაესიზმრა. ქვიშით დაფარულ ციცაბო  
აღმართს მიჰყვება. მაღლიდან ათასობით მკვდარი, დუჟმორეული,  
ქედში შუბგაყრილი ხარი მოეჩანება. უეცრად ერთი ხარის ზურ-  
გიდან პატარა, ქერა გოგონა გადმოფრთხილდა, რუთს ხელში ხე-  
ლი წაავლო, თავქვე მორბენალ გახელებულ პირუტყვებს შორის  
უვნებლად გაატარა და მწვერვალზე აიყვანა. მწვერვალის თავ-  
ზე მზე, ცის მოგუგუნე ორგანი დედამიწას ხილულ სხივებს  
სტყორცნის. ბავშვი თვით მუსიკაა. მელოდიური ხმით ამბობს  
რადიკას და უჩინარდება. რუთს მაშინ გაეღვიძა, როცა ახალმა  
კლიენტმა საბანი გადახადა.

თვალდახუჭულმა კიდევ ერთხელ წარმოიდგინა ყველაფერი,  
რამაც ერთ წელიწადში სული განუწმინდა, მაგრამ უეცრად მოა-  
გონდა, რა თავზარდამცემი იყო იმ სიზმრის შემდეგ საროსკიპო-  
ში გამოღვიძება. ისიც დაინახა, ამას წინათ რატუშაში მოხელის  
წინ რომ იდგა. შეძრწუნებულმა თვალეზი გაახილა და ბავშვივით  
საცოდავად წაილულლულა:

— ხომ არ მახლებ ხელს, მარტინ?

— არა, რუთ, განა შენ ეს არ იცი?

რუთი მთელი სხეულით კანკალებდა. მარტინმა ხელი მოხვია  
და ქალიშვილის თავი მხარზე მიიღო. მატარებელი გაჩერდა. კუ-  
ბეში გლეხი ქალი შემოვიდა. როცა მატარებელი ისევ დაიძრა,  
რუთმა უფრო მოხერხებულად დაანდო ლოყა მარტინის მხარს და  
რამდენიმე წამში კიდევ ჩაეძინა.

იჭ სადაც შპესარტის ქედის განტოტება იწყება, რუთი და  
მარტინი მატარებლიდან გადმოვიდნენ და ბორნისაკენ დაეშვნენ.

ტანმორჩილმა ბერიკაცმა ისინი მდინარას მეორე ნაპირზე გადა-  
იყვანა.

იოჰანამ სტივის ამხანაგთან შეიარა. სთხოვა, თუ სტივი წე-  
რილს გამომიგზავნის, პატივი დამდეთ და საავადმყოფოში მომი-  
ტანეთო. დაბრუნებისას ფრაუ ბახს ესტუმრა: სტივის გამოგზავ-  
ნილი დამარილებული ძროხის კონსერვი უნდა გადაეცა. სარდა-  
ფის კიბეზე რომ ჩადიოდა, კედელს დაეჯახა და ქვის საფეხუბრებზე  
დაეცა. იოჰანამ უკვე იცოდა, რას ნიშნავდა ასეთი მწვავე ტკივი-  
ლი და მიხვდა, რაც დაემართა. ოთხი კვირის წინაც ჰქონდა ძლიერი  
სისხლის დენა.

ფრაუ ბახს კენესა მოესმა, პატარა ფიცრულიდან გამოვიდა,  
იოჰანას ხელი მიაშველა და ტანტამდე ძლივს მიიყვანა. იოჰანას  
ტუჩები გალურჯებოდა. ყოველ ამოსუნთქვაზე კენესოდა. ფრაუ  
ბახმა გველკაცა დოქტორ გროსთან გაგზავნა საავადმყოფოში.

მალე იოჰანა პაწაწინა ოთახში იწვა, სარკმლიდან საავადმყო-  
ფოს ბაღში გაშენებული წაბლის ხეთა კენწეროები მოჩანდა.  
სისხლის დენამ უკლო. ღამით კი სულ შეწყდა. დილით შეტევები  
დაეწყო.

მეორე დღეს სტივის მეგობარმა წერილი მოუტანა. როცა  
მძიმე შეტევები ოდნავ მოეშვა, იოჰანამ ისევ გამოიხედა თვალებ-  
ში და წერილი გახსნა.

„ძვირფასო იოჰანა!

შენი და ჩემი საბუთების მოგვარებას რამდენიმე თვე დასჭირდა.  
ამაზე არაფერს გწერდი, რადგან არაფერი იყო გარკვეული. ახლა  
კი შემიძლია გაცნობო, რომ აქედან 10 ივლისს გამოვემგზავრები  
და 21 ივლისს შენთან ვიქნება. ამერიკაში დაექორწინდებით. ვი-  
ცხოვრებთ ჩვენს ფერმაში, დელიველში. ბინა მოვაწყვე, ხელახლა  
შევაღებინე შენიდანაც და გარედანაც. ბუხარიც ამოვყვანე. ზამ-  
თარში საღამოობით გიზვიზა ცეცხლთან ჯდომას რა სჯობია! მზად-  
დამხვდი, რათა მაშინვე გამოვემგზავროთ. გემის ბილეთები უკვე  
შევიძინე. ჩემს მშობლებს უხარიათ, პირადად ჩემს სიხარულს კი  
ვერ ავიწერ. მაშ ასე, 21 ივლისამდე! მაშინ მომეცემა საშუალება,  
გიაშბო, რა ძნელი ყოფილა ლოდინი, ექვი. თუმცა მალე ყველა-  
ფერი გაივლის. არა, ახლაც განვლილია.

შენი სტივი“

შეტევა რამდენიმე წუთს გაგრძელდა, თითქოს სამართებლს  
პირივით ალესილი ჩაქუჩი დაარტყესო. ვიღას ახსოვდა ბედნიერება.  
როცა სული მოითქვა, რამდენჯერმე ისევ გადაიკითხა წერილი.

ნასადილევს დოქტორი გროსი მოვიდა. შემოვლაზე ორი ასის-  
ტენტი დაპყვებოდა. იოჰანა გასინჯა და ასისტენტებს უთხრა, ნორ-  
მალურად ვერ იმშობიარებსო. იოჰანასა და ბავშვის გადარჩენა  
მხოლოდ კეისრული გაკვეთით შეიძლება, ახლავე უნდა გავუკეთოთ  
ოპერაცია, მეშინია, მძიმე შეტევების შედეგად გული არ დაუსუსტ-  
დესო.

ერთი საათის შემდეგ იოჰანა საოპერაციო მაგიდაზე იწვა. ბავ-  
შვი ამოკვეთეს. დედამ კი მხოლოდ ათი წუთი იცოცხლა, გულის  
სისუსტისაგან გარდაიცვალა. ახალშობილი გოგონა გადარჩა. ბავშვი  
ფრთხ ბანმა წაიყვანა. ამხანაგმა სტივს ღებეშა გაუგზავნა.

## XVI

სექტემბრის ერთ შაბათ დღეს, დილის ექვს საათზე, თორმეტივე  
მოწაფემ და კათარინამ მაინის სანაპიროს ჯებირთან მოიყარეს თავი.  
შობირდაპირე მხარეს ნაცრისფერ სივრცეში ნაცრისფრადვე აღ-  
მართული ძველი ციხე იდგა. მზე ჯერ არ ამოსულიყო. ქვევით, ნის-  
ლით დაფარულ მდინარეზე ქერქგაცლილი ნაძვებისაგან შეკრული  
ას მეტრზე გაჭიმული ტივი ქანაობდა. ხეები ფიპტელის მთებში მო-  
ექრათ და ფრანკფურტისკენ აცურებდნენ.

გველკაცა მეტივესთან მოლაპარაკებას აწარმოებდა. თუ შპესარ-  
ტამდე ჩავიყვან, ერთ კოლოფ საჩიბუხე თამბაქოს მოგცემითო. ამ  
ფასად მგზავრების წაყვანა ღირდა: მეზორნემ თავი დაუქნია. ქრის-  
ტეს მოწაფეები მარდად აცვივდნენ ტივზე.

სანამ რუთი ვიურცბურგში იყო, დავითი იშვიათად ნახულობდა  
დას და ორიოდ წუთზე მეტ ხანს ვერ ძლებდა მასთან. მაგრამ რაც  
რუთი შპესარტში გადასახლდა, სამი თვე გავიდა და დავითს ძალიან  
მოენატრა. ერთ დღეს გველკაცას უთხრა — ტირილს ცოტადა აკლ-  
და — ჩემს დას დავპირდი, გინახულებ-თქო და უსათუოდ უნდა წა-  
ვიდეო. მაშინ მოწაფეებმა გადაწყვიტეს, მოეწყოთ ექსკურსია შპე-  
სარტში.



მაინზე ტივით მგზავრობის იდეა გველკაცას დაებადა. დიდი ხანია ამ მოგზაურობაზე ოცნებობდა.

ტივს ახალგაზრდა მეტივე მართავდა. ტივის თავში იდგა და აქაფებული წყლის შხეფები ესხურებოდა. ტივმა სწრაფად გააპოძველი ხიდის ქვეშ დაგუბებული წყალი და რამდენიმე წუთის შემდეგ ნელა გაჰყვა მდორე დინებას, უკან ჩამოიტოვა იოჰანას ქოხი და ქალთა მონასტერი „ბჰენი ზეცისანი“; სწორედ ამ ადგილებს ჩაუთარა ერთი წლის წინ მშობლიურ ქალაქში ძნელი გზით დაბრუნებულმა რუთმა და ცოტა მოშორებით მიადგა იოჰანას, რომელიც მდინარეში ფეხებს იბანდა.

ბიჭები მთელ ტივს მოედვნენ, ერთი წუთითაც ვერ ისვენებდნენ. ამ ადგილას მაინი მკვეთრად, თითქმის ნახევარწრედ უხვევდა. შორიდან რომ დაგენახა. იფიქრებდი, მსტუნავი ხის რწყილებით ვაცებული უზარმაზარი ტივი შეიჭრა ვენახით მოფენილ ფერდობში. რომელსაც ჯერ კიდევ გარიჟრაჟის ცისფერი ნისლი ბურავდა. კაცი აკრობატივით მარჯვე და არაჩვეულებრივად ღონიერი უნდა იყოს, რომ მიხვეულ-მოხვეულ მაინში ამ ტივზე ორჯერ უფრო პატარა ტივის გაყვანა მოახერხოს.

მეტივე, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, აწვებოდა ბარჯს, მაგრამ შუა მოსახვევში წყალმა ტივი ნაპირისაკენ გაიტაცა, მეტივემ თავი ველარ შეიკავა და ერთ მეტრზე ჰაერში ავარდა. ქვეშ კი ტივი თავისთვის მისრიალებდა. ახალგაზრდა ჩასკვნილ მეტივეს სახე ისეთივე მკაცრი ჰქონდა, როგორც მისი სამუშაო იყო.

როცა მდინარის მიხვეულ-მოხვეულ კალაპოტს გასცდა, ტივი ისევ დინჯად გატურდა. მალლა, ცაში, ტივს ზემოთ დინჯად ნავარდობდა ყანჩა, მოხდენილად სრიალებდა ზეცის პატარა მოციგურავესავით.

არემარეს ჯერ კიდევ რუხი ფერი ედო. კათარინა გაითოშა. გველკაცამ პიჯაკი მოახურა, ღილები მზრუნველად შეუქრა, საყულო აუწია და საყულოს ქვეშ მოქცეული თმა ფრთხილად გაუსწორა. კათარინას ღვინისფერი ხავერდის ბაფთა მაგრად შემოეჭირა თმაზე. თხელი ლურჯი ჩითის კაბა გოგონას მუხლებამდე სწვდებოდა, ფეხზე კი წიფლის ხისაგან გამოთლილი, წითლად შეღებილი სანდლები ეცვა. სანდლები გველკაცამ თავისი ოსტატის ლემლაინის სარდაფში გამოუთალა.



შუა ბორანზე ახლად მოჭრილი ნაძვის ხის ფიცრული ფეხ-  
ფიცრულში ტახტი და თუნუქის პატარა სამკუთხა ღუმელი ჩან-  
და. ბიჭებმა საგზლად ცვიშენცალის საწყობიდან შემორჩენილი ნა-  
ზევარი მეტრი მაგარი იტალიური ძეხვი და პური წამოიღეს. მეტი-  
ვემ ნება დართო, ცეცხლი დაენთოთ და მოწაფეები ღუმელს შემო-  
უსხდნენ. პეტრემ ნაზევარი ძეხვი ყველას გაუნაწილა. მეტივეს  
უფრო მოზრდილი ნაჭერი არგუნა.

კათარინამ მეტივეს ძეხვი გაუტანა. ადვილი როდი იყო ქერქ-  
გაცილი, გლუვ ძელებზე ხის სანდლებით სიარული, მაგრამ რა-  
კი გველკაცა გამოჰყვა, გოგონა ქალური სიკეკლუცით იცავდა  
წონასწორობას და ზედმეტად ფრთხილობდა. უეცრად ფეხი და-  
უსხლტა და გველკაცას ჩაეჭიდა, სანამ უნებურ ხვევნას თავს და-  
აღწევდნენ, ერთმანეთს შეავლეს თვალი, გუნებაში თავიანთ მო-  
მავალს ჩაეხვივნენ ორივენი.

მთაგრეხილს იქით მზე ამოიწვერა და მძინარე ველს შუქი მოჰ-  
დინა. ყავისფერი, ყვითელი, ხასხასა მწვანე გადახნული მინდვრები  
ერთმანეთს ეკვროდნენ და ქედიდან დაბლა ეშვებოდნენ; ქვემოთ  
ვრცელი მინდვრები თანდათან ვიწროვდებოდნენ და სადღაც ცის-  
კიდურიდან, ფერადი ფანქრით დახატულივით ვიწრო ზოლიდა ჩანდა.  
წყლის სუნმა იძალა. ტივი ნელა მიჰყვებოდა დაკლაკნილ მდინარეს,  
ჩაუარა მწვანეში ჩაფლულ სოფლებს, მზიან ფერდობებს, სადაც  
ფრანკონიის განთქმული ვაზი ხარობს, და შუასაუკუნეთა ციხე-დარ-  
ბაზთა ნანგრევებსა და პატარა ქალაქებს. არც ერთი დანგრეული  
სახლი! ომი ამ მხარეს არ გაჰკარებია.

ნასადილევს მზემ დააცხუნა, დავითმა და გველკაცამ ტანსაცმე-  
ლი გაიძვრეს. საბანაო ტრუსები სახლშივე ჩაეცვათ. ორივე მხრებ-  
განიერი და თეძოვიწრო იყო. თევზებივით ცურავდნენ. კათარინა-  
მაც ვეღარ გაუძლო ცდუნებას. ხის ფიცრულს ამოეთარა და კაბა  
გაიხადა. ღია ყვითელი ფერის საბანაო კოსტიუმი დაპატარავებოდა  
და წერწეტ ტანზე შემოტმასნოდა.

რამდენიმე კვირას გველკაცა ამოდ ეხვეწებოდა კათარინას,  
ერთხელ მაინც მაკოცეო.

ბანაობის შემდეგ ისინი ერთმანეთის გვერდით იწვნენ მზეზე და  
შრებოდნენ.



— თუ ერთხელ მაკოცებ, ტივის ქვეშ გავცურავ, — უთხრა გველკაცამ კათარინას.

— ვერ შეძლებ.

— შენც აიღე და მაშინ მაკოცე, როცა გავცურავ.

— სად გაკოცო?

ბიქმა ლოყაზე დაიდო ხელი. — ან სადაც გინდა.

კათარინას ძალიან ესიამოვნა, რომ გველკაცა მისი გულისათვის ტივის ქვეშ გაცურვას აპირებდა. გადაჭვარედინებული ხელები თავიქვეშ ამოიღო და ნებივრად გაიზმორა.

— რამე რომ მოგივიდეს?

— ოჰ, მე ერთ წუთზე მეტ ხანსა ვძლებ წყლის ქვეშ. მაშ, შევთანხმდით?

კათარინამ თვალი გაუსწორა.

— მხოლოდ ერთხელ და მერე აღარასოდეს.

გველკაცა ტივის თავს მიადგა, წყალში ჩახტა და, როცა ტივმა ზედ გადაურა, მეორე ბოლოში ამოჰყო თავი. კათარინა იდგა და სუნთქვაშეკრული ელოდა. მის დანახვაზე შვევით ამოიოხრა:

— ღმერთო დიდებულო!

მაღე ისევ ერთმანეთის გვერდით დაწვნენ, და გველკაცამ უთხრა:

— ახლა კი უნდა მაკოცო.

— ჯერ სველი ხარ.

— კარგი, გავშრები და მერე.

— როგორ ფიქრობ, დედაჩემმა რომ გაიგოს, რას იტყვის?

— რა საჭიროა, ასეთი რამ დედას უამბო.

— თუკი მიზნოს, ყველაფერი მიაბზეო, რა ვქნა?

— ამას განგებ ამბობ, პირობის შესრულება არ გინდა.

კათარინამ მხრები აგდებულად აიჩეჩა და ფეხზე წამოდგა. ხტუნვა-ხტუნეით კონტად ვაცქრიალდა უკან. კაბა გადაიკცა და დახვეულ ქერელთან ჩამომსხდარ მოწაფეებთან მივიდა. მოგვიანებით მათ გველკაცაც შემოუერთდა, იმედგაცრუებულს ხელები შარვლის ჯიბეებში ჩაეწყო, ცდილობდა არაგისთვის დაენახვებინა, გულნატკენი რომ იყო. მაგრამ კათარინამ ზედაც არ შეხედა. გოგონამ თავის მეგობარს, პეტრეს მხარზე ხელი დაადო, თანაც გატაცებით უყვებოდა რაღაც გრძელ ამბავს იმაზე, როგორ დაებნა ერთხელ ტყეში ვზა და შიშისაგან კინალამ არ მოკვდა.

სადამოს ექვს საათზე მოწაფეები ტივიდან გადმოვიდნენ. იქვე მახლობლად ბორანი იყო. კათარინას ისევ გველკაცას პიჯაკი ეცვა. ისინი ჩრდილოეთ მხარეს იმ სველი ქვებით მოფენილ აღმართს აპყვენენ, რომელსაც ვიურცბურგისაკენ მომავალი რუთი ჩამოაპყვა და მალე ტყეში გაუჩინარდნენ.

მარტინის სახლი, სადაც ას ოცი წლის წინ შეეტლეთა სამიკიტნო ყოფილა, მიტოვებულ ადგილზე იდგა დიდი შარაგზის პირას. შარამთელ ტყეს შუაზე კვეთდა. აქაურები ახლაც ჰყვებოდნენ, მიკიტანმა ვილაც დიდგვაროვანი მგზავრი მოკლა, ფული გაიტაცა და საზღვარგარეთ გაიქცაო. ამ სახლში დიდი ხანია არავის უცხოვრია.

სამი სოფლის ბურგომისტრებმა, რომელთაც მარტინი ადრევე მოელაპარაკა, სახლი საფუძვლიანად შეაკეთებინეს აქაურ კალატოზებს, დურგლებსა და მღებავებს. გამოცვალეს ღობე, დაბარეს ბაღი და მისის დამღევს საგვიანო ბოსტნეულიც დათესეს, კარტოფილის ნერგიც ჩაყარეს. მინა არ იშოვებოდა, მაგრამ მწვანედ შეღებილი ახალი დარბებები ფანჯრებს მჭიდროდ მოერგო და საერთო ოთახიდან მეორე სართულამდე აყვანილი დიდი კაფელის ღუმელი მთელ სახლს ათბობდა. შეშა ბევრი ჰქონდათ.

ეს ის თეთრი ვილა არ იყო, რაზეც მარტინი ოცნებობდა. რუთი არ ელოდებოდა ბაღის ღობესთან და შინ დაბრუნებულს საკოცნელად არ უწვდიდა ტუჩებს. მაგრამ ხის ქოხთან შედარებით ეს იყო სასახლე, მუქი ნაცრისფერი გრანიტის სასახლე, რომელიც საუკუნეებს გაუძლებდა.

თეთრი საბავშვო ეტლი, მოწაფე იოანემ შეაფთიაქე ადელსპოფენის სხვენიდან რომ წამოიღო, ბაღში ვაშლის ხის ძირში იდგა. რუთმა ბოლოს და ბოლოს დაარწმუნა ფრაუ ბახი, რომ იოჰანას შეილი შპესარტში უფრო ჯანსაღი გაიზრდება, ვიდრე სარდაფში შეყუყუულ ფიცრულში, თანაც ექიმი მუდამ გვერდით ეყოლებათ.

რუთი სახლიდან გამოვიდა. ხელში რძით სავსე ბოთლი ეჭირა. ტანზე ახალი, ხელით ნაქსოვი ტილოს კაბა ეცვა. ტილო მარტინს ერთმა გლეხის ქალმა მიართვა გასამჯელოდ. ბედნიერი რუთი ბავშვისაკენ დაიხარა და ბოთლი გაუწოდა. ფუნთუშა, ვარდისფერლო-

ყება ჩველი რუთს ცისფერ თვალებს არ აშორებდა, მერე უეცრად გაუღიმა და ორივე ხელით ჩაებლაუჭა ბოთლს.

რუთმა საბანში გახვეული მაძღარი ბავშვი აიყვანა, და როცა შინ დაბრუნებული მარტინი ველოსიპედიდან ჩამოხტა, ქალი მართლაც ღობესთან მომლოდინე ცოლსა ჰგავდა. ოღონდ იმ განსხვავებით, რომ არც ეს პატარა იყო მარტინის შვილი და არც საკუთარი ცოლი — ცოლი.

მარტინმა ველოსიპედი ბაღში შეაგორა. საქვზე „საპონორარო კალათი“ ეკიდა. კალათით რძე, კვერცხი, კარაქი, შინაური ძეხვი, შებოლილი ლორი და ზოგჯერ ქათამიც კი მოჰქონდა შინ, — ყოველივე ეს მისი შრომის საფასური იყო. საკუჭნაო ღრმა სარდაფში ჰქონდათ, სადაც ზაფხულის პაპანაქებაშიც კი გრილობდა.

ნავახშმევს ორივენი საერთო ოთახში ისხდნენ, კაფელის დიდ ღუმელთან. შეშის მსხვილ კუნძებს ტკაცატკუცი გაჰქონდა. საღამოობით უკვე ციოდა. ნავთის ლამპის შუქზე მარტინი მამის, ცნობილი ფსიქოლოგის ბიოგრაფიაზე მუშაობდა. მამამისი კრიმინალურ ფსიქოლოგიას სოციალური თვალსაზრისით აშუქებდა და რამდენიმე შრომაც დაეწერა. უსაქმოდ არც რუთი იჯდა. იგი აუშვიცის და საროსკიპოს ამსახველ სურათებს აღარ ხატავდა. მისი რამდენიმე ახალი ნახატი, ხაზთა და ფერთა თავისებური შერწყმა, საერთო ოთახის კედელზე ეკიდა.

ფეხის ხმა რომ მოესმათ, ორივემ თავი ასწია. მარტინს ზოგჯერ ღამითაც ეძახდნენ ავადმყოფთან. წამოდგა და კარი გააღო.

თორმეტი მოწაფე და კათარინა ისეთი რიჩით შევიდნენ ოთახში, თითქოს დიდი ხნის ნანატრი სტუმრები ყოფილიყვნენ და სწორედ ღამე უნდა მობრძანებულიყვნენ. უკვე ათი საათი იყო. სანამ სახლი იპოვიდნენ, კარგა ხანს ისეტიალეს. უხერხული ღუმილის შემდეგ დავითმა დას უთხრა:

— შენს სანახავად მოვიდნენ. — რუთმა ძმას თავზე ხელი გადაუსვა, დავითი გაწითლდა, დას ზურგი შეაქცია და ჭერს მიაჩერდა.

ბავშვები მშვივრები იყვნენ. კათარინა და საწყობის გამგე რუთს სარდაფში ჩაჰყვნენ. საწყობის გამგე გაცეცდა. მისი საწყობი მონასტრის ეკლესიის სარდაფში ცარიელი იყო.



— ამერიიდან გლეხებს უნდა შევესიოთ, ეს ცხაღზე უცხადე-  
სია, — უთხრა მან კათარინას, სანამ სარდაფიდან ამოვიდოდნენ.

სტუმრებმა ერბოკვერცხი თვალის დახამხამებაში გადასანსლეს.  
რუთმა საბნები და კარტოფილის ძველი ტომრები მოიტანა. ბიჭებმა  
საერთო ოთახში, ჩინურ ხალიჩაზე დაიძინეს. კათარინა კი რუთის  
ოთახში დაწვა ბიდერმაიერის კანაპეზე, ყვითელი საბანაო კოსტიუ-  
მი არ გაუხდია. უცებ წამოდგა, რუთს თავი დაუქნია, შეიძლება შენ-  
თან დავწვეო, და მის საწოლში შეძვრა. რუთმა ნავთის ლამპა  
ჩააქრო.

— ტყეში საშინლად ბნელოდა, — კათარინამ შვეებით ამოიოხ-  
რა, — გული გაგისკდებოდა! ამას წინათ ტყეში სულ მარტო ვიყავი  
და გზა დამებნა. უეცრად ბუჩქებიდან ვილაც კაცი გამოვიდა. — კა-  
თარინას ძილი მოერია და უფრო მაგრად მიეკრა რუთს. გოგონას  
რუთის მკერდზე სწორედ ისე ედო თავი, როგორც მაშინ, ციხის  
თხრილში წითელკენკრიანი კვრინჩხის ბუჩქთან ჩამომკლარმა რუ-  
თმა წარმოიდგინა. რუთმა ფრთხილად მოხვია ხელი მძინარეს და  
რამდენიმე წუთში მასაც ჩაეძინა.

მეორე დღით კათარინამ და გველკაცამ ტყეს მიაშურეს, მაღალ  
გაკაფულ ბორცვზე ავიდნენ და იქაურობას თვალი გადაავლეს.  
მუხნარს უკვე შემოდგომის ფერი დაჰკრავდა. სანამდეც თვალი  
სწვდებოდა. ტყე ტალღებად მიჰყვებოდა ველებსა და ბორცვებს  
და მაღლიდან ქარიშხლით აბობოქრებულ მწვანე ზღვას ჰგავდა,  
რომლისთვისაც მზეს ოქროს წვიმა დაეპყურებინა. გველკაცა და  
კათარინა ხელიხელჩაკიდებული დაეშვნენ ბორცვიდან და გაოცე-  
ბული მიაჩერდნენ მუხას, რომელსაც სამი კაცი ვერ შემოაწვდენდა  
ხელებს.

კორდზე წყარო მოჩუხჩუხებდა. მოწყურებული ფურირემი და  
ხარირემი წყაროს მოადგნენ. ბავშვებს მათგან ათიოდე მეტრი აშო-  
რებდა. ფური მამინვე დაფრთხა. ვეება ხარმა კი თავი ისე ძლიერ  
გადააგლო უკან, რომ რქები ზურგს მისწვდა. ბოლოს აღმაცერად  
გადახედა ბავშვებს და ტყეს მიაშურა.

შეშინებული კათარინა გველკაცას მიეკრა.

— ღმერთო დიდებულო, — აღმონდა შვეებით, როცა ირემი  
თვალს მიეფარა, და მოულოდნელად გველკაცას ლოყაზე აკოცა.

— აჰა, ხომ ვაკოცე! — წამოიძახა გოგონამ და გაიქცა.

გველკაცას არაფრად ექაშნიკა ეს კოცნა; რამდენიმე კვირას ეღრიჭა კათარინას, ერთხელ მაინც მაკოცეო და ახლა მხოლოდ შიშსა და შვებას უნდა უმადლოდეს ამ ბედნიერებას. კათარინა ფართო შარავნაზე მიქროდა.

როცა გველკაცა შინ დაბრუნდა, კათარინა საერთო ოთახში იღვარუთის გვერდით. ორივენი ორ სკამზე დადგმულ ხის პატარა აბაზანისაკენ დახრილიყვნენ. ბავშვის ცქერით გართულ რუთს აღარაფერი ახსოვდა, ცალი ხელი ჩვილისათვის თავქვეშ ამოედო, მეორეთი კი წყალს ასხამდა. ბავშვის კანი, თითქოს გაბოხილი ჩვირიო, წყალს არ იკარებდა.

— ეს ბაია ჯერ ფრაუ ბახთან იყო, ხომ მართალია? — თქვა სუნთქვაშეკრულმა კათარინამ.

რუთმა ბავშვი აბაზანიდან ამოიყვანა და ხაოიან პირსახოცში გაახვია. მერე იშვიათი ნადავლივით მიიკრა მკერდზე და ჩაილაპარაკა:

— ეს ჩემი შვილია.

გველკაცა სახლის მახლობლად ტყეში ტბის ნაპირზე ჩამომსხდარ მოწაფეებს მიუახლოვდა:

— თუ გვინდა, შუალამემდე მაინც დაგბრუნდეთ ვიურცბურგში, ახლავე უნდა გავწიოთ.

თაგვი არ დაეთანხმა: რა მოხდება, კიდეც ერთი დღე რომ დაეღრჩეთო. როცა რუთთან იყო, დავითი საშინლად იტანჯებოდა და გულჩათხრობილი ხდებოდა, მისგან შორს კი გრძობას ვერ იმორჩილებდა და გული დისკენ მიუწევდა.

— ჯობს დღეს წავიდეთ, — ჩაილაპარაკა ყრულ.

გადაწყვიტეს დაუყოვნებლივ დასდგომოდნენ გზას.

შარავნაზე ჯიბი გამოჩნდა. მძლოლი აქეთ-იქით იყურებოდა, რაღაცას ეძებდა. ეს სტივი იყო. იგი თავის მეგობრის ჯიბით ორ საათში ჩამოვიდა ვიურცბურგიდან შპესარტში, მარტინის ადგილსამყოფელი სოფელში გაიგო, ახლა ნელა ჩაუარა მოწაფეებს და მანქანა სახლისაკენ წაიყვანა. სტივს მოწითალო ყავისფერი კოსტიუმი ეცვა. სახის ნაკვთები გამკაცრებოდა და ტანჯვის დალდაჩნეულს იერი შეეკლოდა.



იოჰანას სიკვდილის შემდეგ სტივმა სათანადო ორგანოებს მიმართა და მათაც ნება დართეს საკუთარი შვილი ეშვილა. ოკეანეც იმიტომ გადმოცურა, რომ ბავშვი ამერიკაში წაეყვანა.

რუთმა მანქანის გუგუნის გაიგონა, ბავშვი ხელში აიყვანა და ფანჯარას მოადგა. მოულოდნელი სიხარული იმწამსვე შიშმა შეცვალა, ვაითუ ბავშვი წამართვასო. პატარას თავი საფეთქელზე მიიღო და ფანჯრის ჩარჩოში ქანდაკებასავით გაირინდა.

შვილის დანახვაზე სტივმა გულში ისეთივე ტკივილი იგრძნო, როგორც მაშინ, იოჰანას სიკვდილის მაუწყებელი დეპეშა რომ მიიღო. ვაჟს ტუჩები უთრთოდა.

სალამ-ქალამი, არაფრის მტკმელი სიტყვები ორივესათვის მხოლოდ ცხოვრებასთან დამაკავშირებელი ხიდი იყო, ცხოვრება კი თავისი გზით მიდიოდა.

საერთო ოთახში რომ შევიდნენ, სტივმა იკითხა, იოჰანამ თუ ნახა შვილიო. რუთმა უარის ნიშნად თავი გააქნია.

— იოჰანას აზრადაც არ მოსვლია, რომ სიკვდილის პირასაა. როგორც კი თქვენი წერილი მიიღო, მაშინვე შემატყობინა, სტივი ჩამოვა და წამიყვანსო. იგი უკანასკნელ წუთამდე ბედნიერი იყო.

ამის გაგონებაზე სტივმა ოდნავი შვება იგრძნო, მაგრამ ამოსუნთქვაც ვერ მოასწრო, რომ ტკივილი ისევ გაუმძაფრდა. ახალი სიცოცხლე, რომელმაც იოჰანა იმსხვერპლა, რუთის კალთაში იჯდა და ცისფერი თვალებით გულუბრყვილოდ უყურებდა სტივს. რუთმა ბავშვი გაუწოდა. ჯერ კიდევ ვერ წარმოედგინა, რომ სტივი ბავშვს წაიყვანდა. მაგრამ როცა აღელვებულმა სტივმა შვილი მკერდზე მიიკრა, რუთს სასო წარეკვეთა, თუმცა იმავე წამს გულში კვლავ ჩაესახა იმედი. ვინ იცის, იქნებ მხოლოდ იმისათვის ჩამოვიდა, რომ იოჰანას შვილი ერთხელ მაინც ნახოსო.

შინ დაბრუნებულმა მარტინმა საერთო ოთახს მიაშურა, მარტინი სტივს სოფელშივე შეხვდა და ყველაფერი იცოდა, ისიც იცოდა, სტივი რაც შეიძლება მალე უნდა დაბრუნებულიყო ვიუტრცბურგში. ერთი ამერიკელი მომვლელი ქალი, რომელიც მეორე დღეს სამშობლოში ბრუნდებოდა, შეჰპირდა, გემზე ბავშვს მოეუვლიო და სტივიც იმ დღესვე უნდა გამგზავრებულიყო.

— ჩემს ცოლს ძალიან უყვარს ბავშვი. — უთხრა მარტინმა სტივს სოფელში, — მისთვის ეს დიდი უბედურება იქნება.

სანამ ოთახში შევიდოდა, მარტინმა ყური მოჰკრა, სტივი რუთს ეკითხებოდა: მომვლელმა ქალმა მთხოვა გამეგო, თუ შეიძლება ბავშვს მაგარი საჭმელი მივცეთ, სასურველია, გზაში ისეთივე საკვები მიიღოს, როგორსაც შეეჩვიო.

რუთს უკანასკნელი იმედი გადაუწყდა.

— ბავშვს უკვე თავნატყვი ბურღულის ფაფასა და ზოგჯერ კვერცხის გულსაც ვაჭმევ.

მარტინმა ხელი კეფაზე მიიღო და გრძელი კბილები გამოაჩინა.

— ფერმაში ბავშვს არაფერი გაუჭირდება, რუთ, დიდ ქვეყანაში გაიზრდება და ხალისიანი ადამიანი იქნება, — თქვა მან.

ათ წუთში რუთმა საკუთარ თავზე განიცადა, რომ სიყვარული და ეგოიზმი განუყოფელია. მან უნუგეშოდ დაუქნია თავი და ოთახიდან გავიდა. რუთს თითქოს მისთვის გამოტანილი სასიკვდილო განაჩენი თვითონვე მოჰყავდა სისრულეში, როცა პაწაწინა პერანგებს, სათბურებს, სახვევებს ალაგებდა, როცა ბოთლს ადუღებულ რძით ავსებდა და პატარას სამგზავროდ თბილად აცმევდა. ყოველივე ამას მხოლოდ ხელები აკეთებდნენ.

წასასვლელად გამზადებული მოწაფეები სახლის წინ იდგნენ. უეცრად გლეხის ბიჭმა მოიბრძინა და მარტინს აცნობა, მამაჩემი ხეს ჭრიდა, მარცხი მოუვიდა, ტყეში გდია, ფეხი საშინლად გაუსივდა, მთლად გალურჯდა და ძალიან ტკივა, ვინ იცის, იქნებ კიდევ მოკვდაო.

მარტინი სასწრაფოდ გამოემშვიდობა სტივსა და მოწაფეებს, უხმოდ გამოეთხოვა რუთს, რომელსაც ბავშვი კალათში ჩაესვა და ცოცხალმკვდარი იჯდა საერთო ოთახში. მერე ბავშვს თავზე ხელი გადაუსვა, გარეთ გავარდა და ველოსიპედს მოახტა. სახვევი მასალის ყუთი საჭეზე დაემაგრებინა თასმით, ბიჭი სირბილით გაჰყვა უკან.

მოწაფეები შარავზას დაადგნენ. მათ ვერც კი შეამჩნიეს, რაც სახლში მოხდა. დიდებული ექსკურსია გამოუვიდათ.

სტივი საჭეს მიუჯდა და ძრავა ჩართო, გველკაცა მის გვერდით დაბრძანდა. თავის სიცოცხლეში პირველად მგზავრობდა ავტომობილით. კათარინა უკან დაჯდა და გვერდით ბავშვიანი კალათა მოი-

დგა. რუთი ბალის ლობესთან იდგა, მიმავალთ ოდნავ დაუქნია ხელი  
ჯიბი თვალს მიეფარა.

რუთი შინ შებრუნდა. სახლი დაცარიელდა. სამზარეულოს მაგი-  
დაზე ჩაის კოვზი იდო. ამ კოვზით უკანასკნელად აჭამა ბავშვს კვერ-  
ცხის გული. ცოტაოდენი ზედაც მიმხმარიყო. რუთმა კოვზი უნებუ-  
რად აიღო და ისევ მაგიდაზე დადო.

როცა მარტინი შინ დაბრუნდა, რუთი ცარიელი საბავშვო ეტ-  
ლის წინ იდგა ბაღში. მარტინი მდუმარედ გაჩერდა მის გვერდით  
და ხელი მხარზე დაადო. ქალი მკერდზე მიეყრდნო და მწარედ  
აქვითინდა. მარტინი მოეხვია, აკოცა, შემდეგ დაიხარა და კიდევ  
ერთხელ აკოცა ტუჩებში. რუთი არ გაძალიანებია.

## XVII

იოანეს მამა თავის გაზეთში წერდა: „ორი „მშვიდობიანი წლის“  
მანძილზე ამერიკისა და რუსეთის ურთიერთობა იმდენად გამწვავდა,  
რომ ახლა უცხოეთის ყველაზე ავტორიტეტული გაზეთებიც კი წე-  
რენ, ომი გარდუვალაო. მსოფლიო კვლავ ორ ბანაკად გაიყო.  
ოღონდ ესაა, რომ სხვაგვარად დაჯგუფდა და შუაში გერმანია  
მოექცა. თვით გერმანელი ხალხიც ორ ბანაკად გაიყო. რურის ოლ-  
ქის მძიმე მრეწველობის მესვეურნი, იუნკერები და მსხვილი ბან-  
კირები, რომელთაც ჰიტლერი წააქეზეს და 1933 წელს სახელმწი-  
ფოს სათავეში დააყენეს, დამოყვრებულნი და ოდითგანვე ერთ  
ბლოკად შეკრულნი, იმედს ომზე ამყარებენ; მათ ჰგონიათ, ომის  
წყალობით ქვეყნის ეკონომიურ და პოლიტიკურ სადავეს კვლავ  
ხელთ იგდებენ, უპირველეს ყოვლისა, საკუთარ ქვეყანაში, სა-  
დაც ყოველი მეორე კაცი ან თანაუგრძნობს მათ, ანდა ნაციისტია.  
სწორედ ამიტომ ამყარებდნენ ომზე იმედს. მეორე მხარეზე დგას  
გერმანელი მუშა, რომელსაც ომი კი არა სურს, არამედ სოციალიზ-  
მი და მშვიდობიანი გერმანია“.

1947 წლის სექტემბრის ბოლოს ქრისტიან შარფმა წერილი  
მიიღო და მაშინვე წაუკითხა თავისი ჯგუფის წევრებს. ეს ცირკუ-  
ლარი ესესელმა მაიორმა ბლიუმმა ჰიტლერული ახალგაზრდობის  
ორგანიზაციის ყველა ხელმძღვანელს დაუგზავნა მიუნჰენიდან შიკ-  
რიკების ხელით.



„მსოფლიო პოლიტიკაში გერმანიის სასარგებლოდ მომხდარი ცვლილებები უკვე ისტორიული ფაქტია (მას მხედველობაში აქვს რუსეთის წინააღმდეგ მიმართული ბლოკი, — დაურთო მარფმა ნიშნის მოგებით). განსაკუთრებული განკარგულების მიღებადღე სიმშვიდე უნდა დაიცვათ, რადგან დასავლეთის სახელმწიფოები თავს არ იზოგავენ, ყოველმხრივ უწყობენ ხელს ნაციონალურ-სოციალისტური მოძრაობის გაფართოებას და არავითარი პროვოკაციებით არ უნდა შევეშალოთ ხელი ამ ჩვენთვის ფრიად სასარგებლო ძალის პოლიტიკას. თქვენი ვალია გააკეთოთ სული და სხეული, შეკრიბოთ ახალი წევრები, ერთი სიტყვით, მზად იყოთ „იმ დღისათვის“

შარფის ჯგუფიც სიმშვიდეს იცავდა. პეტრეს აღარ ემუქრებოდა მოკვლის საფრთხე. წერილმანი საქმისათვის ზელის გასვრა არ ღირდა. შარფმა თავისი ჯგუფისათვის დააარსა ათლეტთა კლუბი „სამსონი“. ამ კლუბს ერთმანეთში ასე ახსენებდნენ, როგორც იგულისხმებოდა — სა!.

მაინის ნაპირზე, ვიურცბურგის ერთ-ერთ გარეუბანსა და ტირიფნარს შორის, ძელებით შემორაგული მოედანი იყო, სადაც ერთ დროს მახლობელი სოფლების გლეხებს საქონელი მოჰყავდათ გასაყიდად. შარფის ჯგუფმა ეს ადგილი საწრთობ მოედნად გადააქციბის ოცდაათი გაცვეთილი საფეხური. მნათეს შვილმა მუხის დადიონენ მწყობრად, სწავლობდნენ ჩაჩოქებას, მიწაზე გართხმას, ხოხვას, იერიშზე გადასვლას. მაყურებელი აღტაცებაში მოჰყავდა მათ ვარჯიშს და ათლეტთა კლუბის „სამსონის“ წევრად გახდომის მსურველთა რიცხვი დღითი დღე იზრდებოდა.

ქრისტეს მოწაფეები სოციალისტური ახალგაზრდობის წევრები გახდნენ. ერთ-ერთ მასობრივ შეკრებაზე, რომელსაც იოანეს მამა ხელმძღვანელობდა, ძველმა სოციალისტმა სიტყვა წარმოთქვა. იგი შეეცადა დაემტკიცებინა, რომ ეკონომიურად ჯანსაღი, დემოკრატიული და მშვიდობიანი გერმანიის შექმნა მხოლოდ გეგმიანი სოციალისტური მეთრნეობის გზით შეიძლება.

შეკრება ჩატარდა კვირა დღეს ნასადილევს. კრების დამთავრე-

1. SA ნაცისთა მოიერიშე რაზმების შემოკლებული სახელწოდება (გერმ die Sturmabteilung).

ბის შემდეგ მოწაფეებმა მონასტრის ეკლესიის სარდაფში მოიყარეს თავი. ზევით უკვე ლოცვა დაწყებულიყო. მოწაფეები კვლავ ნახევარწრედ შემოერთყნენ კუთხეში მიყუდებულ სანთლების შუქით განათებულ დასახიჩრებულ ქრისტეს. ერთ წუთს წესად შემოღებულ იღუმელი სუფევდა. მოწაფეები საოცრად დაძაბულნი ისხდნენ, თუმცა ისეთი გამომეტყველება ჰქონდათ, თითქოს ის, რაც წინათ სხდომების დროს აღეღებდათ და სერიოზულად ეკიდებოდნენ, ახლა მხოლოდ თამაშად ეჩვენებოდათ.

— ჩვენ, ქრისტეს მოწაფეები, ვიცავთ სამართლიანობას, ვართმევთ მდიდრებს, რომელთაც ყველაფერი აქვთ, და ვაძლევთ ღარიბებს, რომელთაც არაფერი გააჩნიათ... სხდომას გახსნილად ვაცხადებ, — თქვა პეტრემ და ნაღვლიანად გაიღიმა. — ეს ჩვენი უკანასკნელი სხდომაა. მე მძიმე მოვალეობა მაწევს, ქრისტეს მოწაფეების საიდუმლო საზოგადოება უნდა დავშალო.

გველკაცას, ეტყობა, მოსწონდა პეტრეს საზეიმო ლაპარაკი. ეკლესიის სკამზე ჩამომჯდარი, მხრებს ათამაშებდა და ისე ცქმუტავდა, თითქოს მთელ სხეულში სასიამოვნო ყრუხანტელი უვლისო. კათარინას თვალები გაფართოებოდა. იოანე არხეინად მიყრდნობოდა სკამის ზურგს. სწავლული დინჯად იყურებოდა. ყველამ ისევ პეტრეს მიაპყრო თვალი.

— ჩვენ გვეგონა, რასაც ვაკეთებდით, სოციალიზმი იყო. დღეს ამაში უკვე ვერკვევით. მაგრამ თუმცა სწორად არ ვიქცეოდით, ვაკეთებდით იმას, რაც ჩვენს მოვალეობად მიგვაჩნდა, — თქვა მან.

— დარდი ნუ გაქვს, სწორედ ვიქცეოდით, — წამოიძახა გველკაცამ. — გაბლენძილ ღორებს იმაზე მეტი ჰქონდათ, ვიდრე სჭირდებოდათ, ბალახის მჭამელებს უჩვენოდ შიმშილით ამოხდებოდათ სული.

პეტრემ უნებურად თავი დაუქნია.

— ასეა თუ ისე, ყველაფერი შესანიშნავი იყო და ამიტომ გვიჭირს გამოთხოვება. მაგრამ ახლა ბავშვები აღარა ვართ. ახლა ჩვენ სოციალისტური ახალგაზრდობის წევრები ვართ... (სწავლულმა ტუჩები აბზიკა: — მარცხენა ფრთა).

— ...და დიდი ამოცანის წინაშე ვდგავართ, — პეტრემ ღრმად



ამოისუნთქა.— იქნებ პატივცემულ მოწაფეთაგან ვინმეს უნდა კი-  
კიდევ რამე თქვას?

— Go ahead!, პეტრე!

პეტრე ერთ ხანს დუმდა, შემდეგ კი გეგონება, კაცია და ბავშვუ-  
რი ოინები გაახსენდაო, ოღნავ ქედმაღლური და გრძნობამორეუ-  
ლი ღიმილით თქვა:

— ამრიგად, ქრისტეს მოწაფეების საიდუმლო საზოგადოებას  
დაშლილად ვაცხადებ.

ბიჭები უხალისოდ წამოიშალნენ. ყველაფერი მეტისმეტად  
სწრაფად დამთავრდა. თავგმა სიამოვნებით გადაისვა ხელი მოკლედ  
შეკრეჭილ თმაზე და ისე მიმოიხედა ირგვლივ, თითქოს რაღაცას ეძე-  
ბსო. მაგრამ სარდაფში ვარგისი აღარაფერი დარჩა. ბოლოს ორივე  
სანთელი ჩააქრო და ნამწვები თან წაიღო თავისი მუცელგამობერი-  
ლი საწოლი ოთახის გასანათებლად.

სარდაფს უკუნი დაეპატრონა. ბიჭებმა უკანასკნელად აიარეს  
კიბის ოცდაათი ვაცვეთილი საფეხური. მნათეს შვილმა მუხის და-  
ბალი კარი დაკეტა. ბერთა სასაფლაოს მივიწყებულ სამარეთ ჩამა-  
ვალი მზის შუქი დაჰნათოდა.

მოწაფეები მდინარის გასწვრივ სანაპიროს ჯებირს მიჰყვებოდ-  
ნენ და ბოლოს ბეტონში დატანებულ რკინის რგოლთან შეჩერდნენ.  
ამ რგოლზე მეთევზე კროიცპიუგელი მთელი ოცდათხუთმეტი წელი  
ნავს აბამდა. მნათის ვაჟმა პეტრეს ოცდახუთი სანტიმეტრის სიგრძე  
გასაღები გადასცა.

პეტრემ გასაღები მდინარეში გადაისროლა და სერიოზულად  
თქვა:

— დაიხსომეთ ეს ადგილი. ათი წლის შემდეგ აქ, ამ რგოლთან,  
კვლავ შევიკრიბებით. დღეს 1947 წლის 5 ოქტომბერია. წინადადება  
შემომმაქვს, 1957 წლის 5 ოქტომბერს გასაღები წყლიდან ამოვი-  
ლოთ. მერე კიდევ ერთხელ ჩავიდეთ სარდაფში და სხდომა ჩავატა-  
როთ... ნეტა რა მოხდება ამ ათ წელიწადში?

კათარინამ გველკაცას მკლავში ხელი გაუყარა, მხარით მიეკრა  
და ტუჩები მოილოკა.

<sup>1</sup> განაგრძე (ინგლ.).

— როგორი იქნება ათი წლის შემდეგ გერმანია?

ბიჭებმა გზა განაგრძეს. ბნელდებოდა. ძელებით შემორაგული მოედნის ოთხივე კუთხეში სანიშნებელი ცეცხლი გიზგიზებდა. შარფის ჯგუფის წევრებს — ჯგუფში უკვე ოთხმოცდაათი ათლექტი ირიცხებოდა — ჯოხები თოფებივით მხარზე გაედოთ და ვარჯიშობდნენ. ყველას თეთრი მაისური და მოკლე თეთრი ტრუსი ეცვა. შარფი ბრძანებას იძლეოდა. სანიშნებელი ცეცხლის შუქზე ისინი მწყობრად შემობრუნდნენ, მხარზე ჯოხგადებულნი გაჭიმულნი იდგნენ მწყობრში. მოწათეები ძელებით შემორაგულ მოედანთან შეჩერდნენ. არავინ არ იძვროდა ადგილიდან, ირგვლივ სიჩუმე სუფევდა.

Леонгард Франк

Ученики Иисуса

(На грузинском языке)

Детюниздат Грузинской ССР

«Накадули»

Тбилиси

1969

რედაქტორი ე. ახელედიანი  
შხატვარი გ. ქასრაძე  
შხატვ. რედაქტორი შ. დოლიძე  
ტიქრედაქტორი ბ. ასათიანი  
კორექტორი თ. შინდაგორიძე

ხელმოწერილია დასაბეჭდად 14/1-69 წ.

ხაზეჭდი თაბახი 12,75

სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 10,35

ქაღალდის ზომა 60X84<sup>1</sup>/<sub>16</sub>

ტირაჟი 20.000 შეკვ. № 945

ფასი 62 კაპ.

გამომცემლობა „ნაკადული“, მარჯანიშვილის ქ. № 5  
Изд. «Накадули», ул. Марджанишвили, № 5

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გეგმული სიტყვის  
სახელმწიფო კომიტეტის შთაგარპოლოგრაფმრეწველობის სტამბა № 2,  
„ნაკადული“, თბილისი ფურცელაძის ქ. № 5

Типография № 2, «Накадули», Главолиграфпрома Госу-  
дарственного Комитета Совета Министров Грузинской ССР  
по печати, Тбилиси, ул. Пурцеладзе № 5